ანეული

ლიტერატურული ჟურნალი
N2, 2021



მხატვარი – თამარ იოსამაშვილი

ჰევაზ ინანიშვილის
ავტობიოგრაფიული მოთხრობა



ქართველნაღარაბული
ღასახლებები იანში

ინტერვიუ
თამარ მიქაძესთან

„ეს წიგნები არის ჩემი და
ჩემი მეუღლის საჩუქარი –
ქართველ პოეტებს“

ნათია დოლიძე-კანელისის ნამუშევრები

ჟურნალ „ანეულის“ შემომწირველები:

თამარ გაბროშვილი, ნანა დემეტრაძე, მანანა დაბახიშვილი, ლეილა ჯახველაძე, ნინო ჩხიკვიშვილი.

კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეულის“
რეკვიზიტები:
ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE 22
ანგარიშის ნომერი: GE81BG 0000000 306158900



ანეული

№2. (№31) 03ლ0ს0. 2021

ლიტერატურული ჟურნალი

ვაქა–თუმაგლა – 160

ვეფა-ფშაველა ჩივილი ხმლისა 3

„ანეულის“ სტუმარი

„ეს წიგნი არის ჩემი და ჩემი მეუღლის საჩუქარი ქართველ პოეტებს“ 4

ერთი ლექსი **ნესტან დეჯანოზიშვილი** სხვა სიზმარი 7

ესთეი ჯანაშვილი ინტერვიუ თამარ მიქაძესთან 8

პოეზია

ლელა ბაბუხი 12

მამა ადამი (ახალაძე) 15

პროზა

ლელა თოთაძე მიტაცებული სიკვდილი 18

ოლანი ბინაძე იმიტაცია 24

პოეზია **ბობი ბითაძე** 27

ჩევეზ ინანიშვილი ავტობიოგრაფიული მოთხრობა 29

ტარიელ ჟანტუჩია პოეტის ფანქარი 31

ვულოცავთ! 31

ლიტერატურული კრიტიკა

ჩევეზ ბალანჩივაძე ქართველი ქალის ზნეობრივი სახე რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში 32

მსატვრობა ინტერვიუ თამარ იორამაშვილთან 35

პოეზია

ჯუბა ლებელი 36

მზია ლეფავა 37

პროზა

თეიმო ვაშაყმაძე რა მინდოდა კუს ტბაზე?! 38

მაია დიასამონიძე ასწავლეთ თქვენს შვილებს ჭადრაკი! 44

პროზა

ტარიელ ნამოხაძე სახე 45

წერილი–შთამეჭდილება

ლელა ჭიტოშვილი-სახლთხუსიშვილი დაუსრულებელი ყაისნაღური პრობლემები (დასასრული) 46

კულტურა – სიდელი...

ინტერვიუ ბიული ჩქარეელთან ქართულ-ირლანდიური კრებული 50

იზოლდა ტიბილავა (თიჯიონი) ბორის გალაევისა და ქართველი კომპოზიტორების მეგობრობა 52

პოეზია **მამეჯა ოჩიაური** 53

თარგმანი **ვალტერ ფონ დერ ფოგელვაიდე** თარგმნა გიორგი ვარამაშვილმა 55

ლიტერატურული წერილი

ჩესლენ ბოჩიტაშვილი ყოფიერების გზაგასაყართან 56

პროზა **ნინო დიდმელაშვილი** მტირალა კლდე 60

თვალსაზრისი

ლილი უხდელაშვილი „სადა ხარ, ჩემო სულიკო?!“ 63

მარინა ლონლაძე მინიატურები 64

ასალი წიგნები **ნომადი ბარითია** ქართულენადაკარგული დასახლებები ირანში 66

ერთი მინიატურა **ნია მინდიაშვილი** დედაჩემი ღვთისმშობელია! 68

წერილი – მიმოსილვა

ნინო არსენაშვილი „ანეული“ და პანდემია 69

წარდგენა „ვხატავ ისე, რომ ვერ ვხედავ“... მხატვარი ნათია დოლიძე-კანელისი 72

ISSN 1987-9717

ჟურნალი-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეული“

ჟურნალ „ანეულთან“ ახლებული
ლიტერატურული გაერთიანება:

რეზო (ემელიანე) ადამია
რევაზ ბალანჩივაძე
თამარ გაბროშვილი
თამარ მიქაძე
თენგიზ უთმელიძე
ლეილა ქიტოშვილი –
სახლთხუცესიშვილი
თემურ ჩალაბაშვილი
მანანა ჩიტიშვილი
ნინო ჩხიკვიშვილი
ჯუბა ღლებელი
თამაზ ხმალაძე
თემურ ჯაგოდნიშვილი
ივანე ჯაფარიძე

მთავარი ხელოვნური

თამარ შაიშმელაშვილი

პასუხისმგებელი ხელოვნური

სოფიო ჯაფარიძე

ლოგოს ავტორი

ბიოხბი ზუხებიანი

გარეკანის პირველ გვერდზე: თამარ იოსებაშვილის ნამუშევარი
გარეკანის ბოლო გვერდზე: მხატვარი – თამარ იოსებაშვილი

ხელოვნების ტელეფონი: 551 005 058

რედაქციის ინტერნეტფოსტა: aneuli@mail.ru

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალებზე პასუხისმგებელია ავტორი, გამოსაქვეყნებელი სტატიის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 5 ნაბეჭდ გვერდს

ჟურნალი დაბეჭდილია სოციალური თერაპიის სახლში, შშმ პირების მონაწილეობით

ვაჟა-ფშაველა

ჩივილი ხმლისა

– დაჰკანგებულხარ, გორდაო,
დაგობებია ქარქაში,
სადა გყავს შენი პატრონი,
დაგაწყებინოს კაშკაში?
– სადღა მყავს, ძმაო, პატრონი:
შამქორს გავწირე მკვდარია,
ორმოცგან სჭირდა ნახმლევი,
სდიოდა სისხლის ღვარია.
ომში წინ წასვლა უყვარდა,
ხელთ დაბღუჯვილი ფარია;
არას დასდევდა სიკვდილსა,
ოღომც არ შარცხვეს ჯარია,
მეფის თამარის გვირგვინი,
ქართველთ სამეფო გვარია.
ეხლა უშნოდ ვარ დამკიდეს
ლაჩართ კედელზე უქმადა;
ვისღა სცალიან ჩემთვისა,
ქვეყანა იქცა დუქნადა.
გადამაგდებენ გირაოდ
და გზირ-ნაცვლების ხელითა
ქვეყანა მხედავს მდებარეს
„არშინის“ „ჩოთქის“ გვერდითა.
შვიდასი წელი გამიხდა,
არ გავპოხილვარ დუმითა,
არ ვულესივარ ქართველსა
დაღიღინებით ჩუმითა;
მისი ხმა აღარ მსმენია:
„გასჭერ, გამიშვი წინაო,
თუ სახელს არ მაშოვნინებ,
როგორ დავბრუნდე შინაო?!”

1890წ.

„ეს წიგნები არის ჩემი და ჩემი მეუღლის საჩუქარი – ქართველ პოეტებს"...

ინგლისურ ენაზე ამეტყველებული ქართული პოეზია, მოამაგე ქალბატონი და გზა – აფხაზეთიდან ბრიტანეთამდე...

აფხაზეთში გაატარა ბავშვობა და ახალგაზრდობა. სკოლაში კარგად სწავლობდა, პროფესიით ფილოლოგია, მოგვიანებით მას რელიგათმცოდნეობა და ხელოვნებათცოდნეობა მიემატა.

მის მახსოვრობაში დიდ ტკივილად დარჩა ომი და მისი ოჯახის ტრაგიკული ბედი...

აფხაზეთის ომის შემდეგ თბილისში მუშაობდა,არ სურდა, მაგრამ ბოლოს მაინც მოუწია სამშობლოს დატოვება.

ამჟამად ცხოვრობს დიდ ბრიტანეთში მეუღლესთან ერთად.

ახლახან გამოიცა მის მიერ ინგლისურ ენაზე თარგმნილი ქართველ პოეტთა ლექსების ორი კრებული – „სულიერი ხიდი", „სევდისფერი მარგალიტი", რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიბეჭდა და „ამაზონზეა" განთავსებული.

ორივე წიგნი საკუთარი ხარჯებით გამოსცა.

ამბობს, რომ კრებულები მისი და მისი მეუღლის საჩუქარია ქართველი პოეტებისადმი. – ფილოლოგისა და პოეტის მზია კვირიკაშვილი-ლოურენსის პერსონა.

– გულრიფშის რაიონიდან, დრანდიდან ვარ. იქ გავატარე ჩემი ბავშვობა და ყმაწვილქალობა. ბავშვობა უმძიმესი მქონდა – დედას ოთხი შვილი შევრჩით. უმამოდ გაგვზარდა. მუდამ გვენატრებოდა დედა, რომელიც სულ საშოვარზე იყო გასული. ერთმანეთზე ვზრუნავდით ბავშვები, ერთმანეთს ვზრდიდით. საინტერესო რა იყოო, მეკითხებით, – არც არაფერი. ერთი დღითაც არ მომენატრება უკან დაბრუნება,თუ არ ჩავთვლით დედის მონატრებას. ის პერიოდი მენატრება,როცა დედის გარშემო ვიყავით ოთხივე შვილი, მის ფრთებქვეშ. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებს ზედმეტი შრომისგან დღე და ღამე არეული გვქონდა, როგორ ვახერხებდი, დღემდე მიკვირს, რომ სკოლაში კარგ მოსწავლედ ვითვლებოდი. ვმონაწილეობდი ოლიმპიადებზე,ვითვლებოდი მხატვრული კითხვის დიდოსტატად და მუდამ მაჯილდოვებდნენ ქების სიგელებითა და დიპლომებით.

დავდიოდი პიონერთა სასახლეში ლიტერატურულ წრეზე. ჟურნალისტი და გაზეთ „დროშის" რედაქტორი გივი რამიშვილი ხელმძღვანელობდა ჩვენს ჯგუფს. მე-8 კლასში პირველად გამოვაქვეყნე მოთხრობა – „ნამდვილი მეგობარი" ამავე გაზეთში და 2 მანეთი და 40 თეთრი გამომიწერეს,და,იცით? პური წავიღე სახლში ამ ფულით, რადგან პურის ფული ყოველთვის გვიჭირდა, და ღომი და მჭადი არ მიყვარდა.

რა დამავიწყებს დედაჩემის სიხარულს იმ დღეს? ისე კი არ დამკლებია ცივი სახლი და სველი ფეხები, გაკვეთილების შემდგომ ძროხის საბალახოდ გაყვანა და გაკვეთილების მინდორში სწავლა. სიმინდის თოხნა, თამბაქოს პლანტაციები, და ვინც იცის, თუ რა სახის შრომასაც მოიცავს ეს საქმე,კი მიხვდება თუ როგორი იყო ჩემი ბავშვობა.

დედაჩემი – ტატიანა ბოჯგუა – სამამულო ომის მონაწილე იყო,4 წელი იბრძოდა. ომის შემდეგ პედაგოგად მუშაობდა სოხუმში,ეს სანამ გათხოვდებოდა და სოფელში აღმოჩნდებოდა. შემდეგ კი სხვანაირად წარიმართა მისი ცხოვრება. დედის გვიანი შვილი ვარ. იყო უგანათლებულესი და უსათნოესი ქალი, თუ რამე კარგი მაქვს, დედისგან გადმომეცა.

– ხელოვნებათმცოდნე და ფილოლოგი ხართ. სტუდენტობა და მაშინდელი მოგონებები...

– განათლებით ფილოლოგი ვარ – ბავშვობიდან ჟურნალისტიკაზე ვოცნებობდი. კი დავიწყე ჟურნალისტიკით, მაგრამ არ მომეწონა ეს პროფესია, არ იყო საჩემო. შემდგომი შეძენილი პროფესიებია რელიგათმცოდნეობა და ხელოვნებათცოდნეობა.

სტუდენტობის დროს პარალელურად ვმუშაობდი საქართველოს ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბაში. შედეგ – სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თანამედროვე ილიაუნი) – თავიდან პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო შრომების გამომცემლობაში, კორექტორად. შემდგომ კი სხვადასხვა დროს – ამავე უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაწილში, რელიგიათმცოდნეობის კათედრაზე, და ბოლოს, ხელოვნებათმცოდნეობის კათედრაზე. 2001 წელს წამოვედი დიდ ბრიტანეთში.

– როგორი დარჩა თქვენს მახსოვრობაში აფხაზეთი?

– აფხაზეთი? – გეტყვით და თქვენ თვითონ



„სულიერი ხიდის“ გარეკანი

გამოიტანეთ დასკვნა – კვირაში ერთხელ მაინც სატელიტით ვესტუმრები ჩემს სახლს, სადაც გავიზარდე, მოვივლი და მოვეფერები ხოლმე ჩემი სახლის ნანგრევებს, ყოველ ხეს, ჩემს მახსოვრობაში რაც არის, თორემ სადღაა ხეები?.. ჩემს დარგულ ყვავილებს... დედას ბზა უყვარდა და დავურგე ეზოში, სახლის წინ. გაიხარა. ხომ იცით, რასაც ნიშნავს დედისთვის ასეთი საჩუქარი?

დედა იტყოდა ხოლმე, მე რომ მოვკვდები, ამ ბზის ძირში ჩავსახლდები და იქიდან მუდმივად დაგიცავთო. მერე ისე მოხდა, რომ დედა აფხაზეთის ომის დროს იქ დარჩა, სახლს მაინც დავიცავო. სასტიკად აწამებდნენ თურმე. ფეხებზე თოკმობმულს მდინარე კოდორის ხიდიდან წყალში თავით უშვებდნენ, რომ გამოეტეხათ, თუ სად მალავდა ოქროს (რომელიც არასდროს ჰქონია) და სად მალავდა ქათმებს და კვერცხებს... ბოლოს, ერთ დღესაც სასიკვდილოდ უცემიათ თავში და იქვე მეზობლის ღობესთან დაუგდიათ.

გადარჩა, 12 დღე მის სიკვდილს იქ ელოდნენ „წითელი ჯვრის“ თანამშრომლები, მაგრამ მერე თბილისში ჩამოიყვანეს, ცოცხალ-მკვდარი, აჩრდილს ჰგავდა, ორ სამყაროს შორის იყო უკვე, მიცვალებულებს ესაუბრებოდა. აქ არიანო, აგერ სხედანო, მე რომ მაჭმევთო, დაპატიჟეთო ისინიცო – წუხდა. 22 დღის შემდეგ ცოტათი გამოვიყვანეთ მდგომარეობიდან, ისე, რომ ფეხზე დადგომა შეძლო, ჩემს ძმას გარეთ გააყვანინა თავი, ქუჩაში, მანქანა დაეჯახათ. იყო ხმები, რომ აფხაზეთიდან გამოჰყვნენ. ერთი წლის შემდეგ მისი მკვლელიც მოკლეს. აი, ასე იცის ომმა.

– დიდი ბრიტანეთის მოქალაქე ხართ. მეუღლეც ბრიტანელია. როდის დატოვეთ აფხაზეთი?

– დიდი ბრიტანეთის და საქართველოს მოქალაქეც ვარ. არასდროს არ უარმიყვია საქართველოს მოქალაქეობა.

აფხაზეთის ომის დროს მე უკვე თბილისში ვმუშაობდი. ომის შემდგომ 10 წელი არც მიფიქრია არსად წასვლაზე, ეს ვერც კი წარმომედგინა. ვფიქრობდით, რომ რაღაც მაინც შეიცვლებოდა უკეთესობისკენ, ველოდით. თქვენ იცით, ძალიან ბევრი ადამიანი უბრალოდ შიმშილით და უწამლობით გარდაიცვალა, რადგან ასე ადვილი არ აღმოჩნდა ახალ ცხოვრებაზე გადართვა. ძველი გაცვდა, ახალს ვერაფერს ვერ ვიძენდით, ხელფასი ელემენტარულურად პურს ვერ ყიდულობდა. ადამიანებმა გვერდითი საარსებო წყაროები გაიჩინეს. მეტი გზა არ იყო. შენ თუ პატიოსნად გაგზარდეს, ხელს ვერ მოაწერ ბევრ რამეს. ან უნდა გადაერთო ახალ ცხოვრებაზე, ან უნდა მოკვდე. მე ქვეყნის დატოვება ვარჩიე.

მივდიოდი ცრემლებით. ასე მეგონა, თვითმფრინავის ტრაპზე როგორც კი ფეხს ავდგამდი, გული გასკდებოდა.

– ახლახან გამოიცა თქვენ მიერ თარგმნილი ქართველ პოეტთა კრებული „სულიერი ხიდი“. მალე მას მეორე წიგნიც მიჰყვა.... რატომ „სულიერი ხიდი“?

– ჩემ მიერ თარგმნილ ქართველ პოეტთა კრებულს ვუწოდე „სულიერი ხიდი“, რადგან ვთვლი, რომ პოეზია სულიერი ხიდია ადამიანთა გულების ერთმანეთთან დასაკავშირებლად. ვფიქრობ, წიგნმა მოიხდინა ეს სათაური. ორივე წიგნის დიზაინზე იმუშავეს ქალბატონმა – ნინო აფციაურმა და ბატონმა კახა სამუშიამ. გეგმა და იდეა და კახასი იყო, ქალბატონმა ნინომ კი ხორცი შეასხა – მოქარგა.

– წიგნი ბრიტანეთში დაიბეჭდა, თქვენი ხარჯებით. პირველი რეკლამა უკვე მოჰყვა კრებულს... რეკლამები ინგლისურენოვან ჟურნალებსა და რადიოშიც განთავსდება...

– წიგნი დამუშავდა და დაიბეჭდა გამომცემლობაში „AUTHORHOUSE“. წიგნი დამუშავდა ლონდონში და გამოიცა ამერიკის შეერთებულ შტატებში. იყიდება „ამაზონზე“, ასევე იყიდება ელექტრონული ვერსია. გავრცელებულია 170 ქვეყანაში და 30 000 ჟურნალისტი ინფორმირებულია ამის თაობაზე. რეკლამები განთავსდება ინგლისურენოვან ჟურნალებშიც და რადიოშიც. ასევე გამოიცემა აუდიოწიგნები და ამ სახითაც გაიყიდება. გამომცემლობასთან შეთანხმებით, გამოცემიდან რამდენიმე თვე დაველოდებით თანხის შეგროვებას და გადავანაწილებთ პოეტებზე, ამის შემდგომ ყოველ სამ თვეში ერთხელ მოხდება თანხის გადანაწილება. ეს არის სამწლიანი პროგრამა. სამი წლის შემდგომ თუ გავაგრძელებთ თანამშრომლობას ამავე გამომცემლობასთან, ისევ იქნება გადასახდელი რეკლამის თანხა. გამომცემლობას აქვს 22-წლიანი გამოცდილება. ჰყავს 70 000 ავტორი და გამოცემული აქვს 100 000-ზე მეტი წიგნი.

– მეორე კრებულიც მსგავსია?

– მეორე კრებულიც მსგავსია, მაგრამ აქ 102 პოეტის ლექსებია მოთავსებული. სახელწოდებაა – „სევდისფერი მარგალიტი“.

წიგნები გამოვეცით საკუთარი სახსრებით. ეს არის ჩემი და ჩემი მეუღლის საჩუქარი – ქართველ პოეტებს.

– ვინ გეხმარებოდათ ამ პროექტზე მუშაობის დროს?

მეუღლე – რონალდ ლოურენსი

– ამ პროექტზე ძირითადად მარტომ ვიმუშავე, მაგრამ ჩემი მეუღლის გვერდში დგომის გარეშე ალბათ მე ამას ვერ გავბედავდი. ის იყო ჩემი თარგმანების პირველი შემფასებელი, და თუ საჭიროება მოითხოვდა, მაწვდიდა სათანადო სიტყვებს.

– თქვენს ორივე კრებულში მართლაც დიდი შრომაა ჩადებული და უდავოდ დასაფასებელია. უცხოეთში გაგაქვთ ქართული მწერლობა, კულტურა... როგორ ფიქრობთ, დიდი იქნება მათი დაინტერესება ქართული პოეზიით?

– ეს წიგნები გამოვეცით მხოლოდ ინგლისურ ენაზე და ჩვენი მიზანი იყო, ისინი ძირითადად ინგლისურენოვან ქვეყნებში გაგვევრცელებინა. გამომცემლობას თუ დავეყრდნობით, უნდა ველოდოთ წარმატებებს.

თავიდან, როცა გაიგეს, რომ პოეზიის გამოცემა მინდოდა, თავი შეიკავეს, მაგრამ მერე თვითონვე მთხოვეს, გამეგზავნა რამდენიმე ლექსი. გავაგზავნე – მეგი მოლოდინის „დედა“, თენგო ავსაჯანიშვილის „მოძღვარი“ და ჩემი ლექსი „ხიდი“.

ვერ წარმოიდგენთ, რა რეაქცია იყო. მირეკავდნენ და მხატვრულად მიკითხავდნენ, ცრემლმორეულნი, ამ ლექსებს – მთელი არსებით ვგრძნობთ პოეტსაც და მთარგმნელის სულისკვეთებასო. ცხადია, მიხაროდა ჩემთვისაც და პოეტებისთვისაც. ეს მათ მირჩიეს, აუდიოწიგნებიც გამოგვეცა და რეკლამებშიც ჩაგვედო გარკვეული თანხა, რომ გაგვეცნო ეს ლექსები ფართო საზოგადოებისთვის. დანარჩენს დაველოდოთ. ძალით წიგნს ვერავის აყიდვინებ.

მე ვთვლი, რომ ერთმა ადამიანმაც თუ ისიამოვნა ამა თუ იმ ლექსით, პოეტი ამაოდ არ დამშვრალა.

– რამდენჯერმე მეუღლე ახსენეთ...

– მყავს მეუღლე რონალდ ლოურენსი. ჩემი ჭირისა და ლხინის დიდი მოზიარე. ინგლისელი. გვიან გავთხოვდი – შვილები არ მყავს. და მინდა აქვე აღვნიშნო – მშობლები რამხელა ამაგს დებენ შვილებში – უანგაროდ. ასე იქნება ეს წიგნიც – მე შვილის აღზრდაში ვერ ჩავდე ვერაფერი. მაგრამ ვდებ ამ წიგნში. ხშირად შვილებიც არ ამართლებენ – დამეთანხმებით. ხოდა, რა მოხდა, ამ წიგნმაც დიდი შემოსავალი თუ არ მოგვცა? – ჩავიხუტოთ გულებში ჩვენი შექმნილი ლექსები და მოვეფეროთ. განა ეს ცოტაა?

– ჰობი...

– თარგმნა, თარგმნა და თარგმნა მხოლოდ ლექსების. მე ვიპოვე ჩემი თავი ამ საქმეში. ეს ერთადერთია, რაც ჩემს სულს ასაზრდოებს და ამშვიდებს, რაც მე მაცოცხლებს.

– თქვენი ერთი ლექსი...

– მე ვწერ... დროგამოშვებით. ისე ჩემთვის და მევე ვკითხულობ, როცა მომენატრება. ბევრი ლექსი არ მაქვს, ქართული მუზა არ მწყალობს, რატომღაც. აზრიანი ლექსები გამომდის, მაგრამ ვერ ვქარგავ. მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, მეწერება ინგლისურად. და მშვენივრად გამომდის. ვწერ ნოველებს ინგლისურად ასევე. და თქვენ წარმოიდგინეთ, ინგლისური ენა ვისწავლე 45 წლის ასაკში.

კრებული არ მაქვს გამოცემული, მაგრამ გამოვცემ, სად მეჩქარება?

Sins and True Scenes of War

Scene 1:
Georgian father and Abkhazian mother:
Between them lies their wounded son.
Two kneeling bodies - fear, despair:
Will he survive? - A hand is held by hand.

Scene 2:
An old woman, exhausted and worn,
Walks around the house confused and lost.
With faded hope, with pouring tears,
begging the Lord: “Please end me here…
It is my home; it is my land.
It is my Georgia, my only beloved.
Where can I go? Who will heal my soul?
End this bloodshed; return me, my hope!”

Scene 3:
A mother by the road tries to bury sons -
Chasing hungry pigs - mad and desperate.
Soil is rough, stony, and Mother is alone…
Woman hides bodies under heavy stones.

Scene 4:
There is my mother, beaten to death.
Who knows for what? Does war have a sense?
War needs no reasons to destroy your mind.
A drop of blood enough to turn you blind.

Scene 5.
A young man there tries to rape a girl.
She is his hostage, feeble and weak.
She cries and begs: “Have mercy on me!”
In the end, at last, she is saved from him.
But then, then nature works its weird way.
A girl all her life is searching for his breath!
Where disappeared the victim of the war?
Who erected hatred’s hard-defeating wall?

Conclusion
A man to this world arrives for love,
But instead of love, he chooses blood.

Where is a solution? The secret is locked!
To whom you entrust it? Answer me, my Lord!

* * *

ჩემი სახლი ხარ, ჩემი გული ხარ...
შენ რომ დაეძებ, მე ის ქალი ვარ...
უცხო ცრემლები აკვნესდა ჩემში,
ჩამამალვინე თავი შენს მკერდში.
ის ადამი ხარ, მე რომ ველოდი,
როგორ მინდოდა, დაგბედებოდი,
შემოგისახლე, ვერსად გაგიშვებ,
შენი დათმობით ჭირს ვერ გავიჩენ.
შენს სუნთქვასაც ვგრძნობ, კანსაც ვეხები,
ვერავინ შეძლო... შენ ეს შეძელი.
გულის კარები ღიაა ფართოდ,
მხოლოდ შენია, შემოდი მარტო.
ჩემი ედემიც ხარ და სამოთხეც,
ოთხი ნაწილის შენ ხარ მეოთხე...
იქნება მომწვდე... სრულმყე, მაცოცხლე,
მკვდარი სურვილი გამომიცოცხლე.
ცრემლები ტკბილი საბნად მახურავს,
ნისლში ოცნებამ სახე დაბურა...
მთვრალი ვარ... სხვისი ლექსებით მხოლოდ...
ჩემი სად არის, ბოლოს და ბოლოს?!

— სამომავლო გეგმები...

— მე მინდოდა ამ ლექსების თარგმნით სულ მცირე სიხარული მაინც მიმენიჭებინა ჩემი საყვარელი პოეტებისთვის, რომელთათვისას ლექსი სუნთქვაა. ლექსი შვილივითაა, აბა, უძაგეთ მშობელს მისი შვილი — მახინჯიაო — რა დღე დაგადგებათ? ასეა ზუსტად ლექსიც. ამიტომ გავუგოთ ადამიანებს, რომლებიც ერთ დღეს მაინც იმშვენიერებენ მათი შექმნილი პოეზიით. არავინ ვიცით, თუ რა არის პოეზია ნამდვილად, ათასი აზრი არსებობს და ათასი ახსნა, და მაინც არ არის ბოლომდე ახსნილი. ან როგორ ახსნი იმას, ღმერთთან არის დაკავშირებული. წერონ ადამიანებმა და გაიხარონ.

და, მთავარი, ეს წიგნი თუ გაამართლებს და თავის ადგილს დაიმკვიდრებს საბაზრო ეკონომიკაში, მე ვეცდები, ბევრ ადამიანს მივწვდე და სულ პატარა სიხარული მაინც მივანიჭო.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და, პირველ რიგში, მადლობა გადაგიხადოთ პირადად თქვენ, ქალბატონო თამარ, ჩემს დასახმარებლად გაწეული ყოველი თქვენი მეგობრული რჩევისთვის და ყოველი ჩემთვის მოწოდებული აუცილებელი მასალისთვის. დიდი მადლობა მორალური მხარდაჭერისთვის და გამხნევებისთვის მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, ქალბატონ მაყვალა გონაშვილს, პოეტ-აკადემიკოსს, გამომცემლობა „რუბიკონის“ დირექტორს იოსებ მაჭარაშვილს, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, პოეტს ნანა რევაზიშვილს, ასევე განსაკუთრებული მადლობა პოეტ მერაბ გიორგაძეს.

თამარ შაიშმელაშვილი

ეროთი ლექსი

ნუსიკო დეკანოზიშვილი

სხვა სიზმარი

თუ სხვა სიზმარში გამოვიღვიძებ...
და როცა სხვა სიზმარში გავიღვიძებ,
მე ამიხდება ჩემი ვენეცია,
მე იქ ვიცხოვრებ ყველა დროსა და სიმშვიდეში,
ყველა ჩაძირულ ნატვრასა და წახდენილ
ოცნებაში,
ზოგიერთ ოქროსფერ თევზთან, რომლებსაც
ვერ დაიჭერენ მოსაწყენი ცოლების მეთევზე
ქმრები,
ზოგიერთ აზრიან თოლიასთან, რომლებიც
ახლოს არ მოფრინდებიან ჩემთან, რადგან,
იციან, რომ მე მათი მეშინია.
ჩემს ახდენილ ვენეციაში იქნებიან —
ზურმუხტისფერ და ახდენილ ვენეციაში —
სიზმრები,
რომლებიც ჩაუსაფრდებიან მღვიძარე ადამიანებს,
ჩაუსაფრდებიან და დაესიზმრებიან;
თითქოს ცოცხლობენ და თითქოს უხარიათ,
თითქოს იღვიძებენ და ბავშვობის მზე შემოდის
ფანჯრებიდან,
თითქოს დედა და მამა ძალიან მალე
დაბრუნდებიან,
და, რასაკვირველია, ძალიან ლამაზები იქნებიან,
თითქოს ბებო და პაპა ჩაის ჭიქებს აწკრიალებენ,
ვერცხლის კოვზებით,
გელოდებიან და შენ, თითქოს,
იცინი, იცინი, იცინი, რადგან ეს ღრმა ძილის წინ
იცოდი...

და, ამ დროს, არავინ გაბედოს,
არავინ გაბედოს ჩემი შეჯანჯღარება!

თამარ მიქაძე – „ცხოვრება ეგ ყოფილა: უნდა იჩქარო და მთავარი სათქმელიც თქვა“...

მხატვრისა და ხელოვნებათმცოდნის – ესთერ ჯანაშვილის ინტერვიუ თამარ მიქაძესთან

თამარ მიქაძე – ბიოგრაფია

მწერალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, დიმიტრი ყიფიანის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი.

1984-2007 წწ. მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, ახალი ქართული ლიტერატურის განყოფილებაში. არის ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი; ჟურნალ „ანეულთან“ არსებული ლიტერატურული გაერთიანების წევრი. სხვადასხვა დროს იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში: „ცისკარი“, „ჩვენი მწერლობა“, „ანეული“, „ლიტერატურული საქართველო“, „კალმასობა“ და სხვ. გამომცემლობა „საარში“ გამოიცა მისი მინიატურული პროზის კრებულები: „სევდიანიდან მხიარულამდე“ (2003); „ძალიან პატარა ქალაქში“ (2014 წ). თამარ მიქაძე არის ფოტოალბომის –„დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება და მოღვაწეობა“ პროექტის ავტორი და შემდგენელი (2009), ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედიის – „სიტყვანი“ რედაქციის წევრი (2010), ალბომის – „დიმიტრი ყიფიანი და მისი შთამომავალნი“ შემდგენელი (სოფიო ისაკაძესთან ერთად), აგრეთვე ფოტოალბომის გამოცემის პროექტის ავტორი (2016). დიმიტრი ყიფიანის მე-6 თაობის შთამომავალი.

სადისერტაციო ნაშრომი – „იოსებ ბაქრაძის ცხოვრება და მოღვაწეობა“, წიგნად გამოსცა 2007 წელს.

ესთერ ჯანაშვილი:– ქალბატონო თამარ, თქვენს ბავშვობაზე აუცილებლად უნდა ვისაუბროთ, გაიზარდეთ ძალიან ცნობილი ადამიანების გარემოცვაში... როგორი იყო თქვენთვის პერიოდი, საიდანაც ყველანი მოვდივართ?

თამარ მიქაძე: – პერიოდი, რომელსაც ჰქვია ბავშვობა, ჩემთვის იყო ზღაპარი. დავიბადე ოჯახში, სადაც 10 წელი ელოდნენ შვილს და ჩემი ამქვეყნად მოვლინება ათმაგი დღესასწაული იყო.შესაბამისად, მანებივრებდნენ ძალიან, არ ვგულისხმობ მატერიალურ მხარეს, თუმცა არც ეგ მაკლდა. მორალურს ვგულისხმობ – ვცურავდი სიყვარულში, მყავდა გადაყოლილი მშობლები, მამიდა, რომელიც ჩვენთან ცხოვრობდა, ბაბუა, ასევე, დედის მშობლები, საყვარელი ბიძა, მოგვიანებით, ბიძაშვილი და უმცროსი დაიკო,ეს იყო ჩემი დიდი ოჯახი,ოჯახზე საყვარელი და ტკბილი კი ამქვეყნად არაფერია.

გავიზარდე მთაწმინდაზე, ათარბეგოვის ქუჩაზე, ამჟამად, საბედნიეროდ, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა რომ ჰქვია. შესაბამისად, დავდიოდი პირველ საშუალო სკოლაში. თავიდანვე ჰუმანიტარული საგნები მიყვარდა, ქართულს შესანიშნავი მასწავლებელი გვასწავლიდა – ბაია ფუთურიძე, თავისუფალ თემას ხშირად გვაწერინებდა და ჩემი ნაწერი მოსწონდა, თუმცა მორიდებული ბავშვი ვიყავი და ხმამაღლა საკუთარი თემის კითხვაც მერიდებოდა, დამრიგებელი სვეტა ფანგანი იყო,მესამე კლასიდან რომ შემოვიდა, ბოლომდე გაგყვა და გვერდშიც გვედგა სულ. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, დიმიტრი ყიფიანის ალბომის პრეზენტაციაზე რომ დავინახე ეროვნულ ბიბლიოთეკაში.... დღესაც მშვენივრად გამოიყურება, მხნეობას ვუსურვებ. ორიოდე წლის წინათ, კლასელების შეხვედრა გვქონდა და გავიხსენეთ იმ პერიოდის თბილისი, თურმე, ყველას როგორ მოგვნატრებია ეკოლოგიურად სუფთა, მწვანეში ჩასმული, მუსიკით, პოეზიითა და სიყვარულით გაჯერებული ქალაქი... სადაც იშლებოდა ტრადიციული სუფრები, გემრიელი ქართული კერძები, ნიჭიერი თამადა, სიმღერა, დახვეწილი იუმორი, ახლანდელ შოუებში რომ ვერ შეხვდებით, ისეთი, ასეთი ურთიერთობა ბევრისმომცემი იყო.

მკითხეთ და მართლაც, საინტერესო ოჯახურ თუ, ზოგადად, გარემოში ვიცხოვრე. ბაბუა – ვარლამ მიქაძე უნივერსიტეტის გამომცემლობის დირექტორი იყო, მაშინ ეს ერთი გამომცემლობა იყო და იმ პერიოდის წიგნები მის ხელში გადიოდა. ათარბეგოვზე ჩვენი ხშირი სტუმრები იყნენ – კოლაუ ნადირაძე, ნიკა აგიაშვილი, ბეგიაშვილი და სხვები, ბიძაჩემთან, გურამ პატარაიასთან, მივდოდი და იმ პერიოდის რჩეული რეჟისორები მხვდებოდნენ, სხვა ხელოვანებიც, გია ყანჩელი ხშირად სატელევიზიო

ბაბუასთან — ვარლამ მიქაძესთან ერთად

ეთერშიც კი იხსენებდა გურამთან სტუმრობას და დედაჩემის გემრიელ კატლეტებს. აბა, ეს ის თაობა იყო,ადვილად რომ შეეძლოთ,დღესასწაულის მუხტი შემოეტანათ. თუ თემო ჩირგაძე იყო თამადა, ხომ, საერთოდ... ისე ოჯახში იუმორით ბავშვობიდან ვიყავით განებივრებულნი. ვასო პატარაია დრამატურგი და სატირულ-იუმორისტული ნაწარმოებების ავტორი იყო იუმორი მასაც და გურამსაც გამორჩეული ჰქონდათ... სიტყვასა და იუმორში არც ქალები ჩამორჩებოდნენ, დედა და ქეთო ბებია და იყო ასე სიცილ-ხარხარი. მცხეთის ქუჩაზე ლიტერატორების გარემოცვაში ვიყავი, ქვიშხეთში ბებიებთან, სერგო ქობულაძიდან დაწყებული, ვინ აღარ სტუმრობდა.... ალბათ, წიგნით მოვიგონებ ყველაფერს, ძირითად საქმეს რომ მოვრჩები.

ე.ჯ:— თქვენი გზა მოწაფეობიდან — სტუდენტობამდე. როგორ გაიხსენებთ სტუდენტობის პერიოდს? სტუდენტებთან, ლექტორებთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ ისტორიებს ხომ არ გაიხსენებდით?

თ.მ: — სკოლის დამთავრების შემდეგ თეატრალურ ინსტიტუტში სასცენარო-სარეჟისორო ფაკულტეტზე მინდოდა ჩაბარება, მაგრამ იმ წელს რამდენიმე წლით შეჩერდა ეს მიმართულება და ჩავაბარე უნივერსიტეტში,ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რასაც დღევანდელი გადმოსახედიდან არ ვნანობ, პირიქით. მერე რა საქმეებთანაც მომიწია შეხება, იმას, მარტო შემოქმედებითი აღმაფრენა არ ეყოფოდა, სწორედაც, სამეცნიერო საფუძველი იყო საჭირო და ის გზა უნდა გამეარა, უნივერსიტეტით დაწყებული, ლიტერატურის ინსტიტუტითა და ილიას ცენტრით დამთავრებული.

კარგი კურსელები მყავდა, ლაღი, ბედნიერი წლები გავატარეთ ერთად და ახლაც სითბოთი ვეხმიანებით ერთმანეთს. ახალგაზრდობა ხომ საუკეთესო პერიოდია... ჩემს სტუდენტობას ერქვა დღესასწაული... მეგობრები, კულტურული ღონისძიებები. მეგობრებს საერთო ინტერესი გვქონდა, არ ვტოვებდით ახალ სპექტაკლს, გამოფენებს, კინოჩვენებებს, ხშირად ვსტუმრობდით ოპერისა და ბალეტის თეატრს,სტუდენტობის დროინდელი ერთი სასაცილო მომენტი მახსენდება, რომელიც თავის დროზე საკმაო ნერვიულობის მომტანი აღმოჩნდა ჩვენთვის. ფილოლოგიის ფაკულტეტზე მომღერალ გოგონათა გუნდი ჩამოაყალიბეს, სადაც, რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ვერ მოხვდნენ ჩვენი კურსის მართლა მომღერალი გოგონები, სამაგიეროდ, ჩვენი სურვილის საწინააღმდეგოდ, მოვხვდით გაუგებრობაში — მე, მაია ციციშვილი და გვანცა ჩხენკელი. რეპეტიციებს კიდე რა უჭირდა, მაგრამ სააქტო დარბაზში კონკურსში მონაწილეობა, დიდ ნერვიულობად დაგვიჯდა, „ერეხელი მერეხელიო“, რომ შემოვძახეთ, ვისი ხმა სად გაექცა, ვინ იცის... დარბაზში კი სხვა კონკურსანტების მომხრეები აყვირდნენ — გავაძევოთო, მსგავს უხერხულ სიტუაციაში არასოდეს აღმოვჩენილვარ... არ გავიდოდით და საყვედური მზად იყო, რას გვერჩოდნენ,არ ვიცი.. შეიძლება ეს ყველაფერი უკვე სასაცილოცაა დღეს, რატომ გავიხსენე? ეს კარგი მაგალითია იმისა,რომ ადამიანმა უნდა აკეთოს ის საქმე,რაც ხელეწიფება...

ე.ჯ: — ქალბატონო თამარ, რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში ახალი ქართული ლიტარატურის განყოფილებაში მუშაობდით, მოგვიყევით თქვენი ცხოვრების ამ ეტაპზე?

თ.მ: — ლიტერატურის ინსტიტუტში ჯერ მამაჩემი მუშაობდა,გივი მიქაძე,ცნობილი მკვლევარი და უპატიოსნესი პიროვნება. მამა პედაგოგიურ ინსტიტუტში გადავიდა და ხელმძღვანელობდა ბიბლიოგრაფიისა და ბიბლიოთეკამცოდნეობის კათედრას. მე 25 წელზე მეტი გავატარე ინსტიტუტში, მაშინ მცხეთის ქუჩაზე ვცხოვრობდით, ლიტერატორების სახლში და სამსახურიდან დაბრუნებული ისევ თანამშრომლებს ვხვდებოდი, მაგრამ ეს საინტერესო იყო. ჩვენს ზემოთ, ინსტიტუტის მაშინდელი დირექტორი, აკადემიკოსი — ალექსანდრე ბარამიძე ცხოვრობდა, ქვემოთ — პროფესორი გივი ლომიძე. ჩვენს სადარბაზოში ზევით — არველაძეები, ბორია დარჩია, სხვა პროფესორ-ლიტერატორები. ინსტიტუტის დერეფანში მშვენიერი ქალბატონები დადიოდნენ, თვალს ვერ მოწყვეტდი. პირველი წიგნი რომ გამოვიდა, უკეთილშობილესმა ქალბატონმა, საუკეთესო ლიტერატორმა ცისანა გენძეხაძემ ისეთი რეცენზია დამიწერა, ცხოვრების გზაზე რომ გამყვება საიმედო სულიერ საგზლად. აკადემიური გარემო იყო, სამწუხაროდ, „ვარდების რევოლუციის“ „რეფორმების“ შედეგად ლიტერატურის ინსტიტუტი დაშალეს ახალმოსული დირექტორი-ქალბატონის ხელით.

ე.ჯ: — ქალბატონო თამარ, ილიას კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ბრძანდებით, მოგვიყევით თქვენს საქმიანობაზე?

თ.მ: — ილიას კვლევის ცენტრი ძალიან საჭირო დროს ჩამოყალიბდა,რითაც ხელი შეეწყო საქმესაც და თანამშრომლებსაც. ხსენებული „რეფორმის“ მერე მთელი მე-19 საუკუნის განყოფილება დაიხურა და მუშაობა ილიას ცენტრში, ვაშლოვანის ქუჩაზე გაგრძელდა.



ილიას პერსონალურ ენციკლოპედიაზე მუშაობდა პროფესიონალ მეცნიერთა ჯგუფი ლიტერატურის ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომლებისა... ამ კეთილი საქმის მოთავე, დირექტორი პროფესორი ნინო მამარდაშვილია, სამეცნიერო ხელმძღვანელი – აწ განსვენებული ბატონი გიორგი აბაშიძე, დიდი კიტა აბაშიძის შთამომავალი, უდროოდ დაღუპული მსახიობ ლევან აბაშიძის მამა. ის ილიაზე საუკეთესო წიგნის ავტორი და უაღესად კულტურული პიროვნება იყო.

გამოვიდა ერთი წიგნი ილიას ენციკლოპედიისა, „სიტყვანი", მეორეც მზადდება გამოსაცემად, ბოლო წლებია, ჩემი ტრაგედიის მერე, ველარ ვმონაწილეობდი, მაგრამ მოხარული ვარ, რომ ვიყავი წლების განმავლობაში ერთ-ერთი უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ცენტრისა, მშვენიერი თანამშრომლების გვერდით გატარებული წლები კი ერთ-ერთი ნათელი წერტილია ჩემი ცხოვრებისა.

ე.ჯ: – ქ-ნო თამარ, თქვენი წერილები სხვადასხვა დროს იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში: „ცისკარი", „ჩვენი მწერლობა", „ანეული", გაზეთებში: „ლიტერატურული საქართველო", „კალმასობა" და სხვა... როგორ ფიქრობთ, რომელი პუბლიკაციაა თქვენი სავიზიტო ბარათი, რომელიმე ჟურნალს ან გაზეთს ხომ არ გამოარჩევდით განსაკუთრებული ისტორიის გამო?

თ.მ: – მადლიერი ვარ ყველა ჟურნალ-გაზეთის მესვეურისა, სადაც ჩემი შემოქმედებითი თუ სამეცნიერო ნაშრომი დაბეჭდილა, ისე, პირველი ვრცელი ინტერვიუ დიმიტრი ყიფიანის საკითხთან დაკავშირებით როსტომ ჩხეიძის რედაქტორობით გამოსულ გაზეთ „ჩვენ მწერლობაში" შედგა, 2001 წ. სადაც ნინო ჩხიკვიშვილთან ვსაუბრობ. როსტომი, ამავე დროს, დიმიტრი ყიფიანთან დაკავშირებული ორივე ფოტოალბომის რედაქტორია.

ბოლო 10 წელია კი სისტემატურად ინტერვიუ, წერილი ქვეყნდება ჟურნალ „ანეულში", რომლის რედაქტორი ჟურნალისტი და პოეტი თამარ შაიშმელაშვილია და სადაც მეც ლიტერატურული გაერთიანების წევრი ვარ... შემოქმედებითი კუთხით კი პირველია „ცისკარი" სადაც ორი მინიატურა დაიბეჭდა ჩემი: „გაუბედავი" და „მიმოზა და ოცნება". მახსოვს, უბედნიერესი ვიყავი, 1998 წელი იყო.

ე.ჯ: – ქ-ნო თამარ, 2003 წელს გამომცემლობა „საარმა" გამოსცა თქვენი მინიატურული პროზის კრებული – „სევდიანიდან-მხიარულამდე", 2014 წელს კი ასევე მინიატურული პროზის კრებული – „ძალიან პატარა ქალაქში". თუ შეიძლება, მოგვიყევით ამ კრებულების შესახებ, რით ჰგავს ეს წიგნები ერთმანეთს, ან რით განსხვავდება?

თ.მ: – ორივე წიგნი მცირე პროზას მოიცავს. მეორე პირველის შევსებული ვარიანტია, „სევდიანიდან – მხიარულამდე" 2003 წელს გამოვიდა და წიგნის ცნობილი მხატვრის, კარლო ფაჩულიას ნახატებითაა გაფორმებული. ბატონმა კარლომ უფრო მეტი ნამუშევარი დამახვედრა, ვიდრე ველოდი.... მომეწონა და მივყევიო, ასე მითხრა, რამდენიმე ნამუშევარი გადმომცა კიდეც და სახლში კედელზე მიკიდია იმ ლამაზი დღეების გასახსენებლად. რაც შეეხება წიგნს „ძალიან პატარა ქალაქში" – აქ ყდა რეზო ესაძის ესკიზებითაა გაფორმებული, საინტერესო ისაა, რომ ეს ჩემგან დამოუკიდებლად მოხდა. ბატონ რეზოს გაზეთ „კალმასობის" რედაქციაში წაუკითხავს ჩემი დასაბეჭდად გამზადებული 2 მინიატურა და იქვე გაუმზადებია ჩანახატები, ამან ძალიან გამახარა. შემდეგ, მასთან შეთანხმებით, ეს წიგნის ყდაზე გავიტანე.

ისე, გულწრფელად რომ ვთქვა, შემოქმედებასთან კავშირი ჩემთვის ყველაზე დიდი სიხარულია, უბრალოდ, მოვალეობამ მძლია, მეტი დრო წინაპრებისთვის დამეთმო, რასაც, ასევე, დიდი სიყვარულითა და ერთგულებით ვაკეთებ. საერთოდ, მინიატურაში იმდენად მცირე დროა სათქმელისთვის, უნდა იჩქარო, თან იფიქრო, მთავარი სათქმელი თქვა... ცხოვრებაც ეგ ყოფილა... თვალისდახამხამებას ვერ მოასწრებ, ისე ჩაგირბენს.

ე.ჯ: – თქვენი ნაშრომი „იოსებ ბაქრაძის ცხოვრება-მოღვაწეობა"... რატომ გადაწყვიტეთ, ამ თემით დაგეცვათ სადოქტორო დისერტაცია?

თ.მ: – ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობის დროს დავიცავი დისერტაცია მივიწყებულ მთარგმნელსა და მოღვაწეზე იოსებ ბაქრაძეზე, რაც 2007 წელს წიგნადაც გამოვეცი, უნდა აღინიშნოს და სასიხარულოა, რომ მას კარგი შთამომავლობა დარჩა.

ე.ჯ: – თქვენ ბრძანდებით პროექტის ავტორი და შემდგენელი, ფოტოალბომებისა – „დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება-მოღვაწეობა" 2009 წ. და „დიმიტრი და მისი შთამომავალნი" 2016 წ, რას მოგვიყვებოდით ამის შესახებ?

თ.მ: – დიმიტრი ყიფიანის საკითხთან ჩემი საქმიანი ურთიერთობა 30 წელზე მეტია, რაც დაიწყო, დავიწყე ინტერვიუებით, მერე წერილებით, მერე კი ოცნებად გადამექცა, გამოსულიყო ფოტოალბომი, რადგან მის შესახებ საკმაოდ მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობდა, მაგრამ არ იყო ფოტოებით გაჯერებული. რთული იყო ეს ყველაფერი. სპონსორს წლობით ვეძებდი. ჩემი მეგობარი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

თამარ ციციშვილი ამომიდგა გვერდით, საბოლოოდ, ბატონ ლაშა პაპაშვილის ხელშეწყობით უნიკალური ალბომი გამოვიდა, მოვიწვიე პროფესიონალები, ერთობლივი ნამუშევარია, არ დაგიმალავთ, ძალიან რთული იყო კოლექტიური მუშაობა.... მთავარია, დიდებული საქმე გამოვიდა. რაც შეეხება მეორე ალბომს, აქ კი გიპასუხებთ ადრე დასმულ კითხვაზე – ფოტოალბომი „დიმიტრი და მისი შთამომავალნი“ ალბათ, ჩემი სავიზიტო ბარათია – ჯერ ერთი, იმიტომ რომ 6 თაობის სურვილი ასრულდა, მათი არქივია გამოქვეყნებული, მერეც, იმიტომ, რომ ეს ყველაზე რთული რამ იყო, რაზეც მანამდე მიმუშავია.... ხელნაწერების გაშიფრვა, თარგმნა ჩემი ქალიშვილი მეხმარებოდა ჩემს უდროოდ წასულ ბიჭს ვუძღვენი...

დიზაინზე ციცი ბოდოკია მუშაობდა, იოსებ კაპანაძემ დააკაბადონა სრულიად უანგაროდ და მადლიერი ვარ მათი.

ე.ჯ: – ქალბატონო თამარ, დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის გადმოგეცათ დიმიტრი ყიფიანის მედალი, შემდეგ პრემია, თქვენ დიმიტრი ყიფიანის მეექვსე თაობის წარმომადგენელი ბრძანდებით და არ შემიძლია არ გკითხოთ, ხომ არ შეუშლია თქვენს წარმომავლობას ხელი თქვენთვის? და რას გავალდებულებთ ის, ვინც ბრძანდებით?

თ.მ: – 2013 წელს დიმიტრი ყიფიანის მედალი, 2017წ. კი პრემია გადმომეცა, ეს ჯილდოები ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა და ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა გადმომცა, ქვიშხეთის სახლ-მუზეუმის წარდგენითა და ინიციატივით, რამაც გამახარა... ქვიშხეთთან დაკავშირებულია წინაპრებისა და ჩემი ცხოვრებაც. წლების განმავლობაში მზრუნველობა არ მოგვიკლია მუზეუმისთვის, გადავეცით ფოტოების ასლები, რომელიც სახლ-მუზეუმის მთავარ დარბაზს ამშვენებს.

სხვათაშორის, რა სწორი კითხვა დამისვით, ხელის შეშლასთან კავშირში.... 5 თაობის განმავლობაში რეპრესიების ქვეშ იყვნენ ჩემი წინაპრები, მინდა გითხრათ, ახლაც სათანადო ყურადღება არ გვაქვს სახელმწიფოს მხრიდან. ჩვენ რომ მიძინებული შთამომავლები ვიყოთ, ყველასთვის უფრო მისაღები ვიქნებით, მაგრამ ჩვენი სიფხიზლე არ აწყობთ ადამიანებს, რომლებსაც კეთილი ზრახვა არ ამოძრავებთ.... და მუხანათური დამოკიდებულება აქვს კულტურული მემკვიდრეობის მიმართ.... მაგრამ ჩვენ რა შთამომავლები ვართ, მაგრად რომ არ დავუხვდეთ? არავის გავაყიდინებთ წინაპრის მიწას... არ დავადგმევინებთ შეუფერებელ ძეგლს და ა.შ. სულ ბრძოლაში ვართ... არადა, დროა, ეროვნული საქმე აგუგუნდეს... დროა...

ე.ჯ: – დროა, ეროვნული საქმე აგუგუნდეს...

ქალბატონო თამარ, იქნებ დღვანდელი ყოფისა და საქმიანობის შესახებ მოგვითხროთ. ასევე თქვენი სურვილები გაგვიმხილოთ?

თ.მ: – დღეს ჩემი ოჯახი სამი წევრისგან შედგება – მე, ჩემი მეუღლე სულხანი და ქალიშვილი სოფიო ისაკაძე, რომლის დიდი მადლიერი ვარ არაჩვეულერივი შვილობისთვის.... უდიდესი ტკივილით ვცხოვრობთ, მეექვსე წელია, უფროსი შვილი, ნიკა არ არის ჩვენ გვერდით. ჩვენი ოჯახის ყველაზე ლამაზი, კეთილი და მხიარული წევრი, მის გარეშე გვიჭირს, მე 5 წელი თითქმის არ გავდიოდი სახლიდან, საქმეს შევაფარე თავი... ჩემი ოჯახია, ასევე, ჩემი უმცროსი და, ქეთი, საყვარელი სიძე გია და შვილივით საყვარელი დისშვილი – დალიკო, თავისი მეცხრეკლასელი ბიჭით, სანდროთი, ასე რომ ბებიდა ვარ, ჩემი დისშვილი ნიუ-იორკში ცხოვრობს, ყოველდღე მაინც ერთად ვართ, ვეხმიანებით ერთმანეთს.

რაც შეეხება საქმიანობას, მატერიალურის გამო დროებით შეჩერებულია მუშაობა ფოტოალბომზე „გურამ პატარაიას ცხოვრება-მოღვაწეობა“. გვაქვს უნიკალური მასალა, ნახევარი დედაჩემთან ინახებოდა, ნახევარი ჩემს ბიძაშვილთან, სოფო პატარაიასთან, არადა, საშური საქმეა.... ეს მესამე ფოტოალბომი იქნება და მერე უკვე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი მისია წინაპრების წინაშე შესრულებული იქნება. ამის პარალელურად ვბეჭდავ წერილებს, მაგალითად, სულ ბოლოს „ანეულში“ გადავეცი წერილი ბარბარე ყიფიანზე, პირველ ქართველ ფსიქოფიზიოლოგ ქალბატონზე, მთავარ საქმეს რომ მოვრჩები, მოგონებებიც არ იქნება ურიგო, დავასრულეთ დიმიტრი ყიფიანის სახელობის სულიერებისა და კულტურის ცენტრის მოწყობა, რომელიც თბილისში, მისივე სახელობის ტაძრის ქვედა სართულზე მდებარეობს – მისი დამფუძნებელი დეკანოზი მალხაზ ყიფიანია, ხელმძღვანელი – თქვენი მონამორჩილი, ველოდებით შესაბამის დროს, რომ გავხსნათ. რა გითხრათ, გეგმა ბევრია, თუ ჯანმრთელობამ შემიწყო ხელი... რას ვისურვებდი? ყველაფერს, რაც საქართველოში მცხოვრები ადამიანის სურვილია, ეროვნული, თუ სოციალური კუთხით და კიდევ, სახელმწიფოს მხრიდან ეროვნულ საქმეებს შეეწყოს ხელი, მათ შორის, დიდი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, აწ უკვე წმინდა დიმიტრი (ყიფიანი) სამშობლოსთვის წამებულის საკითხსაც!

დასასრულს, ქალბატონო ესტერ, დიდი, გულწრფელი მადლობა მინდა მოგახსენოთ, რომ სურვილი გაგიჩნდათ ჩემთან ინტერვიუს აღებისა... აქვე აღვნიშნავ, ძალიან გამიხარდა, ეს წელი რომ გამარჯვებით დავიწყე, იმ პატარა მოგონებების გამო, „პარნასზე“ რომ ვაქვეყნებდი, ძალიან კეთილ საქმეს ემსახურებით, „პარნასელებს“ მინდა გისურვოთ ჰარმონიული ცხოვრება და წარმატებული საქმიანობა!

ინტერვიუ მომზადდა კულტურის მოღვაწეთა ფეისბუქჯგუფ „პარნასისთვის“.

პოეზია

ლელა გაბუჩი

თუშეთში

(ვუძღვნი ეთერ თათარაიძეს)

მურგველას
აბჯრის ჟღრიალი,
შენაქოს მოაქვს წინა ქარს,
აქ ფირუზს
ზეცა ციალით
თორღვას ხმლის ელვად ინახავს...
მიღიმის
მორცხვი თვალებით,
ბადაგად ცისნამცხებული,
კენკეშა –
პატარძალივით
თეთრად ყელმოღერებული.
სულს
ყველა სურვილს უსრულებს,
აქ სხვა სხივია უქრობი,
შიშით ჩავხედავ
უფსკრულებს,
ჩანჩქერის უბეს ვეკრობი...
ჯვრის კარზე
მტერი ვარისხე,
მოვდივარ
ქრება ის შიში,
ისე მახარებს მგზავრის ხმა,
თითქოს
შემომხვდა ძმა-შინში.
ღმერთო,
მიცოცხლე სამშობლო,
მიცოცხლე
ეს ტყე, ეს ჭალა,
დასტურად
ამა ხილვათა,
დანოთ,
მზე გადმომეშალა...

გალაკტიონის შეხვედრა ჩემს მამასთან – დავით გაბურთან

ტოვებდა როცა თავის ჭიმღას,
თავის ახიელს,
იერი მაინც
ვერ მოირგო
ქალაქელ კაცთა,
სტუდენტობისას
ყმაწვილ მამას – ბრგეს და სახიერს –
უყვარდა თურმე
ხევსურული სამოსის ჩაცმა...
და დადიოდა რუსთაველზე
ჯვრიან პერანგით,
მთიელ მოგვების
და ღვთისშვილთა ჩამომავალი.

გალაკტიონი დაუნახავს
ერთხელაც მის წინ...
(გაშეშდა მამა,
უყურებს და თვალს არ აშორებს),
...ის მოდიოდა რუსთაველზე
მარტო, თავისთვის
და ნამთვრალევი მისი მზერა
ეკიდა შორეთს.

მოულოდნელად
დაეფინა სახეზე შუქი,
იგი მამასთან მივიდა და
ჩახედა თვალში.
მერე ასწია
მძიმედ, დინჯად მარჯვენა ხელი:
ჩამოატარა მამას
თავზე,
შუბლზე,
სხეულზე...
ჩაიბურდღუნა: „აი, რაა – ჯიში და გენი!!“
და უხმოდ გაჰყვა
ისევ პროსპექტს
ფეხარეული...

კალმახის სიკვდილი

ჩიტის ნისკარტით მოტანილს ჰგავს
შენი ამბავი...
ჩემი მსხვერპლი ხარ.
ქვიშაზე წევხარ.
მე კი მდუმარე,
ფიქრში წასული ზემოდან გიცქერ
და ველოდები,
სიკვდილს როდის შეურიგდები,
როგორც ყველაზე დიდ ბუნებრიობას.
გდის ცივი სისხლი
და მდუღარე ვულკანივით მიწვეთავს სულში.
აი, გაყუჩდი,
აღარ გითრთის უკვე ლაყუჩი
და ქარი ხიდან ჩამოვარდნილ
ტირიფის ფოთლებს
მიაფრიალებს არაგვისკენ,
როგორც სუდარას...
კვლავ ილიცლიცებს გუბეები
მდინარის ტანზე,
ჩამავალ მზეზე იქვირითებს
შენი მოდგმა კიდევ მრავალი,
მაგრამ უშენოდ.
მზე ჩადის...
ჩადის.
შუბისტარზე წამოვაცვი
გაყინული ორი თვალი
და ცრემლებს ვუშრობ
ცისკენ მზირალ აქერცლილ გუგებს.
გულაღმა წევხარ,
(უხერხულია ,სიკვდილს შეხვდე
უბრადმყოფივით პირქვემხობილი),

* * *

ვიდრე, ქუდნისლას ნისლით,
მზე ჩვენს კარავთან მივა...
ვიდრე, სული და სისხლი,
შეშლილია და ცივა...
ვიდრე, ჩემს თვალში დირე,
და შენს თვალებში ბეწვი,
მარადისობის კართან,
ღია ჭრილობად მეწვის...
ვერ მოვანატრებ არაგვს–
წუხილს – სამყაროს მკარგავს,
თვალებს – შენს გამო ტკივილს,
მუხლებს – შენს გამო კანკალს....

არაგვისპირას მძიმე ლოდებს
ეხეთქება
მშვენიერი
შენი სხეული.

ჩემიც ეგრეა...
მოშიმშილე, აუვსებელი ჩემი დღეები
და ჩემი მზერა – მოკანკალე ამოსუნთქვამდე
შეეზრდება,
შეეხიზნება
საყვარელ კაცის მომდურავ თვალებს
და გაქვავებულს,
ფრთებშეკვეცლს,
ისე უმწეოს,
აუკინძავს სინანულის მძივებად ცრემლებს
და ჩამოღვენთილ კელაპტართან
მისი ხელები,
(საოცარი, თბილი ხელები...
დათვლილი ხალით,
დათვლილი ხაზით,
დათვლილი ვნებით),
სიკვდილის წინ
ჩემი მაჯის
თრთოლვით მჭერელნი,
ამ ფოთლებივით
ჩამოწყდებიან.

ჩიტის ნისკარტით
მოტანილს ჰგავს შენი ამბავი.
ჩემიც ეგრეა...

* * *

ა-ს

შეყვარებულმა აჩუქა გოგოს
წინდა, რომელსაც ეხატა წერო
და მერე წვიმდა,
წვიმდა და წინდას
ეწვოდა იმ დღის
მხურვალე წამი...
ჯერ ადრე იყო,
რომ ეთქვა: „დარჩი“,
ჯერ, სასწაულებს
არ ჰქონდა ბოლო
და წეროს
თხელი,
ლამაზი კანჭით,
მარადისობას
სწვდებოდა
გოგო...

პანდემიური ლექსი

სიკვდილის შიში
შლეგსა თუ ჭკვიანს
ობად მოედო
მოწამლულ ყოფით,
ვცხოვრობთ (თუ ამას ცხოვრება ჰქვია),
ჩაკეტილ წრეზე
დავყვებით კოვიდს.
უფერულ დღეთა
მძიმე ჰაერი,
ამაზრზენ ჩრდილთან
ჭიდილით გვგესლავს.
ლოცვად შემდგარა უკვე კაენი,
გამოუცვლია პერანგი გველსაც.
პოეტები კი,
გულზე ლექსებით,
მხურვალე მზერით
ცრემლს რომ აშრობენ,
ჰგვანან სარეცხის
გაწყვეტილ თოკზე,
ქარში გაბნეულ
სათამაშოებს...

კახეთი

მზის თვალს ამოხვრეპს
ლხენით ნასამხრევს,
წლეულს ექნება ღვინო ულევი,
ბიჭი ძირკოკში
ნამყენს ახარებს,
ღიღინით მიაქვს სავსე ურემი...
გაივლის დრო და
სურვილს ჩაუთქვამს,
ტყვიის პასუხად
აფრენილ ღიმილს,
ის ბიჭი ბეჭებს გაშლის ჩაუქად –
პაპისას მაინც
არ დათმობს ხირიმს.
მალულად მჯდარი,
იმ ჭადრის ბოლოს,
პირველი კოცნით – ლოყა რომ უხურს,
გაივლის დრო და
ის ცელქი გოგო,
აუცილებლად
გააჩენს ლუხუმს.
ხნულიდან შუქი კრთება ირიბი,
მზეზე ბრწყინავენ
ქედები შორი
და კახთ დედოფლის
თეთრ მანდილივით –
გადაჰფენია
მწვერვალებს
თოვლი...

* * *

ჩემი სულიერი მოძღვრის –
დავით ქვლივიძის ხსოვნას

ტაძრის სამრეკლოს
სულის სახმილი,
თოვლის ფიფქები
საბნად ებურა
და საშობაო ნაძვზე
ბალღივით,
ჩუმად ტიროდა
ჩიტი ბეღურა.

გარდაიცვალა, წერდნენ, მოძღვარი
ამ დილას...
გულმა ვეღარ გაუძლო.
საწუთრო შმაგი
და სულთმობრძავი,
საგზლად გვიმზადებს
ტკივილს, აუწონს.

მისი ოლარის
შუქში ვიდექით,
რწმენით გვიხმობდა
მუხლზე დამხობილთ,
უხვად მოჰქონდა
მადლი სიკეთის,
გულისგულიდან
ქრისტე მაცხოვრის.

ის ამ დილასაც
ზეცის უბეში,
გვლოცავდა მშვიდად,
თავისებურად
და ტაძრის ეზოს
როგორც ნუგეში,
თოვლის სპეტაკი
ფარდა ებურა.

* * *

ხმალაზე
ხმალაის წყალი,
გველივით
ლოკავს იფნიანს,
ბევრი გიამბე,
ტკივილო,
რამდენი,
ჯერ არ მითქვია...

მამა ადამი (ახალაძე)



უხდება იები მაცხოვრის ხატებას

გამოზამთრებული,
თბილი და იება მირკანი.
ჩამოვუსწარი შორეთიდან.
დამიხვდნენ ყარიბს სიერთგულით,
გადაპენტილი იაიებით,
გრიშაშვილის,
ფიროსმანის,
სოლოლაკის,
პლეხანოვის,
სოვდაგრების,
მათხოვრების,
გადათხრილი,
ჩახერგილი,
სიყმაწვილის,
სტუდენტობის,
ომების,
რეპრესიების,
მიტინგების,
დავიწყების,
პაემნების
ნაზამთრალი,
რუხი ქუჩები.

სადღა ვეძებო კალათებით და დახეული
ფეხსამოსით მორბენალი
ოქროყანელი, წყნეთ-ბაგებელი, შინდის-წავკელი
სიალალით პირმცინარე გოგობიჭები,
ან ვერესპირა ზღვისფერ იებით მოკაზმული
მაწვნიანი ხურჯინები ვირების იმედად,
გილდიელ ვაჭრის მარდ თვალებსა და
ქალაქელი ოსტატ-შეგირდის ულვაშებს შორის
გაბნეული
დარბაისელი გლეხები
და ნამუსიანი გლეხის ქალები?

ძლივსღა შემომრჩა ღარიბული, უიებო,
გახუნებული ვითომ ბაღიღა,
სევდიანი, ხსოვნაწაშლილი,
ნასამარალი.
კიდევ – ვიწრო ქუჩას ბოლომდე რომ ჩაივლი,
წმიდა თეთრსაყდარი, სილურჯეგანძარცვული,
სადაც კრთება, იცრიცება ცოტა სინათლე –
კანდლის შუქჩრდილი.
სადაც მოისმის, იქნებ მეჩვენება,
ჩურჩულებენ ვითომ იები,
იისფერი,
ლურჯთვალება,
ლურჯპერანგა
სულ ლურჯგულა,
ლურჯი ცის კამარის,
ლურჯფრთება მტრედების და
იისფერი იასამნის ფერი,
წვნიკი და პაწპაწუნა,
განა საცრისხელა,
ოღონდაც კოხტაპრუწა,
ჩიხტიკოპივით მოხდენილი,
მაინც –
უნაზესი და უმორცხვესი
ყვავილები
(რა დიდი და გრძელი სიტყვაა ამ სიპაწაწისთვის)!

იისფერ ბაგეთა ჩურჩულით
ივსება კორდები,
ბაღები,
მდინარის ნაპირი
და ალტარიაც.
იესოს – ხატიდან,
იქვე მყოფს,
ფერწერულს,
მამისკენ მზირალს –
უძღვნიან მადლობას,
თანალმობას,
ფერებას,
სიხარულს!
იების ჩურჩულა სიტყვები
დარია სიტყვის პირველქმნილის,
ან თუნდაც საკადრი?
და მაინც, რა სასწაულია:
გეთსიმანიაში
იესოს ხატებას –
სისხლიან ცრემლებით,
სისხლიან წვეთებით
და ოფლით დანამულ
საეკლისგვირგვინო შუბლსა და
ტკენისთვის გამეტებულ ყვრიმალებს
უხდება იების სილურჯე.
უხდება სიმორცხვით,
უბრალო გულით
და რიდ-კრძალვით მოსილი იები
ნუგეშად
ცივ ლოდთან დაჩოქილ
მარტოსულ ძე კაცის –
მაცხოვარ იესოს მვედრებელ ხატებას.

შემდეგი გაჩერება

თავბრუ დამეხვა, ისე ტრიალებს
უთავბოლო დროის ჩემი მანქანა.
აიყოლია იდეა, აზრი,
ტვინი, გონება,
მოგონებები,
ფიქრები და სადარდებელი.

ესეც და ისიც იბადება,
დატრიალდება მირიადჯერ,
დატოვებს რამე კვალ-ანაბეჭდს
ანდა გაქრება
მეხსიერების და დავიწყების ნისლეულში!

მანამდე კი –
ტრიალებს, ბორგავს,
ღონდება, შფოთავს,
ბრდღვინავს და ბრუნავს შეუჩერებლად!

ხდება ხოლმე –
გაივაკებს,
დამდორდება სადმე, წარსულში,
შეჩერდება პაემანზე იმ ერთადერთთან,
სამშობიაროს მოსაცდელში,
ბიჭის ოფლიან იღლიიდან
ამოშვერილ თერმომეტრთან,
სახლის ცალგვერდ ჩათბუნებულ ფანჯარასთან –
მინებს იქით ყიამეთში რა აღარ ხდება.

მერე ისევ დატრიალდება!
ასე ბევრჯერ,
ყოველდღე
და საათში ერთხელ.

ოღონდ რამდენიც უნდა იბორგოს,
ერთხელ ხომ მაინც შეჩერდება,
რადგან ხმაურშიც გაიგონებს
ბედისწერის ავტობუსის
ლურჯხალათიან კონდუქტორის,
თითქოს ბეჭდავსო,
წარმოთქმულ სიტყვებს:
„შემდეგი გაჩერება –
ბავშვობაში დაბრუნების თეთრი ბილიკი“!

ვიღაცას კაცი რომ ეგონე

ნუ აწყენინებ არყის წვეთებით
ძლივს გაცოცხლებულ ქალაქის ლოთებს!
რა დააშავეს?
კაცი ეგონე და ხურდა გთხოვეს.
ანდა რას ერჩი იმ შეშლილ გოგოს,
ვარდუბნის გიჟს და კუკიის სასძლოს,
შემოგიკურთხა მთელი გულით, –
მის სამეზობლოდ არვის ასდის სიგარეტის
ამისთანა ძვირფასი კვამლი.
ნუ შეურაცხყოფ იაფფასიან, საგულდაგულოდ
გადაჭრელებულ
ვაგზლისა და ცირკის მეძავებს
– მზეთუნახავებს;
ვნებებს და ზრახვებს შენ ხომ ძვირფასი
შეფუთვებით
მალავ ყოველთვის.
ხელს ნუ აუკრავ აკანკალებულ,
ცივ, დაუბანელ მარჯვენა ხელზე
ბიჭს – მაწანწალას,
იქნებ იგი შენს მაგივრად დახეტიალობს,
და მათხოვრობს, შენ რომ იხარო.
ნუ აუბზუებ – ქუჩის ტალახში, გუბურებში,
ნაგავსაყრელზე
რომ თამაშობენ ჩვენი ბავშვები,
ან ნარჩენებით გადავსებულ ჭუჭყიან სკვერის
სახელდახელოდ მოსუფთავებულ შუაგულში,
მორყეულ სკამზე გუშინდელ მზეზე თუკი თბებიან
ტყავგადაკრული ძვლების გროვები!
ბრაზით უყურებ? უქნარობენ?!
დომინოს ქვებზე გულჯავრს იყრიან
უსადილვახშმო ბერიყოჩები.
ნუ, ნუ დასცინებ,
რას ჩამჯდარაო ამხელა კაცი ყმაწვილებს შორის.
ეს „უსაქმური“ უმუშევრობს ორშაბათიდან,
ცოლი ავად ჰყავს შარშან ზამთრიდან
და მას მერე ეშინია, არ წამოცდეს, რომ ენატრება
თბილი ხელი, მის ქოჩორში შეცურებული,
და სკამის ზურგზე გადაფენილი თეთრი პერანგი.
ნუ იბოღმები! ნუ შეჩერდები!
სულ არ გავხარ, ვინც ჯიბეზე ხელს გაიკრავს
ან დარდისგან ძილს გაიტეხს!
გამოეცალე! მანდ რა გინდა?!
აგერ, სად დგას შენი „ლექსუსი“!
გასწი, გაგვშორდი!

აკვარიუმის თევზების თავისუფლება

ჟანგბადი?!
რამდენიც გინდა. მეტიც.
უფრო მეტიც – ზედმეტიც.
არავითარი შეზღუდვა ზემოთ – ჰაერამდე;
ეს კია, ზეცა სულ არ მოსჩანს –
ჩაუნაცვლა კაცმა თევზებს საჭმლით ლაჟვარდი,
ჭაღიანი ჭერით – ღრუბლები;
არანაირი გზის შებოჭვა
არც ქვემოთკენ –
აკვარიუმის ძირამდე,
წყალმცენარის ფესვებამდე,
კენჭებამდე,
ნიჟარებამდე,
მხოლოდ არა დედამიწის ცენტრისკენ
ჟიულ ვერნის ლიდენბროკივით.
აი, მარჯვნივ კი – სიგამჭვირვალე
და იმის იქით ერთ ოთახში ჩატეული მთელი
სამყარო –
შენი პატრონის თვალსაწიერი.
ხოლო მარცხნივ სითეთრეა, ოღონდაც კედლის,
ყვავილებით – ზედგადაკრულ შპალერებიდან.
თუმც მემარცხენე როდის იყავი?!
ჰოდა, მით უფრო, რა გინდა მაქეთ?
ცურვით იფრინე აკვარიუმში –
შეუზღუდავი თავისუფლების მინებიან სამყაროში!
იფრინე და წარმოიდგინე:
აკვარიუმი სკაფანდრია, შენ – კოსმონავტი
პლანეტათშორის მარშრუტების.
მიდი, იფრინე თავისუფლად
ზემოთ,
ქვემოთ,
წინ,
უკან,
მარჯვნივ!
მარცხნივ კი – არა, არასოდეს!
იქ კედელია.

მირაჟცვენა

სული ეხუთება ჰაერს და ბაღებსაც,
ისეთი ბუღია!
ისეთი სიცხეა,
როგორც ვერცხლისწყლიან თერმომეტრზე ბავშვობაში,
დედა რომ თავს გადააქნევდა;
სიცხე ხომ მანამდე იგრძნეს მისმა ბაგეებმა,
წამდაუწუმ რომ ეხებოდნენ შვილის შუბლს.

ცეცხლია, ხვატია!
მდუღარე ასფალტზე
ანგელოსი მორონინებს.
აიფონის ეკრანი გვპირდება
უგრილეს ღამეს –
პლუს თერთმეტს ივლისის თვეში.

სიცხეა, პაპანაქი!
გაოფლილი კირითხურო
თარაზოს და თითბრის შვეულს თვალს არ აშორებს.
შადრევნებიდან იღვრება
ცივცივი ჭავლი.

ბუღია, ალხია!
ისეთი სიცხეა, რომ
ამისთანა მირაჟცვენაა.

პროზა

ლელა თოთაძე

• მიტაცებული სიკვდილი

გასულ შემოდგომას ლევანის მამას გულმა დაარტყა. როგორ მოხდაო ეს ყველაფერიო, მახსოვს ჩურჩულებდნენ ქალები შემოსასვლელში, ხომ ასეთი ბედნიერი კაცი იყოო, ასეთი ლამაზი ოჯახიაო, რამე ხომ არ აწუხებდაო. ლევანი მიცვალებულ მამასთან იჯდა და თვალს გვარიდებდა, ერთადერთხელ გამოვიდა გარეთ, სიგარეტის მოსაწევად, და კობამ არეულობაში ძლივს მოახერხა ჩურჩულით ეკითხა, ჩვენზე ხომ არ გაიგო რამეო. არ ვიციო, უპასუხა ლევანმა.

ჩვენ სამნი კლასელები ვიყავით. კობას მალევე დავუმეგობრდი, ისიც ჩემსავით ვერ იტანდა მათემატიკას. შესვენებებზე ერთად დავრბოდით სკამებზე და მერხებზე. მშობელთა კრებაზე ჯერ ჩვენზე უყვებოდნენ მშობლებს, როგორი არაფრისმაქნისები, ველურები და თავხედები ვიყავით, მერე ლევანის დედას მიუტრიალდებოდნენ და ეტყოდნენ, აი ლევანი, ის სულ სხვანაირია, მასზე საუბრისას მეჩვენებოდა, რომ ხმაც ეცვლებოდათ, თითქოს რაღაც დიდებულ და ამოუხსნელ საიდუმლოზე ლაპარაკობდნენ. ამიტომ ცოტათი ვერც ვიტანდი.

უფრო მეტად იმიტომ ვერ ვიტადი, რომ სიმართლე იყო – ლევანი ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ბავშვი იყო, მაგრამ ყველაფერს, რასაც თვალს მოკრავდა, კითხულობდა, და ყველაფერს, რასაც კითხულობდა, ინტერესით კითხულობდა. მისთვის სამყარო ამოუწურავი იყო, მაგრამ სურვილი ჰქონდა, რაც შეიძლება მალე ამოეწურა, ასე მეჩვენებოდა მაშინ. თითქოს ფიქრობდა, რომ ყველაფრის მიღმა რაღაც აზრი იყო, რომ ყველაფერში, რაც ჩვენ გარშემო ხდებოდა, ან ყველაფერში, რასაც მასწავლებლები უემოციოდ გვიხნსიდნენ, განსაკუთრებული მნიშვნელობა იყო. ადამიანებს, ცხოველებს, საგნებს, და ფურცელზე მიჯღაბნილ სიტყვებსაც კი, თვალებით ჭამდა და ხაპავდა, თითქოს ყველაფრისთვის უნდა ამოეწოვა სული და მერე თვითონ შეეთვისებინა. ყოველთვის იმაზე დიდი მეჩვენებოდა, ვიდრე ყველა ჩვენი კლასელი, ამიტომ ისევე ვერიდებოდი, როგორც მაინტერესებდა, სანამ ერთ დღეს მეხუთე კლასში ჩემ გვერდით არ დასვეს, წელს ავთოსთან იჯდები, სულ ლაპარაკობსო.

მეორე დღეს სკოლაში წასვლაც კი არ მინდოდა, როცა მის გვერდით ვიჯექი, რაღაც მთრგუნავდა, თავს ბორკილდადებულივით ვგრძნობდი, ვერ ვინძრეოდი, არ მინდოდა, ჩემზე რამე ცუდი ეფიქრა, რამე ცუდი ჰქონოდა სათქმელი. უკან მესამე მერხისკენაც ვერ ვწევდი თავს, კობასთვის რამე რომ გადამეძახა, არადა მინდოდა, ძალიან მინდოდა მიტრიალება, თანაც კობას გვერდით ლიკა იჯდა.

ხანდახან, განსაკუთრებით მათემატიკის გაკვეთილზე, როცა ყველაფერი აუტანელი მეჩვენებოდა, წარმოვიდგენდი, რომ ლიკას გვერდით კობა კი არა, მე დამსვეს. წარმოვიდგენდი ლიკას თმას, კეფას, ოდნავ დახრილს. მეჩვენებოდა, რომ როცა ამაზე ვფიქრობდი, ფიქრები ჩემი თავიდან გარეთ აღწევდნენ და ყველა რაღაცას ხვდებოდა, აი, თავს ამოვწევდი, და მასწავლებელი მეტყოდა, ოჰო, აი თურმე, რით ყოფილა ავთო დაინტერესებული, ლიკა ჰყვარებია, მერე წარმოვიდგენდი, როგორ გაიცინებდნენ ამაზე ბავშვები. სიცილის ხმა, რომელიც მხოლოდ ჩემს წარმოსახვაში გაისმოდა, მიედინებოდა მთელ ტანში ექოდ და აღარ წყდებოდა, თავს ხელებში ვრგავდი და გაქრობაზე ვფიქრობდი.

ასე გრძელდებოდა იანვრამდე. ზამთრის არდადეგების მერე საკონტროლო უნდა გვეწერა, მე და კობა მეცადინეობის ხასიათზე არ ვიყავით, სკოლაში ასაფეთქებლები მივიტანეთ და გამვლევებს ფეხებში ვუგდებდით. დირექტორმა, თუ ასე გააგრძელებთ, გაგრიცხავთო. დამრიგებელი გვეჩხუბა, ამ საკონტროლოშიც ნორმალური ნიშნები თუ არ გეყოლებათ, თქვენს მშობლებს დაველაპარკებიო. მე ცუდად ვიყავი, იმიტომ რომ ეს ყველაფერი მაშინ მითხრეს, როცა ლიკაც კლასში იყო, შესვენებაზე. ვცდილობდი, მაგრამ ვერაფრით ვახერხებდი მეცადინეობას, საკონტროლოს დღე რომ მოვიდა, დედაჩემისთვის უკვე სათქმელს ვამზადებდი, მაგრამ ლევანმა რატომღაც წერტილ-მძიმით გადამაწერინა, მე კიდევ კობას როგორღაც ვუკარნახე და ორივენი გადავრჩით.

ლევანთან ჯდომა უფრო დამთრგუნველი გახდა, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ დალაპარაკებას ცდილობდა, თითქოს მეგობრობა უნდოდა, ამაზე აქამდე არ მიფიქრია, მართლა არ ჰყავდა მეგობრები. ვთქვი,

• 2020 წლის რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსის პრიზიორი მოთხრობა.

რაც იქნება, იქნება, მეც ვცადე, ჯერ რაღაც უაზრობებზე ვლაპარაკობდით, მერე ნელ-ნელა ორივემ დავიწყეთ იმაზე ლაპარაკი, რაც გვიყვარდა. კობამ უფრო მარტივად გაუგო, ვიდრე მე, ალბათ იმიტომ, რომ უფრო მეტად ცდილობდა, მას მერე, რაც ვთხოვე. ლევანთან სიახლოვისას ვხვდებოდი, რომ კიდევ უფრო საინტერესო ადამიანი იყო, ვიდრე შორიდან ჩანდა, თითქოს სულ რაღაცით იყო სავსე, ერთნაირად ლაპარაკობდა გოგოებზეც და მეზობელ შენობაში ღამით ანთებულ ფანჯრებზეც, რომლებიც მისთვის მიწაზე დაცვენილ ვარსკვლავებს ჰგავდნენ, ზემოთ, ცისკენ გასაქანებლად შემზადებულს. მისი საუბრიდან მაშინ ბევრს ვერაფერს ვიგებდი, მაგრამ მაინც გამოშტერებული ვუსმენდი.

დროს სულ ერთად ვატარებდით, დავრბოდით, ვთამაშობდით, შატალოზე დავდიოდით, სკოლის საპირფარეშოში სიგარეტს ვეწეოდით, ვლაპარაკობდით, მასწავლებლები ნერვიულობდნენ, გააფუჭებენ ახლა ესენი ლევანსო, ასეთი ბრწყინვალე ბავშვია, ამათთან რა უნდაო. ჩვენ უბრალოდ ყოფნაც მოგვწონდა, ასე, უსიტყვოდ, უბრალოდ ერთადყოფნის, ერთად უაზროდ სიცილის შეგრძნებაც. მარტო ზაფხულობით გვიწევდა ხოლმე ცოტა ხანს დაშორება, როცა ჩვენ სოფლებში მივიდოდით, ლევანი კი — წყნეთის აგარაკზე ოჯახთან ერთად.

მერვე კლასი იყო, თუ მეშვიდე, კარგად არ მახსოვს, შემოდგომა, ერთმანეთი თბილისში ჩამოსულებმა სასწავლო წლის დაწყებამდე რომ ვნახეთ, ისევ ისე, ბევრს ვლაპარაკობდით, ვიცინოდით, მაგრამ ლევანი ცოტათი შეცვლილი მეჩვენა, მაშინ ვერ მივხვდი, რატომ, ახლა კი ბუნდოვნად მაფიქრდება, რომ ყველაფრის მიმართ შედარებით ნაკლებ ინტერესს იჩენდა, მაშინაც კი, როცა მე და კობამ სკოლაზე დავიწყეთ ლაპარაკი, დიდად არ აგვყოლია. მერე სულ ერთი წუთით რომ გავჩუმდით, მოულოდნელად თქვა:

— ისე ვინმე ბოლომდე თუ იცნობს საკუთარ მშობლებს? ანუ მაგალითად მამებს თუ ვიცნობთ?

ისე თქვა, უბრალოდ, მაგრამ ფიქრიანად, თითქოს მთელი ეს დრო მარტო ამ კითხვაზე პასუხი აინტერესებდა, სხვა არაფერი იყო არსებითი, თითქოს იმიტომ შეგვხვდა, იმიტომ გველაპარაკა, და ამ სიჩუმის წუთს ამდენი ხანი იმიტომ უცადა, რომ ეს კითხვა დაესვა. ცოტათი გული დამწყდა, თუ რამე ჰქონდა სათქმელი, პირდაპირ ეთქვა, მოეყოლა, მე და კობა ყველაფერს, რაც ჩვენ გარშემო ხდებოდა, ერთიანად ვფენდით.

— რას გულისხმობ? — ჰკითხა კობამ.

— არაფერს. ისე უბრალოდ ვიკითხე.

ისევ გავჩუმდით.

— კარგი, თუ გადაწყვეტ, თქვი.

ლევანი დიდხანს ფიქრობდა, უღირდა თუ არა დაწყება.

— რაღაც გავიგე. დაჩაზე რომ ვიყავით რა. დედამ რაღაც უთხრა მამას, რაღაც გაახსენა. არ იცოდნენ, გვერდით სამზარეულოში რომ ვიყავი, და გავიგონე, მერე შეწუხდნენ.

— რა უთხრა?

— ისეთი არაფერი.

მისი ხმა უფრო ექოს ჰგავდა, ყრუ კედლებში მოქცეულ სიცარიელეს, გამოფიტული იყო. აღარაფერი გვიკითხავს. ცოტა ხნის მერე ისევ თვითონ დაიწყო,

— გოგოს ეხებოდა. გოგოს და. მგონი მამაჩემმა რაღაც ცუდი გააკეთა ახალგაზრდობაში. ხო გესმის. ან შეიძლება რამე არასწორად გავიგე.

სკოლის მერე ხშირად ავდიოდით ხოლმე ლევანთან და მამამისს — რეზოსაც კარგად ვიცნობდით, ზოგჯერ ჩვენთან ერთადაც თამაშობდა ფეხბურთს, ძალიან გვიყვარდა.

— უეჭველად მოგეჩვენა, რაღაც არასწორად გაიგე, — უთხრა კობამ.

— ხო. შეიძლება, — ისევ ისე ცარიელი ხმით გვიპასუხა.

— შანსი არაა, — ვუთხარი, — მოგეჩვენა.

ლევანს მეტი აღარაფერი უთქვამს, არც მაშინ, და არც მერე, საერთოდ, მამამისზე აღარ ლაპარაკობდა. თავიდან ვიფიქრე, დაივიწყა მეთქი, მაგრამ დრო გადიოდა და ვხვდებოდი, რომ ეს აზრი უფრო და უფრო იპყრობდა, თითქოს სადღაც ხორხთან, სასულესთან ტკივილივით შეიხორცა საიდუმლოდ და ენის წვერამდე ამოსვლის საშუალება აღარ მისცა — ჩემს გონებასაც საწამლავივით უფრო და უფრო ედებოდა ის ორიოდე სიტყვა, რომელიც მაშინ მამამისზე გვითხრა, და ვხვდებოდი, რომ ეს სიტყვები არ იყო ფუყე — არამედ — ბრაზით, შიშით, ეჭვით გამოტენილი. მისი ხმის მსუბუქი ზედაპირის ქვეშ ხახადაღებული სიბნელე იმალებოდა, რაღაც უფრო მეტი, ვიდრე მან თქვა, რაღაც უფრო საშიში, ვიდრე თვითონ გაგვიზიარა. რაც უფრო ვშორდებოდი იმ წამს, მით უფრო მეჩვენებოდა, რომ მაშინ მოჩვენებებით სავსე სახლის ოდნავ შეღებულ კართან ვიდექით, რომელიც მე და კობამ გამოვიხურეთ და დაგვავიწყდა, რომ ლევანიც გამოგვეყვანა. თითქოს რაღაც უხილავმა დაგვაშორა, ერთხელ თქვა, არ ვიცი, ჩვენ გვითხრა თუ, თავისთვის, არავინ ვიცით, ვინ რისი გამკეთებელიაო. ეს სიტყვები აქამდეც ბევრისგან მომისმენია, მაგრამ ყოელთვის ჰაერში გაფანტულ ფრაზად მეჩვენებოდა, მაშინ კი მთელი ამ ფრაზის სიმძიმე და მასში შხამივით გარეული უნდობლობა თავში ამივარდა. სწავლით დიდად დაინტერესებული აღარ იყო, აღარც სავსე მეჩვენებოდა, როგორღაც, ძალდატანებით ვმეგობრობდით. ვერც ვშორდებოდით, ვეღარც ახლოს მივდიოდით. მომდევნო ზაფხულს კი ლევანი ისე წავიდა აგარაკზე, არც დაგვმშვიდობებია. წავიდა და, რომ ჩამოვიდა, იქიდან მოსაწევიც ჩამოიტანა.

ზუსტად არ ვიცი, საიდან იშოვა ამდენი, მგონი ვიღაც შორეულმა ნათესავმა გამოატანა, ადრე

გვიყვებოდა, ნახევრადადამიანივით დადისო და დასცინოდა. აქამდე გვეგონა, მარტო სიგარეტს ეწეოდა. პირველად, ასე მეექვსე კლასში მე და კობამ რომ შევთავაზეთ,ნიკას ვუთხრათ და ჩვენც გავსინჯოთო, ლევანმა, გონებას აჩლუნგებს, რათ გვინდაო. თან ეს ისე უბრალოდ თქვა,ინტერესიც გამიქრა, სურვილიც არ გამჩენია. ჩვენი მასწავ-ლებლის შვილი სკოლაში რომ გვთავაზობდა ხოლმე,იმასაც უარს ვეუბნებოდი-მეთქი,რად მინდა, გონებას აჩლუნგებს,ის კიდევ დამცინოდა,ისე ხო ხარ გონებაგახსნილიო.

ლევანმა მოსაწევი რომ შემოგვთავაზა,მეც და კობამაც თავიდან უარი ვუთხარით. არაფერს არ იზამსო, თქვა, მოგეშვებათო რა. მერე სკოლაში დაიწყო ტარება,მთელი კლასი ეწეოდა,გოგოებიც ეწეოდნენ, მარტო მარი და ლიკა – არა. ისიც არ ვიცი, კიდევ გიცნობ თუ არა-მეთქი, ვკითხე ერთხელ ლევანს გაკვეთილზე. კაი, რეები დაიწყეო, მშრალად მიპასუხა. ახლა სულ ასე თავმობეზ-რებულად ლაპარაკობდა. ჩვენ თავს გვარიდებდა, უბრალოდ, მისასალმებლად რომ მივდიოდით, მაშინვე მოსაწევს გვთავაზობდა, ჰა, აბა გინდათ, თუ არაო. სანამ მე ლიკას ვაკვირდებოდი, კობა ჩემზე მეტად განიცდიდა, გონებაარეული და-დიოდა, ლაპარაკს ცდილობდა, შარში გაეხვევიო, მაგრამ ლევანთან არაფერი გამოსდიოდა. ერთხელ რომელიღაც მასწავლებელმა უთხრა, ეს ბავშვი თქვენამდე არ იყო ასე გონებაგაფანტული, კიბოს უჯრედებივით ხართ, ყველაფერს ანადგურებთ, რა კარგი ბავშვი იყო, და სულ არიეთო. კობამაც ვერ მოითმინა, და ჩაილაპარაკა, წადი შენიო. ჩურჩულით თქვა, მაგრამ მაინც ყველამ გავიგეთ. კობას გაგდებით ემუქრებოდნენ. სახლში თითქმის ყოველ დღე ჩხუბით მხვდებოდნენ, როდის უნდა გაიზარდოო. მეც ასეო, მითხრა კობამ, ყელში ამომივიდაო. დავიღალეთ.

– რა გჭირს ბიჭო? – მეუბნებოდა დედაჩემი, მამაჩემმა თითქოს ხელი ჩაიქნია ჩემზე. რაც არ უნდა მეთქვა, ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ისინი სამყაროს სხვა, უცხო მხარეს იყვნენ, სულ სხვა ენაზე საუბრობდნენ და სულ სხვა თემე-ბზე ლაპარაკობდნენ თავიან ყოფით ცხოვრებაში ჩაძირულები. ჩვენ კი რაღაც ზღვის კენჭებივით ვიყავით გამორიყულები იმ ზღვიდან, რომელიც დაშრა, და ჩვენც ვხმებოდით მზეზე, ვშრებოდით და ვიწურებოდით,ისე რომ არავინ იცოდა,რატომ.

რაც უფრო საყვედურობდნენ ლევანს მასწავ-ლებლები, შენგან გაცილებით მეტს მოველოდითო, ლევანი მით უფრო კარგავდა ინტერესს, მეჩვენე-ბოდა, რომ ლევანს იმედგაცრუებისგან ალესილი ეშვებით ეჭიდებოდნენ, ის კი მით უფრო შორს გარბოდა, შორს გარბოდა სწავლისგან, საკუთარი ოცნებებისგან, თუ რამე ჰქონდა შერჩენილი.

– რასაც მოელით,იმაზე მეტიც არის,– ვუთხ-არი ერთხელ ქართულის მასწავლებელს.

– უყურე ერთი, – თქვა დამცინავად, – კუმ ფეხი გამოყო, – კლასმა გაიცინა, – ადექი, ლევან, შვილო, გადადი უკან, ნიკას გვერდით დაჯექი.

ნიკა ქართულის მასწავლებლის შვილი იყო, მეშვიდე კლასიდან წამლებზე იჯდა, მაგრამ დედამისს წარმოდგენა არ ჰქონდა, ეამაყებოდა, ჭკვიანი ბიჭი მყავს, სულ ჩუმად ზისო.

მე და კობა ნელ-ნელა ყველასგან და ყველაფრისგან ვირიყებოდით. და მერე ჩვენც და-ვიწყეთ მოწევა. საპირფარეშოებში კლასელებთან ერთად. თავიდან ცოტა გვეშვებოდა, მაგრამ მერე მე ვითრგუნებოდი. ლევანი და ნიკა სულ ერთად დადიოდნენ,ერთხელ ლევანი სიცილით ყვებოდა,რა აღარ მაქვს გადაყლაპული, ხო, რა აღარო, ყველა იცინოდა, მე მის ჩამოცვენილ ყვრიმალებს ვუყ-ურებდი,ჩანახშირებულ თვალის უპეებს. ნელ-ნელა ისიც ნახევრადადამიანს ემსგავსებოდა. ზოგჯერ ვურეკავდი, დედამისი მპასუხობდა, სძინავს და ვერ გავაღვიძებო. დღისით საათობით ეძინა, მე და კობას ცალკე იშვიათად გვნახულობდა, და მაშინაც, როცა გვნახულობდა, გვეუბნებოდა, სულ გათიშული დავდივარო, თუმცა რომ არ ეთქვა, ისედაც ეტყობოდა.

გასულ წელს სიყვარულის დღეს სკოლაში ღონისძიება გამართეს. დაწყებამდე ღვინო გახსნეს, ლიკამ ცოტა გასინჯა,მერე სუფრის კიდეზე დადგა თავის ჭიქა. მივედი, მისი ჭიქა ავიღე და ღვინო დავლიე. კიდეს შერჩენილ მარწყვის პომადას ვეხე-ბოდი, ღვინო და იმაზე ფიქრი, რომ აქამდე მისი ტუჩებით შენახებს, მის ნაპირალს ჩემი ტუჩებით ვეკვროდი, ერთად მცრიდა ტანში, მინდოდა რამე მეთქვა, მეთქვა, რა ლამაზი იყო, მეთქვა, როგორ მინდოდა, შევხებოდი, და თან როგორ არ შემეძლო მის გვერდით ყოფნა, მაგრამ როცა მივუახლოვდი, მარტო იმის თქმა მოვახერხე,ლამაზი კაბაა-მეთქი.

ხო, თქვა და ცისფერ კაბის კალთას ჩამოუსვა ხელი, შროშანებიანი. იმ წამს ისეთი ბავშვური მომეჩვენა, რომ ჩემდაუნებურად უკან დავიხიე. გაქცევა მომინდა. ის ყველაფრისგან შორს იდგა, იქ, სამყაროს უცხო ნაპირზე, საიდანაც ჩემი მშობლები გადმომყურებდნენ. სააქტო დარბაზში ლიკა ჩემზე ორი რიგით წინ დაჯდა, რბილი თმა სკამის საზურგეზე ფარდასავით ჩამოშლილიყო. სანამ სპექტაკლი დაიწყებოდა, ისევ დავაპირე მასთან მისასვლელად ადგომა, კობამ რომ მითხრა, გამოდი, უნდა გელაპარაკოო.

– რა ხდება-მეთქი, –ვკითხე სააქტო დარ-ბაზიდან გამოსულმა, ფოიეში მარტო ჩვენ ორი ვიდექით.

როგორ თუ რა ხდება, ვერ დაინახეო, ლევანიც ნიკასთან ერთად წამლებს ასაღებსო. გულზე რაღაცამ გამკაწრა. უეჭველად შარში გაეხვევა-მეთქი,ვიფიქრე,და რომც არ გახვეულიყო,ნახევარი კლასი მოჩვენებასავით დადიოდა უკვე, მარცხნივ რომ გავიხედე, ლევანი უდარდელად მოდიოდა

ფოიეში, რას აკეთებ-მეთქი, მაშინვე ჩხუბზე გადავედი. რა შენი საქმეაო. მერე კობამ მიახალა, ამას იმიტომ აკეთებ, მამაშენზე რომ ისევ ფიქრობო? უცებ ლევანმა არაადამიანურად დაიღრიალა. სააქტო დარბაზიდან როიალის ხმა შეწყდა. ეს ლიკა, ლიკა უნდა ყოფილიყო, ის უკრავდა მაქს რიტჩერს. ჩვენ სამნი გაქვავებულებივით ვიდექით, და მერე უცებ, კობა ლევანს გადაეხვია და ლევანმა ტირილი დაიწყო, მე მამაჩემს არ ვგავარო, ძალიან ჩუმად იმეორებდა, ვფიქრობდი კიდვ რამე ხომ არ მოხდა, ან რას გულისხმობდა, მაგრამ მეც არაფერი მიკითხავს, ქვემოთ ჩავედით, პირველი სართულისკენ ჩამავალ კიბეებზე ჩამოვსხედით, ჩუმად.

ამ საქმიდან ვეღარ გამოვალო, თქვა ბოლოს ლევანმა, ვეღარო რა. რამე მომეცი-მეთქი ვუთხარი, მეტი აღარ შემეძლო, აღარც კობას. მერე მახსოვს, ცოტა ხანში ხელები გამისამმაგდა, შევნელდი, ყველა შენელდა, ჩვენ გვეცინებოდა, და თან გვეტირებოდა, სკოლის ზედა სართულის მორთულებები გაიზარდა, ერთ-ერთი გირლანდა იმხელა გახდა, რომ გველად იქცა, ჩამოსრიალდა და ლევანის მოსახრჩობად გამოცურდა, მის დასაცავად ხელების ქნევა დავიწყე.

გაზაფხულისკენ ჩვენც დავიწყეთ გასაღება, ყველაფერს ვყიდდით, ყველაზე ვყიდდით, რაც ლევანს მოჰქონდა, საიდან, ახლაც ბუნდოვნად ვიცი, მხოლოდ ლიკაზე – არა. ლიკა ისევ მეორე, უშფოთველ ნაპირას უნდა დარჩენილიყო თავის მეგობართან ერთად. ნელ-ნელა მართლა კიბოს უჯრედებივით გავვრცელდით, სარეველასავით მოვედეთ ყველას და ყველაფერს. ზაფხულის ბოლოს კიდევ ჩამოიტანა ლევანმა, მაგრამ ადრეული შემოდგომა რომ მოიპარა, სექტემბრის პირველ რიცხვებში ლევანის მამას გულმა დაარტყა.

ჩვენ, ყველამ, ლაპარაკი შევწყვიტეთ, ერთმანეთისთვის გაუმხელელი შიში გვქონდა, რომ რეზომ ყველაფერი გაიგო, მაგრამ ესეც ისეთივე ბუნდოვანი იყო, როგორც მაშინდელი ეჭვი, რომელიც ლევანმა გაგვიმხილა. ხანდახან კი მეჩვენებოდა, რომ მან ყველაფერი იცოდა, უფრო მეტი, ვიდრე ამბობდა, და როცა ასე ვფიქრობდი, მძულდა, დროდადრო ისე მეზიზღებოდა, რომ მინდოდა, მიმეხრჩო, ისიც და საკუთარი თავიც, ზოგჯერ როცა ნერვიულობისგან ვოფლიანდებოდი, მეჩვენებოდა, რომ ხელებზე ოფლის ნაცვლად სისხლი მეწებებოდა, ვიხუთებოდი, მოსაწევსაც ვეღარ ვეკარებოდი. ერთ ღამეს კობამ დამირეკა, ცუდად იყო, მთხოვა, შენთან გამოვალო, კარგი-მეთქი, ვუთხარი, იმ ღამით ჩემთან დარჩა, მაშინ, ძილის წინ გამომხილა, რომ ისიც იგივეს გრძნობდა, ლევანის დანახვაზე ტანში მცრისო მითხრა, ყოველ დანახვაზეო, იმას კიდევ თავი ისე უჭირავს, თითქოს არაფერი მომხდარაო. ორივემ ვიცოდით, რომ ლევანი ჩვენზე მეტად განიცდიდა, ამიტომაც აღარ სწყდებოდა ნიკას, საერთოდ დაკარგა ადამიანის სახე, სკოლას აცდენდა, სახლში რამდენჯერაც მივაკითხეთ, იმდენჯერ გათიშული დაგვხვდა, ნელ-ნელა ვცდილობდით ჩამოვშორებოდით, და საბოლოოდ, შეხება აღარ გვქონდა, აღარც მასთან, აღარც ერთმანეთთან.

არ ვიცი, ეს როდის გაიაზრა თვითონ. გვთხოვა, შევხვდეთო რაო, მჭირდებითო. არადა ის დღე იყო, ლიკას ნახვას ვაპირებდი, ახლა მაინც უნდა დაველაპარაკო-მეთქი. მივწერე კიდეც, აქ და აქ შემხვდი, მაგრამ პასუხი აღარ მოუწერია, ვიფიქრე, ალბათ ვერ ნახა, ამიტომ აღარც მიმიწერია, მისვლას რომ ვეღარ ვახერხებდი. მე და კობამ ჯერ ცოტა ღვინო დავლიეთ, მერე მოვწიეთ. თბილისის ზღვასთან შევხვდით. ნახევრად არ იყო გონს. თავიდან თითქოს გაეხარდა ჩვენი ნახვა, მაგრამ მალე შეიცვალა, გაბრაზდა, ისევ არაადამუნარდ დაიწყო ხრიალი, რატომ აღარ მეხმარებითო, გვიყვიროდა, გვაგინებდა, კობას სახეც ჩამავალმზიანი ცასავით ჩაწითლდა, მივარდა და ყელში მოუჭირა, ლევანმა ხროტინი დაიწყო, მერე შეაფურთხა, კობამ მიწაზე დაანარცხა. ის ის იყო გამოვტრიალდით, რომ ლევანმა მკერდზე ხელები შემომჭიდა, თითქმის მომგუდა, ვეღარ ვსუნთქავდი, როგორღაც წამომდგარიყო, ჩხუბი დაიწყეს, ვიღაცის იდაყვი მომხვდა თვალის უპეში, და უცებ ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, რომ მთელი სახე ჩამომეშალა. დავრეტიანდი, კობა რაღაცას მეუბნებოდა, აღარ მესმოდა, თავში ცეცხლივით მეკიდა ღვინო და მოსაწევი. ღვინო, მოსაწევი და ლიკას სიყვარული. გონებას ვკარგავდი, მიწაზე გვერდულად დავენარცხე, ახლა ის გვერდი დადამბლავებულივით მქონდა, დამბლა ნელ-ნელა ტვინამდე ადიოდა, თვალები ამიჭრელდა. მხოლოდ ლევანის ფეხსაცმელი გავარჩიე, ლევან! დავუძახე. თავის აწევას ვეღარ ვახერხებდი, მაგრამ ვხედავდი, წყვილ ფეხსაცმელს, ჩემკენ მომავალს, მერე ერთერთი ძლიერად მეტაკა მუცელში. მომეჩვენა, რომ ახლა მთლიანად ჩავინგრიე, „ზუსტადაც რომ მამაშენისნაირი ხარ“, საიდანღაც სიზმარივით გავიგონე კობას ყვირილი და გონება დავკარგე.

ორი დღე საავადმყოფოში ვიწექი. პირველ დღეს ჩემთვის არაფერი უთქვამთ, კობა მოჩვენებასავით ჩნდებოდა ჩემს პალატაში, მერე ქრებოდა, მერე ისევ ჩნდებოდა, თვალებში არ მიყურებდა, ან ვერ. შენი ბრალი არაა, ძლივს ამოვღერღე, შენ რა შუაში ხარ, ორივე ერთნაირ მდგომარეობაში ვიყავით-მეთქი. მეორე დღეს მითხრა, რომ დავცილდით, გაველურებული იყოო, სახლში მიდიოდა ისიც, თურმე მამამისზე რაც გვითხრა სიმართლე იყოო და

ქუჩაში არავინ იყოო და მერე ლიკა დაინახაო და

ლიკა დაინახაო და

და ყვიროდა თურმე, ხო, ხო, ვგავარ მამაჩემს და

აი, ნახავთ, ახლა რას გავაკეთებ და

და მერე

და...

ალბათ ასეთი იყო სიკვდილი. ვეღარ ვგრძნობდი ტკივილს,დალეწილ მხარს,ნეკნებს,ზურგს,ხელებს, ხელებზე თითებს, ენა-ამოგლეჯილი, თვალები-დათხრილი, ყური – დახშული, პარალიზებული ვიწექი, ყველაფერი გუგუნებდა და...

და ლიკა. ლიკა. ლიკა. ლიკა. იქნებ სულაც ჩემ გამო იყო იქ. ლიკა. იქ. მაშინ.

და ლიკა.

- საავადმყოფოში იწვა ლიკა, - ჩამჩურჩულა დედაჩემმა დილით,როცა თვალები ცოტათი გავა-მოძრავე, - არავის ნახვა არ უნდა, იცი?

ვიცი. ვიცოდი. დღეები გაჩერდნენ. მე მარტო ამაზე ვფიქრობდი. ყველაფერი გაქრა. ვეღარა-ვის ვიტანდი, მინდოდა, ლიკასთან მივსულიყავი, ზოგჯერ მართლა მივდიოდი მის სადარბაზოსთან, მერე უკან ვბრუნდებოდი, რა უნდა მეთქვა, ჩემი თავი მეზიზღებოდა, ზოგჯერ მის ნუგეშზე ვიწ-ყებდი ოცნებას,მაშინაც მეზიზღებოდა ჩემი თავი. ახლაც მეზიზღება.

კობა დიდხანს მიცდიდა,როდის გავიხსენებდი ლევანის არსებობას. ლევანი არასრულწლოვანიც კი აღარ იყო - განაჩენს ელოდებოდა. მე მარტო ცივად შემეძლო ამაზე ფიქრი,უშინაარსოდ,რადგან არ მინდოდა ლევანი წარმომედგინა. საერთოდ არ მინდოდა,მისი არსებობა გამეხსენებინა. კობასაც კი ვეღარ ვიტანდი,მაგრამ მაინც მაკითხავდა ხოლმე. დიდხანს იცადა და ბოლოს შემომაპარა,ყველაფერი ჩვენი ბრალიაო,მივატოვეთო ლევანი,სულ მარტო იყოო სინამდვილეში,ყველაფერი ჩვენი ბრალიაო. მე ეს ვიცოდი,ამიტომაც მეზიზღებოდა ჩემი თავი, ამიტომაც მეზიღებოდა ჩემი თავი, როცა ისევ ვგრძნობდი, როგორ მიყვარდა ლიკა, მე აღარ მქონდა სიყვარულის უფლება,ლიკა მეორენაპირელ ადამიანს იმსახურებდა, ამ ყველაფრისგან შორს მყოფს,ტალახში ფეხამოუგანგლავს. კობამ მითხრა, უნდა წავიდეთო, ახლა, ჩვენ გარდა არავინ მივაო, მაგის პროცესზე უნდა წავიდეთო. ესო ჩვენი დანაშაულიც არისო.

თავიდან არა, რა პროცესზე-მეთქი. საკუთარი თავის თრევის ძალაც აღარ მქონდა, მაგრამ ლევანი რომ მენახა,ალბათ ცოფიანი ცხოველივით დავგლეჯდი, მერე კი უფრო მითრევდა ეს აზრი, ცხოვრებას ისე ვერ გავაგრძელებდი, ერთხელ მაინც რომ არ შემეხედა მისთვის, საბოლოოდ, ეს უფრო საკუთარ თავზე შურისძიებას ჰგავდა, გონებაში ლურსმანივით ჩაჭედილ აზრს,რომ მეც მისნაირი ვიყავი,მასთან გაზრდილი,მისი ჯიშის ცხოველი, რომ მეც სავსე ვიყავი მისი ჭუჭყით, ვერ ვიშორებდი. მინდოდა მენახა და სამუდამოდ ასე დამემახსოვრებინა,ისიც და ჩემი თავიც,რო-გორც სვავები,მარტო ერთმანეთის საყურებლად შერჩენილები.

როცა ნაბიჯებს ვდგამდი,ფეხქვეშ მიწას ვერ ვგრძნობდი. ახლაც მახსოვს,პროცესი დახურული იყო, ლიკას ნახვას ვერიდებოდი, არც შეგვიშეს, მაგრამ მერე კობას ნაცნობს ველაპარაკეთ, იმან გვითხრა სულ ერთი წამითო, ქვემოთ, პატიმრებს პროცესამდე სადაც აცდევინებენ,იმ საკანთან გა-გატარებთო. მე საკანს ვუახლოვდებოდი და თავს ძლივს ვიკავებდი,რომ არ მეღრიალა. გაიხსენე,ეს ის ბიჭია,რომელმაც საკონტროლო გადაგაწერინა მაშინ,გაიხსენე,ეს ის ბავშვია,– ვეუბნებოდი ჩემს თავს, რომ ცოტა ხანს კიდევ გამეძლო, ყოველი ნაბიჯი ტვინში ჩაქუჩივით მირტყამდა, თავში სიმხურვალედ ამდიოდა, და მერე იმ ძალიან პა-ტარა ოთხკუთხა გისოსებიანი ჭრილიდან დავინახე, – როგორ იწვა, უფრო ეგდო, როგორც მკვდარი, იმეორებდა ჩურჩულით, ხო, მამაჩემს ვგავარ, ვგა-ვარ... სახეზე გადასწოლოდა სიბნელე. საერთოდ არ ჰგავდა იმ ბავშვს, რომელსაც მთელი გზა ვიხ-სენებდი, იმ ბავშვს, რომელიც თვითონვე ამოიხრა, ეჭვებით, ნარკოტიკებით, ცოფით და ღვარძლით. უნდოდა,გარშემო ყველაფერს მომწყდარიყო, რომ მამამისზე აღარ ეფიქრა, მაგრამ ერთადერთი,რა-საც მოსწყდა საკუთარი თავი იყო.

და მერე კობამ ისე ჩვეულებივ ჩაილაპარაკა, არაო, რომ იქაურობა სიზმარს დაემსგავსა, ეს არაბუნებრივი ჩვეულებრიობა სიზმარს ჰგავდა. ლევანმა ხმა გაიგო და თავი სულ ოდნავ წამო-სწია, მგონი ისიც ვეღარ არჩევდა ცხადს წარ-მოსახვისგან.

– შენ ხარ კობა?

– ხო, მე ვარ.

მერე სიჩუმე იყო.

– კიდევ მოხვალ?

– მგონი – არა.

ისევ სიჩუმე ჩამოწვა,სანამ ლევანმა თავი კიდევ უფრო არ წამოწია და თითქმის ნამტირალევი, მაგრამ მაინც მშრალი ხმით თქვა.

– მამაჩემის საფლავზე ადი, რა.

– ავალთ,– უთხრა კობამ.

ლევანი ტანის აზიდვას შეეცადა.

– ავთოც აქაა?

– ხო აქაა.

მე არაფერი მითქვამს. გაშეშებული ვიდექი, რამდენი რამე მქონდა სათქმელი, უნდა მიმე-ფურთხებინა, ასე მინდოდა, მაგრამ ლევანი საერ-თოდ აღარ არსებობდა, გადაწოლილ სხეულზე სუნთქვისას მექანიკურად იბურცებოდა მისი მკერდი და ზედ დაწყობილი გატყავებული ხელები, ხვლიკის ხორკლისფრად აჭრელებული, აღარც ცხოველს ჰგავდა და არც ადამიანს,არაფერს აღარ ჰგავდა, ვიღაცამ გადმოგვძახა,რას აკეთებთ მაგდენ ხანს მანდო. ჩვენ ცოტა ხანს კიდევ ვიდექით,არ ვიცი, რას ველოდებოდით, მე თავბრუ მეხვეოდა, და ფეხზე დგომა მიჭირდა. ლევანს საერთოდ აღარაფერი უთქვამს.

მე და კობა შეთქმულების მონაწილეებივით დავდიოდით, უსიტყვოდ, ულაპარაკოდ. არც კი

დავმშვიდობებივართ და მეორე დღესაც მისალმების გარეშე შევხვდით ერთმანეთს საფლავებზე ასასვლელად, მანდ რატომ მიდიხარო? მკითხა მამაჩემმა, როგორიც შენ ხარ, ისეთივე მეგობრები გყავსო. მეც არ ვიცოდი, რატომ მივდიოდი, რა უნდა მეპასუხა. იქნებ იმიტომ, რომ მართალიც იყო, მეც ისეთივე ვიყავი, ვცდილობდი, მაგრამ განსხვავებას მით უფრო ვერ ვპოულობდი, და ეს ყველაფერი ჩემი ბრალი იყო. ჩემი ბრალი იყო. თავში მხოლოდ ეს მიტრიალებდა. ამიტომ უნდა ავსულიყავი საფლავებზე, ჩემივე დინების საწინააღმდეგ წასვლა აღარ შემეძლო, საკუთარ თავთან ბრძოლების გადატანა აღარ შემეძლო. საფლავი მოუწესრიგებელი დაგვხვდა, მიცვალებულისთვის ახლა აღარავის ეცალა, მე და კობამ ბალახები დავგლიჯეთ, ხანადახან გავხედავდი ხოლმე, რამდენადაც მაღალი იყო, იმდენად იღუნებოდა, ვიცოდი, ისიც გასულ წელს იხსენებდა.

რომ ჩამოვდიოდით, მე მარტო იმაზე მეფიქრებოდა, ლევანმა მოკლა მამამისი, თუ მამამისმა მოკლა ის. საფლავის ქვებზე თვალმოკრული კაცების და ბიჭების სახეები ჩახვეული ფირივით მეჭედებოდა გონებაში, და წარმოვიდგენდი მათ სხეულებს, ჩაფლულს მიწაში, ისევე როგორც მათ საიდუმლოებებს, მათივე ხელით ჩამარხულს და გადაფარულს სიცოცხლეშივე, მათ წარსულებს, რომლებიც ენის წვერს არასოდეს სწვდებოდა, მათ თვალებში სამუდამოდ ჩამჯდარ გარდასულ წამებს, რომლებიც ცრემლსაც კი არ გამოჰყოლია გარეთ. მეჩვენებოდა, რომ ეს საიდუმლოებები იხრწნებოდენ ჩვენთვის თვალით უხილავ მიწისქვეშეთში, ამოუხსნელი ეჭვები და უთქმელი სიტყვები წამლავდნენ მთელ მიწას, და მიწისპირზეც ამოდიოდნენ, წამლავდნენ ცას და მზეს, ახშობდნენ სახლის სახურავებზე, ფოთლებზე, ტროტუარზე, ქუჩაში გამვლელ-გამომვლელთა პალტოებზე, წყლის ზედაპირზე, ათასობით თვალის ბადურაზე დაფენილ და ალაპლაპებულ სხივებს, წამიერად გამკრთალ სინათლეებს, და კლავდნენ ყველას – ამ საიდუმლოს მატარებლებსაც და მათ ცოლებსაც, დედებსაც და შვილებსაც, ეზიდებოდნენ საფლავებისკენ, აჩრდილებივით ითრევდნენ ჯერ კიდევ ცოცხალ, თავისუფლად მოტრიალე სულებს, ამწყვდევდნენ შიშსა და ბურუსში.

გავიფიქრე, რა მოხდებოდა, თავიდანვე რომ გვცოდნოდა ყველაფერი, რაც ჩვენმა მამებმა ჩვენსავე დასაცავად საკუთარ სიღრმეებში გადაინახეს, ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა. ჩვენთვის რომ მცირედი მაინც გაეზიარებინათ თავიანთი ემოციების, ზრახვების, სურვილების, სიცარიელეების, წარსულის და აწმყოს მიმოქცევისა, იქნებ საკუთარი თავი არ დაგვედანაშაულებინა მაშინ, როცა სარკეში არეკლილ თვალებში რაღაცის შემჩნევა დავიწყეთ, როცა საკუთარ ხორცზე მეტს ვხედავდით და ვგრძნობდით იმას, რასაც ვერ ვარქმევდით სახელს. ჩვენ ყველას რაღაც მეტი გვინდოდა, და „რაღაც მეტი“ ვერსად ვიპოვეთ. გავდიოდით ოთახიდან ოთახში და ვფიქრობდით, რომ არ იყო აქ ჩვენი ადგილი, გვესმოდა როგორ ტიროდნენ ჩვენი პატარა დები და ძმები, ვწუხდით, მაგრამ ვფიქრობდით, რომ ეს ჩვენ არ გვეხებოდა, ჩვენ სადღაც სხვაგან უნდა ვყოფილიყავით, მარტოები ვიყავით, ერთმანეთთანაც კი, მარტოები.

– რაზე ფიქრობ? – მკითხა კობამ, და ალბათ მიხვდა, რომ ახსნა გამიჭირდებოდა, პასუხს არც დაელოდა, – გახსოვს მაშინ, ვალენტინობაზე, რა კარგი იყო?

ვალენტინობის გახსენებაზე გულთან რაღაც სიმძიმე ვიგრძენი. მომეჩვენა, რომ ყველაფერი გადაიდღაბნა, საფლავის ქვებმა უცებ ჩამოდნობა დაიწყეს, გზები ჩამოიშალნენ, და სუსტად მანათობელი მზე ვერცხლისწყლის ბურთულებად დაიშალა – ყელაფერი აირია, დატრიალდა, და ამ ქაოსში ლიკას წაბლისფერმა თმამ გაიელვა, მერე სახე გამოკრთა, ხელები, ცისფერი კაბა, და ბოლოს თვალები – შავი გიშრის, ჯერ კიდევ ნაპერწკლიანი, როგორც მაშინ – სიყვარულის დღეს, ამ აჩრდილივით სამყაროში მხოლოდ ის იყო მრთელი, ის ჩანდა ნამდვილი. როგორ მინდოდა შევხებოდი, მაგრამ მეშინოდა, მტვერივით არ გაფანტულიყო, ამიტომ, გავჩერდი, და ისევ ასე, შორიდან ვუყურებდი, სანამ შემეძლო, მოცინარს, უდარდელს, მან ჯერ არ იცოდა, რომ მისი სიცილიც ყველაფრისმჭამელ საიდუმლოებებს, მიჩქმალულ წარსულებს და ეჭვებისგან ტანში დავლილ ბოროტებას შეეწირებოდა, როგორ მინდოდა, რომ მისი სიკვდილი მე მიმეტაცებინა, მხოლოდ მისი სიკვდილი, მისი მაშინდელი სიცილის გადარჩენა რომ შემძლებოდა, მაშინვე მოვკვდებოდი, მაგრამ აღარ შემეძლო.

წამიერად გაელვებული ისევ ქარს შეერია. გარშემო ყველაფერმა დაიბრუნა სახე.

– კარგად იქნება, – თქვა კობამ, – ვიცი. ეგ მაგარი გოგოა. ყოველთვის ეგეთი გოგო იყო.

– ხო ეგეთი იყო, – ჩამეცინა, – მგონი, აზრების კითხვაც ისწავლე.

– ხოო აბაა, – თქვა და მერე კიდევ რაღაცის ლაპარაკი დაიწყო. ვეღარ ვუსმენდი. ისევ ლიკაზე ვფიქრობდი. მის თვალებზე, თმაზე, კეფაზე... როგორ მინდოდა შევხებოდი. ერთხელ მაინც.

მხოლოდ ერთხელ.

ოლანი ბინაძე

იმიტაცია

ცნობილმა მწერალმა დ.გ.-მ ერთ დღეს გაიღვიძა და აღმოაჩინა, რომ სიტყვები სადღაც გაუქრა. თავიდან, სანამ ამას მიხვდებოდა, ფანჯარასთან იდგა ნაცრისფერი ხალათით და ქუჩაში იყურებოდა. მერე კომპიუტერს რომ მიუჯდა და ახალი რომანის პირველი თავის დაწყება სცადა, იგრძნო, რომ რაღაც ისე ვერ იყო. რაღაც კი არა, სიტყვები აღარ იყვნენ არსად. გონების ყველა კუნჭული მოჩხრიკა, სკოლაში ნასწავლი პირველი უმარტივესი სიტყვების საცავით დაწყებული ბოლოს წაკითხული წიგნიდან ამოკრებილი ახალი სიტყვებით დამთავრებული, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა. მერე გადაამოწმა, ლაპარაკი თუ შემიძლიაო და თვითონვე გაეცინა ოთახში ხმამაღლა წარმოთქმულ ფრაზაზე:

— მე მწერალი ვარ. — ამის თქმისას თავი რაღაც აბსურდის ნაწილად იგრძნო, მაგრამ შემდეგ მაინც რომ ვერაფრის დაწერა მოახერხა, ის უფრო აბსურდული ეჩვენა.

— რა მჭირს?! — იკითხა განგებ ისე ხმამაღლა, ვაი და საკუთარ თავთან ფიქრებით ლაპარაკის უნარიც თუ წართმეული მაქვსო, თუმცა მალევე გააცნობიერა, რომ ფიქრები არათუ არსად წასულან, ერთი ათად მომრავლებულან და პატარა ბავშვებივით ითხოვნდნენ მისგან ყურადღებას. ძველი დრო რომ ყოფილიყო, სათითაოდ იზრუნებდა ყველა მათგანზე და დაწერილ ამბებად, დიალოგებად, ეპილოგებად, ხასიათებად აქცევდა. მაგრამ ახალი დრო დაუდგა ცნობილ მწერალ დ.გ.-ს და ჯერ იმასაც ვერ შეგუებოდა, რომ მწერალი აღარ გახლდათ.

— თუ არ დავწერე, მწერალი როგორღა ვიქნები? — დასვა ყველაზე საშიში კითხვა და გონებაში ფიქრები ჭიანჭველებივით მოაწყდა. პატარაობაში უადგილო ადგილას გაჩენილ ჭიანჭველებს ხელებით სრესდა ხოლმე, დიდობაში კი თურმე ხელებით ფიქრების გასრესაც არ შეუძლია. მოეჩვენა, რომ უარესად დაუძლურდა.

— დღეს თუ პირველი თავი არ დავწერე, ჩემი საქმე წასულია, — წინადადების თქმისას ისეთი კატეგორიული იყო, თითქოს გამქრალ სიტყვებს დაბრუნებას უბრძანებდა. — საღამომდე რედაქტორს პირველი თავი უნდა გავუგზავნო, — თქვა ისევ და კლავიატურაზე რამის დაწერა სცადა. უშედეგოდ. როგორც კი თითებს მიუახლოვებდა კლავიატურის ზედაპირს, ყველა სიტყვა უჩინარი ხდებოდა. ცნობილ მწერალს ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

— იქნებ, ფურცელზე... — და აზრი დამთავრებულიც არ ჰქონდა, მაგიდის უჯრიდან სქელი რვეული გამოაძვრინა. რომანი, რომელმაც ცნობილი გახადა, სწორედ ასეთ რვეულში უბრალო ფანქრით დაწერა. გადაწყვიტა, ახლაც იგივე ტექნიკა ეცადა. არც ამან გაამართლა.

— მოდი, ნუ დავპანიკდები, — ხმამაღლა ლაპარაკი უკვე აღარ ეხამუშებოდა. — საღამომდე დრო მაქვს. — საათს შეხედა კომპიუტერის ეკრანზე. ჯერ თერთმეტიც არ იყო. წესით, მოასწრებდა.

— ნეტავ მსგავსი რამ ოდესმე რომელიმე მწერალს თუ დამართნია? მაგრამ მწერალს რომ დამართნოდა, ვერაფერს დაწერდა და გამოდის, ვერც მწერლად გავიცნობდით. რა საშინელებაა!.. — ხელები მუხლებზე დაირტყა და მერე ისევ დაწერა სცადა. ამაო მცდელობამ კიდევ უფრო გააღიზიანა. ოთახში წინ და უკან სიარულს მოყვა. სასაცილოდ გამოიყურებოდა, მისივე აზრით.

— ოცდაათი წლის კაცი დამდგარხარ და დილაუთენია ლამისაა, იტირო, ვერ ვწერო, — აჯავრებდა საკუთარ თავს. — განა, აქამდე ყოველთვის წერდი? — გაახსენდა, რამდენჯერ გაუვსია რვეული ხარახურა ტექსტებით. — მაგათ დაწერას, ისევ არაფრის დაწერა სჯობდა. — ამით თითქოს თავს იმხნევებდა, არადა რეალურად ყველაფერს მისცემდა, ოღონდ ისევ დაეწერა რამე, თუნდაც უაზრო ხარახურა. — იქნებ, ვინმეს რჩევა ვკითხო? — აგრძელებდა საუბარს. მალე მისი ცოლიც გაიღვიძებდა, მაგრამ ის მის საწერ ოთახში არასდროს შემოდიოდა, როცა ქმარი შიგნით იკეტებოდა ხოლმე. იფიქრა, კარი ხომ არ გავაღო, დამინახავს, რომ არ ვწერ და მიზეზს მკითხავსო, მაგრამ მაშინვე ისიც გაახსენდა, რა ზედაპირული იყო მისი ცოლი წერასთან, მის მწერლობასთან დაკავშირებულ საკითხებში და შესაძლოა, მთელი ეს ამბავი სერიოზულად არც აღექვა. გონებაში დატრიალებულ ფიქრების ქარიშხალს უკვე ჭკუიდან გადაჰყავდა.

— იმის გამო ხომ არ ვისჯები, რომ საქმე მიწურულამდე მივიყვანე? — მართლაც, მთელი ზაფხული იმ პოპულარობით ტკბებოდა, რომანის გამოქვეყნებამ რომ მოუტანა და ყოველ ჯერზე, როცა რამე ახლის დასაწერად იდეა გაუჩნდებოდა, სადღაც, ვითომ შემნახველ საცავში მიჩურთავდა ხოლმე იმის გამო, რომ ვითომ არ ეცალა, ან შესაფერისი დრო არ იყო, ან შთაგონება საკმარისად ძლიერი არ გახლდათ. თურმე მისი იდეების საცავს საცობი თვითონ არ ჰქონია. ამიტომ გაქრა ყველა იდეა სიტყვებიანად სადღაც.

— ასე გამწარებული რატომ დადიხარ? — მოისმა მისი ცოლის ხმა კარის მეორე მხრიდან. დაღლილობით იგრძნო, რომ ოთახში ძალიან სწრაფად დადიოდა.

— შემოდი, — დაუძახა ცოლს ინსტინქტურად. თითქოს ამ შიშთან მარტო ყოფნა აღარ უნდოდა. კარის სახელური ნელა ჩამოიწია და ნახევრად ღია კარში ქალის წაბლისფერი თმა გამოჩნდა.

— რამე გინდა? — იკითხა ქალმა და თვალებშივე შეეტყო, ლაპარაკის და ვინმესთვის თანაგრძნობის თავი იმ მომენტში ნამდვილად არ ჰქონდა. კაცი სხვა დროს მარტივად შეეშვებოდა, მაგრამ ახლა ნერვებმა უღალატა. ცოლიც ღალატობდა ხანდახან.

— მგონი, ვეღარ ვწერ, — თქვა ეს და ქალის რეაქციას დაელოდა. მისმა ნათქვამმა უფრო ააღელვა.

— მეგონა, აღარც წერდი, — ამით უკმაყოფილო არ ჩანდა. — ორი თვეა, აქ არ გამოკეტილხარ და მაგიტომაც გამიკვირდა, დილით ხმაური რომ გავიგონე, — ოთახში უკვე მთელი სხეულით იდგა. გრძელი მაისურით და მოკლე შორტებით. — ანუ იმიტომ აღარ წერ, რომ ვეღარ წერ? — აშკარა იყო, ეს დიალოგი არ სიამოვნებდა.

— აქამდე მოუცლელობის გამო არ ვწერდი, — თავი იმართლა კაცმა. — ახლა ვეღარ ვწერ... სიტყვები დავკარგე. — ისეთი უსუსური ჩანდა, ქალს შეეცოდა.

— კარგი რა, ნუ ატრაგიკულებ. — უთხრა მერე. — სულ რომ წერო, მართლა მწერალი ხომ არ ხარ, — კაცს სახეზე ალმური მოედო.

— მე მწერალი ვარ! — იღრიალა და მთელი სახე დაეძარღვა. ქალი ოდნავ შეხტა, მერე შეტრიალდა და სანამ ოთახიდან გავიდოდა, კიდევ რაღაც თქვა ქმარზე შურის საძიებლად ამ და სხვა ღრიალის გამო:

— ნამდვილ მწერალს სიტყვები არ გაურბიან. — კარი უხმაუროდ დაკეტა და ქმარი მარტო დატოვა.

.....

უკვე ორი საათი სრულდებოდა. ცნობილი მწერალი დ.გ. ხან ისევ ინტენსიური სიძლიერით გადაადგილდებოდა ოთახის ერთი ბოლოდან მეორეში, ხან ფანჯრის მინაზე თავმიდებული ქუჩას დაშტერებოდა, ხან კომპიუტერთან მიირბენდა ელვის სისწრაფით და კლავიატურაზე თითებს შეათამაშებდა. იმ ადამიანს ჰგავდა, ზღვაში კლდიდან გადმოსაშვებად კლდეზე შემართებით რომ არბის და გადმოხტომამდე ორი წამით ადრე ახსენდება, რომ არ იცის ცურვა.

ცნობილ მწერალს მთელი სახე ოფლით ჰქონდა დაცვარული. წარმოიდგენდა, რას ეტყოდა საღამოს რედაქტორი.

— მორჩა, ახალ წიგნზე ვეღარ ვიმუშავებთ. ისედაც დიდხანს გელოდეთ. — და მერე იქნებ, მეტი დრამატულობისთვის ყურმილიც კი დაეკიდა. რედაქტორი ორმოც წელს მიტანებული ქალი იყო ნაცრისფერსმიტანებული ტალღოვანი თმით და ლურჯი თვალებით. სულ იმას იმეორებდა, საქმის დროულად გაკეთების უნარი ღირსებასავითაა და ყველას არ აქვსო. მისი გადმოსახედიდან, ცნობილი მწერალი დ.გ. ოფიციალურ უღირსად შეფასდებოდა. კაცს ისევ დაუარა ჟრუანტელმა და ახლა იმაზე დაფიქრდა, მართლა რა ბედი ეწეოდა, თუ გამომცემლობა მასთან თანამშრომლობას შეწყვეტდა. მისი პირველი (და უკანასკნელი?!) რომანი ხალხს მალე დაავიწყდებოდა და მასაც დაივიწყებდნენ. ცნობილი აღარ იქნებოდა. და თუ მერე ისევ დაუბრუნდებოდა სიტყვები? თუ ისევ დაწერდა რამეს, მაგრამ უბრალოდ აღარ დაუბეჭდავდნენ იმის გამო, რომ ცნობილი აღარაა? ბედნიერი იქნებოდა მაინც იმით, რომ ისევ მწერალია, თუნდაც უცნობი?

თავი დილემის წინაშე მდგომად წარმოიდგინა. თითქოს უნდა აერჩია, ან მხოლოდ მწერლობა, ან მხოლოდ ცნობადობა. ორივე ერთად აღარ გამოდიოდა ისევე,როგორც სიტყვები აღარ გამოდიოდნენ მისი გონებიდან.

— სიტყვების აჯანყება! — შეჰყვირა კაცმა. — ვიცოდე მაინც, რას ითხოვენ ჩემგან. — თქვა თუ არა, ინანა. იქნებ, სიტყვებს რამე ისეთი მოეთხოვათ, რასაც ვერ შეასრულებდა. მაგრამ სიტყვებს არაფერი უთქვამთ. კაცმა მხოლოდ ის გაიგონა, როგორ გავიდა მისი ცოლი სახლიდან. სიბრაზით ისევ მას დაუბრუნდა.

— თურმე ნამდვილ მწერლად არ მთვლის! — გაიმეორა ცოლის ნათქვამი და ყველა ის შემთხვევა გაიხსენა, როცა ცოლმა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე,ან რომელიმე ღონისძიებაზე წაყოლაზე უარი უთხრა. — რომ წამოსულიყო, ასეთი ლაპარაკით შემარცხვენდა კიდეც. — წამოიძახა გაცოფებულმა. მისი ეს ხმამაღლა ლაპარაკი პროტესტი იყო ცოლის, საკუთარი თავისა და გამქრალი სიტყვების მიმართ. მაგრამ პროტესტს არანაირი შედეგი არ ჰქონდა.

— რამე გამოსავალი უნდა ვიპოვო, რითაც იმის გამართლებას შევძლებ, რომ ვეღარ ვწერ, — მოიფიქრა მერე და გააცნობიერა, რომ ბოლო ორი თვე წერასთან დაკავშირებით სულ ასე იქცეოდა. რამეს თეორიულ შესავალს გაუკეთებდა, იტყოდა,ასე დავწერ,ამ პერსონაჟს ასე აღვწერ,იმას ისე დავახასიათებო და საქმეს უკვე გაკეთებულად თვლიდა. მერე დრო აღარ რჩებოდა ხოლმე ამ ყველაფრის დაწერილ ტექსტად საქცევად. არადა პირველი რომანი სულ სხვანაირად დაწერა. წინასწარ ამდენი არ უფიქრია. რვეულთან მოკალათდებოდა და წერის პროცესში სიტყვები თავისით მოდიოდნენ. ეს დრო მოენატრა.

— ამის დედაც! — სკამს ფეხი მიარტყა და ამოაყირავა. ესიამოვნა, რომ თავდაყირა მხოლოდ მისი გონება არ იდგა. თვალი წიგნების თაროსკენ გაექცა. მისი რომანიც იქ იდო. ისე შეხედა მას, თითქოს პატიებას სთხოვს მიტოვებისთვისო. — იქნებ, რედაქტორისთვის უნდა დამეჯერებინა და უბრალოდ მისი გაგრძელება დამეწერა, -მაგრამ ვერ იტანდა ამ გაგრძელებებს ცოცხალი თავით, ძველ ნასახლარზე სახლის ხელახლა აშენების ამაო მცდელობას აგონებდა. აკი, ახალ ადგილზე მშენებლობამ მოკლა კიდეც როგორც მწერალი. თუ ვეღარ დაწერდა, მთელი დარჩენილი ცხოვრება მწერლად მკვდარი იქნებოდა.

ამის გააზრება და იდეის გაჩენა ერთი იყო. ჯერ თვითონვე შეეშინდა ამ იდეის, მაგრამ დაფიქრდა, რომელი უფრო აშინებდა, ცხოვრება, რომელშიც წარსულ მწერლად მოიხსენიებდნენ, ან საერთოდ

დაივიწყებდნენ მის მწერლობას, თუ თვითმკვლელობა, რომელსაც ცნობილი მწერლის სტატუსით ჩაიდენდა და ამით სხვა ცნობილ მწერლებს დაემსგავსებოდა, პლუს ვერავინ გაიგებდა ახალი რომანის დაუწერლობის ნამდვილ მიზეზს. სიტყვების გაქრობის ამბის ახსნა აღარავისთვის მოუწევდა.

ცნობილმა მწერალმა წაქცეული სკამი წამოაყენა და დაჯდა. მასში ნაპოვნი გამოსავლით გამოწვეული სიმშვიდე და გამოსავლის რთულად განხორციელების ღელვა ერთმანეთს ებრძოდა. ხან ენთუზიაზმის მოზღვავებას გრძნობდა, ხან — პანიკური შიშის. ასეთ გაურკვევლობაში არასდროს ყოფილა. მერე იმაზეც დაფიქრდა, რა რეაქცია ექნებოდა მის ცოლს.

— ნამდვილი მწერლები თავს არ იკლავენო, ვერ იტყვის, — გამოაჯავრა ცოლი და ამ არგუმენტით ისეთი ნასიამოვნები დარჩა, თვითმკვლელობა უყოყმანოდ აირჩია. თუმცა ეს მხოლოდ რამდენიმე წამს გაგრძელდა. მერე ისევ დაუბრუნდა ძველი ღელვა.

— ღმერთო, როგორი რთული ყოფილა! — ღმერთის ხსენებაზე თითქოს შერცხვა კიდეც. — ერთადერთია, ვისაც ასეთ დროს დახმარებას ვერ ვთხოვ. — თქვა და იმაზე დაფიქრდა, განა ვინმე დაეხმარებოდა თავის მოკვლაში?..

ამ კითხვის დასმისთანავე გაუჩნდა ახალი იდეა და სასწრაფოდ მაგიდის ის უჯრა გამოაღო, სადაც ფურცლებზე ამობეჭდილს ინახავდა რამდენიმე გამომცემლობიდან მოწერილ უარს რომანის დაბეჭდვაზე და ასევე უკვე დაბეჭდილი რომანის უარყოფით შეფასებებს. ცნობილი მწერალი კი იყო, მაგრამ ეს მაინც გულს ტკენდა. სათითაოდ დაიწყო მათი კითხვა. გრძნობდა, როგორ აწვებოდა თვალებში სისხლი და გონებაში ის მომენტები უცოცხლდებოდა, პირველად რომ კითხულობდა მათ.

მეგობრის დაბადების დღეზე, რომელიც მერე თავის აუტანელი ტიკივილის მომიზეზებით დატოვა; ვახშამზე ცოლთან ქალაქის ახალ რესტორანში, რომელსაც ვითომ უგემური კერძები დაუწუნა და ამიტომ გაბრაზდა; საღამოს საკუთარ სახლში, როცა ლეპტოპი ვითომ შემთხვევით ხელიდან გაუცურდა და ეკრანი მაგიტომ გაებზარა... ასეთი ბევრი შემთხვევა იყო და ახლა ის უფრო უკვირდა თავის დროზე რატომ არ მოიკლა თავი, არათუ ის, ახლა რომ აპირებდა ამას. მაგრამ ეს ხომ მოსალოდნელი იყო. თავიდანვე იცოდა, რომ რომანი ყველას არ მოეწონებოდა. იმითაც ბედნიერი იყო, რომ ამდენს მოეწონა და მაინც, უარყოფითი შეფასებების ავტორებზე გაბრაზების უფლებას აქტიურად იყენებდა. ეს უფლება ახლა იმაზე მეტად ეხმარებოდა, ვიდრე წარმოიდგენდა. მხოლოდ ერთი შეფასების წაკითხვაღა ჰქონდა დარჩენილი, სამზარეულოში რომ გავიდა და პატარა უჯრიდან საძილე აბების შეკვრა ამოიღო. კაბინეტში მათთან ერთად დაბრუნდა. ბოლო ფურცელი აიღო და ჯერ მხოლოდ ავტორის სახელს და გვარს უყურა, მერე თვითონ ტექსტს ისე, რომ არც წაუკითხავს. მისი გონება იმ ადამიანთან გაფრინდა, რომელმაც ოდესღაც დააჯერა, რომ მწერალი უნდა გამხდარიყო და მერე მართლა მწერალი რომ გახდა, მისი რომანი ავტორიანად ასე შეაფასა: „თუ რამე არ უნდა წაიკითხოთ, ეს რომანია. თუ ვინმეს მწერალი არ უნდა უწოდოთ, ეს კაცია“... კაცმა მთელი შეფასება ზეპირად იცოდა. ისევე როგორც ეგონა, რომ იცნობდა გოგოს, რომელიც წლების წინ უყვარდა და მხოლოდ მისი იმედების გამართლებაზე ზრუნავდა. მერე იმ გოგოს რა დაემართა, ზუსტად დღემდე ვერ გაეგო. ერთი ისაა, რომ მსგავსი სიტყვებით დაბრუნდა კაცის ცხოვრებაში რამდენიმე თვის წინ, თითქოს რაღაცის გამო სამაგიეროს უხდიდა. შეიძლება იმის გამო, რომ თვითონ მწერალი ვერ გახდა.

კაცმა ფურცლები უჯრაში შეინახა და ფანჯარასთან მივიდა. არ უნდოდა სიკვდილი. ისევ ცნობილი მწერლობა უნდოდა.

— ...მაგრამ მწერალი ვეღარ ვიქნები და მეც მისნაირი გავხდები, — ის გოგო იგულისხმა. — სხვა მწერლების ლანძღვას დავიწყებ. — ფანჯარას მოშორდა და უკანასკნელი მცდელობისთვის მივიდა კომპიუტერთან. უკანასკნელის გაფიქრებაზე უარესად შებოჭა შიშმა. აღარ გაკვირვებია, სიტყვები რომ ისევ გაფიცულები იყვნენ. კომპიუტერი გამორთო და საძილე აბების შეკვრას თავი მოხსნა. მიყოლებით გადაყლაპა ყველა აბი და ხელის კანკალით ფლაკონი ისევ მაგიდაზე დადო, მიზეზის ძებნაში დრო რომ არ დაკარგონო. სანამ გაითიშებოდა, იმაზე ფიქრიც მოასწრო, რას მიაწერდნენ ამ შემთხვევას. ალბათ მწერლების ამოუცნობ ბუნებასო და იმ სიამოვნებით მოცულს ჩაეძინა, რომ მასზე, როგორც მწერალზე ისე ილაპარაკებდნენ. სიკვდილი რთული მანამდე იყო, სანამ მას გადაწყვეტდა. მერე რა იყო, ეს უკვე აღარ გაუგია. არც ის გაუგია, როგორ შეჰკივლა მისმა ცოლმა მის უსულო სხეულს რომ ანჯღრევდა, საწოლში დაბრუნდი დასაძინებლადო, რომ ეთქვა და გააცნობიერა, რომ კაცის სხეული უჩვეულოდ მძიმე და ცივი იყო. მერე მაგიდაზე საძილე აბების ცარიელი ფლაკონიც ნახა და სასწრაფოში დარეკა. აზრი აღარ ჰქონდა. კაცი უკვე ექვსი საათის მკვდარი იყო.

იმ ღამესვე გაიგო ხალხმა, ცნობილმა მწერალმა დ.გ.-მ თავი მოიკლაო. თვითონ დ.გ.-ს კი არ გაუგია, რომ ხალხმა მის მწერლობაში მცირედი ეჭვი მაინც შეიტანა. უკვირდათ, აბა, თუ ნამდვილი მწერალი იყო, თვითმკვლელობამდე ერთი წერილი მაინც როგორ ვერ დაწერაო. ვიღაცები ამართლებდნენ კიდეც, იქნებ, ისე წუხდა, წერის თავი აღარც ჰქონდაო. ყოველ შემთხვევაში, ცნობილი მწერლის თვითმკვლელობაზე გარკვეულ ხანს ლაპარაკობდნენ. მერე ვიღაცამ ახალი ბესტსელერი დაწერა და მისთვის აღარ ეცალათ.

P.S. რაც შეეხებათ გაუჩინარებულ სიტყვებს, სინამდვილეში, არსადაც არ წასულან. ცნობილმა მწერალმა აიკვიატა, თითქოს მათ გამო ვეღარ წერდა. შესანიშნავად იცოდა, რომ მისი ახალი რომანი დასაბეჭდად არ ივარგებდა. სამარცხვინო მწერლობისგან მწერლად ყოფნის შეუძლებლობის იმიტაციამ იხსნა.

2020 წლის 11-14 ოქტომბერი.

პოეზია

ბობი ბითაძე



„თბილისი – გაგრა“

სოხუმის ბილეთს
კვლავ გაყიდის ძველი სალარო,
მწვანე ვაგონზე წაიკითხავთ:
„თბილისი – გაგრა“.
მადლობა ყველას, ვინც გაუძლო,
ღმერთმა გვაკმაროს, –
მამულის ხილვის მონატრებით
განცდილი დაღლა.
სოხუმის ბილეთს
კვლავ გაყიდის ძველი სალარო,
მწვანე ვაგონზე წავიკითხავთ:
„თბილისი – გაგრა“.
ეპოქისათვის ეს იქნება ერთი საღამო,
საქართველოსთვის – წარსულის
და მომავლის განცდა.

27 სექტემბერი

ჯვართამაღლებას დავშორდით,
გოლგოთას გზა გვხვდა წილადა.
„ფოთოლცვენისას“ გაბნეულთ
ყელთან ვინ შეგვკრავს მძივადა.
ყოველ დაძახილს ვაგონებთ,
იქნებ გვეძახის ქვეყანა.
სამშობლოს მეცხოვნეთა
უკვდავმა სულმა შეგვყარა!

ისე უღმერთოდ დავშორდით
ისე უღმერთოდ – ღმერთმანი.
გლოვის სევდისგან დათოვლილ
კვალზეც არ ფრინავს მერცხალი.

* * *

თუ ჩაგიხედავთ დევნილის სულში,
რა ხვედრი ერგოთ თვითეულს წილად,
ისეთი ცეცხლი უნთიათ გულში,
მას ვერ ჩააქრობს სამყაროს წვიმა!

ნოსტალგია

გახსოვს, მე როგორ მიყვარდი,
გახსოვს, შენ როგორ გნატრობდი,
უმისამართო სოფელშიც
ჩემს გულში მუდამ სახლობდი...
გინდ დილა იყოს ნათელი
და თუნდაც ღამე უმთვარო,
შენ ის სანთელი იყავი,
გზას რომ მიკვლევდი უკვალოდ!

* * *

მონატრებით ვიგონებ
მამულს, რაც რომ ჩემია...
დალოცვილი სამოთხე
უფლის განაჩენია...

* * *

ცაო, ღრუბლების
კალთა აკეცე,
მსურს გავიხსენო
ჩემი ცის ფერი...
რა სიყვარულიც
გულში ჩავკეცე,
ეს სამშობლოა –
ჩემი და შენი!

* * *

ერთ კაცს ერთი სიკვდილი აქვს,
დილაა თუ ბინდია,
წუთისოფლის ცხოვრებაში
ყველა თავის გიდია...
თუ არ არის არჩევანი
და დროებაც ფლიდია,
გაჩენიდან სიკვდილამდე
ბეწვის ხიდზე მიდიან...
ვისაც ერთი სიკვდილი აქვს,
მას ცხოვრების რიდი აქვს...

* * *

მთებს ჩაგრეხილა ღრუბელი...
დანაცრა გზა და კვალია,
მზეც კი არ მინდა ურგები,
თუ მამულს არ უხარია

* * *

იყო და არა იყო რა
და იწყებოდა ზღაპარი,
ცხოვრებას სულ სხვა ხიბლი აქვს,
ვინც იცის მისი ანბანი...

ერთი ცის ქვეშ!

ერთი ცის ქვეშ
ერთი შავი ზღვა არის,
ჩემს ოცნებებს
ვინ დაუდგენს საზღვარს,
ზღვის ნაპირას
ის ნეტარი გზა არის,
რაც მიმიყვანს
ჩემი ტაძრის კართან...
ბავშვობაში
დაბრუნების გზა არის,
იმ ბავშვობას
ვეფერები ახლაც...
აფხაზეთი
უქართველოდ რა არის
უქართველოდ
სამოთხეც კი არ მწამს!
ერთმანეთის
დაბრუნების გზა არის,
სიყვარული
სიძულვილის ნაცვლად!
ერთიანი
საქართველოს ხსნა არის,
ერთად დგომა
და სამშობლოს დაცვა!
სიყვარული –
ეს ხომ უფლის გზა არის,
სიცოცხლეც ხომ
ამით იწყებს ათვლას,
ზეციური
მეტი მადლი რა არის,
უფალი რომ
გაფარებდეს კალთას...
სიყვარული
თვით სამყაროს ხსნა არის,
დედამიწას
სიყვარული მართავს!

* * *

სულო, ოცნების ფრთები გაშალე,
კვლავ დამანახე ჩემი სამყარო,
შენდამი ტრფობა ჯერ ვერ დავცალე,
მონატრებულო ჩემო სახლკარო...

* * *

სიშორე შენი, მამულო, მტანჯავს,
გულს მიკლავს ჩემი მოთმენის ნიჭიც...
რომ ვხედავ, როგორ გახევენ კალთას
შენი სახელის წარმოთქმაც მიჭირს...

* * *

ჩემო მზეო ჩემო მთვარე
და ნეტარო არემარე,
სანამ პირში სული მიდგას,
მამულში ვერ დავიღამე
და როდესაც დიდ სოფელში
გაიყრება დღე და ღამე,
ბოლო ამოსუნთქვის ფასად
ჰე... მამულო, დავივალებ
ქართველების ერთად ყოფნით
სული მაინც გაიხარებს,
ჩემი სული გაიხარებს!

* * *

ფეხზე რომ დგას საქართველო,
საუკუნოდ ნაწამები,
რომ შემოგვრჩა ენა, რწმენა
და მამული საყვარელი.
ვუმადლოდეთ დიდ წინაპრებს,
მიწა მიყრილ ფარხმალებით...
სადღეგრძელო შევსვათ გმირთა
მირონცხებულ საფლავების!

* * *

კადრი იცვლება კადრით და
ხმა კი გულს ჩამყვა ანდერძად,
ეს არის შენი სამშობლო,
შენთვის რომ შეჰქმნა განგებამ.
ღმერთო, რა განძი გვქონია,
მხარე ასეთი სად არის?
უკვდავი სულის გოდებით
კვნესის დაჭრილი ტაძარი.
თვალებზე ცრემლი მადგება
და შმორი მახრჩობს ჭაობის,
ვხედავ, ვარსკვლავიც ვარდება
ამ მიწის საცოდაობით.

* * *

ჩემს მამულში გაფანტულს
გზადაგზა ვკრეფ სიკეთეს,
ღმერთო, გადაგვარჩინე,
გულს იმედით ვიკეთებ...
ამ ღრუბლებში რამდენი
ოცნება იმალება,
დაუხრია თვალები
დამშვრალ იდუმალებას...
მე ერთი მაქვს სურვილი,
რასაც გულით გაბარებ –
ერთიან საქართველოს
კალთა გადააფარე!

ჩევაზ ინანიშვილი

ავტობიოგრაფიული მოთხრობა

ეს ავტობიოგრაფიული ხასიათის უსათაურო მოთხრობა რევაზ ინანიშვილს კინორეჟისორ დათო ჯანელიძის თხოვნით დაუწერია და ერთადერთი ორიგინალიც მისთვის გადაუცია.

* * * *

აი, ესაა ე.წ. „ჩემი ოთახი“. ხომ არ დაიღალეთ? ძნელია, არა, მეხუთე სართულზე ამოსვლა? გნებავთ ჰაერზე გავიდეთ ცოტა ხნით? წამობრძანდით, თქვენ დღეს ლამაზ ადგილას ბრძანდებით, ჩემი აივნიდან მშვენიერი გადმოსახედია.

შეხედეთ! მე ამ დასახლებას ვეძისის აულს ვეძახი. ამ მხარეს თითქმის სოფელში ვართ. აქ ყველაფერია, რაც კი ჩვენს სოფლებში გვხვდება. კრამიტიანი ორსართულიანი სახლები, ვაზის ხეივნები. გაგივლიათ ონიაშვილის ანდა ვაზისუბნის ქუჩაზე? გირჩევთ, გაიაროთ, სექტემბერში, ოქტომბრის დასაწყისში. ამ ქუჩებზე უკეთესს იშვიათად ნახავთ რამეს. ყოველ სახლს პატარა ბაღჩა აქვს. ბაღჩაში ხარობს ნუშები და ჭერმები, ატმები და ვაშლები, ბლები და ბროწეულები. წარმოიდგინეთ, ზოგს კაკლის ხეებიც კი უდგას.

აი იქ, მაღლა, გორის თავზე, ლისის ტბაა. როგორ მიკვირს, რომ ზოგს იგი არც უნახავს. ლისის ტბიდან წყალი გამოდის და აქეთ მოჩხრიალებს, ჩვენკენ. ქალაქში ჩამოსულ იმ წყალს, რა თქმა უნდა, კოლექტორი ნთქვას. მაგრამ მარტო ფიქრიც კი, რომ აქ, სადღაც სულ ახლოს, წყალია, ნაკადულია, გულს სიამით გივსებს.

ჰო, მართლა! როგორ მოგწონთ ჩვენი ეზო და ბაღი? ყოველივე ამას ჩვენ თვითონვე ვაკეთებთ. გვყავს თავისებური წინამძღოლი – პენსიონერი ინჟინერი ალექსანდრე ჯაფარიძე (გაფორმებანი მას ეკუთვნის), მისი წინამძღოლობით ვაკეთებთ. ყველა დარწმუნებულია, რომ ჩვენი წყარო წყალგაყვანილობის ნაწილი კი არაა, აქვე ამოდის მიწიდან. როდესაც სვამენ, ეჩვენებათ, რომ მართლაც უგემრიელესი წყალია. ყოჩს რქა მოგვიტეხეს. საზოგადოდ, რაღაც „ბნელი ძალები“ გულმოდგინედ იბრძვიან ჩვენი „კეთების“ წინააღმდეგ. გლეჯენ, გრეხავენ და ამტვრევენ რკინის მანებს, გარეთ, ქუჩებში რომ ვუდგამთ ჯერაც ფესვგაუმაგრებელ ხეებს, გადაგვიტეხეს მკლავის სიმსხო ქართული ნეკერჩხალი, საცოდავ ხეებზე სინჯავენ თავიანთი ბებუთებისა თუ დაშნების სიმჭრელეს. ჩვენ მაინც იმედს არ ვკარგავთ, ხეები გაიმარჯვებენ უმაქნის ადამიანებზე, ისინი მაინც გაიზრდებიან, გაიბორჯღლებიან ფესვებით თუ ტოტებით, ჩვენ შვილთა შვილებსაც კი მიაწვდენენ თავიანთი ფოთლების ჯანსაღ სუნთქვას და მკვრივ, გრილ ჩრდილს. ძალიან გვიყვარს და გვახარებს ვარდები დიდებსაც და პატარებსაც. მე პირადად მუქი ვარდების ტრფიალი ვარ.

ოთახში დავბრუნდეთ? კეთილი, ბატონებო!

არ ვიცი, როგორ მოვიქცე, რა გაჩვენოთ, რომ საინტერესოდ მოგეჩვენოთ ჩემთან მობრძანება. მწერლობა ხომ, მოგეხსენებათ, გარეგნულად მაინცა და მაინც დიდად მიმზიდველად არ გამოიყურება. მით უმეტეს ისეთი მწერლობა, როგორსაც მე ვეწევი, პატარ-პატარა მოთხრობებს რომ ვწერ. მე არ მაქვს ერთი მკაცრად გამორჩეული ადგილი, იმ ადგილას ზუსტად ამა და ამ საათიდან ამა და ამ საათამდე არ ვზივარ და არ ვმუშაობ. პატარა მოთხრობა ლექსს ჰგავს. ამას წინათ ანდრეი ვოზნესენსკისადმი მიძღვნილ წერილში წავიკითხე – „стихи не пишутся – случаются“. ბრწყინვალედ არის ნათქვამი. პატარა მოთხრობაც ასეა, მოხდება — თითქოსდა შემთხვევით გადაეყრები პატარა მოთხრობას, გონებაში განათდება და გადაირბენს რაღაც მერე დაწერა, დაწერა, განსაკუთრებით შავად, არაფერია. აი, მე გაჩვენებთ, როგორ იწერება ხოლმე ეს ე.წ. „შავი“. „შავზე“ მუშაობისას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს ქაღალდს, კალამს, ფანქარს. არა, არა ვარ სწორი. ქაღალდს მნიშვნელობა აქვს. შავად როცა ვწერ, უთუოდ ცუდი ქაღალდი უნდა იყოს, თითქმის გადასაგდები ქაღალდი.

ვწერ მაგიდასთან, სკამზე, ლოგინში, ქალაქში, სოფელში. სოფელში ხანდახან – ბაღშიც. რომელია ჩემი სოფელი? მე ორი სოფელი მაქვს. ხაშმი, სადაც დავიბადე და გავიზარდე, მეშვიდე კლასამდეც იქ ვსწავლობდი, სადაც ცხოვრობს ჩემი გაუმრავლებელი გვარი. მამა 36 წლისა წაიყვანეს და აღარ დაბრუნებულა, ჩემი ბიძაშვილებიც, ვალიკო და ყაზბეგი, ომმა შეიწირა. გარდაიცვალა ჩემი ძმაც, ბიძაჩემიც. კაცებიდან მეღა დავბორიალობ. მე და ჩემი ორი ბიჭი. მაქვს, როგორც გითხარით, მეორე სოფელიც, ეს უჯარმაა, ჩემი ცოლეურის. ბოლო ხანებში უჯარმაში უფრო ხშირად ვარ, იქ ვმუშაობ, იქ ვჩიჩქნი ხოლმე მიწას და ვუვლი ხეხილსა და ფეხის მოსავალს. იქ უფრო ვეგულები ხოლმე ჩემს მეგობრებს.

დიახ, ეგ სურათი ჩემი დახატულია. ეგეც და ეს სამიც. აი, ესენი, – დიდი ხნის წინათ, ზედ უნდა ეწეროს, ჰო, 1948 წელს. ეს ჩემი ხიდია ხაშმში. ამ ხიდზე გადავდივართ ხოლმე, ჭალისვენახში რომ გვინდა ჩასვლა. ეს ხე ისევ დევს, თუთაა, გასაოცარი გამძლე, მ ით უფრო სინესტეში. რამდენი წელიწადია 48-დან, თითქმის 30, არა? ეგ დახატვის დღიდან. იმის წინ, იმის წინ რამდენი ხნის

დადებული იყო – თერთმეტ-თორმეტი. ღმერთმა კიდევ უფრო დიდი გაძლება მისცეს ჩვენს ხეებსა და წყალს.

ის მაღლა სამებისკენ მიმავალი გზაა. ეს ხეები, რაღა თქმა უნდა, აღარ არსებობენ. ეს ეკლესიის ნანგრევები „წმინდა მარინეა“,ჩვენი სოფლის ზემოთ, უჯარმის გადმოსწვრივ,შავკაციანთ სერის ძირში. ამ სალოცავში მოვყავდი ხოლმე ბებიაჩემს, ოქრუაანთ ნინოს, ყელი ამტკივდებოდა თუ არა. მომცემდა ხოლმე ფეხებგაკრულ წითელ მამალს,თვითონ ფეხშიშველი მოდიოდა, ავიდოდით, დავაკვლევინებდით მენახირეს ან ვინმეს, გავაკეთებდით, გავუმასპინძლებოდით იმ მენახირეს, თვითონაც გიახლებოდით და თითქმის ყოველთვის კარგად ვხდებოდი.

იქითა სურათი ჩემი მოთხრობის – „დათია და გოგია“ თუ გახსოვთ; – აი, იმ მოთხრობის გმირების სახლია. თვითონ მოთხრობაშიც არის აღწერილი ეს ნახატი. აქ ცხოვრობდნენ ის საცოდავი ობოლი ძმები,ომის მსხვერპლნი. მე მათგან ბევრი რამ მაქვს ნასწავლი, ახლა ვხვდები. როცა ისინი, ვთქვათ, ჭიგოს ჩეკდდნენ და მეც ჩემებურად ვეხმარებოდი, ყველა ჭიგოზე მეკითხებოდნენ, – აბა, ეს რა ხეაო. იმათგან მაქვს პირველად გაგონილი და სამუდამოდ დამახსოვრებული: ჭანჭყატა, ხეჭრელა, ილღუნი, თხიფხელა. ჩემთვის ეს სურათი ძალიან ძვირფასია, ასე მგონია, აი იქ, შიგნით, ჩვენი სულები ფუთფუთებენ დღესაც – სახლი კი უკვე აღარ არსებობს.

ესენი მეგობარი მხატვრების ნახატებია. ეს თენგიზ მირზაშვილია. დიახ, მე და თენგიზი ზოგჯერ ერთადაც კი ვმუშაობთ – ის ხატავს, მე ვწერ, ერთმანეთს დაურიდებლად ვაძლევთ შენიშვნებს. დიახ, ხშირად დავდივართ ხოლმე ქალაქგარეთაც. თუ ვინმემ, განსაკუთრებით მწერალმა, მეგობარი ინატროს, ინატროს თენგიზისთანა.

ეს ოთარ ჯიშკარიანის ლინოგრავიურაა, გომბორია,ეს ჩვენი,მე და ჩვენი თენგიზის მოსკოველი ძმაკაცის,იური პოლიანოვისა. ესეც და ესეც. ეს მაღლა,ჩემი დაქალის,ლამარა კიკილაშვილის ნახატია. ესენი,აი ეს ჩემი პორტრეტი და აგერ ის,მოსკოვის ქუჩა,ვალოდია ჩაპლიასი. ვალოდია ჩაპლიამ გააფორმა „დეტგიზში“ გამოსული ჩემი პატარა წიგნი „Зимняя сказка“. გნებავთ, გაჩვენოთ? ინებეთ. ხომ კარგი ყდაა. ყდაცა და ილუსტრაციებიც. სულ არ იგრძნობა, რომ არაქართველის დახატულია, არა? ჩაპლია ჩემთან იყო, ივრის ხეობაშიც მყავდა, თრიალეთშიც, სოფელ გუდალეთშიც. ალბათ ამიტომაა ესე ნამდვილი ქართული ყოფა.

ეს სცენარისტ რეზო გაბრიაძეს ეკუთვნის. ესეცა და აი ესეც, დიდი. „შერეკილებზე“ რომ მუშაობდნენ ისა და ელდარ შენგელაია, იმ ფილმისთვის არის გაკეთებული. ესენი ჩემი კოტეს ნახატებია. ჩემსავით, საუბარ-საუბარში, ანდა რაღაც უცაბედი განწყობილების ქვეშ თუ დახატავს. დახატავს და გადააგდებს. მე ვკრეფ, მაინცდამაინც არ სიამოვნებს, მაგრამ ვეღარაფერს სჩადის, როცა ჩარჩოში ჩასმულებს ხედავს.

ეს პორტფელი? კი, ჩემია. ჰე-ჰა! მე პორტფელი არასოდეს მყვარებია, მაგრამ შარშან მოსკოვში, მწერალთა ყრილობაზე მომცეს, თვრამეტი მანეთი და ორმოცდაათი კაპიკი ღირებულა, ფასი ზედ ეწერა, წამოვიღე და წარმოიდგინეთ, ძალიან გამომადგა. უჯარმაში რომ მივდივარ სამუშაოდ, ამაში ვაწყობ რაც მჭირდება. რა მჭირდება –- ქაღალდები, ორი-სამი წიგნი ან ჟურნალი, ფანქრები და, რაც მთავარია,ჩემი სამაგიდო რვეული,მე წეღან მოგახსენეთ, როგორ ვწერ „შავად“. ჩემი ერთადერთი თავისებურება ესაა – გადათეთრებას რომ ეძახიან. ამას ფანქრით ვაკეთებ, ე.ი. ფანქრით ვათეთრებ, თანაც ძალიან კარგ ქაღალდზე.

უკანასკნელ ხანებში ეს ალბომი აღმოვაჩინე, ალბომი მარკებისთვის, კიევის გამოშვება. ბრწყინვალე ქაღალდია, რამდენჯერაც გნებავთ იმდენჯერ დაწერეთ და წაშალეთ, ყველაფერს იტანს. მცირე ფორმის ნაწარმოებს კი ეს შლა და ხელახლა დაწერა ფრაზებისა არასოდეს წყენს. კარგ ქაღალდთან ერთად კარგი ფანქარიცაა საჭირო, ძალიან მიყვარს ჩეხოსლოვაკიური „კოჰ ი ნორ – ბ“. სათლელიც აღარაა ძნელი საშოვარი. თხუთმეტ წელზე მეტია, ასე ვმუშაობ.

ზემოთ ვახსენე საუბრებისა და კრებების დროს ფანქარს ვაწვალებ და რაღაცეები გამომყავს. ზოგი ამასაც ნახატებს დაარქმევს. მე კი ჩემი მეგობარი მხატვრების მეშინია.

ესაა და ეს ჩემი სამყარო, ხომ გეუბნებოდით თავიდანვე – მეტად არასაინტერესო. არ ვიცი, ვინმეს თუ რამეს მისცემს ამის ჩვენება, ვინმეს თუ მოჰგვრის კმაყოფილებას მაინც.

კი, მუსიკა მიყვარს. გამორჩევით, სიმფონიათა ნელი ნაწილები. მე მათ მუშაობის დროს რაღაცნაირ აკომპანიმენტად განვიცდი. ეს ჰაიდნის ცნობილი გამოსამშვიდობებელი სიმფონიაა. ხომ იცით, როგორ სრულდება ხოლმე ის. ორკესტრანტებს პიუპიტრებზე სანთლები უნთიათ, ფინალში ყველა სათითაოდ აქრობს სანთელს და თანდათანობით ყველა გადის სცენიდან. რჩება ორი ორკესტრანტი, ორი ვიოლინო. ჰაიდნის მერე მოცარტია, პირველი დივერტისმენტი. მუსიკოსებისგან ძალიან ბევრი რამის სწავლა შეიძლება (განსაკუთრებით, ნოველისტებს შოპენისგან) დავუდოთ „გამოსამშვიდობებლის“ ბოლო ნაწილი, კეთილი.

ეს ხეებიც მიყვარს. ჩემი ჩიტიც, რომელიც უკვე აღარა მღერის. ის ხშირად დაფრინავს თავისუფლად ოთახებში. შეიძლება ამის ბრალიცაა, რომ აღარ მღერის. გამოვუშვა? კეთილი, ახლავე. გთხოვთ, ჩიტუნიავ!

ჩიტი ფრენს.

ტარიელ ჟანტუარია

პოეტის ფანქარი

რევაზ ინანიშვილი წერდა ფანქრით – ფანქრის აქეთა და ფანქრის იქეთა წვერით: ამ წვერით — სიცოცხლეზე, იმ წვერით – სიკვდილზე!

წერდა სიცოცხლეზე – კარგად, სიკვდილზე – უკეთ!

იცოცხლა ლამაზად!

მოკვდა ლამაზად!

მე მიყვარდა, მე მიყვარს რევაზ ინანიშვილის ფანქარი.

სისულელეა ეს ამდენი მუზეუმი, მაგრამ თუ მაინც უნდა გაიხსნას ოდესმე რევაზ ინანიშვილის მუზეუმი, მისი ფანქარი იქნება ერთი უმთავრესი ექსპონატი.

მის ფანქარზე უნდა დაიწეროს კარგი მოგონება. დაიწეროს თუნდაც ფანქრით. თუნდაც ორივე წვერით.

დაიწეროს რეზოს სიცოცხლეზე და სიკვდილზე.

სულ მშურდა რომ იგი წერდა ფანქრით.

მე ვერ ვწერ ფანქრით.

ფანქრით წერ-მეთქი, თანაც – ორივე წვერით-მეთქი.

ჰოო, ფანქრით ვწერო, აქეთა წვერით – სიკეთეზე, იქითათი – ბოროტებაზეო.

თუ აგრევია-მეთქი!

არა, გენაცვალე, მე კახელი ვაარ, კახელებმა კიდე ყოველთვის ვიცით, რა როგორ ვაკეთოთო!

რევაზ ინანიშვილი და მისი ფანქარი არავისში აგერიოთ!

თუმცა ვერ აგერევათ! როგორ აგერევათ – რეზო ერთადერთი იყო! თუმცა ახლა ბევრი ინანიშვილობს, არევით მაინც ვერ აგვერევა – ეგენი ჯერ იმოდენები არ დაზრდილან! – ფანქრით კი წერენ, მაგრამ ან მხოლოდ ამ წვერით, ან მხოლოდ იმით...

1995 წელი

მასალა მოამზადა
ლეილა ქიტოშვილი-სახლთხუციშვილმა

ვულოცავთ!

დავით აღმაშენებლის სახელობის აკადემიას საპატიო სტუმრები ეწვივნენ ისრაელიდან – საქართველოს კულტურის დესპანი ისრაელში, ხაიფის მთავარი აქიტექტორი, საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქე პაატა იოსებაშვილი.

პოეტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ხაიფისა და ჩრდილოეთ ოლქის ქართველ-ებრაელ ქალთა გაერთიანების თავმჯდომარე, ქალბატონი იზოლდა მოშიაშვილი.

ქალბატონი იზოლდა მოშიაშვილი აკადემიამ საპატიო პროფესორად აირჩია.

იზოლდა მოშიაშვილი ქარელში დაიბადა და გაიზარდა. სკოლაშიც კარგად სწავლობდა, 1973 წლამდე საქართველოში ცხოვრობდა, ისრაელში კი 30 წლის იყო, რომ ავიდა.

წერა, ძირითადად, ისრაელში ასვლის შემდეგ დაიწყო, უცხო მხარეში ყოფნამ, მშობლებისა და ახლობლების მონატრებამ, დედულეთის ხილვის სურვილმა კალამი ააღებინა.

1980 წლიდან მისი ნაწარმოებები სისტემატურად ქვეყნდება ისრაელში – ქართულენოვან გაზეთში – „ალია საქართველოდან“, ჟურნალებში: „აშდოდელები“, „ერთობა“, გაზეთ „მოამბეში“...

არის საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესისა და კონგრესთან არსებული ქალთა ორგანიზაციის აქტიური წევრი, ხაიფაში მცხოვრებ ქართველ ებრაელ ქალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი, „გულთა კავშირის“ ერთ-ერთი მესვეური, ქართველი და ებრაელი ერის ურთიერთობის განმტკიცების საქმეში მოკრძალებული წვლილი შეაქვს.

ხევაზ ბალანჩივაძე



ქართველი ქალის ზნეობრივი სახე რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაში

რევაზ ინანიშვილის მოთხრობების ძირითადი პერსონაჟები სოფლელი დედაკაცები და მამაკაცები არიან. მკითხველის ყურადღებას ძირითადად ამ ადამიანების შინაგანი სისუფთავე, გულალალობა და გულწრფელობა, სილაღე და ურთიერთისადმი სიყვარული იქცევს. მართალი და უტყუარია მათი დიალოგები, ჯანსაღია მათი იუმორი. ეს ისეთი იუმორია, გულს რომ არავის ტკენს, შეურაცხყოფას არავის აყენებს, არ ამცირებს და ამცრობს ადამიანს. პირიქით, ერთმანეთის დადებითი ნიშან-თვისებების წარმოჩენას უწყობს ხელს.

ზოგჯერ ბატონი რეზო ინანიშვილი პარალელებსაც ავლებს სოფლელელებსა და ქალაქელებს შორის და აშკარა უპირატესობას სოფლის მოსახლეობას ანიჭებს. სწორედ იმიტომ, რომ ისინი უფრო უშუალონი, ბუნებრივები, ალალები, მართლები, უბოროტონი და უეშმაკონი არიან. მათთვის უცხოა ნიღაბი, თვალთმაქცობა, არაგულწრფელობა, ისინი ბუნების ღვიძლი, ლაღი შვილები არიან, უყვართ მწვანე ბალახი, ნაირფერი ყვავილები, ფოთლოვანი ხეები, სრულ ჰარმონიაში არიან მათთან. ზოგჯერ ელაპარაკებიან კიდეც ბალახებსაც, ხეებსაც, ფრინველებსაც,ცხოველებსაც და,თქვენ წარმოიდგინეთ, ისინი არა მარტო ყურს უგდებენ ადამიანებს,არამედ ეპასუხებიან კიდევაც მათ.

სოფლელებისაგან განსხვავებით, ქალაქელები /არა ყველანი, რასაკვირველია/ მოწყვეტილნი არიან ბუნებას,გაუცხოებულნი არიან მისგან,ვერ გრძნობენ მის სილამაზესა და მშვენიერებას, არც მისი ესმით. ამიტომაც ანადგურებენ მწვანე საფარს, ჭრიან ან წვავენ ხეებს,ხოცავენ ფრინველებსა და ცხოველებს, აბინძურებენ გარემოს, ბრაკონიერობენ.

ერთადერთი ვითარება, რითიც სოფლელები და ქალაქელები ჰგვანან ერთმანეთს, ეს ქართველი ქალის ზნეობრივი სახეა. ისინი სოფლადაც და ქალაქადაც ინარჩუნებენ ზნეობრივ სიწმინდეს და სისუფთავეს, კდემამოსილებასა და პატიოსნებას, სიალალესა და სილაღეს.

გავიხსენოთ რეზო ინანიშვილის ,,ევა". ევა ერთი სოფლელი გოგოა, საოცრად ლამაზი, ბალახისფერი, პირველყოფილი სიწმინდით გაშუქებული. აბელს ამ გოგონას სწორედ ასეთი თვალები მოსწონს და კიდევ: ,,ჯანსაღი, მკვრივი ტანი და ბიბლიური სახელი". მათ შორის ერთი კოცნის მეტი ჯერ არაფერი მომხდარა. მაგრამ ეს ერთი ვნებიანი კოცნაც ევასთვის უკვე საკმარისი გამოდგა, რომ თავის მომავალ ქმრად აბელი მიიჩნიოს, /ლოგიკა აქ ასეთია: ვისაც აკოცა, მას უნდა გაჰყვეს ცოლად, პატიოსანი ქალი სხვაგვარად ვერ მოიქცევა/. მაგრამ ევას ერთი რამ აქვს საწუხარი და აბელთან თავს დამნაშავედ გრძნობს. იგი მანამ ვერ დაწყნარდება, სანამ აბელს ყველაფერს არ ეტყვის და სანამ აბელი არ აპატიებს მისდაუნებურად ჩადენილ ცოდვას. საქმე ისაა, რომ ევას ცხოვრებაში იყო შემთხვევა, როცა მას მთლად უცნობმა ბიჭებმა ქუჩაში აკოცეს. ევას მიაჩნია, რომ აბელმა ეს არა მარტო უნდა იცოდეს, არამედ უნდა შეუნდოს, აპატიოს /ან სულაც არ აპატიოს/.

სანამ ამ ამბავს უამბობდა აბელს, ევას თვალები ცრემლებით აევსო და ტუჩები აუთრთოლდა.

– მე სამჯერ მაკოცეს. სამჯერვე მთლად უცნობმა ბიჭებმა ქუჩაში. თუ გინდა,მაპატიე,თუ გინდა – არა".

ევას ამ მიამიტურმა და გულალალმა სიტყვებმა აბელს მხოლოდ ღიმილი მოჰგვარა, მაგრამ ჩვენთვის მთავარია ევა, მისი ზნეობრივი სიწმინდე და გულწრფელობა. ევამ იცის, რომ საქმროს ,,ხელუხლებელი", მითუმეტეს უკოცნელი უნდა ჩაბარდეს და, თუ რაიმე ცოდვა აქვს ამ მხრივ, თუნდაც უნებლიე, მომავალმა ქმარმა ეს უნდა იცოდეს.

ევას ამ ,,აღსარებაში" კარგად ჩანს, რა დონეზე მართალი და სუფთაა იგი, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, ადამიანის ფსიქოლოგიის რა საუკეთესო მცოდნეა ბატონი რევაზ ინანიშვილი.

ზემოთ უკვე ვთქვი, რომ რევაზ ინანიშვილისათვის ქართველი ქალის სიწმინდე და კდემამოსილება იმდენად ბუნებრივია, იმდენად დამახასიათებელი რამ არის, რომ ამგვარია არა მარტო სოფელში პატრიარქალურ ტრადიციებზე აღზრდილი გოგონა, არამედ ქალაქში გაზრდილი ქალიც. ამჯერად მე მოთხრობის ,,ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება" მთავარ პერსონაჟს, ელენეს, ვგულისხმობ.

იგი თბილისელი გოგონაა. აქვე აქვს დამთავრებული უმაღლესი სასწავლებელი. ცხოვრობს რუსთაველის პროსპექტის მიდამოებში, ჰყავს საუკეთესო მეგობრები, რომლებიც ახლობლობენ მაშინდელი თბილისის ელიტარული საზოგადოების

უთვალსაჩინოეს წარმომადგენლებთან: ესმა ონიანთან,თენგიზ მირზაშვილთან, დიმიტრი ერისთავთან...

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ელენე სოფელში გაანაწილეს მასწავლებლად და ისიც უყოყმანოდ გაემგზავრა სოფლად.

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ელენეს ერთი ახალგაზრდა მხატვარი – სულხანი მოსწონდა. ქალაქში იგი თითქმის ყოველდღე ხედავდა სულხანს, სოფლად მყოფს ერთხელ ისე მოენატრა სულხანი, რომ გადაწყვიტა ერთ შაბათ-კვირას სპეციალურად ჩასულიყო თბილისში,რომ სულხანი ენახა. სულხანი კი მოსწონდა, მაგრამ ამის შესახებ არასოდეს არავისთვის არაფერი უთქვამს, მათ შორის არც სულხანისათვის /ნახეთ პატიოსნებისა და წესიერების ხარისხი/. არადა, უკვე ოცდაშვიდი წლისა იყო და, როგორც თვითონ თქვა, „მის ძუძუს მამაკაცის ხელი არ მიჰკარებია“.

თბილისში ელენე სულ ორი დღით იყო ჩამოსული. ამიტომ,თუ სულხანის ნახვა უნდოდა,მასთან უნდა ასულიყო სახლში, მაგრამ ელენემ ეს ვერ გაბედა. იმის იმედზე იყო,იქნებ ქუჩაში შეხვედროდა, მაგრამ სულხანი არ შეხვდა. მხოლოდ მეორე დღეს გაბედა და სახლში ააკითხა სულხანს, მაგრამ სულხანი შინ არ დახვდა. იგი წინა საღამოს,მეგობრებთან ერთად, კახეთში წასულიყო. სწორედ იმ საღამოს,როცა ელენემ მასთან მისვლა ვერ გაბედა.

ამ მოთხრობით რევაზ ინანიშვილმა კარგად აჩვენა ქართველი ქალის სიწმინდე და კდემამოსილება. მიუხედავად იმისა, რომ ელენე ქალაქელი ქალია, მამაკაცთან ურთიერთობაში იგი ისეთივე მოკრძალებული და თავშეკავებულია, როგორც, ვთქვათ, სოფლელი ევა. ქართველი ქალის ზნეობრივი სიწმინდე რომ უკეთ გამოკვეთოს,ბატონი რეზო ინანიშვილი მოთხრობაში „ცისფერი გორგალი“ აღწერს ერთი უცხოტომელი /თათარი/ ქალის ურთიერთობის ისტორიას ქართველ მამაკაცთან.

ნაწარმოებში მოთხრობილია ყირიმში დასასვენებლად ჩასული ერთი ქართველი კაცის /დათოს, იგივე დავითის/ და თათარი ლიტას შეხვედრის ისტორია იალტის დასასვენებელ სახლში. ისინი გაცნობისთანავე „დამეგობრდნენ“, ჯერ ნავით ისეირნეს, მერე რესტორანში შევიდნენ, მერე იცეკვეს. იქვე ვიღაც უცხო კაცმა სთხოვა ლიტას: მეცეკვეო. ლიტა ეცეკვა. დათოსთან რომ მოვიდა, დათოს უთხრა: იცი,რა მითხრა შენზე იმ იდიოტმა: ვინ არის შენიო. მე ვუთხარი: შეყვარებული-მეთქი.

– კი, მაგრამ, თქვენ ხომ ქმარი გყავთო?

– მყავს-მეთქი.

– მერე?!

– რა მერე. ეს შეყვარებულია-მეთქი.

დათო, რასაკვირველია, მიხვდა, რაზეც მიანიშნა ლიტამ. ამიტომაც ბევრი არ დაუყოვნებია: შენ მინდიხარო, შესთავაზა. „მეც მინდიხარო“, – უპასუხა ქალმა. შეთანხმდნენ: ღამით მის ოთახში უნდა შეპარულიყო დათო. და შეიპარა კიდევაც. და ეს მოხდა იმ დროს, როცა ლიტამ დათოს შესახებ მხოლოდ ის იცოდა, რომ დათო მისი „კავკასიელი თანამესუფრე“ იყო.

ის რამდენიმე დღე ერთად გაატარეს, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ,როცა დათო სასადილოში შევიდა, ლიტა იქ არ დახვდა. სამაგიეროდ დახვდა ლიტას წერილი. წერილში სულ ორი სიტყვა ეწერა: „მშვიდობით“, „მშვიდობით“.

როგორც მოულოდნელად გამოჩნდა ლიტა, ისევე მოულოდნელად გაქრა. არავითარი წუხილი და დანანება არც ერთის და არც მეორის მხრიდან. ლიტამ, როგორც ამბობენ, „თავისი გაისწორა“ და ყოველგვარი დანანებისა და გულისწყვეტის გარეშე წავიდა. ვფიქრობ, აქ კომენტარი არცაა საჭირო, ისედაც ყველაფერი ნათელია.

ახლა ისევ ქართველ ქალებს დავუბრუნდეთ, ოღონდ ამჯერად ცოლებსა და დედებს. როგორია რეზო ინანიშვილის მიერ დახატული ქართველი ცოლი? ყველა შემთხვევაში, იგი ქმრის ერთგულია, მისი მეგობარი და მოსიყვარულე.,მისი ჭირ-ვარამის გამზიარებელი. ქმარ-შვილზე მზრუნველი.მისთვის არ არსებობს „ქალის საქმე“ და „კაცის საქმე“. სადამდეც კი გაწვდება მისი ფიზიკური შესაძლებლობა, მანამდე უდგას გვერდით ქმარს.

ვენახში მომუშავე თინას იმ დონემდე დაეხვა თავბრუ, რომ ეშინია არ მოკვდეს, მაგრამ ამ მდგომარეობაში მყოფსაც კი სანდრო მოენატრა. მარჯვენა მხარეს თავდახრილი თინა მართლა ცუდად იყო, მაგრამ ვენახში მუშაობა არ შეუწყვეტია, პირიქით, მანანას სთხოვა, ცოტა მოსახვევი მიეცა მისთვის. მანანამ დატუქსა: იჯექ, ქალო, რა მოსახვევი აგიტყდაო, რაზედაც თინამ ასე ჩაილაპარაკა: „მე რომ ჩემს ლეშს ავყვე“...

ჰოდა, თავის „ლეშსარაყოლოლი“ თინა ვენახსაც უვლის, კიტრსაც თესავს,ყოველგვარ საოჯახო საქმესაც აკეთებს და ქმარ-შვილსაც უვლის იმის მიუხედავად, ცუდად არის თუ კარგად, ყურადღებიანი არის მის მიმართ ქმარი თუ უყურადღებო. ერთადერთი საყვედური, რაც თინამ ქმარს უთხრა, ესაა: „შენ სულ სხვაგან ხარ“.

იქნებ სხვა რომელიმე ტომის ქალისათვის „გენდერული უთანასწორობაც“ კი იქნებოდა, და ამდენად შეურაცხმყოფელი ქმრის „სულ სხვაგან ყოფნა“, მაგრამ ქართველი ქალი ოდითგანვე ისეა შეჩვეული,ქმრის გვერდით და მის თანაბრად ზიდოს ოჯახის ჭაპანი, ამას გენდერული ბალანსის დარღვევად სულაც არ მიიჩნევს. პირიქით, მიაჩნია, რომ ქმრის მხარდამხარ უნდა წიოს ცხოვრების ჭაპანი და სწორედ ამით გამოუხატოს ქმარს ერთგულება და სიყვარული.

ცალკე საუბრის თემაა ქვრივი ქართველი ქალი. იმის მიუხედავად, თუ რომელ ასაკში მოხდება მისი დაქვრივება – 20 წლისა თუ 40 წლისა, იგი ხელახლა გათხოვებაზე, როგორც წესი,არ ფიქრობს. ქმრის პატივისცემა იმდენად ძლიერია მასში, რომ მის ხსოვნას არ აკადრებს სხვა კაცთან სარეცლის გაყოფას, ისე როგორც ოთარაანთ ქვრივმა არ აკადრა ასეთი რამ მისი ქმრის – თევდორეს, ხსოვნას და არც მის თავმოყვარე შვილს, გიორგის,

მამინაცვალი.

სამაგიეროდ, ოთარაანთ ქვრივის მსგავსი მშობლები წელებზე ფეხს იდგამენ, დღე და ღამეს ასწორებენ,რომ შვილებს არაფერი გაუჭირვონ,ვენახსაც უვლიან და ყანასაც,თოხნიან,ბარავენ,შეშასაც ჭრიან,ბავშვებს უვლიან,არ აშიმშილებენ, ობლობას არ ამჩნევენ, სკოლას არ ჩამოარჩენენ, ყველაფერს აკეთებენ, რომ შვილებს კარგი განათლება მისცენ და ამით ქმრის ხსოვნა რაც შეიძლება მეტი ხანი გაახანგრძლივონ. ამასთან დაკავშირებით დანანებით ამბობს ბატონი რეზო ინანიშვილი:,,რამდენი ლამაზი ქალის სილამაზე განიავდა კალოს ბზესთან ერთად".

ცალკე ფენომენია შვილმკვდარი ქართველი დედა. მისთვის შვილის სიკვდილთან ერთად თავდება სიცოცხლე, თავდება ხალისი, თალხი ტანსაცმლით სიარული, იმ დღიდან შავი ძაძებია მისი სამოსი. ერთადერთი, რაც აცოცხლებს, შვილებზე ფიქრია. თუ თავს არ იკლავს, ამასაც იმიტომ შვრება, რომ არაფერი ისეთი ცოდვა არ ჩაიდინოს /არადა, ქრისტიანობის მიხედვით, არაფერი ისეთი დიდი ცოდვა არაა,რაც თავის მოკვლა/, რამაც საიქიოში შვილთან შეხვედრაში შეიძლება შეუშალოს ხელი.

გავიხსენოთ ,,დედებიდან" შვილმკვდარი დედა – ანანო. აი,როგორ ახასიათებს ამ ბედდაწყევლილ შვილმკვდარ დედას რ. ინანიშვილი: ,,მოდის ერთი შუა ხნის ქალი – გამხდარი, გასნეულებული,შავყვითელი. ქალები თანაგრძნობისა და პატივისცემის ნიშნად ანანოს წყლის ურიგოდ ავსებას სთავაზობენ.მაგრამ ანანო უარზეა ,,არა, რასა ბრძანებთ, ქა, მე სად მეჩქარება. შინ ვინა მყავს. ბიჭი იყო და გათენებისთანავე წავიდა". ქალების შეკითხვაზე: ,,მართლა იყო?" ანანო პასუხობს: იყო, დედა ენაცვალოს, გასუქებულია, დავაჟკაცებული, ყელგავსებული, აი, ბეჭები. ხალათში არ ეტევა. ცოტა ხანიც, დედა, ცოტა ხანიც და მერე სულ ერთად ვიქნებითო".

ქალებმა ხომ კარგად იციან, რომ ეს ანანოს არაჯანსაღი ფსიქიკის გამონაგონია, მაგრამ მთელი სერიოზულობით და თანაგრძნობით უსმენენ. მარტო თავისთვის ჩუმად ჩაილაპარაკებენ: ,,ვაი, შე საწყალო, შე გამწარებულო". სამწუხაროდ, ანანომაც იცის, რომ მისი გარდაცვლილი შვილი ვეღარასდროს მოვა დედასთან. მისი გარეგნობაც და სახლის გამართვის ისტორიაც, ყველაფერი ანანოს ფანტაზიის გამონაგონია,მაგრამ ანანო იმით მაინცაა ბედნიერი, რომ ყოველ ღამეს სიზმარში ხედავს შვილს. დედის ტრაგედიას კიდევ უფრო ამძაფრებს ერთი თანასოფლელის ნაამბობი: ამას წინათ ექიმთან ვნახე,ქალო. ჩვენ ჭკუაზე გადასული გვგონია,არადა, იცი,რას ეუბნებოდა ექიმს?! ძილის წამალი მომეცი, ძილის წამალი მომეცი,თორემ აღარ მეძინება. ბიჭს ვეღარა ვხედავ და ვიღუპებიო. ტიროდა, ტიროდა, სულ თხილის სიმსხო ცრემლები ჩამოსდიოდა!.

ზემომოტანილი ნაწარმოებები მხოლოდ მცირე ნაწილია ბატონი რეზო ინანიშვილის შემოქმედებიდან, სადაც ქართველი ქალის ზნეობრივი სიწმინდე და სულიერი სიჯანსაღეა გამოხატული.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველი ქალები ასეთი მაღალზნეობრივები და ქმრისადმი ერთგულები იმიტომ არიან,რომ თავად ქართველი მამაკაცები გამოირჩევიან ცოლებისადმი განსაკუთრებული ყურადღებით,მზრუნველობით,ერთგულებით,უღალატობით /ცხადია,ცალკეული გამონაკლისების გარდა, მაგრამ,როგორც ამბობენ, ისინი ამინდს ვერ ქმნიან/.

ამ თემას არაჩვეულებრივი ფსიქოლოგიური სიმართლით ხსნის ბატონი რეზო ინანიშვილი მოთხრობაში – ,,ცივი წვიმა".

მოთხრობის მოკლე შინაარსი ასეთია: დედამ პატარა, 3 თუ 4 წლის გოგონას წითელი ფეხსაცმელები უყიდა,მაგრამ ფეხსაცმელი იმდენად წუნდებული აღმოჩნდა,რომ ბავშვს ბებერა გაუჩინა ცერზე. დედამ, ბუნებრივია, ფეხსაცმლის გამოცვლა მოინდომა,მაგრამ გაჯიუტებულმა გამყიდველმა,როგორც ,,განახმარიანებული საქონელი",უკან არ დაიბრუნა. აქ საქმეში ჩაერია მთხრობელი, რომელმაც მაღაზიის დირექტორის დახმარებით შეძლო ფეხაცმლის შეცვლა. გოგონას ფეხსაცმლის გამოცვლა კი ესიამოვნა,მაგრამ, როგორც ჩანს, ბებერა ისე აწუხებდა, რომ ახალი ფეხსაცმელიც კი ახლო არ გაიკარა. მაშინ მთხრობელი იძულებული შეიქნა ბავშვის დედას, რომელსაც დამატებით კიდევ ორი აბგა ეჭირა ხელში,ბავშვის ტროლეიბუსის გაჩერებამდე მიყვანაში დახმარებოდა. ასეც მოიქცა,მაგრამ რამდენადაც ის გაჩერება ტროლეიბუსის ბოლო გაჩერება იყო, ეს კაცი დედა-შვილს ტროლეიბუსში ჩასხდომაშიც დაეხმარა. ამასობაში წვიმაც წამოვიდა. მთხრობელს დასაწყისში ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ, როცა მძღოლს ავტობუსი უნდა დაეძრა,ამ კაცს გაახსენდა,რომ ბავშვი ფეხშიშველა იყო და მას ტროლეიბუსის გაჩერებიდან სახლამდე არსებული მანძილი ფეხშიშველა უნდა გაევლო და დედა, პატარა ბავშვით და ორი აბგით, ძალიან გაწვალდებოდა. ამიტომ გადაწყვიტა დედა-შვილი სახლამდე მიეცილებინა. როცა ისინი საჭირო გაჩერებამდე მივიდნენ, ამ კაცმა ბავშვი ხელში აიყვანა და სახლის სადარბაზომდე ისე მიიყვანა, რომ ბავშვს ფეხი არც დასველებია და არც დასვრია.

ასეთია მოთხრობის შინაარსი, არსი კი ისაა, რომ ქართველ მამაკაცს იმდენად აქვს ძვალ-რბილში გამჯდარი ქალისადმი დახმარებისა და პატივისცემის ვალდებულებაც და მოთხოვნილებაც, რომ სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა. მწერალს მიაჩნია, რომ ტრადიციულად ამგვარია ყოველი ქართველი მამაკაცის ქცევის ნორმა.

როგორ შეიქმნა რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „დედის“ ჩანახატი დეკორატიულ თეფშზე

მხატვარი თამარ იორამაშვილი

საგარეჯოში დაიბადა და გაიზარდა. ბავშვობიდან ოჯახმა შეაყვარა ხელოვნება. მ. თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი დაამთავრა, შემდეგ – სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ხაზვა-ხატვის ფაკულტეტი.

ასწავლიდა სართიჭალის 8-წლიან სკოლაში, საგარეჯოს პირველ სკოლაში,შეთავსებით კოლეჯში, პროფსასწავლებელში და სხვა სკოლებში.

2004 წლიდან საგარეჯოს კულტურის სახლის მხატვარ-გამფორმებელია.

მონაწილეობდა გამოფენებში:

საგარეჯოს კულტურის სასახლის საგამოფენო დარბაზი; ილიაობა (ყვარელი);

ერეკლეობა (თელავი); საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოფენები (სიღნაღი);

საგაზაფხულო გამოფენა (სიღნაღი); საშემოდგომო გამოფენა (სიღნაღი);

კახეთის რეგიონის ხალხურ შემოქმედებათა ფესტივალი (თელავის კულტურის სახლი); საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა (საგარეჯოს საკრებულოს სხდომათა დარბაზი).

მისი ნამუშევრები დაცულია: კერძო კოლექციებში (საქართველო, რუსეთი, საფრანგეთი). – მხატვრისა და პედაგოგის, თამარ იორამაშვილის პერსონა.

– საგარეჯოში ცხოვრობთ. როდის დაიწყო ხელოვნების სიყვარული?

– უკვე 40 წელია, რაც საგარეჯოს მკვიდრად ვითვლები.

ბავშვობა სოფელ სართიჭალაში გავატარე,დედა დიასახლისი იყო, მამა – მოსამსახურე. სახლში დასაქმებული იყო მუსიკალური ხელსაწყოების შექმნითა და რესტავრაციით. მუსიკოსიც იყო. მამას ხშირად ვეხმარებოდი, ვაკვირდებოდი მის საქმიანობას და ამანაც განაპირობა ხელოვნების სიყვარული.

– მ. თოიძის სამხატვრო სასწავლებელი დაამთავრეთ...

– სკოლის შემდგომ, 1974 წელს, შევედი მ. თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში კერამიკის განხრით. მყავდა არაჩვეულებრივი პედაგოგები: ცაცა (ესმირალდა) გელაშვილი-მირცხულავა და სუზანა ველიანი ყიფშიძე (ინსტიტუტზე მეტად ამ სასწავლებელმა მომცა ცოდნა).

ვმონაწილეობდი დიდი მოზაიკური პანოების აწყობაში,რომელთა ავტორი მხატვარ-მონუმენტალისტი ზურაბ წერეთელი იყო.

სადიპლომო პრაქტიკა ზუგდიდის ფაიფურის ქარხანაში გავიარე და წარჩინებით დავამთავრე.

– სულხან-საბას ორბელიანის სახელობის ინსტიტუტის ხაზვა-ხატვის ფაკულტეტი დაამთავრეთ. 33 წელი სკოლაში მუშაობდით, ასევე კულტურის სახლში, კოლეჯში...

– ოჯახის შექმნის შემდეგ მოგვიანებით გავაგრძელე სწავლა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხაზვა-ხატვის მეთოდისტის ფაკულტეტზე.

ვმუშაობდი სართიჭალის 8-წლიან სკოლაში, საგარეჯოს პირველ სკოლაში, შეთავსებით კოლეჯში, პროფსასწავლებელში და სხვა სკოლებშიც.

2004 წლიდან ვითვლები კულტურის სახლის მხატვარ-გამფორმებლად. ჩემი სამოღვაწეო ასპარეზი, გარდა სწავლისა, შემოიფარგლებოდა სკოლის კაბინეტების ინდივიდუალური გაფორმებამოწყობით, რაც დიდი ენთუზიაზმით კეთდებოდა ყოველთვის.

– თქვენი ფერწერული ტილოები ფერების სინაზითა და აზრის სიღრმით გამოირჩევა. როგორ შეიქმნა ნამუშევარი „დედა“,რომელიც რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსის გამარჯვებულს გადაეცა საჩუქრად?

— ჩემი ფერწერული ტილოები უფრო თემატური, ყოფითი ცხოვრების ამსახველია... რაც მაწუხებს და შთაგონებას მაძლევს, იმას ვამბობ ნახატშიც.

ისტორია დედაზე ადრეც მქონდა შესრულებული, როგორც კერამიკული, ისე ფერწერული. ექსპრომტად მომიწია, დამეხატა რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსის გამარჯვებულისთვის. ბატონმა ბესიკ ღვინაშვილმა მთხოვა, მომეფიქრებინა რამე და მაშინ შეიქმნა ჩემი საყვარელი მწერლის „დედის“ ჩანახატი დეკორატიულ თეფშზე.

— საგარეჯოს სახალხო თეატრის მხატვარი ხართ. რას გვეტყოდით თეატრში მუშაობაზე?

— ვიტყოდი, რომ არაჩვეულებრივი, მიჭიერი და ცნობილი რეჟისორი — ნიკოლოზ საბაშვილი ჰყავს საგარეჯოს თეატრს, სადაც დეკორაციებზე ვმუშაობ. ესაა სპექტაკლები: „ოჯახური იდილია“, „ცხოვრება მშვენიერია“, „გარეჯულა“, „სისტემა“, „კლოუნადა“ მ. ხოკერაშვილისა და პ. ქვლივიძის „ნუ დამადანაშაულებ მე“.

ჩემთვის ძალიან საინტერესოა თოჯინების თეატრშიც დეკორაციებზე მუშაობა. ეს სპექტაკლებია: „იდუმალი ჰიპოპოტამი“, „ჩექმებიანი მგელი“, „ნახევარქათამა“, „სამი გოჭი“.

— მრავალი გამოფენის მონაწილე ხართ — ერეკლეობის, ილიაობის, საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოფენების, ხალხურ შემოქმედებათა ფესტივალების, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი გამოფენის... რომელი გამოფენა დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?

— უფრო ადგილობრივი გამოფენებით შემოვიფარგლები. გარეჯობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი, კულტურის სახლის საბიბლიოთეკო ღონისძიებები, საზაფხულო ზეიმები და საავტორო ღონისძიებები.

ჩემი ნამუშევრები დაცულია: კერძო კოლექციებში (საქართველო, რუსეთი, საფრანგეთი).

დიდი სიხარული მომიტანა თელავის გამოფენა-გაყიდვამ, სადაც საფრანგეთის მხარემ შეიძინა ჩვენი ნამუშევრები. დაგვენანა, მაგრამ გაჭირვებას რა ვუთხრათ...

ამას წინათ, თბილისის მერიამ გამოსცა 700 მხატვრის ნამუშევრების წიგნი, სადაც ჩემი 1 ნამუშევარიც შევიდა.

— ჰობი...

— რაც კი ხელოვნებას უკავშირდება, ყველაფერი...

— ოჯახი...

— მყავს სამი შვილი, ქალბატონი, 1 დაოჯახებულია; ერთი შვილიშვილი, მეუღლე გარდამეცვალა.

— სამომავლოდ?

— გამოფენაზე და ჩემს შედეგიან მუშაობაზე ვფიქრობ. ძალიან ბევრი დრო დავკარგე. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება.

ᲙᲝᲓᲘᲐ

ᲯᲣᲑᲐ ᲦᲔᲑᲔᲚᲘ

* * *

იქნებ იმიტომ დავლიე წუხელ,
რომ ცოტა მაინც ჩამეცხრო დარდი,
ვით უკანასკნელს, ვითვლიდი წუთებს
და სხეულს ბოლო ცრემლებით ვბანდი...
იქნებ და, სულაც არ იყო ღვინო
და მე უბრალოდ დამათრო დარდმა,
შორს, ქრისტეს მთებში მძინარე ღილღო,
არღუნში მცურავ ორაგულს ჰგავდა...
მე მაინც ვსვამდი, ბოლომდე ვსვამდი
და მთვრალი შენკენ მოვდევდი ნისლებს,
გახრწნილი ლეშით ძღებოდნენ სვავნი
და შმორის სუნით გაჟღენთილ სივრცეს
არბევდა ქარი და... ქარიც ჩაცხრა,
ზეცის სარკმელი განიხვნა თითქოს,
გადმოვიარე ცხრა მთა და ცხრა ზღვა,
ვიგრძენი შენი ხელების სითბო...
მზეებით მოვრთე სასახლე ისლის,
არავინ იყო ჩვენ ორის გარდა,
მოღრუბლულ ცაზე მთვლემარე ნისლი,
ზღვის ფსკერზე მძინარ ორაგულს ჰგავდა!..

* * *

მე შენს სარკმელზე წვიმის ერთი წვეთი ვიქნები,
ჩრდილი ვიქნები შენი მზის ქვეშ მთვარის
ფეხებთან,
მიწა ვიქნები დათოვლილი შენი ფიფქებით,
მოდი, რომ შემძრას, შემაჟრჟოლოს შენმა შეხებამ!..
მე შენს ოთახში ცა ვიქნები უკიდეგანო,
ღამე ვიქნები ვარსკვლავებით სავსე პინაზე,
ლექსი ვიქნები არეული, მთვრალი, ბოგანო,
მოდი, ჯვარს მაცვი, სიყვარულო, ჩემო პილატევ!..
მოდი, სანამდე გაგვჭორავდეს ხალხი მილეთის,
რა საჭიროა სიყვარული ღია, მყვირალა,
აღებული მაქვს ამ ქვეყნისთვის ორი ბილეთი,
ერთ-ერთს აქედან იმ ქვეყნისკენ მარტო მივყავარ!..
შენ აქ დაგტოვებ, ამ ცხოვრების არსი გაიგე
და თუ ხანდახან შეერევა სიტკბოს სიმწარე,
ხელს შეგაშველებს, არ შეშინდე, არსთაგამრიგე
და სიყვარულის ღმერთად ივლი დედამიწაზე!..

მზია ლეფაევა

მე...

სიყვარულის ნიჭი, დედის რძემ და აკვნის
ღინკილამაც მიბოძა,
სურნელება მომაფრქვია იამ, ენძელამ და მიმოზამ.
მშობლებმა არ შემაჩვიეს ბარხატსა და ფარჩას,
ღირსების ცნობიერება, ოჯახური იდილიით გაჩნდა.

გვირგვინი რომ არ მელოდა, ქალის როლი,
მაგრძნობინა ბაფთამ,
შრომის ჟინი, თვით უფალმა მიბოძა და თილისმად
დამრჩა,
უღალატო ერთგულება, მე, სულმნათი
დედ-მამისგან მენდო,
სიფხიზლე და სხვაზე ზრუნვა, საგზლად უხვად
მერგო.

თვით სიცოცხლეს, აღმაფრენად, ნეტარებად
ვუცქერ,
ფრთახატულა ოცნებებს კი, ბავშვობიდან ვუძლებ,
ალალ ღიმილს, ღვთითბოძებულ მიწის ყივილს
ვუმღერ,
კრძალვითა და რწმენით სავსე, მე უფლის ხატს,
პირნათელი ვუმზერ!

განაჩენი

ფარფატა ფრთები და მძიმე ტვირთი,
მოუსვენარი წამი და წუთი,
შრომა, ძიება, ოცნება, ფიქრი,
სიყვარულს მაინც ღალატით იმკი.
უფლისმიერი გონით და ნიჭით,
გამოუცნობი ნდობით თუ იღბლით,
კეთილი გულით, იდუმალ ხიბლით,
მაინც არსებობ და... მაინც იღვწი.

ხვალე!..

მე, ბროლის კოშკის სადარბაზო არ მინახავს, არც
მიძებნია,
სირინოზის ხმა არ მსმენია, არც მიმღერია,
ედემის ბაღში, ტირიფთ ჩრდილები არ მიმელიან,
და მაინც, ხვალე ჩემთვის ყველაფერია!

ხვალ ღრუბლის ქულა არსად მოსჩანს, ცა
ცისფერია,
წყვდიადი ნათელს დაუჯაბნავს, მზე სხივმფენია,
კელაპტრის ნაზი ანარეკლი სულისმშვენია,
ალბათ ამიტომ, მართლაც ამიტომ, ხვალე ჩემთვის
ყველაფერია!

ზმანების მსგავსი სიხარულებიც, იმედმფენია,
სიწმინდე, ტრფობა, კაცთერთგულება,
გულს ჩაჰკირვია, სულს მიბნევია
და ამიტომაც, მართლაც ამიტომ, ხვალე ჩემთვის
ყველაფერია!

წამიერი ტანგო

მზის სხივმა თვალით მომნუსხა,
შორს გამიტყუა მარტო,
ღიმილი ვაჩუქე....
„ღიმილად არ მსურხარ,
ჩემთან იცეკვეო ტანგო“.
არ მეხერხება ტანგო,
ღიმილი კი მაქვს საზრდოდ,
„ო... რა მაცდური ყოფილხარ,
დამტოვე... დამტოვეო მარტო“!

ახალი დროება!

დრო დაგვიდგა ჯადოსნური,
სამყაროს ვფლობთ „ლუპით,“
ნაცნობს, უცნობს, ესსეს, რომანს,
ყველას ვეძებთ „გუგლით“.
აქვე ვნახავთ ისეთ კაცს, რომ
მემკვიდრედ ჰყავს კნუტი.
თან, „ზღვა-ფაფად“ სიმდიდრე აქვს,
იცავს მთელი გუნდი.
ზღაპრად თქმული ამბები რომ
რეალობად იქცა,
ტრადიციით შთაგონება?
ღიმილად გადიქცა.

პროზა

თემო ვაშაყმაძე

რა მინდოდა კუს ტბაზე?!

„როცა მივაპყარ გულისყური, შევიცან სიბრძნე, მეცნიერება, უმეცრება და სისულელე, მივხვდი — ამასაც არა აქვს აზრი.

რადგან, როცა დიდია სიბრძნე, დარდიც დიდია; მრავლის შეცნობა ადამიანს წუხილს უმრავლებს“.

ეკლესიასტე (1,17-18).

მარტი ცივი ქარებით,უჟმური განწყობით,ნერვოზ-ით,სუბსარქისით 8 მარტით,გავიდა. გამოაპრილდა და დათბა... დათბა გულშიც, დათბა... გადავწყვიტე, კუს ტბაზე სეირნობით დამეგდო ზამთარში მოჭარბებული წონა და დეპრესია. სამსახური მე არ მაწუხებს, დრო — თავზე საყრელი... და კუს ტბაზე სეირნობას და ჯანის აღდგენას რა სჯობს? მთავარია, ვინმე ამეყოლებინა... ერთხელ მარტო ავედი და, ძველი ნაცნობი შემხვდა:

— გამარჯობა, „იმანო“!

— შოთიკო, დევიკო.

— შოთიკო, ან ვინ დევიკო,— ვკითხე იმანოს.

— შოთიკო მქვია,— შემახსენა სახელი.

— გაიხარე, შოთიკო, მაგრამ მე დევიკო არა ვარ, მე ძმა ვარ დევიკოსი, ხშირად ვეშლებით, არადა, ის ქერაა,მე — შავი, თანაც ის დევიკოა,მე კი — თემიკო.

— გაიხარე...

მოკლედ,სამი წრე დავარტყით,შემდეგ ჩამოვსხედით. შევთანხმდით,რომ დღეს არ ჩავაგდებდით,თუმცა კი მე შორიდან მომიწევდა, მაგრამ შოთიკომ ეგ საქმე მოაგვარა, მანქანით ზემელზე დამხვდებოდა და, ასე, კი, ასე იყო.

.....

შოთიკო,საკმაოდ წესიერი და კეთილი ადამიანი,5 შვილის მამა, 1992 და 1995 წლებში პარლამენტარი იყო. ჩუმი, უპრეტენზიო, თუმცა კი ბევრის მცოდნე, წიგნის მოყვარული... წესის კაცი, აფხაზეთსა და ცხინვალში ომგამოვლილი, სასიამოვნო მოსაუბრე... შოთამ დეპუტატობის დროს ორი მაღაზიის პრივა-ტიზება მოახერხა თანაპარტიელთან ერთად, დღეს ეს მაღაზიები გაქირავებული აქვს. შემოსავალს არ უჩივის, თუმცა კი 5 შვილის მამაა და, მაგრამ კაცი არ არის შოთაზე აუგის მთქმელი... რელიგიურია და საკმაოდ ბევრ გაჭირვებულს ეხმარება. მოკლედ, კაცია!! კი, კაცი და წესის კაცია, ისეთი კაცია, ორ-მოდან რომ ამოგიყვანს და არ დაგამადლის... ასე დავდიოდოთ, შაბათ-კვირის გარდა, ყოველდღე... შაბათს და კვირას კი შოთა მონასტერში იყო. აკი ვთქვი და გავიმეორებ: წესის კაცია და ამაში ცუდი არაფერია...

.....

ერთხელაც ავედით და... მაღალი, შავი ნაქსოვი ქუდი,ამერიკელი სამხედროების სქელლანჩიანი ბათ-ინკები, გრძელი ხაკისფერი პლაშჩი და უზარმაზარი შავი ძაღლით,ასე 50-55 წლამდე კაცი,ხელში კომბ-ლისნაირი ჯოხით. ყურსასმენებით ყურებში. გრძელი ჩქარი ნაბიჯით, ხან წაუცეკვებდა, ან წაუმღერებდა ალბათ იმას, რასაც უსმენდა. წრეს დაარტყამდა და ხმამაღლა შესძახებდა:

„არის ქართული კაპროლაქტამი“! ძაღლი კი არ შორდებოდა, თითქოს ფეხებზე გამობმული ჰყავდა. უცხოელის თუ ძველი კუსტბელების ყურადღებას იქცევდა, თუმცა გამომწვევად არ იქცეოდა. სამი წრე დავარტყით და შესასვენებლად ჩამოვსხედით. ვსხედვართ, ვისვენებთ.

გრძელპლაშჩიან-ბათინკებიანმა კომბლემ, სანამ ჩვენ სამი წრე დავარტყით, 6 ან 7 მოასწრო და ისიც ღია ბარის მაგიდასთან ჩამოჯდა....

— ტამანგო,ჩაი დავლიოთ და წავიდეთ, არა?კარგია, ვიაროთ, თუ დრო გვექნა, კარგია, არა, ტამანგო?

ძაღლმა წაიწკმუტუნა...

— შეიძლება,ქალბატონო? — მიმართა კუს ტბაზე ყველასთვის ცნობილ მიმტან იფიციანტს.

— თქვენთან AMEX-ით გადახდა შეიძლება?

დალი დაიბნა. ბარში შევიდა და:

— არა, ბატონო, არ შეიძლება! — გამოიტანა ბარის მენეჯერისგან პასუხი.

—კარგით, ქალბატონო, არ შეიძლება და ნუ შეი-ძლება, ჩვენ პივის ბაკლით ცხელი შავი ჩაი და 4 ცალი პლიტკა-შოკოლადი გვინდა. ეს ხომ შეიძლება? — იკითხა კომბლემ მორიდებით, თან შეგვათვალიერა ახლო-მახლო მსხდომნი და გაიღიმა.

დალი დაეჭვდა. — ფული გაქვთ? — შეეკითხა კომბლეს. — ფული? რა გითხრათ, ჩაის და შოკო-ლადს რომ ეყოს, მაგდენი გვექნება..

— თქვენ მარტო ხართ? — არ ეშვება ეჭვიანი დალი.

უკვე ყველა ამ სცენას ვაკვირდებით და ველით, როგორ გაგრძელდება ეს ყველაფერი.

— რატომ მარტო? — მე და ტამანგო ვართ. ორი შოკოლადი მე, ორიც — ტამანგოს.

— გეყოფა ორი, ტამანგო?

ძაღლმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია... დალი კი უკვე სერიოზულად გაბრაზებულ-დაბნეული შე-ვიდა ბარში დაცვის დასაძახებლად.

შოთამ გადმომილაპარაკა: ეგება დავეხმაროთ? ჩანს, ფული არ აქვს. გვერდით მაგიდასთან უცხოელები ისხდნენ, ისინიც ჩაის სვამდნენ, მაგრამ მიხვდნენ, რომ სიტუაცია რაღაც ვერ იყო და:

— ეფენდი, — მიმართეს კომბლეს. კომბლემ კი, ვინც „ეფენდი“ დაუძახა, მასთან გააბა საუბარი. დალი და დაცვა კი ბარიდან იყურებოდნენ. კომბლე

კი ამ ირანელებთან ჟღურტულობდა, რამდენჯერმე ხმამაღლა გადაიხარხარეს, კი, ირანელებთან არაქართულად რომ არა, ეს გასაგებია, არც ევროპულად. ალბათ სპარსულად. ფაქტი კი ისაა, რომ საკმაოდ მხიარულად საუბრობდნენ... აღირსა დალიმ შოკოლადები და პივის ბაკლით ადუღებული წყალი და ერთჯერადი ჩაი MARYAM TEA...

შოკოლადი ჯერ ერთი გახსნა და შუაზე გატეხა. ნახევარი ძაღლს მისცა, ნახევარი კი თავად ჩაკბიჩა, ესიამოვნა... მეორეც გახსნა და მთლიანად ძაღლს დაუდო. მოუღეს ბოლო შოკოლადს. ჩაის კი სვენებით სვამდა, როგორც კი დალია, დალი ეგრევე თავზე დაადგა:

– თქვენზე 13 ლარი და 78 თეთრიაო.

– ცამეტი ლარი და 78 თეთრიო?

კარგი და პატიოსანი... და დაიწყო კომბლემ ჯიბეების ქექვა... მორიგეობით და თან იღიმებიდა და იმეორებდა:

– 13 ლარი და 78 თეთრიო, კარგი და პატიოსანი.

.....

„13 ლარი და 78 თეთრი, კარგი და პატიოსანი," ერთი ჯიბიდან მეორეში, მეორიდან – მესამეში... დალი კი დგას და ელოდება, ეს ისევ „13 ლარი და 78 თეთრი, კარგი და პატიოსანი" – ჩაიხვია.

ჯერ ერთი, კარგი და პატიოსანი კი არა, კეთილი და პატიოსანი. მეორეც, დროზე ფული, თორემ დაცვას დავუძახებ. – შეუღრინა დალიმ. შეღრენა ასეთი არ უნდაო და, ტამანგო წამოიმართა... დალი შეშინდა. ეს კი კეთილმა და პატიოსანმა:

– Setze dich UND RUHE!

– FARA YOK (ფული არ გაქვს)? – გამოსძახეს გვერდითი მაგიდიდან, ვისაც ეჟღურტულებოდა.

– VAR MI FARA (მაქვს ფული)...

დალი – შეშინებული და გაბრაზებული ერთდროულად, შეშინებული ამ ლომისხელა შავი ძაღლისგან, გაბრაზებული კი ამ შეშლილი კომბლესგან.. დააპირა დაცვისთვის დაძახება და „შეშლილმა" პლაშჩის ჯიბიდან ბღუჯად დაკუჭული ქაღალდების გორა დაახვავა მაგიდაზე, დალის კი: „ვაააააააააააახ" აღმოხდა.

ეს ქაღალდები 100 და 50-ლარიანი კუპიურები იყო. იმ გორადან ერთი 50-ლარიანი კუპიურა გამოაძრო, გაშალა, დალის გაუწოდა და:

– ხურდას – 36 ლარს და 22 თეთრს ველოდები! – ისევ უკან, პლაშჩის ჯიბეში, ჩაიყარა დაკუჭული კუპიურების გორა. ჩამოჯდა პლასტმასის თეთრ სავარძელ სკამზე (როგორც ცნობილ ფოტოსურათზე, სადაც ქართველთა სულიერი მამა – ილია, ცალი ხელით ტროსტზე დაყრდნობილი, ფეხი ფეხზე გადადებული, ხოლო თავი კი მარჯვენა ხელზე დაყრდნობილი პოზით), დაუწყო თვალიერება კუს ტბაზე მოვარჯიშე-მოსეირნეთ, მეტადრე ქალბატონებს აკვირდებოდა, განსაკუთრებით მათ, ვინც მონდომებით ცდილობდა ზედმეტი კალორიების დაწვას და ამით ცელულიტების გაქრობას. ამათი შემყურე პოზა პროზიდან: „აყვავებულა მდელო, აყვავებულა მთები, მამულო, საყვარელო, შენ როსღა აყვავდები"?! – პოეზიაზე გადავიდა, აიხედა და ისევ ეს ოფიციანტი.

– აქ ხალხი დასასვენებლად ამოდის და თქვენ კი ხელს უშლით...

– ქალბატონო, აქ ხალხი კილოკალორიების დასაწვავად და დასაღლელად ამოდის, დაიღალონ, გახდნენ და იყვნენ მიმზიდველნი, და არ ჰქონდეთ სქელი ტრაკები, კი ამისთვის ამოდიან, და ეს ოოოო, რა კარგად იცით მერე თქვენ, არა?! ხურდა მომიტანეთ?

– არა, არ მომიტანია...

– მომიტანეთ დროზე, თორემ ტამანგოს მოგიქსევთ!

– კი, ამ წუთში მოგართმევთ, – შეშინებული ოფიციანტი გავარდა ბარისკენ... ხურდის მოლოდინში „კომბლე" ძაღლითურთ გვერდით მაგიდასთან მივიდა. ირანელი თუ თურქი კაცი, ორ ხანუმთან ერთად იჯდა და ჩაის სვამდნენ. ქალბატონები – თავსაბურავით, ისლამური წესით – შუბლი, ყურები და ყელი დაფარული თავსაფრით. ტანთ კი საკმაოდ თავისუფალი სტილის მოკლე კაბა ეცვათ... ჩუმად საუბრობდნენ. კომბლე რაღაც ამბავს ყვებოდა, ესენი კი ხალისიანად იცინოდნენ.

დალიმ ხურდა და ჩეკი მიუტანა, შეშლილმა გამოართვა.

– მთელი ზამთარია სახლში ვარ გამოკეტილი... პირველად გამოვედი გარეთ. ამ აყვავებულმა ხეებმა, ამ სურნელმა, მთამ, ტბამ, მზემ და ხალხმა გამახარა, გამახარა და ავდუღდი. თავს რეტი დამესხა, და მაპატიეთ, გთხოვთ, ძალიან გთხოვთ! ისე საწყლად შეხედა დალის, თითქოს მისი სიცოცხლისა და სიკვდილის ყოფნა თუ არყოფნა დალის პატიება- არპატიებაზე იყო ჩამოკიდებული.

ოფიციანტსაც აქვს სენტიმენტი, თანაც, როცა ასე გთხოვენ, გაზაფხულიცაა და პლაშჩში გორა ფარა გეგულება, და ამ პლაშჩის პატრონი, არ იცი, რისთვის, პატიებას გთხოვს. გაიღვიძა სენტიმენტმა და დაბნეულ დალის ღაწვები შეუწითლდა:

– საპატიებელი რა გააკეთეთ, რო?! თუმცა მიპატიებია...

ეხ, დალი, დალი!

აი, ეს თუმანი, მე ამ დროს ამოვალ ყოველ დარიან დღეს, ავდარში – არა. 4 პლიტკა-შოკოლადი, 2 ტამანგოს, 2-ც მე. და ჩაი პივის ბაკლით, ოღონდ ეგებადა, ცოტა კარგი იყოს!

– აბა, წავედით...

ტამანგო, Komm MIT!!! გავიდა ღია ბარიდან, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და შემოტრიალდა სახით ჩვენკენ, ბარში მსხდომნი აგვათვალიერ-ჩაგვათვალიერა და...

– Proletarier aller Länder, vereinigt euch! Lebenist so schwer Herr arxs (პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით! ცხოვრება რთულია, ბატონო.... მარქსო!)!..

რატომღაც პროლეტარ და შეჭირვებულ ხალხად ჩაგვთვალა ეტყობა და...

Lebenist so schwer Herr Marxs. კი ამაში მართალია, ცხოვრება რთულია, ბატონო მარქსო!..

„სტაიანკაზე" წითელი ოპელის ტაქსი ელოდებოდა, მძღოლის უკანა კარი გაღო,

– ტამანგო STEIGEB EIN!

ძაღლი შეხტა მანქანაში, ამან კი კომბალი შეაგდო

და თავადაც ჩავჯდა, კარი მოიხურა და WIDERSEHEN! ICHKOMME NOCH!

გაზაფხულზე კუს ტბა მშვენიერია, ფერდობებზე თეთრად და ვარდისფრად აყვავილებული ხეები. ღია მწვანე ყლორტები და ამ ყვავილთა სურნელი, მართლაც,გამშვიდებს და ძალას გმატებს. ძალას სიცოცხლისას,როცა ხედავ,ზამთარში ,,გარდაცვლილი'' კუს ტბის გაზაფხულზე აღდგომას გრძნობ,რა ძალი აქვს ამ სილამაზეს,გრძნობ და შენც გაზაფხულდები და გრცხვენია ზამთრის ერთფეროვნებისა. კი დამრთგუნველი და მომაკვდინებელი ერთფეროვნებისა!

ძალიან უხდება თბილისს კუს ტბა და კუს ტბაზე მოსული ხალხიც, არტისტული ნიჭით მოჭარბებულნი, სიარულის მანერითა თუ ორძელზე მიზიდვით, და წარმოიდგინეთ, ლახტზე ხტუნაობითაც. ყველგან იგრძნობა ეს ნიჭი თამაშისა. აჩვენო სხვას სპექტაკლი, თავის მხრივ, ის სხვა შენთვის ირჯება და კუს ტბის სცენაზე ისიც წარმოდგენას გთავაზობს გაზაფხულზე, და ზაფხულს ეს წარმოდგენები სრული აშლანგით იმართება. ზამთარში კი ისევ – ,,გარდაიცვლება'' კუს ტბა. მხოლოდ თავზე ზედმეტად შეყვარებულები არ აცდენენ ზამთრის სპექტაკლებს, თუმცა კი ზამთარში მონოტონურად მიდის წარმოდგენები.

ეს ჩემი ფიქრები შოთიკოს გავანდე, გაიხარა, ძალიან გაიხარა, და...

,,Вся наша жизнь – игра, а мы в ней – актеры'',– ეს მე არ მითქვამს,შექსპირმა თქვა,მე კი ვეთანხმები. შენ? – მკითხა შოთიკომ.

– რა გითხრა,შოთა,მე შენ გეთანხმები,შექსპირისა კი, აბა, მე რა ვიცი?! – ამ საუბარში ვართ და....

,,არის ქართული კაპროლაქტამი''-ს წამოვეწიეთ, კომბლე – ძველ და ერთგულ კუსტბელ მშვენიერ მადილოსანთან ერთად. საუბრობდნენ, რას? ნაბიჯი შევანელეთ და:

– რა ცუდია, რომ აქამდის არ ვიცოდი ამ ადგილის არსებობა, აქ ყველანი ლამაზები და ბედნიერები ხართ, ეს კი მახარებს, ბედნიერება გადამდებია, ასევე – სილამაზეც, ნახავ ლამაზ ქალს, მოგეწონება, მოტივაცია გიათმაგდება, გახდე მისი ყურადღების ღირსი, დაიწყებ თამაშს, ერთობი თამაშში, თან გსიამოვნებს ეს როლი.

– რა როლი?

– როლი? როლი, მოსწონდე ლამაზს ქალს,ვინც შენ მოგწონს...

– მე, ქმარი მყავს, გეთაყვა..

– მე,უცოლო ვარ,მაგრამ რომ მყოლოდა,თქვენნაირ მოხდენილად მოსეირნე პუმას, არა ავაზას, ვირჩევდი, ავაზას, ვნების და სურვილის მომგვრელს, და მზად ხარ, ამ მოხდენილი ავაზის მსხვერპლი გახდე, ოღონდაც კი შენ ვნება ავაზისა შეიმეცნო, ვნება დაუმორჩილებლის დამორჩილებისა!

ნაბიჯი კიდევ მეტად შევანელეთ,ეს ავტომატურად, კომბლე,კუს ტბის ერთ-ერთ ტურფას ,,კერავდა'',ჩვენ კი,ჩვენდა უნებურად,ამის შემსწრენი აღმოვჩნდით... ხელი რომ არ შეგვეშალა, თითქმის გავჩერდით. ძალიან ნელი და მოკლე ნაბიჯით მივდიოდით. ვერხვებს მიუახლოვდნენ და:

– დავიღალე, ხომ არ ჩამოვსხდეთ?

– ოოოოო, როგორ მიყვარს ეს ადგილი,საათობით მინდა აქ ვიჯდე და... კი, ჩამოვსხდეთ... – ტამანგომ, ტურფამ და კომბლემ ვერხვებისკენ სავარჯიშოებთან გადაუხვიეს და გრძელ ,,სკამეიკაზე'' ჩამოსხდნენ... ჩვენ კი ნაბიჯი დავაგრძელეთ და ავაჩქარეთ კიდეც, მესამე წრეზე კი ვერხვებთან,კუნთმაგარი მოვარჯიშეები, – ზოგი მუცლის პრესის, ზოგი ბიცებსის ვარჯიშით... და, მოკლედ, ტურფა, ტამანგო და კაფროლაქტამი აღარ ჩანდნენ...

პარასკევი დღე იყო, შოთიკო შაბათ-კვირას მონასტერში ადიოდა და ამიტომ პარასკევს დიდხანს ვრჩებოდით ტბაზე, კიდევ ერთი წრე დავარტყით და ღია ბარში შევედით. სკამებზე ჩამოვსხედით დასასვენებლად. დალის ფორთოხლის წვენი შეუკვეთეთ...

– ტამანგო, რა უცნაური სახელია, ტამანგო რატომ დაარქვი?

ჩვენ უკან, მაგიდასთან კომბლე და ტურფა ისხდნენ, ტურფა მარტინს სვამდა, არაქისით, კომბლეს კი პივის ბაკლით ჩაი და ტამანგოს 2 შოლოკადი უკვე შეჭმული ჰქონდა და კიდევ უნდოდა.

– ესე ერქვა, რომ მაჩუქეს.

– გაჩუქეს?

–კი, ერთი კენიელი მეგობარი მყავს, სამი წლის წინ მაჩუქა,ტამანგო კი ჩემი კენიელი მეგობრის დიდ პაპას ერქვა,ტომის ბელადი იყო,გრძელი ისტორიაა...

– მიამბე რა, მიამბე, თორემ ავაზა ვარ და...

– კარგად არ ვიცი, ტამანგომ ერთი ცოლი სიმთვრალეში გაყიდა, შემდეგ ინანა და უკან დაბრუნება მოისურვა, თეთრებმა ესეც დაატყვევეს, მოკლედ, არ შეეპუა ბელადი ტამანგო მონობას და ავჯანყდა,,,ჩაძირა გემი'',მგონი,ასე იყო.... ამის შესახებ ერთ მწერალ პროსპერ მერიმეს აქვს დაწერილი, ასე მიამბობდა ჩემი მეგობარი, და კიდევ, ამერიკის პრეზიდენტი ობამა ტამანგოს ურიცხვი ცოლიდან ერთ-ერთის შვილთაშვილის შვილია, ესეც მეგობარმა მითხრა...

შოთიკო სიცოლს ვერ იკავებდა, თანაც ჩუმად ამბობდა: ,,ვა

ბაზეა წასასვლელი... აქ კი, მაგრამ თავი შეიკავა და მითხრა:

— საინტერესო კაცი ჩანს, ხომ არ გაგვიანდება?

— არა, სად მაგვიანდება?

— დავრჩეთ, ვნახოთ, აქ შესაძლოა, რაღაცა მოხდეს...

სხედან სამი კუს ტბის ტურფა და ეს კომბლე... ტურფები ახლა საქმიანობით დაინტერესდნენ...

აქ კი კომბლეს სახე შეეცვალა და: „ოოოოო. აი მაგაზე შემიძლია დაუღალავად ვისაუბრო, მიყვარს ჩემი საქმე ძალიან მიყვარს“...

— მწერალი, ან მხატვარი ხართ?

— არა, შემოგევლეთ, რა ხატვა, რის წერა?! მებაღე ვარ, მებაღე, ოღონდ ძვირად ანაზღაურებადი მებაღე...

— ბიოლოგი ხართ?

— არა, უბრალოდ მებაღე, იმდენად მარტივია ჩვენი საქმე, რომ მხოლოდ დროზე ჩარევაა საჭირო, რათა ბაღი არ გახმეს უწყლობით, ან არ გადალპეს ზედმეტი ნალექით.

— და თქვენ რას აკეთებთ?

— ბაღს ვაშენებთ და შემდეგ კი გაშენებულ ბაღს პატრონს გადავცემთ. ეს არის სულ.

იმდენად მარტივი, ოღონდ სარისკო საქმეა, რომ ბაღის მეპატრონეები საქმის სიმარტივისა და ინტელექტის არ საჭიროების გამო ბატებს გვეძახიან, თანაც, გაგეცინებათ და, გარეულ ბატებს. თუმცა კი, ბაღს რომ გავაშენებთ, გადავცემთ მეპატრონეს. რატომღაც იმას უხმება ბაღი და ისევ ჩვენს იმედზე არის მეპატრიონე.

— და ვინ თქვენს იმედზე?

— გარეული ბატების იმედზე...

— და ბევრს გიხდიან?

— ბაღს გააჩნია, ისე კი ყველაზე პატარა ბაღში — ერთ მილიონს...

— მილიონს მარტო თქვენ?

— არა, გარეული ბატები მარტო სად გინახავთ? ისინი ხომ ერთად დაფრინავენ, ასე 25, ხან 50 კაცი...

— შოთიკო კი ახლა სერიოზულად დაიძაბა, მთხოვა, მე წავალ, კიდევ ერთ წრეს დავარტყამ და წავიდეთო...

— შოთა, თუ გინდა ახლავე წავიდეთ?

— არა, გავივლი, დამშვიდდები ცოტას.

მოკლედ, ამ კომბლემ აცინა და ახალისა ეს ქალბატონები, ბოლოს ავაზამ თავისი მანქანის გასაღები მისცა და, შენ წაგვიყვანეო..

დალის დაუძახა, ფული გადაიხადა. ქალბატონები მანქანაში ჩასხა, შემდეგ მომწვანო ფერის ოპელის ტაქსს ფული და მადლობა გადაუხადა და გაუშვა. ბარისკენ მობრუნდა, თითქოს პაკლონზე გამოვიდა კარგად შესრულებული როლისთვის და აპლოდისმენტებს ელის, გაჩერდა, ტაში რომ არ დაუკრეს, ხმამაღლა თქვა: „Партия — ум, честь и совесть нашей эпохи“! და „ეხ, ВОВА, ВОВА, ЖИЗИЬ КАК ХУИВОВА“!

თავი დაგვიკრა, გაბრუნდა მანქანაში ჩაჯდა და წავიდა სამ ტურფასთან ერთად... ტამანგო და კომბალი, რაღა თქმა უნდა, თან წაიყვანა და წაიღო...

შაბათ-კვირას ორშაბათიც მიჰყვა. სამი დღე არ ვიყავით კუს ტბაზე. შოთა შაბათს და კვირას მონასტერში იყო, ორშაბათს კი ოჯახს, ბევრსა და საყვარელ შვილებს მოეფერა. დასვენებული, ნაზიარები, ოჯახით გახარებული, სამშაბათს ავედით ტბაზე... გავილაღეთ. თბილოდა, უკვე ქურთუკის კი არადა, მოკლე მაისურითაც შესაძლებელი იყო სეირნობა. მონატრება და შეჩვევა იცის ვარჯიშმა თუ კუს ტბამ, ეს კი ვერ გავიგე... ისე, რაღაც გრძნობა დამეუფლა: 50-60-იან წლებში თბილისელისათვის, გაღმელ-გამოღმელთათვის რუსთაველის პროსპექტი საკუთარი და მშობლიური იყო, იმდენად მშობლიური, რომ საღამოს აუცილებლად უნდა ერთხელ აგევლო, რათა ქალაქის მუხტი და სითბო მეორე საღამომდის გაგყოლოდა და კეთილი ღამე გქონოდა... კი, წმინდა ადგილი იყო რუსთაველი 50-60-იან წლებში თბილისისთვის.. ასე მიამბობდნენ მშობლები და ასაკოვანი ქალაქელები (p. s. ნარმანიასა და ბიძინასთან უკაცრავად!)... კუს ტბა კი, მართლაცდა, კარგი დასასვენებელი ადგილია, თანაც 50-იანი წლების თბილისის რუსთაველი, მოდის დამკვიდრებისა და ახალი ამბების გასაგები ადგილი, 21-ე საუკუნეში კუს ტბის ელიტამ შეცვალა..

...ერთი წრე დავარტყით, მეორე წრეზე ვართ მე და შოთა, რატომღაც მდუმარედ ვსეირნობთ, რაღაც მოვისაკლისეთ, კი, რაღაც აშკარად გვაკლია, მაგრამ რა? რა და, მეორე წრეზე ვართ და....

„არის ქართული კაპროლაქტამი“. — მოგვესმა ვერხვებიდან. გავიცინეთ.

— მაგარია ეს ჩემისა, ვიღაცაა, — თქვა შოთამ.

— კი, მაგარო, ხვითო ჩანს თუ რასაც ჰყვება, ის მართალია, მაშინ, ოოო... საფრთხილო კაცია, კი, ეგრე ჩანს, სულ მთლად ტყუილს არ უნდა ჰგავდეს მაგის „გარეული ბატობა“... საინტერესო ისაა, ამ ლამაზმა ქალბატონებმა იციან კი გარეული ბატის რაობა?

— არა მგონია, ისე კი, ყველაფერი შესაძლებელია, — თქვა შოთამ.

მესამე წრის შემდეგ ჩამოვსხედით, ძველ გადამდგარ ძალოვნებს მივესალმეთ, რაღაც ცხვირჩამოშვებულები ჩანდნენ.

— რა იყო, მოხდა რამე? — იკითხა შოთამ.

— არა, არაფერი, ამ კომბლემ წაიღო ტვინი, ამოვიდა ყელში მაგის კაპროლაქტამი და ლოზუნგები სხვადასხვა ენაზე. — ქალებს კი ჭკუა სად აქვთ ნეტავ?

— ჰა, ეჭვიანობთ, ბებრებო? — თუმცა რა გითხრათ, მეც კი მაგრამ არაო, ვერ გავუბედე, თურმე დაიკიდე და, ქალები კი, მართლა გაამოაზაფხულა. ატკარცალებლნი, ლაღნი, სადღაც გაქრა მათი დაყენებული მკაცრი გამოხედვა — „რაიმე ცუდი არ იფიქრო“... თუმცა კი მე გამოზაფხულებულებს მაინც, გალაკტიონის არ იყოს, ის შემოდგომის ნაზი და დაყენებული სახეები მერჩია. შოთამ ხმამაღლა გადაიხარხარა,

— ხოდა, ჩემო თემო, დარჩები ასე გალაკტიონივით ეული, შემოდგომის ყვავილის მოტრფიალე თუ იყავი, გეთქვა, რას უმალავდი, ქალი ავაზა ყოფილა, შენ კი — ყვავილიო!

ამ საუბარ-ჭორაობაში ვართ და, მოგვადგა ჯერ ტამანგო, მერე კი — კომბლე, სამი ნარჩევი მარგალიტით. მარგალიტები კი ბრწყინავდნენ, თვალებში ვნება და შვება იგრძნობოდა, გაახალგაზრდავებ-

ულნი და მხიარულები, დასხდნენ, კომბლემ, როგორც ყოველთვის – ჩაი პივის ბაკლით და 4 პლიტკა-შოკოლადი...

– დალი, გოგონებს არაქისი, ისე თხილი და წვენი, დასალევს კი... არა, დღეს არ დავლიოთ რა? – სთხოვა კომბლემ გოგონებს...

– აღფრთოვანებას ვერ ვფარავდი, თანაც – შურსაც. მინდოდა მეცემა ეს კაპროლაქტამი, რაღაც შეურაცხყოფილი ვიყავი, ძალიან შინაურულად გრძნობდა თავს და ეს მაცოფებდა. თუმცა კი არავისათვის უბატონოდ ხმა არ გაუცია...

შოთიკომ შემატყო და, კიდევ გულიანად გადაიხარხარა:

– ჩემო თემო, რომ არ გიცნობდე, ჯავახიშვილის თეიმურაზს ჰგავხარ ახლა, კომბლე კი – ჯაყოს, თუმცა, აკი თქვა, მებაღე ვარო, ხოდა, გაიხსენე თეიმურაზის აღფრთოვანებას რა სიტყვებით პასუხობს ჯაყოი, და ეს სიტყვები ძალიან ხმამაღლა წამოიძახა გამომწვევად: „დედაკაცი ბაღია. მორწყავ და გაიხარებს“. ხოდა, კარგი მებაღე უნდა ყოფილიყავ, ჩემო თემო, შენ კი მებაღეობას ფიზიკოსობა არჩიე, იყავით ახლა ესე, შენა და შენი ნიუტონი... თურმე კი კომბალი აგეღო ხელში, ჯობდა...

რამდენიმე წამის სიჩუმის შემდეგ კომბლე ადგა, ბარში შევიდა, დალის ფული გადაუხადა, გამოვიდა.

– გოგონებო, უკაცრავად, უნდა დაგტოვოთ, ხვალისათვის შევხვდეთ, გავიდა ბარიდან, თუმცა რა გასვლა უნდა, ღიაა ბარი, უბრალოდ მაგიდებიდან გავიდა, მოგვიტრიალდა და Liberté, égalité, fraternité, C'est la vie, ბატონებო, au revoir, ვერცხლისფერ ოპელ-ტაქსში, ტამანგოსთან ერთად ჩასხდნენ და წავიდნენ...

არის ქართულო კაპროლაქტამი, – ტამანგო მას შემდგომ არ გამოჩენილა, რაღაც უხერხულობისა და დანაშაულის შეგრძნება მქონდა, ვფიქრობდი: „ნაღდი ჩემი (მე და შოთას) ბრალია მისი გაქრობა. სამოთხი დღე იყო კომბლე საუბრის თემად კუს ტბაზე, მეხუთე დღეს კი კუს ტბამ და ამ „ბულდევანში“ მოსეირნე თუ ნავარჯიშევებმა დაივიწყეს „კომბლე“ და ისევ ძველებურად დისტანცირდნენ, „ატმის ხესავით აყვავებული და მოქნეული გავაზივითა“ ქალბატონები, უკარება სახის გამომეტყველებებით არტყამდნენ წრეებს და წინა ღამის პოლიტიკური თუ ხოფერია, ასათიანი, გეგელია, გრიგოლია, ჟორჟოლიანის გადაცემები იყო სასაუბრო თემად. გრიგოლიას და გეგელიას აშკარად სწყალობდა კუს ტბის ბომონდი.

შოთიკო და მე ვნების კვირასაც ვაპირებდით სიარულს, უფრო მეტიც, შოთამ თავისი საუბრით და ქცევებით თუ ცხოვრების წესით შემომაბრუნა მონასტრისაკენ, მე ვცდილობდი მეცხოვრა ისე, როგორც მორწმუნე მრევლს შეეფერება, არ გამეკითხა, და „ნუ განიკითხავთ, რათა არ განიკითხნეთ“. რამეთუ, რომლითა განკითხვითა განიკითხვიდეთ, ასეთი ვმსჯავრით განიკითხნეთ.

...სეირნობისას შოთა მიამბობდა ბევრს წმინდა მამების ცხოვრების შესახებ, ასევე ცდილობდა, ჩემთვის გაუგებარი რაღაცები აეხსნა, რაღაცებზე კი მირჩევდა, მოძღვრისთვის მიმემართა, კი, შოთა მართლაც ჭეშმარიტი მართლმადიდებელი იყო.

ბარში აღარ ვსხდებოდით, ჯერ ვნების კვირა იწყებოდა და ბევრი საცდური იყო, მეორეც – ჩვენი თეოლოგიურ საუბრით ვცდილობდით, არავინ შეგვეწუხებინა. ბარის გვერდით კი, ნაძვის ჩრდილში, დიდი სკამეიკა იდგა, ასე 7 ადამიანი თავისუფლად დაეტეოდა ამ სკამეიკაზე და იქ ჩამოვსხდებოდით ხოლმე.

მეოთხე წრე მოვრჩით და გადავწყვიტეთ დასვენება, მივუახლოვდით „სკამეიკას“ და, ეს ჩვენი ტამანგო და კაპროლაქტამი, წამოპლაკულები სკამზე, ფეხები კი ტბაზე გადასახედამოშენებულ მოაჯირზე შემოეწყო, ყურში ისევ მოსასმენი „ნაუშნიკებით“ და შორს, ძალიან შორს იყურებოდა, ასე სტატიკურ მდგომარეობაში, ჩვენი არც მისვლა, მისალმება და სკამზე ჩამოსხდომა არ გაუგია, სადღაც იყო, კი, ოღონდ სად რას უყურებდა... თუმცა კი წინ ბულბულების ბუდისკენ მიმავალი პატარა მთაა და მასზე ბილიკი, იქ საინტერესო ნაღდი არაფერია, მაგრამ აშკარად იმას იქით იყურებოდა.

„ნუ განიკითხავთ, რათა არ განიკითხნეთ“.

„შეეშვი“, – მირჩია შოთიკომ. განვაგრძეთ საუბარი, შარშანდელი 17 მაისის შესახებ და იმ არასამთავრობოებზე, რომელთაც საკმაოდ კარგი და დიდი დაფინასება მიიღეს ამ აქციით, რომ წელს ეს 17 მაისი არ იყო მოსალოდნელი, რაც ახალმა ხელისუფალმა საკმაოდ ეროვნულად გათვალა.

მაინც, რა დაალევინეს ლოტს მისმა ქალიშვილებმა, ასეთ დიდ ცოდვაში რომ ჩააგდეს?

კი, კომბლე იყო, და გვეკითხებოდა ლოტიზე და მის ქალიშვილებზე.

– ბატონო? მივუგე მე,.

– ვერ გავიგე თქვენი მოსვლა, უკაცრავად, გამარჯობათ!.

სალამი ცივად დაუბრუნე. შოთიკომ კი მისაყვედურა:

–სად იყავი ეს ორი კვირა?

– მოხუცი დედა მყავს და. ცოტას ავადობს, ახლა კი მომჯობინდა.

– უკაცრავად, თქვენ ალბათ ძალიან მორწმუნენი ხართ, არა?

– ძალიან და არა ძალიან არ არსებობს, ან გწამს ან – არა, – ძირითადად შოთიკო ესაუბრებოდა,

– მე კი არა მწამს, კი არა მწამს და არცა მჯერა, რომ ამ უსასრულ სამყაროს რაღაც აბსოლუტი განაგებს, და ის აბსოლუტი ჩემი ბაღის მარწყვშიც არის ჩარეული, კი, მე ყველაფერს გონებით ვუდგები, ასე ვთქვათ, ფიზიკის მიხედვით, იმისათვის, რომ მეტაფიზიკა გაიგო, საჭიროა ფიზიკის ცოდნა! არა ფიზიკა ალბათ სამიანზეც არ ვიცი, მაგრამ ის, რაც ვიცი, ღმერთის არ არსებობას ამტკიცებს.

– და რა იცით ასეთი, მაინც?

– რაა? კი, კეთილო.

რამდენჯერ დავიწყე კითხვა ბიბლიის, იმდენი არარეალური და არასამართლიანი ამბებია, რომ თუ დასაწყისში ამდენი არარეალური და არასწორი რამაა, განა კი ღირს მისი ბოლომდის წაკითხვა?

.....

სკოლა დავამთავრე და ГПИ-ში ვაბარებდი, ურიგოდ არა ვსწავლობდი, მათემატიკას, განსაკუთრებით, ჩემს დროს ასეთი წესი იყო, თუ პირველ ორ

გამოცდაში 10 ან 9 ქულას დააგროვებდი, მოხვედრილი იყავი, მოკლედ, ძალიან იმედიანად გავედი. მათემატიკაში 5-ის მიღება და ფიზიკაში კი 4-ს ველოდი. და, მოკლედ, გამოცდაზე ვარ. 7 საკითხია, შვიდივე ადვილია,არა,ადვილი არ არის,მაგრამ ვიცი ეს საკითხები.

აკი გითხარით, ურიგოდ არა ვსწავლობდი და... მოკლედ, პირველი მაგალითი იყო 5 კვადრატში აყვანილი, გამრავლებული იყო წილადზე, რომლის მრიცხველსა და მნიშვნელში კილომეტრიანი მათემატიკური მოქმედებები იყო. გავედი ბოლომდე და წილადი ერთის ანუ ციფრი 1-ის ტოლი იყო. ადუღებული ვიყავი. აგვისტოს ხვატში ტარდებოდა მისაღები გამოცდები, ავდექი და ეს ხუთიანი გავამრავლე ერთზე და დავწერე პასუხი – 5. ის ხუთი რომ კვადრატში იყო აყვანილი, ის დამავიწყდა და პასუხი კი 25 იყო. რა არ ვეხვეწე კომისიის წევრებს, მარა არა ქნეს არაფრით.

ფიზიკაში კი... ვზივარ და ვინც ჩემ გარშემო ზის, ყველას მოუტანეს პასუხები, დაუდეს წინ და გადააწერინეს,მივხვდი,რაშიც იყო საქმე,ერთ თავზე მდგომს დავუძახე,ეხმარებით,არა? რას კადრულობო? რას და, გადავახიე ჩემი ფიზიკის ბილეთი თავზე... ასეა. მერე სახლთან ახლოს მაუდკამვოლის კომბინატი იყო. იქ მუშის დამხმარედ დავიწყე მუშაობა, კაპროლაქტამს უშვებდა. თუმცა ეს კაპროლაქტამი მე არ მინახავს. მუშის დამხმარე ვიყავი და,ძირითადად,მანქანებს მატვირთვინებდნენ ან მაცლევინებდნენ. შემდეგ კი ნოემბერში შუა აზიაში წამიყვანეს ჯარში. „უჩებკაში“ ვიყავი 4 თვით, იქიდან კი საბჭოთა ჯარისკაცის საერთაშორისო ინტერნაციონალური ვალის მოსახდელად უფრო აღმოსავლეთში, რა ინტერნაციონალური ვალი მქონდა პუშტუნებთან, დღემდე ვერ გამიგია! მარა რომ გვახოცინეს ბლომად და იმათაც გვხოცეს, ეს კი იყო. იქიდან კი „პერესტროიკა“ იყო ახალი დაწყებული და 4 ამხანაგთან ერთად კონტრაქტი გავაფორმეთ, 3-წლიანი, მწვანეწითელ ფერებთან დევიზით – „ლეგიონი – ჩვენი მამულია“.

ამოიწურა კონტრაქტი და მებაღედ დავიწყეთ მუშაობა,ხან საით გადაგვაფრენდნენ გარეულ ბატებს, ხან – სად? ესაა სულ,ხოდა,ეს ყველაფერი ცხოვრებას რომ ვიწყებდი,17 წლის ბიჭი, იმ გამორჩენილმა კვადრატში აყვანილმა 5-ანმა ქნა!. კი თავიდან ვერდანახულმა და დაშვებულმა შეცდომამ მაქცია ბატად.

რისთვის მოვყევი ამხელა ისტორია?

თქვენ გულით გწამთ, კარგია, მაგრამ აი, რას ერჩოდა ამ კაენს ყოვლისშემძლე, რატომ აჰკიდა ამხელა ცოდვა? განა რა არ გააკეთა, რომ გაიმეტა? მიწის მუშა იყო და მიწიდან მოწეული მიართვა... მეცხვარე აბელმა კი,ცხვარი, რად არ მიიღო ძღვენი კაენისგან?

ჩუმად ვსხედვართ შოთა, მე. მე კი შოთას ვუყურებ. განცდაა ისეთი, რომ ეს უკვე შეგვემთხვა ან ჩვენ, ან კი სადღაც შევესწარით ამ ყოველივეს. მოკლედ, დეჟა ვიუ! მიხვდა მებაღე და „ნუ გეშინიათ, ვოლანდი არა ვარ, ისე კი არის აქ ტბორი, მარა ტრამვაი და ანუშკა არ არის,თანაც, მე ძაღლით ვარ, ის კი კატით იყო... მგონი“! კი, ეს უკვე დეჟავიუ არ იყო. მებაღე აგრძელებდა,

ან იმ ლოტს რას ერჩოდა, თუ ერთ ცოდვას გაარიდა, მეორე უარესი რას დაატეხა თავზე? განა შვილებთან ცხოვრების ცოდვა სოდომის ცოდვაზე მეტი არ არის? და თანაც – ორჯერ, მითხარით, თუ ძმა ხართ, რას ერჩოდა ან კაენს, ან ლოტს და ჩემთან კი საერთოდ რა უნდოდა?

18 წლის ბავშვი მკვლელად მაქცია, აქ კი დარდით და მამა მომიკლა. დედა კი ჭკუიდან გადაიყვანა, გამაბოროტა და შემაძულა ყველაფერი და ყოველივე, რას გვერჩოდა?!

მაგრამ არ არის ეგ უზენაესი, ან თუ არის, უსამართლოა და ღმერთი სიყვარულიო! ხოდა, რა სიყვარულიცაა,აგერ,ერთ კვირაში ჯვარცმით აღდგენილ იესოს ვიხილავთ თუ რა?!

ვსხედვართ, მონუსხულები, დაჰიპნოზებულნი, ვერც „ხო“-ს ვამბობთ,ვერც „არა“-ს ვამბობთ. ვერც ვეწინააღმდეგებით, არადა ვნების კვირა იწყება და ღვთის გმობას ვისმენთ... ვოლანდი შესაძლოა, არაა, მარა, არ ვიცი, არ ვიცი!

– ერთი კია, ერთი რამ ვისწავლე. უტყუარია, არიან ნოეს,აბრაამის,მოსეს ხვედრით,იმ აბსოლუტის ფავორიტები, და ეგენი წყვეტენ იმ წიგნში. მათ მიჰყავთ პარადი... ცხოვრებაშიც არიან ასეთი ტიპები, რჩეულები და ბედისნებიერნი. ლამაზები, ძალიან ლამაზები და სუფთები, აი, იმდენად სუფთები, რომ გულის ამრევად, კი, კაზინოს ახალი კალოდა კარტი რომ გაიხსნება და გულის ვალეტი, აი, ეგეთი სუფთები და უნაკლონი, რომელთაც სწყალობთ უზენაესი. ოღონდ იმ კალოდაში კიდევ ყვავის დამაცაა, ხოდა, ისიც ლამაზი და ოღონდ – მომთხოვნი და მიუწვდომელი ყველასთვის,გარდა გულის ვალეტისა. დამა ყვავის ფუნქცია, ვალეტი გულის დედობაცაა, დობაც, ცოლობაც, ნაშობაც, კი, მარა, ვალეტი სულ ფორმაში უნდა იყოს. ეს ევალებათ, სხვა არაფერი იმ ვალეტებს. ხოდა, აუ, რამდენი ყვავის დამა და გულის ვალეტი მყავს, იცი, ნანახი? ყვავის დამებთან ჩემი ურთიერთობის მნახველი თქვენცა ხართ. საქმე ისაა, რომ ეს გულის ვალეტი და ყვავის დამა ყველგან არის, მარა იქ, სადაც მათ პარადი მიჰყავთ, იმ ქვეყნის საქმე ვერაა კარგად, სავსეა ლათინოსები ანუ სამხრეთ ამერიკა ეგეთი დამა ყვავებით და გულის ვალეტებით, ევროპაშიც არიან, მაგრამ ესპანეთში, საბერძნეთსა და იტალიაში აქვთ პრეტენზია პარადის წაყვანისა,სხვაგან კი ყველამ იცის, რასაც წარმოადგენენ და... კი, აი, თქვენ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში ეს დამა ყვავები და გულის ვალეტნი არიან წარმატებულნი... და ეტყობა,ასე იყო. თუ არა, აბა, ანდრია პირველწოდებული რუსეთშიც იყო და ჩვენთანაც. ერთმორწმუნენიცა ვართ, მაგრამ საათნახევარში ომი მოგვიგეს, რატომ? გულის ვალეტები წყვეტდნენ ომის საქმეს. არადა, მათი საქმე დამა ყვავის აყვავება და დაკმაყოფილებაა, სხვა არაფერი.

მოსაღამოვდა, მებაღე მორჩა და ჩვენც გამოვედით ჰიპნოზიდან...

ის-ისაა რაღაცის თქმა დავაპირეთ და იქ, სადაც ხალხი სეირნობს, ძალიან ზედმეტად მწვანე დოლაროსანი უმშვენიერესი შავი ჯიპი გაჩერდა. დარღვევითა და ფეხებზე მკიდიხართო. ჯიპიდან კი...

გულის ვალეტი გადმოვიდა.

— მებაღემ გადმოგვხედა და ჩაეცინა...

— ეი, ბიჭო, მოდი აქ, შე, ყლიყვო!

ვალეტმა მიმოიხედა, რომ დარწმუნდა ყლიყვი მის მეტი არავინ იყო: — მე მეუბნები?

— შენ, შე დედაშეცემულო. მოდი აქ!

ვალეტი შებრუნდა, მანქანიდან ვინჩესტერის ტიპის თოფი გადმოიღო...

— ხმარება იცი, შე გულის ვალეტო, მაგ თიფის?

გადატენა და ჩვენკენ წამოვიდა, მებაღემ შემოგვხედა და...

— გითხარით, ვალეტის გულები ღუპავენ საქართველოს!! — და განაგრძო, — სამი რამ მაოცებს და ოთხი რამ არის, რომ ვერ გამიგია, — ვალეტი კი გვიახლოვდება. ეს კი, — ცაში არწივის კვალი, კლდეზე გველის კვალი, შუაგულ წყალში ხომალდის კვალი და ქალწულში კაცის კვალი...

ვალეტის გული თავზე დაგვადგა გადატენილი თოფით, მებაღე კი ისევ სოლომონის იგავს ყვება და თვალებიდან ცრემლი სდის.

სამი რამე არყევს ქვეყანას, ოთხი რამე ვერ აუტანია:

ტამანგო: Jack of Hearts (გულის ვალეტი).

ტამანგო ეძგერა ვალეტს, თოფი გააგდებინა, მებაღემ კი კომბალი ქვემიდან ასცხო, აყირავდა ვალეტი, შემდეგ თავში დაამატა და დაადო გაჭრილი კარტივით მიწაზე.

გამეფებული მონა. საჭმლით გამძღარი უგუნური. საძულველი ქალი, რომელიც ცოლად მოჰყავთ და მოახლე, რომელიც თავის ქალბატონს აძევებს.

მეორე დღეს ბზობა უნდა გათენდეს, შემდეგ კი ვნების კვირა იწყება, მებაღე ადგა, შემოგვხედა და...

...ინანა უფალმა, რომ შექმნა ადამიანი ამქვეყნად, და შეწუხდა!

ბზობას გილოცავთ!

• • •

მაია დიასამიძე

ასწავლეთ თქვენს შვილებს ჭადრაკი!

ისევ მოგონებებიდან: ჩვენს ოჯახში ჭადრაკის კულტი იყო, ის ფიგურებიც კი მახსოვს, რომლითაც ჭადრაკს ვთამაშობდით პატარაობიდან: ნამდვილი ხის, მოთეთრო, ლაკგადასმული, ჭადრაკის დაფაც რატომღაც მოყვითალო, მოყავისფრო ფერებში იყო. მამას თვითონ ძალიან უყვარდა ეს თამაში და ჩვენც, ხუთივე და-ძმას, გვასწავლიდა. ყოველ დღე აუცილებლად უნდა გვევარჯიშა, სხვადასხვა ცნობილი მოჭადრაკეების პარტიებს ვარჩევდით, ვსწავლობდით. ასე რომ, საკმაოდ დახელოვნებული ვიყავით. მახსოვს, ჩემმა დამ, მედეამ ერთ ტურნირში გაიმარჯვა კიდეც.

მამას ხშირად დავყავდი ჭადრაკის სასახლეში, იქ გავიცანი ნანა ალექსანდრია, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაშინ ჩემზე ამ შეხვედრამ, მამა სპორტულ ჟურნალისტად მუშაობდა სხვადასხვა გაზეთებში, ამიტომ სპორტთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა. სიმართლე გითხრათ, მე ჭადრაკის თამაში დიდად არ მიზიდავდა, მამაზე ვბრაზდებოდი კიდეც, რა გაგვიწყალა-მეთქი გული, მაგრამ მერე არაერთხელ გამომდგომია, თამაშში ბიჭებისთვისაც ხშირად მომიგია ხოლმე, უკვირდათ, საიდან იცი ასე კარგად ჭადრაკიო.

ჩემი ძმა დათო ჩვენ ხუთში ყველაზე კარგად თამაშობდა, მე მასზე ოთხი წლით უფროსი ვიყავი, მაგრამ მიგებდა, სამი წლიდან ისწავლა. დღეს რომ ვუფიქრდები, ეს სპორტის დიდებული სახეობაა, ანვითარებს ინტელექტს, ბრძოლისუნარიანობას სძენს ადამიანებს, ტყუილად კი არ მოიგონეს ეს თამაში ადამიანებმა. ჭადრაკის დაფაზე ადამიანების ცხოვრება იშლება, თითოეულ ჩვენს ნაბიჯს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, თამაშის დროს, როგორც ცხოვრების მანძილზე ჩვენ ვკარგავთ ერთგულ ჯარისკაცებს — პაიკებს, მეგობრებს, მშობლებს, მეუღლეს — ოფიცრებს, ცხენებს, დედოფალს, ზოგჯერ დაუფიქრებლობით, ზოგჯერ — გაუფრთხილებლობით.

ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება დიდხანს შევინარჩუნოთ ისინი, რომ მალე არ წავაგოთ ბრძოლა მოწინააღმდეგესთან, სასტიკ ბედისწერასთან, ზოგჯერ კი, ყველაფრისდა მიუხედავად, გამარჯვებულები აღმოვჩნდეთ, დიდი დანაკარგების ფასადაც კი.

ჩემი ძმა, აწ გარდაცვლილი დათო, ყველაზე კარგად თამაშობდა და ყველაზე მებრძოლიც აღმოჩნდა, აფხაზეთის ომის ვეტერანი, გმირი იყო, ეს თამაში ბავშვებს ცხოვრებისთვის ამზადებს, ცხოვრებაც ხომ თამაშია, მაგრამ ამას გვიან ვხვდებით ადამიანები.

ასწავლეთ თქვენს შვილებს ჭადრაკი, რომ უკეთესად მოემზადონ ცხოვრებისთვის!

ტარიელ ნამოხაძე



ს ა ხ ე

უნივერსიტეტის მოპირდაპირე სახლის მომცრო ეზოში ხუთი-ექვსი ბიჭი დაბინდებამდე თამაშობდა ცალკარას და დაღლა არავის ეტყობოდა. ვიდრე დაბნელდებოდა, დედები თადარიგს ადრევე იჭერდნენ და ბავშვებს ზემოდან დაჰყვიროდნენ – ამოდით დროა, ვერ ხედავთ დაბნელდა! თუმცა ეს შეძახილები ბავშვებზე ნაკლებად მოქმედებდა. სანამ ბურთი კიდევ ჩანდა, თამაშს არ წყვეტდნენ, მერე კმაყოფილები და გაოფლილები ნელ-ნელა ბრუნდებოდნენ თავ-თავიანთ ბინებში.

სამსართულიანი სახლის დიდი აივანი ეზოს გადაჰყურებდა. პირველ სართულზე გიჟი ვერა ცხოვრობდა. უფროსები ამბობდნენ, მის ფანჯრის წინ თუ დადგები, ღამის ქოთანს გადაგასხამს თავზეო. ბავშვებს ასეთი რამ არასდროს უნახავთ, მაგრამ მაინც ეშინოდათ. ვერა ყოველ საღამოს გამოდიოდა ეზოში, შავი შლაპა და დაუბანელი გრძელი ყვითელი თმები ჰქონდა, ხმას არ გვცემდა, გაიხედავდა, გამოიხედავდა და წყნარად გავიდოდა ქუჩაში. გიჟს რატომ ეძახდნენ ვერ ვხვდებოდით და არც გვაინტერესებდა.

დრო საოცრად სწრაფად გადიოდა, ბოლო კლასში ვიყავი, სკოლას ვამთავრებდი, ვერაზე, და ჩემი ასაკის შესაფერი,საკმაოდ სასიამოვნო, აზრები მიტრიალებდა თავში. ერთ დღესაც შენ დაგინახე, კოხტა იყავი, თეთრი, მინიატურული, გაზაფხულის თბილი დღე იყო,შილიფად გეცვა,სკოლის ეზოს წინ გამოიარე,დიდი თვალები, ფორთოხლისფერი თმები და ოდნავ ჭორფლიანი სახე გქონდა. ჩვენებურს არ ჰგავდი, ვიღაც ბრიტანელ გოგოს წააგავდი,ფოტოზე ნანახს,თუმცა ნამდვილად ქართველი იყავი, მეგობარ გოგონას ელაპარაკებოდი ნაზი ხმით. გაოგნებული გიყურებდი, რატომ, თავადაც ვერ ვხვდებოდი. ვიფიქრე, გამოგყვები, მაგრამ ვერ გავბედე, რადგან არ გიცნობდი, არც სახელი ვიცოდი შენი და არც გვარი. პირველად გნახე, მაგრამ მეგონა, ვცდებოდი, თითქოს მრავალჯერ მყავდი ნანახი, თითქოს ერთად ვყოფივართ სადღაც, სოფელში, ტყის პირას და გვისუბრია ტკბილად, ხანაც გაცხარებით, თუმცა აღარაფერი მახსოვდა. შენ და შენი მეგობარი მშვიდად გამეცალეთ. ვნატრობდი, ეგებ შეჩერდნენ, მაგრამ თქვენ ხალხში გაერიეთ და გაქრით.

მას შემდეგ თითქმის ერთი წელი გავიდა. ხშირად მახსენდებოდა შენი ოდნავ ჭორფლიანი სახე, ვნატრობდი, კიდევ მენახე. აუცილებლად დაგელაპარაკებოდი. რაზე? თავადაც არ ვიცი. მაგრამ არსად ჩანდი. იმ ადგილს, სადაც გნახე, ხშირად ვსტუმრობდი, ველოდი, რომ კვლავ გნახავდი. იქ მისვლა ისე მიხაროდა, თითქოს პაემანზე მივდიოდი,ისიც ვიცოდი, რომ არაფერი მოხდებოდა. ეს მოძრაობა რიტუალად მექცა, ფუჭ და უაზრო რიტუალად. ბოლო ხანები, როცა ვერ გნახულობდი, ცოტა ვმშვიდდებოდი, თითქოს მსიამოვნებდა, რომ მე ვალს პირნათლად ვიხდიდი და ჩემი ბრალი არ იყო, რომ შენ არ მოდიოდი. რომ მახსენდება ეს სულელური ბოდიალი, აღარც მეცინება, მსურს დავივიწყო, მაგრამ ამაოდ.

შემდგომში ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსავლის ძებნა დავიწყე. მინდოდა დამევიწყა შენი სახე, შევეცადე, ის შემზარავად და მახინჯად წარმომედგინა, მაგრამ არაფერი გამომდიოდა, ისევ ისე მშვენივრად მესახებოდი, ჰაეროვნად და თეთრად. ამიტომ ხელი ჩავიქნიე, დროს მივანდე ჩემი ხსნა. ასეთ წვალებაში გაიარა კიდევ ორიოდე წელმა.

და ერთ დღესაც ტროლეიბუსში ვიჯექი, ფანჯარასთან, მზიანი დღე იყო, გამვლელებს და შენობებს ვათვალიერებდი და თან სადილზე ვფიქრობდი, შინ რომ მელოდა. უეცრად პირველი სართულის ფანჯარასთან დაგინახე, რომლის რკინის ლამაზი გისოსები საიმედოდ გიცავდა. ფანჯრის რაფას იდაყვებით დაყრდნობოდი, პატარა ლამაზი სახე ხელისგულებზე ჩამოგედო, უფრო მშვენიერი იყავი, ვიდრე მაშინ, როცა პირველად გნახე. მარტო იყავი, მომეჩვენა, რომ ჩემკენ იყურებოდი. პირველივე გაჩერებაზე ჩამოვხტი და შენკენ გამოვქანდი, დარწმუნებული ვიყავი, თუ დამაგვიანდებოდა, ყველაფერი დამთავრდებოდა, თავი გამისკდებოდა, შიგთავსი ასფალტზე დამეყრებოდა, გავქრებოდი. გონების დაკარგვას ცოტა მაკლდა. მივასწარი. უკვე ოთახში შებრუნებას აპირებდი, მცირე ხანს დაყოვნდი, შემომხედე უინტერესო მზერით. რამდენიმე წამი საუკუნედ მექცა, ხმის ამოღება ვერ შევძელი. შენ მიბრუნდი, ორიოდე ნაბიჯი გადადგი და გაქრი, როგორც იმ დღეს.

იქვე, სკამზე, დავეგდე, ძალაგამოცლილი და სასოწარკვეთილი, ადგომის სურვილდაკარგული. მომეჩვენა,რომ მთელი ქუჩა მე მომჩერებოდა. ერთხანს თავში ფიქრები გამეყინა, შემდეგ თანდათან მოვედი გრძნობაზე.

იმ დღის შემდეგ თითქმის ორმოცდაათი წელი გავიდა. ძალზედ იშვიათად, მაგრამ მაინც მახსენდებოდი. და აი, საოცრება! გუშინ „ფეისბუქმა“ შენი სახე ამიმიგდო, შესაძლოა იცნობდეთო. ნეტავ როგორ მიხვდა? სახელიც გქონია და გვარიც. ფოტოზე ისევ ისეთი ახალგაზრდა იყავი, როგორც მაშინ, ბოლოს რომ გნახე, ნუთუ შეიძლება, რომ ამდენ წელს არ შეეცვალე, იქნებ ეს გოგონა სხვაა, შენი ორეული. ვინ იცის, ვინ იცის...

მოგძებნი აუცილებლად, შეგხედავ, არაფერს გეტყვი, მხოლოდ ხელს მოგხვევ მკლავზე, ნაზად, ვინც უნდა იყო, ახლა ეს უკვე სულ ერთია.

ლეილა ჟიტომვილი-
სახლთხუსიშვილი

• დაუსრულებელი ყაისნაღური პრობლემები...



აქ არ შეიძლება არ გავიხსენო ჩვენი სასიქადულო ქართველის – ბატონ შოთა ნადირაშვილის სიტყვები, რომლებიც მან 2003 წლის მაისში წარმოთქვა:

„...ხმაურმა და დაუსრულებელმა კამათმა დაქსაქსა ერი. ჩვენი ქვეყანა გადაიქცა პოლიტიკურ უდაბნოდ, სადაც ჩამკვდარია ეროვნული ცხოვრება. როცა ერს აღარ აქვს მიზანი, აღარ ჰყავს ეროვნული მისაბაძი გმირები, ისპობა და ნადგურდება ჭეშმარიტი ღირებულებები. ამ დროს მოდიან უცხოელები, მოაქვთ ფსევდოღირებულებები, ფსევდოდღესასწაულები, თავს იჩენენ ფსევდოგმირები, ფსევდოვარსკვლავები... მცდელობა იმისა, თითქოს ეროვნულობის გვერდის ავლით სახელმწიფო აშენდება, მარცხისთვის არის განწირული, რადგან ამ შემთხვევაში უარი უნდა ვთქვათ ჩვენს ისტორიაზე, კულტურაზე, ენასა და სხვა ღირებულებებზე“...

კონტროლიორი თვალს აყოლებს გაჩერებაზე დარჩენილ დადარდიანებულ ქალს, რომლის დანაოჭებული, უწყალო, გამხმარი, მიწასავით სახე, მკაცრად მოკუმული პირი და თავსაფრიდან ამოვარდნილი, ქარზე მოფრიალე თმები აღარასოდეს დაავიწყდება... „პირნათლად შესრულებული ვალდებულებებისათვის, ალბათ პრემიასაც მისცემენ! ან სულაც ხელფასს მოუმატებენ!“... მწერალი, ცუდკაცობისათვის, კონტროლიორს ბოლომდე ვერ იმეტებს და მოთხრობას ასე ამთავრებს: „კაცი უსმენს ბავშვს და გუნებაში აგინებს – თავის ბედს, კონტროლიორის – უმადურ და უგულო თანამდებობას, უმუშევრობას და ყველაზე მთავარს – მისი საქმიანობის შემმოწმებელს, უფრო დიდ და მზაკვარ „კონტროლიორს“, რომლის შესახებაც დილიდან „ჩუმად“ გააფრთხილეს... და რომელიც ახლა ავტობუსის სალონში, უბრალო მგზავრივით მოკალათებულა და სამსახურის შესანარჩუნებელ ქულებს უწერს... ან არ უწერს – თავისი საქციელით და ფირმის მოვალეობის პირნათლად შემსრულებელ, შერცხვენილ და გულნატკენ ადამიანს“...

მოთხრობაში მცირე თემები საგულდაგულოდაა გადანაწილებული, რათა მკითხველმა კითხვის ბოლოს შეაჯამოს, დაიჯეროს და დაეთანხმოს მწერალს. დიდი ნაღველითა და სევდით დამძიმებულ ავტორს, ერთი, რაც შეუძლია – ცდილობს ამხილოს პერსონაჟთა მანკიერებები, რადგან იმედი აქვს, რომ გამოსწორდებიან, შეეცდებიან მაინც... გვრჩება შთაბეჭდილება, რომ იგი თავად ზის ავტობუსის სალონში, თითქოსდა შეგნებულად ჩაჯდა, სწორედაც ამ ექსპრესში – მგზავრების ახლოს გასაცნობად, თანამემამულეების ფსიქოლოგიის, ერთმანეთთან დამოკიდებულებების, მათი რეალური სატკივარის გასაცნობად...

და, მაინც, თუ ვიკითხავთ, საით მიდის ექსპრესი, ჩვენი ბედკრული სამშობლოს რომელ კუთხეში, პასუხი ისედაც ნათელია, რადგან ყველა კუთხე – რატომღაც „შანხაიად“ ქცეულა – როგორც ჩანს, ავტორმა სხვა დიდი ქალაქების მოსახმობად, შესადარებლად ვერ გაიმეტა... თუმცა, არა – ქალი ხაზგასმით ამბობს – რაკი ექსპრესი „შანხაიში“ მიდის, ე.ი. კონტროლიორი ჩვენებურია! როგორც ვნახეთ, მათ ვერც „ჩვენებური“ კონტროლიორი შველით, რადგან თავად არის კიდევ უფრო „ზემდგომზე“ დამოკიდებული და როგორც იტყვიან – თავს ზემოთ ძალა არ არის... კონტროლიორი უფლებააყრილი ინდივიდია, რომელიც თუ ასე არ მოიქცევა, სამსახურს დაემშვიდობება, და მაინც, არ სურს ადამიანური სახის ბოლომდე დაკარგვა, ამიტომაც უმატებს მათ რვა ლარს და ბრძნულ რჩევას აძლევს – ქალი, ბებია ჩაბრძანდეს, ოფისამდე დარჩენილი მანძილი ფეხით გაიაროს, ბიჭი კი დარჩეს ექსპრესში.... ხომ კარგი, მარჯვე რჩევაა, მკითხველო!?

სალონში მსხდომთა პროტესტი არ ჩანს, ან ძალზე პასიურია. მწერალი არ კარგავს ჰუმანურობას – მიუხედავად სინამდვილის მკვეთრი ფერებისა, ადამიანებში მაინცდამაინც უკეთური თვისებები

• **დასასრული. დასაწყისი „ანეული“, №1, 2021**

და ინსტიქტები ეძებოს; მისი პერსონაჟები მიწიერ თემებზე საუბრობენ; დიალოგებში თვალნათლივ ჩანს დღევანდელი სასაუბრო მეტყველების ავ-კარგი... მართალია, მხატვრული შედარების ნაკლებობაა, რაც არის – მოსაწონია; მაგალითად: „ექსპრესი ოკეანის ლაინერივით მიცურავს მზისგან გახურებულ ასფალტზე და სიჩქარისაგან წარმოქმნილი ჰაერის ტალღა, შრიალით აღვიძებს, გზის გასწვრივ ჩაძინებულ კაკლის ხეებს“. /„ბებია უყურებს მზის სხივებით გამთბარ პეიზაჟს, უკიდეგანო მინდვრებს. მხარგაშლილ ქედებს... ლურჯად მობიბინე ბალახში, სისხლისფრად ჩაყრილ ყაყაჩოებს“... ავტორი არც სარეკლამო აბრებს ივიწყებს და სევდიანად შეგვახსენებს ჩვენი ყოველდღიურობის აუცილებელ ატრიბუტს: „იქ, მინდვრის უკიდეგანო პეიზაჟს, სარეკლამო აბრების მთელი სერია ფარავს./ფერადი პლაკატები, ქათქათა კბილებით, არაბუნებრივი თვალებით და იდეალური სახის ნაკვთებით ცდილობენ – სწორი რჩევების მართებული შემოთავაზების და მომხმარებლის ხორცშესხმული ოცნების რეალიზაციას“.

კ. ცხაკაია თავის სულიერ სამყაროსაც წინ სწევს და, ამავდროულად, ქმნის სუბიექტურ-ობიექტური რეალობის დანახვის შესაძლებლობას. მთავარი მოქმედი პერსონაჟის აქტიურ ქმედებაზე, ქალის საჯაროდ მოყოლილ ამბებზეა მოთხრობა აგებული; ამბები – კარგი თუ ცუდი არ დავიწყებია, მუდმივად ახსოვს და საფიქრებელია, ვიდრე ცოცხალი იქნება, ვერც დაივიწყებს, რადგან ეს იმ მოგონებების ნაკრებია, რომლებითაც ხსენებულ დღემდე მოვიდა; სამწუხაროდ და ჩვენდა სავალალოდ – პროფესიით პედაგოგი, ომის და მისგან გამოწვეული ტრაგედიის თვითმხილველი... რომელსაც, როგორც თავად თვლის, ყველა იცნობს, ყოველ შემთხვევაში – საქართველოს იმ რეგიონში, საითაც ექსპრესი – კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს – „თბილისი-შანხაი“, მატარებელი – „თბილისი-შანხაი“ – მოძრაობს. – კიაფობს იმედის შუქურა?! რა თქმა უნდა! მართალია, მქრქალად, მაგრამ მაინც... ჯერ კი, პერსონაჟები იმ რეალობას განასახიერებენ, რომელშიც მათი უნუგეშო ცხოვრება მიედინება...

იგივე სულისკვეთებითაა განმსჭვალული მეორე მოთხრობაც – „სასწრაფო დაკვეთის შესრულების დროს, ავტომობილის ხელოსნის, კერძოდ კი, მეთუნუქის აღმზრდელობითი „საუბარი“ 13 წლის შვილთან“ ქვემოთ ფრჩხილებში მოქცეული მინაწერით – ანტიჩანაწერი. ალბათ მწერალს ვრცელი სათაური დასჭირდა, რომ გამოკვეთილიყვნენ მოთხრობის პერსონაჟები – მამა-შვილი; ან/და – ორიგინალურობისათვის, რაც ნამდვილად გამოუვიდა; თუმცა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბევრს მისი წაკითხვის სურვილი გაუქრა კიდეც. „ანტიჩანაწერზე“ – კი რა მოგახსენოთ; პირიქით, ეს ის მოთხრობაა, რომელიც ყველა სპეციალობის ადამიანმა უნდა წაიკითხოს, ასევე, ცხადია, მშობლებმა და მოზარდებმა. ავტორს კი სულაც არ სჭირდება, ასე ვთქვათ, მკითხველთან თავის „მართლება“ და მობოდიშება.

მოთხრობაში განვითარებულ აჩქარებულ ტემპს ფეხი უნდა ავუწყოთ, ამავდროულად, ყურადღებით უნდა დავუგდოთ ყური მეთუნუქის აღმზრდელობით „საუბარს“ 13 წლის შვილთან (არ არის დაკონკრეტებული – გოგონაა თუ ბიჭი), თუმცა, მაინც გვრჩება შთაბეჭდილება, რომ იგი ვაჟია, რომელიც მამასთან მისულა ან მამას თავად ჰყავს წაყვანილი თავის სამუშაო ადგილზე, სადაც იგი სასწრაფო დაკვეთას გაფაციცებით ასრულებს, რადგან დროში უნდა ჩაეტიოს, დათქმულ დროზე პატრონი მოვა და გამზადებული უნდა დაახვედროს. მიუხედავად ასეთი სერიოზული საპასუხისმგებლო სამუშაოსი, დროის უკმარისობისა, იგი ცდილობს, ეს მომენტი მაქსიმალურად გამოიყენოს, რადგან შვილი ყოველთვის ხომ არ არის მასთან, ყოველთვის ხომ არ არის ფუფუნება იმისა, სახელოსნოში მათ გარდა არავინ იყოს?!... ჰოდა, მისდაუნებურად, იწყებს პასუხგაუცემელ მონოლოგ-დიდაქტიკას, რომლის დროსაც დასმული ქვეტექსტებით შელამაზებული მთავარი და განუმეორებელი კითხვა – რატომ? – საღეჭ რეზინში შთაბერილ ბუშტუკ-ბურთულებში შთაინთქმება...

მოთხრობა დიალოგზეა აგებული. კითხვებს მამა სვამს, ხშირ შემთხვევაში თავადვე სცემს პასუხს, რადგან მოზარდი ან საღეჭს ღეჭავს, ან ამთქნარებს ან იზმორება, ან ცხვირს აცემინებს... ნაწარმოები კი ასე იწყება: „თუ განათლება არა გაქვს – დაიღუპები?... ვერც კი წარმოიდგენ, რა კარგი რამაა – ცოდნა, კითხვა, სწავლა?? როგორ შეიძლება კაცს არ უნდოდეს განათლება, არ უყვარდეს კითხვა, არ ეტრფოდეს ლიტერატურას... მთელი დღეა ლიტერატურაზე ვფიქრობ... – რამდენჯერ უნდა გითხრა, ნუ იცოხნები! ნუ იცოხნები!... რამდენ ცალს ღეჭავ ერთდროულად! ვეღარ ლაპარაკობ... გააჩერე პირი... რას ვამბობდი?“

ავტორი საინტერესო მინიშნებას აკეთებს, როდესაც ასე ხაზგასმულად წერს იმის თაობაზე, თუ როგორ უყვარს პროფესიით მეთუნუქე კაცს, მამას – ლიტერატურა, და არა მარტო უყვარს, მას სერიოზულად აფიქრებს, ყველაფერი, რაც ლიტერატურას ეხება, სწორედ ამიტომ ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს წინ: „ნაბიჯ-ნაბიჯ ვფიქრობ ლიტერატურაზე“... იგი ფიქრობს არა რაიმე კონკრეტულ ლიტერატურაზე, ან მხოლოდ ვიწრო ეროვნულზე, ან სამეზობლო ლიტერატურაზე, „არამედ მსოფლიო ლიტერატურაზე... უსაზღვრო, უგამშვებო, უპასპორტო, უბაჟო ლიტერატურაზე... თუმცა, რაა მსოფლიო ლიტერატურაზე თუ არ ფიქრობ კოსმოსურ-ზეციურ ლიტერატურაზე, რომელსაც არა აქვს ენა, მაგრამ აქვს ღრმა აზრი... რადგან მთავარია აზრი... და სიტყვები... არა... აზრია უმთავრესი და არა „ბაყაყი წყალში ყიყინებს“... აბა, ვშრომობ და ვფიქრობ და ვფიქრობ ლიტერატურაზე, გაუგებარია, აბსოლუტურად გაუგებარია, როგორ შეიძლება არ გიყვარდეს მშობლიური ლიტერატურა, ან გიყვარდეს მხოლოდ მშობლიური ლიტერატურა?“

შვილი კი აგრძელებს ღეჭვას, რომლის გამო მამა ლამის მწყობრიდან გამოვიდეს: „ახლა რაღას

ჭამ! გამოტენილი პირით ვერ ვხვდები, რას ამ-ბობ? – გადაყლაპე ეგ ლუკმა და ისე გამაგებინე, რა გინდა? რა გინდა? რა გინდა?... გაოგნებული მამისთვის გასაოცარი, დამთრგუნველია ის, რომ შვილი თითქოს კულტურულ გარემოში დაიბადა და გაიზარდა – რატომ არ უყვარს მშობლიური ლიტერატურა, რატომ ვერ გრძნობს მის ჟღერა-დობას, სიღრმეს, სიდიადეს... კითხვისას რატომ არ უჩქროლდება სისხლი, როდესაც კითხულობს „დაიგვიანეს, ჯერ არსად ჩანან! /მაგრამ სალამურს თუ მოჰკრეს ყური“... თანაც როგორი აღწერებია ბუნების, ადამიანების, ბებია-ბაბუა შვილიშვილობის... დედა-მდედრობის, მამა-მამრობის“ – „თქვენი ჭირიმე, ჰო მთებო/ ქედაწვდილებო ზეცადა,/ რამ გაგაჩინათ, ნეტარა,/ ჩემფერი კაცის ბედადა?!/ ხან კი რომ დაითოვებით,/ ხან დაგედებათ ნისლიო“...

შვილი კვლავაც საღეჭს აღლარჩუნებს, მამა კი კვლავაც კითხვების დასმას აგრძელებს, თუმცა ეს კითხვები უკვე საზოგადოებისკენაა მიმართული, რადგან, ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს თითქმის ყველა-სათვის თუ არა, ყოველი მეორე, მესამე მოზარდის, მოსწავლის მისამართითაა ეს კითხვები დასმული: „კაცო, ხომ ადამიანი ხარ? ადამიანმა არ გშვა? ხასიათი ხომ ჩამოგიყალიბდა? ბაღში ხომ გატარე? ახლა დამატებით მასწავლებელთან ხომ დადიხარ? მერე კიდე ხომ სწავლობ, ხომ სწავლობ სასწავ-ლებელში?... – რამხელა ხმაზე ამთქნარებ? არა გრცხვენია? ხელი მაინც აიფარე! გამოუძინებელი ხარ? რატომ? ხომ სასწავლებელში სწავლობ? – რა, არა გაქვს პასუხი, რაიმე სათქმელი? რას ჩაგიგდია ენა? რატომ ჩაგიწყვეტია ხმა? რას კრუ-სუნებ, რაას? – მეტი როგორ აგიხსნა, რანაირად ჩაგაგონო? რაღაც სენი გჭირს... აბა, როგორ, რა-ნაირად შეიძლება ლიტერატურა არ გიყვარდეს? – მთელი ცხოვრება ლიტერატურა მასულდგმულებს. ლიტერატურა რომ არა, შეიძლება ტერორისტი გავმხდარიყავი და ლიტერატურამ მაქცია გაწონას-წორებულ კაცად... ჩამომაყალიბა ყველასაგან და-ფასებულ პიროვნებად... ღირსეულად გადამალახინა გადაულახავი და დამაძლევინა დაუძლეველი! რამ გადაგიგვარა ეს გონება!“... და ისევ მალევე: „ცოდნა ძალაა!“ მერე კი, როგორც ხშირ შემთხვევებში ხდება ხოლმე, მსგავსი ვითარების გამო, რა თქმა უნდა, ყველაფერში დედაა დამნაშავე! – „დედაც შენი... ასეთი იყო ასეთი შენი დედაც იყო... მასაც ბევრჯერ შევაგონე და მერე შეუყვარდა...

ტექსტში მსგავსი შეძახილი ბევრჯერ მეორდება; პირველად მუსიკალურ ფონად, წამღერებასავით მოგეჩვენება, მაგრამ შემდგომ, გამოფხიზლებული ხვდები, რომ ეს ავტორის ღაღადისია, რათა არც შვილს და, რაც მთავარია, მკითხველს არ დაავი-წყდეს მთავარი – რატომ, რისთვის, როგორ უნდა უყვარდეს ლიტერატურა!... და ჩამესმის ოთარ ჭილაძის სევდანარევი ხმა: „...ძველი რექვიემი კვნე-სის,/ ნიშნად თაობათა შეცვლის“.

მამა, რატომღაც, სამ შეგონებას ლათინურად წარ-მოთქვამს: 1. Sciencia protencia est! – ცოდნა ძალაა. 2. Aquila non captat muscas! – არწივი არასოდეს დასდევს ბუზებს! 3. Finis Coronat Opus! – საქმეს დასასრულ აგვირგვინებს, ასევე, ფრაზა – „ვოტ ი ვსიო!“ – იგი ან ყოფილი საბჭოთა მოქალაქეა, ან უფრო თავს იწონებს შვილის წინაშე, ანუ ეფექტის მოსახდენად, ანდა ჩვევადაა აქვს ამ სიტყვის წარ-მოთქმა...

მშობელი მამა, თანაც ლიტერატურაზე ასე გადამ-კვდარი, არაფრით შეიძლება იყოს ცივი, უემოციო და, უკაცრავად, ფეხებზე ეკიდოს შვილის ჯანმრთელობა, სხვა დანარჩენთან ერთად, – ბიჭი ხან ამთქნარებს, ხან საღეჭს ღეჭავს, ხანაც აცემინებს, და მამაც უცე-ბვე ფხიზლდება, დიდაქტიკას დროებით გვერდზე სდებს: „იცოცხლე! გაცივდი სადმე? აქეთ გადმოჯექი და მოიფარე ეს“!... თუმცა, მამას არ სურს წუთისა და წამის ხელიდან გაშვება და ისევ დაუზარელად, მენტორის ხმით, უკვე მერამდენედ, თავიდან იწყებს: „რანაირად შეიძლება არ გიყვარდეს ლიტერატუ-რა?... არა, ნამდვილად რაღაც სენი გჭირს... ესნი. ენსი. ნისე. სინე. ნესი./ იცი რა ერქვა კალიფორნიის 33-ე გუბერნატორს და ამერიკის მე-40 პრეზიდენ-ტის ცოლს?/ ... მღჭ-მღაჭ...მღჭ-მღაჭ!.../ არ იცი!/ ნენსი“... ამის ცოდნასაც კი შვილს განათლებაში უთვლის, რადგან იქვე პასუხობს: „თუ განათლება არა გაქვს – დ ა ი ღ უ პ ე ბ ი!“...

ნაწარმოების ბოლოს ბიჭი „მოახერხებს“ და ამოღეჭავს:... „მშია მეე!“ აღმოჩნდა, რომ მასაც მოშიებია, თანაც ისე, რომ „ლამის არის ძვლები-ანად“ შეახრამუნოს შვილი, რომელსაც თავადაც მოსთხოვს საღეჭ რეზინას და, „მღჭ-მღაჭ, მღჭ-მღაჭ“-ის ანუ მღაჭ-მღუჭით გაუყვებიან გზას. თუმცა მამა მაინც ვერ ისვენებს, კვლავ აგრძელებს ნაღვლიან საუბარს: „იცი, იყო დრო, როცა შენხელა, ჩემხელა, უფრო პატარები და უფრო ბებრები... ერთად ვიდექით და ვმღეროდით: „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია, აწმყო თუ არა გწყა-ლობს, მომავალი ჩვენია“ ... ვმღეროდით და ერთი ციცქნა ქვეყანა უზარმაზარი ხდებოდა... „წვრილშ-ვილნი წამოგესწრნენ, ნაზარდნი, გულმტკიცები,/ მათის ზრუნვის საგანი შენ ხარ და შენ იქნები,/ არ გიმტყუნებენ შენა, თუკი მათ მიენდობი.../ ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?... სად წავედით, სადა? რა დაგვემართა? რაა? – მამა მშია!... ფინიტე ლა კომედია... მორჩაა... გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა... დავიძარით – მღჭ-მღაჭ-მღწ-მღაჭ!“

მამა-შვილი ღეჭვა-ღეჭვით აგრძელებენ გზას, რომელიც ტაძართან ნამდვილად არ მიიყვანთ, რადგან იქ მისვლას სხვა შემართება და სურ-ვილი სჭირდება; მართალია, მამამ თითქმის ყველა აუცილებელი, სავალდებულო კითხვა დასვა, ად-ეკვატური პასუხებიც გასცა, მაგრამ... თავადაც მიმხვდარია, რომ მთავარი გამორჩა, რასაც მხოლოდ ოჯახის ფენომენი იძლევა... კარგია, რომ ამას არც სკოლას აბრალებს და არც თანამედროვე განა-თლების სისტემასა და მეთოდებს... თუმც ამაში მათი ბრალეულობა ნათელია. მე კი დავამატებდი, – ბევრი რამ აღზრდილი აღმზრდელების ნაკლებობითაა გამოწვეული... და კიდევ, სკოლამ აღმზრდელობითი

ფუნქცია დაკარგა....

მოთხრობის ბოლო ფრაზა რამდენიმენაირად შეიძლება გავიგოთ, – ან ყველა იმაზეა გამეცადინებული, რომ რამენაირად სტომაქი ამოივსოს, ან – მამისათვის შვილის უჭმელობა დამთრგუნველია (რაც ბუნებრივია!), ანდა საზოგადოების დიდ უმრავლესობას აღარ ახსოვს, საჭირო აუცილებლობად აღარ თვლის – სულის საზრდოს, სწორედ ამიტომაა, რომ მამა საუბრისას ძირითადად ლიტერატურაზე, წიგნის კითხვაზე ამახვილებს ყურადღებას. აქვე, გავიხსენებ ს.ს. ორბელიანის მიერ სიტყვა „აღმზრდელის" განმარტებას, რომელსაც „მამის" მნიშვნელობის ანალოგიით განმარტავს: „მამა არს ღმერთი დამბადებლითა. მამა არს შემქმნელი. მამად ითქმნიან მოძღვარი, მღვდელი, აღმზრდელი ოსტატი, გინა კაცი უხუცესი".

ყველასათვის ცნობილია, რომ ნებისმიერი ქვეყნის საზოგადოების ყურადღების ცენტრში დგას აღზრდის საკითხები, რომელზედაც ყოველთვის ფიქრობდნენ და იფიქრებენ; ამ დროს ხომ ძალზე მნიშვნელოვანია აღმზრდელის როლი, რომელმაც თავის აღსაზრდელში უნდა განავითაროს ზნეობა, კეთილშობილება, საკუთარი სურვილების არაყოლა, ნებისყოფის სიმტკიცე, ღირსების გრძნობა... ამ შემთხვევაში – მამა – დღევანდელი მშობლების დიდი ნაწილის განზოგადებული სახეა, რომლის „აღზრდის მეთოდი" გარკვეულ კითხვებს აღძრავს... იგი არც ს.ს. ორბელიანის, არც დ. გურამიშვილის და არც ი. გოგებაშვილისას არ გავს... ერთადერთი, რასაც მას ვერ დაუწუნებ – ესაა მცდელობა, სურვილი, რამენაირად – შვილს ჩვენი ქვეყნისა და მხატვრული ლიტერატურის სიყვარული ჩაუნერგოს, გაუღვივოს, მოახდინოს ფასეულობების იდეალიზაცია...

ეს მოთხრობა ხმამაღალ ფიქრსა ჰგავს; მწერალი უყურადღებოდ ვერ ტოვებს შემოჩვეულ პრობლემებს – მათ მიზან-შედეგობრივ კავშირებს; არ შეიძლება, არ გავიხსენოთ ლუთერის სიტყვებიც: „ადამიანები არ იბადებიან ადამიანებად, ადამიანებად ისინი აღზრდის გზით ხდებიან". თანამედროვეობის ყოველმხრივი განცდა და მასზე პასუხის გაცემა ხომ ყველა თაობის მწერლის ამოცანაა!...

ორივე მოთხრობა ფიქრისა და განსჯის, მსჯელობის საშუალებას იძლევა. პერსონაჟების მეტყველებით, ქცევითა და ჟუსტიკულაციით – მათი ინდივიდუალური თვისებები, ხასიათები იკვეთება, რაც ავტორისათვის ხატვისა და ჩვენების საშუალებაა. სწორედ ამიტომაა, რომ მოთხრობების თანაავტორად მკითხველიც იქცევა, რაც მას მხოლოდ ღირსებას მატებს; რადგან ყოველ შემოქმედებით ნამუშევარს სჭირდება რაღაცის დამატება, საკუთარი ოცნებით შევსება, სუბიექტურ ფასეულობებში მოქცევა. ესაა გაცნობიერებული რეალობის აღქმის შედეგი; ზნეობრივი მწერლის პოლემიკა მკითხველთან, განსჯის ელემენტებით – რისთვის მოხვედი ამ ქვეყნად, რას ელი მისგან და სხვა. ავტორს ერთი საფიქრელი აქვს – საკუთარ ქვეყანაში მიმდინარე პროცესების პირუთვნელი შეფასება თუ არა, ჩვენება – მაინც, ყოველგვარი შელამაზების გარეშე; და როგორც ბ-ნი როსტომ ჩხეიძე ამბობს: **„მთავარია, მწერალმა ზნეობრივი ფერისცვალება მოახდინოს, მამხილებელ პოზიციასთან ერთად".**

ორივე მოთხრობაში, შეიძლება ითქვას, ჩვენი ყოფა ნატურალური სიზუსტითაა გადმოცემული; რიგითი ადამიანების – უბრალო, ჩვეულებრივი, შეულამაზებელი ყოფა... – მწერალი აქეთ-იქით აწყდება, ეძებს გზებს მათ გამოსასწორებლად, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი ერთმანეთში ისე გადახლართულა – ტრადიციული ფასეულობები, დუხჭირი სოციალური მდგომარეობა, თანამედროვე რეალობა, რომ ძნელია სწორი გამოსავლის მოძებნა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც, რადგან ავტორის თქმისა არ იყოს: „ამათ ღმერთი არ სწამთ და ამიტომ აქ სასწაული არ მოხდება!" და კიდევ, ყურფართხუნას დამცინავი სახით წაბურტყუნებული სიტყვები: „ყველამ თავის თავს უნდა მიხედოს"... **მართლაც, ადამიანთა დიდი უმრავლესობა ხომ დიდი ხანია სხვებისათვის ვეღარ იცლის, მათთვის აღარც დრო აქვთ და მათკენ აღარც გული მიუწევთ... ხანდახან თუ ამოძრავდებიან, ტყავში ძვრებიან, ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ის ადამიანი, ან ადამიანთა ჯგუფი რაიმეში გამოადგებათ.**

მწერალი კობა ცხაკაია, როგორც თავის საქმის პროფესიონალი – იგი ხომ, უპირველესად – მსახიობი, 45-სერიანი ფილმის სცენარის ავტორი, რეჟისორი, პროზაიკოსია; დამთავრებული აქვს თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი. მოგვიანებით – სარეჟისორო – არა მარტო ავტორია ზემოთ განხილული (პირობითად, რა თქმა უნდა) მოთხრობებისა, არამედ რეჟისორი და სახასიათო როლების საუკეთესო შემსრულებელიც.... „სხვა საქართველოს" მოუღლელი მაძიებელი!...

ნაწერი კი მინდა დავასრულო ჩვენი ცნობილი მეცნიერის, ასტრონომის, აკადემიკოს ევგენი ხარაძის ჩანაწერით: „ანა კალანდაძის ლექსი „მოდიოდა ნინო მთებით" 1945 წელს დაიწერა. კარგად ვიხსენებ, როგორი კმაყოფილებით მიიღო საზოგადოებამ.... ოღონდ დღეს ამ ლექსში განსაკუთრებულად მაღელვებს მისი ორი სტრიქონი: „...მწყემსმა ჰკითხა: რომელია ქართლის გზაი? / მწყემსმა უთხრა: საქართველო არის ესე!"

წმინდა ნინოს შეკითხვა შეეხებოდა გზას საქართველოსაკენ, რომლითაც შემოჰქონდა „სანატრელი ვაზის ჯვარი". ფიქრთა ასოციაციით მე წარმომესახება დღევანდელი „ქართლის გზაი", შინაური აღორძინებისაკენ მიმავალი და გარეთ კი – მსოფლიო სახელმწიფო წრეში შესასვლელი...

სად არის ის მწყემსი, რომელსაც უნდა შეეკითხოთ – დღეს „რომელია ქართლის გზაი"?

როცა ქვეყანა განსაცდელშია და მას მისაკვლევი აქვს გასაჭირიდან გამოსასვლელი გზა, პირველი სიტყვა მწერლებს და მეცნიერებს ეკუთვნით. მათ პირველებმა უნდა მისცენ მოსახლეობას საორიენტაციო გზები. ისტორიულად ეს ასეა"....

„ამ პატარა წიგნით გვინდოდა მეგობრობის ხიდის გადება ორ ქვეყანას შორის“...

გამოიცა ქართულ-ირლანდიური კრებული „ხიდი“, რომელიც ორი ქვეყნის — საქართველოსა და ირლანდიის პოეტების შემოქმედებას აერთიანებს. კრებული ემიგრანტი პოეტის, ქალბატონი გიული ჩქარეულის ინიციატივით მომზადდა და ლიტერატურული მეგობრობის გაძლიერების, ორ ქვეყანას შორის მეგობრობის ხიდის გადების მისია იტვირთა. კრებულთან დაკავშირებით ინტერვიუ ვთხოვეთ ქალბატონ გიული ჩქარეულს.

— თქვენი ინიციატივით ითარგმნა ქართულ-ირლანდიური პოეზიის კრებული. როგორ დაიბადა კრებულის შექმნის იდეა?

— პირველ ყოვლისა, მინდა მადლობა გადაგიხადოთ ყურადღებისა და იმ სიყვარულისთვის, რასაც ემიგრანტების მიმართ იჩენთ. თქვენს ჟურნალში ხშირად უთმობთ ადგილს ემიგრანტთა შემოქმედებას და მათი ცხოვრების ისტორიებს. მადლობა ასევე ამ პატარა წიგნისადმი გამოჩენილი ყურადღებისთვის. თუმცა წიგნი მოცულობით პატარაა, მაგრამ შინაარსითა და დანიშნულებით — ნამდვილად დიდი და საინტერესოა.

დუბლინში მცხოვრები ქალბატონი, რუსუდან ნებიერიძე მეგობრობს ირლანდიელ პროფესორთან, დესმონდ სვანთან და მის მეუღლესთან, მერი სვანთან. ბატონ დესმონდთან საქართველოზე საუბრის დროს, მან ჰკითხა ქალბატონ რუსუდანს, ხომ არ ფიქრობდა პატარა ბროშურის გამოცემას ქართველ შემოქმედ ადამიანებზე. ეს იდეა მან ტელეფონით საუბრისას გადმომცა. მე დიდი ხანია ვფიქრობდი ირლადიურ-ქართული პოეზიის ანთოლოგიის გამოცემას და რადგან ეს დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული, თავს ვიკავებდი, ვეძებდი სპონსორებს.

რუსუდანთან საუბარმა მიბიძგა იმ აზრისკენ, რომ ჯერ დამებეჭდა პატარა წიგნი, გამართულიყო მისი წარდგენა ორივე ქვეყანაში. შემეხედა, როგორი გამოხმაურება ექნებოდა, როგორ მიიღებდა ირლანდიური და ქართული მხარე ამ წამოწყებას და ამის შემდეგ მეფიქრა ანთოლოგიაზე. ასე დაიბადა ეს წიგნი.

— კრებულის შექმნაში დიდი წვლილი შეიტანეს — ცნობილმა ირლანდიელმა მოღვაწემ, დესმონდ სვანმა და მისმა მეუღლემ, მერი სვანმა...

— დიახ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, იდეა მათგან წამოვიდა. წიგნი რომ დაიბეჭდა, პირველი ეგზემპლარი ქალბატონმა რუსუდანმა მას მიუტანა და სთხოვა გადახედვა. წიგნში უამრავი შეცდომა იყო გაპარული. ბატონმა დესმონდ სვანმა და მისმა მეუღლემ მთლიანად ჩაასწორეს გაპარული შეცდომები და გასწორებული წიგნი ხელახლა დაბეჭდეთ. ეს პატარა მოცულობის წიგნი ძალიან ბევრ წვალებად, ნერვების წყვეტად და საკმაოდ დიდ თანხად დამიჯდა. ერთი პერიოდი უარის თქმასაც კი ვაპირებდი, მაგრამ ბატონმა ზვიად კვაჭანტირაძემ არ მომიწონა უკან დახევა და მადლობა მას ამისთვის. მადლობა ქალბატონ რუსუდან ნებიერიძეს, წიგნის მეორედ დაბეჭდვაში ისიც გვერდით დამიდგა და ერთობლივი ძალით გამოვეცით.

ბატონი სვანი და მისი მეუღლე ამ წიგნის გამოცემის საქმეში მთელი ყურადღებით იყვნენ ჩართულები. ხშირად კითხულობდნენ, რა სტადიაში იყო წიგნი და გვჭირდებოდა თუ არა მათი დახმარება. ამიტომ მათი ღვაწლი ნამდვილად დიდია და უღრმეს მადლობას ვუხდით ამისთვის. ისინი ასევე დაგვეხმარნენ ირლანდიელი ავტორების მოძიებაში. წიგნში წინა გვერდზე მისი პატარა წინასიტყვაობაა, ასევე შესულია მისი რამდენიმე ლექსიც. იმედი მაქვს, რომ ანთოლოგიის გამოცემაშიც ასეთივე შემართებით დაგვიდგება გვერდში ეს ძვირფასი ოჯახი.

— კრებულში ირლანდიის პრეზიდენტის ლექსიც შევიდა. გვიამბეთ წიგნში დაბეჭდილ სხვა ირლანდიელ პოეტებზეც..

— კრებულში შესულია 11 ირლანდიელი და 7 ქართველი პოეტი. თავიდან ჩაფიქრებული გვქონდა შვიდ-შვიდი პოეტი ორივე ქვეყნიდან და ხუთ-ხუთი ლექსი, მაგრამ რადგან სამ ლექსზე მეტის დაბეჭდვის შემთხვევაში, უკვე გვჭირდებოდა ავტორებისა და გამომცემლობის ნებართვა, ეს კიდევ უფრო გვირთულებდა ამ პროცესს. თან დროშიც და თანხაშიც ვეღარ ვეტეოდით (ლექსები ჩვენი ხარჯით ითარგმნა). ამიტომ გადავწყვიტეთ, ირლანდიელი პოეტების რაოდენობა გაგვეზარდა და, შესაბამისად, ლექსები შეგვემცირებინა. ირლანდიელი პოეტებიდან ვეცადეთ, რომ ყველა რეგიონის წარმომადგენელი ყოფილიყო. მათ შორის არიან გარდაცვლილი პოეტებიც, წიგნში შესულია ირლანდიის პრეზიდენტის ლექსებიც. წიგნის სახელწოდებაც „ხიდი“ მისი ლექსიდან შევარჩიეთ. ამ პატარა წიგნით გვინდოდა ლიტერატურული მეგობრობის გაძლიერება, დაფუძნება, მეგობრობის ხიდის გადება ორ ქვეყანას შორის და პრეზიდენტის ეს ლამაზი ლექსი „ხიდი“ The Crossing იქცა ამ წიგნის სახელწოდებად. წიგნის რედაქტორობა ბატონ ერეკლე საღლიანს



დესმონდ სვანი და მისი მეუღლე – მერი სვანი

ვთხოვე და საინტერესო წინასიტყვაობითაც გაამდიდრა წიგნი.

– საგულისხმოა ირლანდიაში საქართველოს საელჩოს თანადგომა. კიდევ ვინ დაგეხმარათ კრებულის მზადების დროს?

– კრებულის გამოცემის შესახებ იცოდა როგორც საქართველოს საელჩომ, ბატონმა გიორგი ზურაბაშვილმა, ასევე საქართველოს პარლამენტარმა, ბატონმა ზვიად კვაჭანტირაძემ, რომელიც იმ დროს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე იყო. ორივე მხარე მზად იყო წიგნის სამთავრობო დონეზე წარდგენის მოსაწყობად. ბატონი გიას წინადადება იყო, მოგვეწვია ირლანდიაში წიგნში დაბეჭდილი რამდენიმე პოეტი. ბატონი ზვიადიც გვპირდებოდა, საქართველოშიც სამთავრობო დონეზე ჩატარებულიყო წიგნის პრეზენტაცია,ჩაფიქრებული გვქონდა ბატონი დესმონდ სვანის მოწვევა საქართველოში და სიამოვნებით დაგვთანხმდა კიდეც, მაგრამ ისევ პანდემიამ შეგვიშალა ხელი და ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

ყველას დიდ მადლობას ვუხდი, ვინც კი ამ პატარა, მაგრამ დიდი მნიშვნელობის წიგნის გამოცემაში დამეხმარა. თქვენი ჟურნალის ფურცლებიდან განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ძვირფას მეგობარს, პოეტს, ქალბატონ რუსუდან გოგბერაშვილს,რომელმაც ჩემს აქ ყოფნაში,წიგნის ბეჭდვის ყველა პროცედურა, თარგმანებიდან დაწყებული,თავის თავზე აიღო და ბოლომდე მიიყვანა. ასევე ინგლისურიდან ქართულად თარგმნაში დიდი დახმარება გაგვიწია დავით აღმაშენელის აკადემიის რექტორმა, ქალბატონმა ნანა ჯიქიამ. ქართულიდან ინგლისურად ბწკარედების თარგმანი ეკუთვნის ქალბატონ მარინა სხირტლაძეს. გარეკანის მხატვრობა ეკუთვნის ბატონ დავით ბაძაღუას. გვიმრავლოს ღმერთმა ასეთი ნიჭიერი და ერთგული ადამიანები.

– სამომავლოდ ქართულ-ირლანდიული პოეზიის ანთოლოგიის მზადებაზეც ფიქრობთ...

– კი, აუცილებლად, მაგრამ ეს ცოტა დიდ თანხასთანაა დაკავშირებული. მე არ მინდა ეს ანთოლოგიაც იმ ავტორების ფულით გამოცემული ანთოლოგიების რიგს მიაკუთვნონ, ასე ხშირად რომ იბეჭდება დღეს საქართველოში. ფული გაქვს? ანთოლოგიაშიც დაიბეჭდები. ასეთი ანთოლოგიის არც დაბეჭდვის,არც ყიდვის,არც წაკითხვის სურვილი არა მაქვს. ამას არავის საწყენად არ ვამბობ, ეს ჩემი პირადი აზრია. როცა საკმარისი თანხა მექნება, ან სპონსორი გამოჩნდება, აუცილებლად დავბეჭდავ. უამრავი ღირსეული პოეტი გვყავს და მინდა ირლანდიამაც გაიცნოს ისინი, ისევე როგორც ირლანდიელი პოეტები – საქართველომ.

– პანდემიის დროს,ირლანდიის საელჩოს თანადგომით, თქვენი ონლაინსაღამო გაიმართა, სადაც, ორი ერის დაახლოების მიზნით, მრავალ კულტურულ ღონისძიებებზე გამახვილდა ყურადღება.

– უზომოდ მიხარია, რომ ასეთი ყურადღებიანი და ემიგრანტებზე მზრუნველი ელჩი გვყავს. ბატონი გიორგი ზურაბაშვილი აქტიურადაა ჩაბმული ყველა კულტურულ ღონისძიებაში. მთელი საელჩოს თანამშრომლები ასეთივე ყურადღებიანები და თბილები არიან. ძალიან ხშირად მართავენ სხვადასხვა სახის საღამოებს. ჩემი საღამოც მარტში უნდა ჩატარებულიყო და აქაც პანდემიამ შეგვიშალა ხელი. ონლაინსაღამოს გამართვაც ბატონი გიას იდეა იყო და მრავალი თანამშრომელი იყო ჩართული. კიდევ ერთხელ ვუხდი მათ მადლობას ასეთი სითბოსა და სიყვარულისთვის. ბატონმა გიამ იცის ამ ანთოლოგიის შესახებ და ყველანაირ ხელშეწყობასაც მპირდება. ვნახოთ, იმედია, ერთიანი ძალებით შევძლებთ.

– თქვენ ხშირად ეწევით ქველმოქმედებას. ეს კრებულიც ამის დასტურია. გვიამბეთ „ნოსტალგიაზე“ და ახალ გეგმებზეც.

– „ნოსტალგიის“ ნოსტალგია ისე მაქვს მოძალებული, მიჭირს გაძლება. ძალიან ბევრი საღამო მქონდა ჩაფიქრებული და მომზადებული, ორი თვით წამოვედი შვილიშვილების სანახავად და ამ საშინელმა ვირუსმა ჩამკეტა, ასე ვთქვათ, დამაპატიმრა ირლანდიაში. ძალიან ბევრი საღამო დამრჩა ჩაუტარებელი, ძალიან ბევრი პროექტი – შეუსრულებელი. ასევე ბევრი საქველმოქმედო გასვლა გვქონდა დაგეგმილი ქალთა საბჭოსთან ერთად. იმედია, მალე გაიხსნება საჰაერო გზები და მალე დავბრუნდები. ასე მგონია, ჩემს სალონსაც მოვენატრეთ, მეც და ჩვენი ძვირფასი სტუმრებიც. დავბრუნდები ახალი გეგმებით, ახალი პროექტებით, ახმიანდება და განახლდება ყველაფერი, გავაცოცხლებ მიძინებულ სალონს.

ქალბატონო თამარ, კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას, ყურადღებისთვის, სითბოსთვის სიყვარულისთვის. აქვე გპირდებით, რომ თქვენს საღამოს აუცილებლად მოვაწყობ სალონ „ნოსტალგიაში“. თქვენი ჟურნალის ფურცლებიდან მადლობას ვუხდი ყველას, ვინც დამეხმარა, გვერდში დამიდგა სიტყვით თუ საქმით, თანხით თუ სიყვარულით ამ პატარა წიგნის გამოცემაში. მაპატიოს, თუ ვინმე გამომრჩა. მრავალი კეთილი საქმე გვეკეთებინოს ასეთი ერთობითა და სიყვარულით. სწორედ ერთობა და სიყვარული გვჭირდება დღეს.

თამარ შაიშმელაშვილი

ბორის გალაევისა და ქართველი კომპოზიტორების მეგობრობა

ბორის კონსტანტინეს ძე გალაევის 130 წლისადმი მიძღვნილი კონფერენცია ოსი ხალხის ეროვნულ ზეიმად იქცა.

არიან ადამიანები, რომელთა შესახებაც ერთდროულად ადვილიც არის ლაპარაკი და ძნელიც. ადვილია იმდენად, რამდენადაც ისინი დაჯილდოებულნი არიან დიდი თვითმყოფადი ნიჭით; ძნელია იმიტომ, რომ მათ მრავალმხრივ და მდიდარ ბუნებაზე უბრალოდ ვერ ილაპარაკებ. სწორედ ასეთი პიროვნებაა ბორის გალაევი.

ბორის გალაევი იყო საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მკვლევარი-ფოლკლორისტი, კომპოზიტორი და პედაგოგი.

ოსური მუსიკალური ხელოვნების განვითარება ამაგდარი კომპოზიტორის სახელთან არის დაკავშირებული. მის სახელს დავიწყება არ უწერია. იმის გარდა, რომ ოს ახალგაზრდობას გზა გაუხსნა დიდი მუსიკისაკენ, მან საშვილიშვილო საქმეს მოჰკიდა ხელი და შთამომავლობას შემოუნახა ოსური მუსიკალური ფოლკლორი, რომელსაც დიდი მოთმინებით აგროვებდა სხვადასხვა კუთხეში, მთასა თუ ბარში. ის ყველგან დადიოდა ზურგზე განუყრელ ფონოგრამწამოკიდებული.

განსაკუთრებით საყურადღებოა მისი შემკრებლობითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა.

კომპოზიტორის შემოქმედებითი მოღვაწეობის შემდგომი წლები მეტი ინტენსივობით ხასიათდება. როგორც ფაქიზი მუსიკალური გემოვნების კომპოზიტორი, ბ. გალაევი თავიდანვე ქმნის გულთბილი გრძნობით განმსჭვალულ მცირე ფორმის საბავშვო სიმღერებს.

ოსური ხალხური შემოქმედება და ხალხური ხელოვნება განვითარების მაღალი დონითა და თვითმყოფადობით გამოირჩეოდა. ოსეთში ოსურმა მუსიკალურმა ხელოვნებამ უდიდესი ბიძგი მისცა ეროვნული მუსიკის აღმოცენება-განვითარებას.

მუსიკალური ხელოვნება ბორის ალექსანდრეს ძე გალაევის დროს იმდენად განვითარდა, რომ პატარ-პატარა კონცერტები აღარ აკმაყოფილებდათ.

1900 წლის დასაწყისში რამდენიმე ოსური ხალხური მელოდია ჩაიწერა ცნობილმა ქართველმა კომპოზიტორმა დიმიტრი არაყიშვილმა – ცეკვის მელოდია „ზილგა ქაფო“, რომელიც 1902 წელს მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში შესრულდა ავტორის ხელმძღვანელობით. აგრეთვე 1901 წელს მისივე დამუშავებული „აბრაკ ტატეს“ სიმღერა, რომელიც შესრულდა ფორტეპიანოს თანხლებით მოსკოვში, 1911 წელს, მოსკოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის აუდიტორიაში.

1911 წლიდან ოსური ხალხური სიმღერები სრულდებოდა კონცერტებზე მოსკოვში, პეტერბურგში, ვლადიკავკაზში და სხვა. ხოლო 1915 წელს ჩატარდა პირველი გრანდიოზული კონცერტი ვლადიკავკაზში, ოსური ხალხური სიმღერებისგან შემდგარი პროგრამით და სახალხო მომღერლების შესრულებით. თუმცა ყველაზე მეტი რაოდენობა ოსური ხალხური მელოდიებისა ჩაიწერა ვიქტორ დოლიძემ, ქართველმა კომპოზიტორმა, 1925-26 წლებში და ოსურ ხალხურ მუსიკას მიუძღვნა ორი ფასეული სტატიაც.

1926 წლის გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ ვიქტორ დოლიძე – გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი, წერს: „როდესაც თავისი შესაძლებლობის წარმოსაჩენად მსოფლიოს ყველა კუთხიდან შეგროვდა ხალხი, მაშინ კავკასიელები, კერძოდ ოსები, წარმოადგენდნენ თავისი ერის უამრავ, მრავალფეროვან, მომხიბლავ სიმღერებს. „გადიდგულებული“ ევროპა უსათუოდ შეიცნობს, თუ რა მუსიკალური კულტურა გააჩნიათ კავკასიის მთიელებს“.

ბორის გალაევს დიდი პროფესიული და მეგობრული ურთიერთობები აკავშირებდა ქართველ კოლეგებთან: არჩილ კერესელიძესთან, ანდრია ბალანჩივაძესთან, გრიგოლ ჩხიკვაძესთან და სხვა ცნობილ კომპოზიტორებთან და საზოგადო მოღვაწეებთან.

ფასდაუდებელია მისი ღვაწლი კინომუსიკაში, აგრეთვე – სპექტაკლების მუსიკალურ გაფორმებაში. მაგ. კინოფილმ „ფატიმას“ ამშვენებს ბ. გალაევისა და არჩილ კერესელიძის მუსიკა კოსტა ხეთაგუროვის ტექსტზე: „იბრაგიმის სიმღერა“, „დაისი ჩამოწვა“ და „იავნანა“ – ტექსტი პეტრე გრუზინსკის. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბორის გალაევის მრავალწლიანი დიდი მეგობრობა ქართველ კომპოზიტორთან, ანდრია ბალანჩივაძესთან.

ცნობილი კომპოზიტორი პეტრე რიაზანოვი, რომელიც იყო ბ. გალაევის ძველი მეგობარი, დიდი პატივისმცემელი და მოყვარული ოსური მუსიკისა, ვინც დიდი წვლილი შეიტანა ოსური ხალხური მუსიკისა და სიმღერების მოძიებაში, სოფელ-სოფელ, ბორის გალაევთან ერთად აგროვებდა სიმღერებს. ამ შრომის შედეგად უამრავი მასალა შეაგროვეს და წარმატებულიც გამოდგა მათი ეს ექსპედიცია, სწორედ პ. რიაზანოვის რეკომენდაციით გაიცნეს ერთმანეთი ანდრია ბალანჩივაძემ და ბორის გალაევმა; მათ მჭიდრო, თბილი და შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებდათ. ეს ა. ბალანჩივაძემ ყველაზე კარგად აღწერა თავის წერილში, რომელიც მთლიანად მიუძღვნა ბ. გალაევს და გამოხატა თავისი დამოკიდებულება და პატივისცემა მის მიმართ.

P. S. ბორის გალაევს ქართველ კოლეგებთან და საზოგადოებასთან არა მარტო პროფესიული ურთიერთობა აკავშირებდა, არამედ – ნათესაურიც. მისი მეუღლე იყო ცნობილი ქართველი მწერლის, ალექსანდრე ყაზბეგის დისშვილი – ნინა ატაევა, სპეციალობით ექიმი.

დაბოლოს, ოსური და, ზოგადად, მსოფლიო მუსიკის თვალსაზრისით, ეროვნული მუსიკა შესაძლებელია მსოფლიო დონეზე აიყვანო, რასაც უმაღლესი რანგის შემოქმედება ჰქვია. ბორის გალაევი სწორედ ამ რანგის შემოქმედად უნდა მოიაზრებოდეს.

იზოლდა ტიგიევა (თიჯიონი),
ოს ქალთა კავშირის პრეზიდენტი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

• • •

პოეზია

მამუკა ოჩიაური

* * *

შორით,
მდინარის ხმიანობა წყნარ ღამეს ალღობს,
გულდაგულ მალავს ცად ვარსკვლავებს
ნისლების ხელი,
სამი სოფელი შერჩენია ამ დროში არხოტს,
ჯაჭვის პერანგად – ჭიმღა, ამღა და ახიელი!

არაფერს გეტყვი

არაფერს გეტყვი, გულს მომლოდინეს,
დავიცხრობ ურიცხვ ლექსთა ბწკარებით,
საფიქრალს ჩემსას მწველსა და მძიმეს,
მრუმე ნისლივით წავეფარები.
შენც ჩემგან სიტყვას მოელი აღარ,
შეგუებულხარ დილას ხვალინდელს,
გულში აბრუნებ ტკივილს და ბალღამს,
იგონებ იმ დღეს – დღეს შარშანწინდელს.
არაფერს გეტყვი, სიტყვაც დავკარგე,
გულიც წამართვი გაურიყავი,
დრო იყო, ფიქრით
კოშკები ვაგე
და შენც უქრობად ჩემთან იყავი.
ამ გულს ვიურვებ კვლავ მომლოდინეს,
სახსოვრად მრჩება ლექსთა ბწკარები,
უხმოდ ჩავიხვევ საფიქრალს
მძიმეს
და ზედ ნისლივით წავეფარები.

* * *

მახვილო, მტრისად დაკრულო,
მზეო, არ დანაბნელებო,
ჩონგურო, ლაღად ჩაკრულო,
შრომით დამსკდარო ხელებო.
ვერ დაუღლელო გუთანო,
ნამგალო, განაფერებო,
სისხლით მორწყულო მამულო,
გაუთელავო ველებო.
თემ-წყალო გაუყოფელო,
გულო არ დანაბერებო,
გაუტეხელო სოფელო,
ვადას ჩაბღუჯვილ ხელებო.
ჩამავალ მზისგან სისხლივით
გაწითლებულო სერებო,
ლიბომაგარო სახლკარო,
ხოლკარს არ დანაფერებო.
ზღვად მოლივლივე ბალახო,
ყვავილთა ზღაპრულ ფერებო,
გველივით წივით სათიბში
დაუდეგარო ცელებო,
წუთისოფელო ჯიუტო,
წამით ვერ განაჩერებო,
მშიერ ობლისთვის მიწვდილო,
ზამთარში ხმელა კვერებო.
გულში მბორგავო მტრის ჯავრო,
ვერასდროს მოსანელებო,
ზვავებით გადაჭედილო
გულქვა, ცოდვიან ხევებო.,
რქებგადაწნულო ხარლაღო,
ცხელ ტყვიით განაჩერებო,
ბარად მყოფს მომენატრებით,
მაღალო მთებო, ველებო,
შეწუხებული ჩონგურზე
მალ-მალ ლექსთ დავამღერებო!

ჩემს თანამებრძოლს!

დრო იყო, ორივე მხარდამხარ ვიყავით,
დრო იყო, ორივეს რომ გვეცვა ფარაჯა,
ჩვენ ყველა ერთურთთან, არ გაურიყავნი
სამშობლოს ვედექით ფარად და დარაჯად.
დრო იყო, მამულის ვწამლობდით იარას,
და ქვეყნის მთა-ბარად, გზებიც კი დავკეცეთ...
მას მერე რამდენმა დღემ ჩამოიარა,
ფიქრები ითვლიან წარსულის ნაკეცებს.
დრო იყო, წვიმისგან გვიცავდა კარავი,
დრო იყო, გვფარავდა მტრისაგან სანგარი,
მაშინ გულს გვივსებდა დარდი და ვარამი,
რადგან მტერს მიჰქონდა
ჩვენი მონაგარი.
დრო იყო, ტყვიათა წვიმები დიოდა,
მზე ემალებოდა ნაღმების მძიმე ბოლს,
ხანდახან გვშიოდა, ხანდახან გვციოდა,
ქარს ნისლი მიჰქონდა ჩვენიდან სადღაც შორს.
დრო იყო, ორივე მხარდამხარ ვიყავით
და ჯარისკაცული, ტანთ გვეცვა ფარაჯა...
ერთურთთან არასდროს არ გაურიყავნი,
სამშობლოს ვედექით ფარად და დარაჯად!

პატარა ქალო!

მე უშენობით გული მტკივა, იქნებ მიწამლო,
იქნებ მოხვიდე და მომაპყრო შენი თოლები.
გულში ცეცხლად ხარ ანთებული, პატარა ქალო,
ნუ მიმატოვებ, ნურასოდეს განმეშორები.

მე უშენობით საკნად მექცა ეს ცის ქვეშეთი
და უხალისოდ ნელა ვათრევ სიცოცხლის უღელს,
მე უშენობით ვიძირები, დაბლა ვეშვები,
ტიალ ცხოვრებას ავბედითად ვუმზერ და ვუღრენ.

პატარა ქალო, გადაგკარგა დღეთა სიშორემ,
თუ ავბედითი სვე-ბედია ამის ჩამდენი,
უშენობაში დაბადებულ დარდს ვერ ვიშორებ
და უიმედო მოლოდინებს უხმოდ მივდენი.

პატარა ქალო, დაკეცილა დრო გალეული,
ნამგალა მთვარეც ამ შავ ცაზე აღარ ჰკიდია,
ფიქრების გზაწვრილს მივუყვები, ვით მთვარეული,
შენ ვეროს იგრძნობ, ჩემი ტანჯვა როგორ დიდია.

პატარა ქალო, ჩამოღამდა კარგა ხანია,
ღამემ დაფარა დიდი მთების სილუეტები,
როცა აქ არ ხარ, დამიჯერე გული მკვდარია,
დასავიწყებლად არასოდეს არ მემეტები.

ამტკიებია მკერდში გული, ვერაფრით ვწამლობ,
ყველა დაბრუნდა ბარად მყოფი შენი სწორები,
გულში ცეცხლად ხარ ანთებული, პატარა ქალო,
ნუ მიმატოვებ, ნურასოდეს განმეშორები!

კოდორის ხეობა

ქართველთა გოლგოთა გზა არის კოდორის,
მე მესმის ლანდების მოთქმა და გოდება,
ბუნებას აეგო ზვავების გოდოლი,
ბევრი რამ მიამბეს უენო ლოდებმა.
დრო იყო, ამ გზაზე სიკვდილი ზეობდა,
ეშმაკი ხარხარით იკლებდა გზა-შარას,
ცოდვა-ბრალს მოეცვა კოდორის ხეობა,
ჯავშანი ჩაეცვა ქვაბჩარას, აჟარას.
აი, აქ ვიღაცას სციოდა ღამეში,
აქ დედას პატარამ საჭმელი მოსთხოვა,
ზღვა ხალხი მიჰყვება გზა-შარას დამეწყრილს,
ფიქრობენ, რაღა ვქნათ თუ კიდევ მოთოვა.
სხეულით ათბობენ უმწეო პატარებს,
სხეულმაც დაკარგა სითბო და ნუგეში,
ნახევრად გაყინულ ბავშვს დედა ატარებს
და ბავშვის უგრძნობი ხელი აქვს უბეში.
დაბინდდა, დაღლილ ხალხს იმედი უქრება,
ფიქრობენ, უფალო, ეს ტანჯვა გვაკმარე,
ცისკრის ჟამს ვიღაცას გოგონა უკვდება,
იმასაც ნამქერში გაუჭრეს სამარე.
სიცივე, შიმშილი და გზები სავალი,
რად ტანჯავ, უფალო, ნეტავი ვიცოდეთ,
დარდებით დასერილ გულს თუ აქვს წამალი,
ან ფასი შვილმკვდარი მშობლების სიცოცხლეს.
უდედო პატარა მამამ მხრით ატარა,
ცოტაც და გადავა ამ უღვთო
„პერევალს“...
პატარას არ ძალუძს სიცივის ატანა,
მამა გრძნობს, ბავშვის ტანს სიცივე ერევა.
ნელ-ნელა მოეშვა პატარას სხეული,
ჩამოსვა, სასწრაფოდ ჩახედა თვალებში,
შვილმკვდარი მამის ხმა, — ხმა გადარეულის,
მეხივით გაისმა ამ წყეულ ღამეში.
უფალო, ვლოცულობ დაღუპულ ხალხისთვის,
დარჩენილთ მიეცი ჯანი და მხნეობა,
აქ სტუმრად მოსული ხევსური კაცისთვის,
დარჩება გოლგოთად კოდორის ხეობა!

სიკვდილის ხეობა

მოსასხამი არც თეთრი აქვს და არც ბაცი,
ცელით დადის, მთებს ქარივით ზედ ევლება,
უგულოა, არც ქალია და არც კაცი,
არის მეხის უხმოდ ერთი გაელვება.
ის წამია, დასასრულის ბოლო წამი,
დამიჯერეთ, უმისოდაც გაჭირდება,
მასზე არ ჭრის ოქრო-ვერცხლი, ბევრი ქრთამი
მას სიმდიდრე არასოდეს არ სჭირდება!

თარგმნა
გიორგი ვარამაშვილმა

ახალი დროება!

1
ცაცხვების ქვეშ
ტრამალზე
სადაც ჩვენ ორნის საწოლი იყო
შეგიძლიათ ნახოთ
ყვავილები და ბალახები ერთმანეთზე მიყრდნობილი.
ტყესთან, ხეობაში
ტანდარაი!
ბულბული გალობდა.

2
მე მივედი აუეს ნაპირას
ჩემი მეგობარი უკვე მისული იყო.
ღვთისმშობელო ყველაფერი მშვენიერი იყო
და უბედნიერესი ვარ!
მან ათასჯერ მეამბორა,
ტანდარაი!
პირი გაწითლებული მაქვს.

3
ყვავილებისგან
დიდებული კარავი გაშალა,
შემდეგ მაგრად დამცინა
ვინმეს რომ ამ გზაზე გამოეარა
შეეძლო ვარდებში
ტანდარაი!
ჩემი თავი დაენახა.

4
მე რომ მასთან ვიწექი
ეს თუ ვინმემ გაიგო (იმედია ღმერთმა არ დაუშვა მსგავსი),
შემრცხვება.
ჩვენ რაც ვქენით იქ –
არავინ უნდა იცოდეს,
მხოლოდ მე, იმან და
პატარა ჩიტმა,
ტანდარაი!
რომელიც ჩუმად იქნება.

ვალტერ ფონ დერ ფოგელვაიდე

ვალტერ ფონ დერ ფოგელვაიდე (1170-1230) შუასაუკუნეების მინნეზენგერი (მინნეზანგი – სასიყვარული სიმღერა).

დაბადების ადგილი უცნობია. არსებობს ვარაუდი, რომ ის დაიბადა ქალაქ პასაუში, რადგან მის ტექსტებში ხშირად იხსენიება, მაგრამ ეს დამტკიცებული არ არის. ზუსტი ადგილმდებარეობის გარკვევა რთულია, რადგან იმ დროს ბევრი ფრინველი იყო გერმანიაში და, შესაბამისად, ბევრ ადგილს ერქვა ფოგელვაიდე.

თავად სახელი და გვარი ვალთერ ფონ დერ ფოგელვაიდე, მისი პოეზიის გარდა, დოკუმენტურად არსად იხსენიება, თუ არ ჩავთვლით პასაუერი ეპისკოპოსის ხელწერილს, სადაც ამბობს, რომ პოეტ ვალტერს ფოგელვაიდედან ხუთ შილინგად ტყავის ქურთუკი მისცა.

როგორც ლექსებში ჩანს, ის იყო მოხეტიალე მინნეზენგერი, რომელმაც მოიარა სხვადასხვა მხარე (ტიურინგენი, მაისენი, კიოლნი, ბაიერნი, პასაუ, კერნტენი) და სხვადასხვა მეფის კარზე იმსახურა.

ვალტერ ფონ ფოგელვაიდე არის პოეტი, რომელმაც პოეზიაში პირველად შემოიტანა პოლიტიკური და რელიგიური ტექსტები. გარდაიცვალა, სავარაუდოდ, 1230 წელს, ვიურცბიურგში.

* * *

წყლის ჩუხჩუხის ხმა გავიგონე
და მოცურავე თევზები დავინახე.
ამქვეყნად ტყე, მინდორი, ფოთოლი, ლერწამი, ბალახი
ასევე ყველაფერი წყალში რაც კი რამ ცურავს,
ჰაერში ფრინავს, მიწაზე დადის, ვხედავ და
გეუბნებით თქვენ:
არცერთი მომხდურის გარეშე არ არსებობს.
გარეული ცხოველები და მცოცავნი
მუდამ ერთმანეთს ებრძვიან.
ერთადერთს – ჩიტებს შეუძლიათ ისე მოქცევა
რომ ერთ აზრზე იყვნენ,
მათ სხვანაირად არ შეუძლიათ –
კარგი მმართველობა ჰყავთ,
მეფე სამართლიანია და ყველა ემორჩილება,
ბატონი და მოჯამაგირე ერთმანეთისგან
განირჩევა.
უბედურო გერმანელო ხალხო შენ კი პირიქით
არანაირი წესრიგი არ გაქვს,
კოღო გიზის მეფედ
და შენი პატივისცემა ქრება.
მოტრიალდი! მოტრიალდი ბოლოსდაბოლოს!
თავადები გათამამებულნი არიან
და ვასალები გავიწროებენ.
ფილიპ ადი ტახტზე
ეს ყველა მოიშორე თავიდან!

ლიტერატურული ნერილი

ხუსუდან ბოჩიტაშვილი

ყოფიერების გზაგასაყართან

რომანი „მდგმური“ 1979 წელს დაიბეჭდა და ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ საზოგადოებამ კუთვნილი ადგილი ვერ მიუჩინა მას. საბედნიეროდ, დღეს ჯემალ ქარჩხაძის ნაწარმოებებისა და მათი ავტორის მნიშვნელობა გაირკვა და რომანი „მდგმურიც“ ძვირფასი გახდა მკითხველისთვის. ამ წიგნში მწერალმა მისთვის ჩვეული ოსტატობით დაგვიხატა ადამიანის ღრმა შინაგანი სამყარო, მარადიული ბრძოლა კეთილსა და ბოროტს, მიწიერსა და ღვთიურს შორის.

რომანს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ფრაზა მათეს სახარებიდან: „და ჰრქუა მას: ესე ყოველი მიგცე შენ, უკუეთუ დაჰვარდე და თაყუანისმცე მე“ (მათე 9). ამ სიტყვებით ავტორმა ნაწარმოების მთავარი სათქმელი დასაწყისშივე გაგვიმჟღავნა: წუთისოფლის ბატონი ყოველი მოკვდავის ცდუნებას ცდილობს, სულის სანაცვლოდ ამქვეყნიურ დიდებას ჰპირდება. ამიტომ ყოველ ადამიანს მაცხოვარივით უდიდესი ნებისყოფა და სიმტკიცე სჭირდება იმისათვის, რომ გადარჩეს და ცხონდეს, არ იქცეს კაცთა მოდგმის დაუძინებელი მტრის ხელქვეითად, მისი ნების აღმსრულებლად.

რომანის ყოველ თავს მწერალმა ცალკე ეპიგრაფი დაურთო. თითოეულს ღრმა შინაარსობრივი დატვირთვა აქვს და ნაწარმოების იდეის წვდომას უადვილებს მკითხველს.

მთავარი პერსონაჟი თვითონ გვიამბობს საკუთარ ამბავს. რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს ერთი დიდი აღსარებაა, რადგან საკუთარი სულის შეცნობით, ჩადენილი ცოდვების გამო ღრმა სინანულითაა მოთხრობილი.

რომანში არ არის ნახსენები მთხრობლის სახელი. როგორც ჩანს, ამას გარკვეული აზრობრივი დატვირთვა აქვს. გავიხსენოთ ახალი აღთქმის „ლაზარესა და მდიდრის იგავი“, რომელშიც მდიდარი უსახელო პერსონაჟია, ღარიბს კი ლაზარე ჰქვია. ამით იესო ქრისტემ ალეგორიული ენით გვითხრა, რომ ადამიანი კარგავს სახელს, ე.ი. პიროვნებას, თუ შემოქმედისაგან დაწესებულ ჭეშმარიტ გზასა და მიზანს დაივიწყებს და მამონას გააკერპებს. ღარიბმა ლაზარემ შეირჩინა სახელი, ღირსება და სასუფეველი დაიმკვიდრა, რადგან მართალი იობივით მორჩილად იღებდა გაჭირვებას და ღვთის მადლიერი იყო. სამწუხაროდ, რომანის მთავარმა პერსონაჟმა ვერ უერთგულა ღვთისკენ მიმავალ გზას და ეს მისი პიროვნული ტრაგედიის მიზეზი გახდა.

ნიშანდობლივია რომანის სათაურიც. ძველი აღთქმა მოგვითხრობს: ფარაონმა ჰკითხა ძველი აღთქმის პატრიარქს, იაკობს, რამდენი წლის ხარო. მან მიუგო: „ასოცდაათ წელს ითვლის ჩემი მდგმურობის ხანი“ (დაბ. 47, 8). კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ერთ ქადაგებაში ამბობს: „ცხოვრება უდაბნოში მოგზაურობას ჰგავს, სადაც ჩვენ მხოლოდ მდგმურის უფლებებით ვსარგებლობთ“. საინტერესოა ქართველი კაცის დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ ხალხური პოეზიის მიხედვით: „წუთისოფლის სტუმრები ვართ, ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება“. ამ სიტყვებში ნათლად ჩანს ფილოსოფიური გააზრება ამქვეყნიური ცხოვრების წარმავლობისა. ჩვენი წინაპარიც ბიბლიური პერსონაჟივით რეალურად თავის თავში ატარებს მარადიულობის განცდას, ოღონდ ხალხურ პოეზიაში უფრო ლაღი და ხალისიანი დამოკიდებულებაა წუთისოფლის მიმართ, მდგმური კი, სტუმრისგან განსხვავებით, მოხარკეა თავისი პატრონისა, ვალდებულება აკისრია მის წინაშე.

რომანის მთავარი პერსონაჟი, ახალგაზრდა კაცი, ჯერ ვარდენ მექვაბიშვილის მდგმურია, შემდეგ კი – დეიდა მარიამის. მისთვის განუყოფელია ოცნება: „ჩვენ ილუზიურ სამყაროში ვცხოვრობთ, – ჩემო ვარდენ, – ეუბნება მდმური სახლის პატრონს, – ილუზიურ სამყაროში ერთადერთი ჭეშმარიტება არის ოცნება. ჩვენ კი ოცნებას ცხვირსახოცად ვხმარობთ: ამოვიღებთ ჯიბიდან და მჭახე ოფლს ვიწმენდთ. ჰაერი ოფლისა და ელექტრონის სუნით გაიჟღინთა. ადამიანი მანქანებისა და მჭახე ოფლის ამარა დარჩა. ნინელი მოკვდა, რათა ღმერთებივით გაქცეოდა მჭახე ცხოვრებას და შენ სიბინძურეში ამოიხრჩობი არა იმის გამო, მომხედავი და სახლის დამლაგებელი არავინ გეყოლება, არამედ იმის გამო, რომ ნინელი მოგიკვდა, როგორც ოცნება, რომლითაც იატაკს გვიდი და ლოგინს ბერტყდავდი“.

ეს სიტყვები, რომლებშიც პერსონაჟის მრწამსი ნათლად ჩანს, ზოგადად, თანამედროვე ადამიანისადმი მიმართვაა. ავტორმა წამოჭრა მორალურ-ეთიკური პრობლემა, ასე ნიშანდობლივი რომ გახდა დღევანდელი კაცობრიობისთვის. სამწუხაროდ, ადამიანთა უდიდესმა ნაწილმა დაკარგა რწმენა, ოცნება, პოეზია. ტოტალურმა უღმერთობამ, მერკანტილურმა აზროვნებამ, უხეშმა პრაგმატიზმმა, მატერიალურ კეთილდღეობაზე განუხრელმა ზრუნვამ განდევნა ისინი. ფსევდოკულტურის, უფერული რაციონალიზმის ტყვე აღმოჩნდა თანამედროვე ადამიანი. მთხრობელი განსხვავებულია ამ მხრივ სხვებისაგან. ზოგჯერ ფიქრით ეგვიპტეში გადადის, კარგავს რეალობის შეგრძნებას. ოცნების სიმბოლოა დედოფალ ნეფერტიტის პორტრეტიც, ასე ძვირფასი რომ

გამხდარა ახალგაზრდა კაცისთვის.

რომანი ნათლად გვიჩვენებს თანამედროვე ადამიანის სულიერ კრიზისს. კოლექციონერი მთავარ პერსონაჟს ეუბნება: „ფუჭი ილუზია იდეალიზმია. ადამიანი, რომელიც ცილების, ცხიმებისა და შიგნეულობისაგან შედგება, ღვთაებრივი ვერ იქნება. იდეალიზმი რეალურ სამყაროში თვითმკვლელობის ტოლია. ცხოვრება მისია, ვინც ოცნებას მოკლავს". ავტორმა კოლექციონერის სახით დაგვიხატა ბელზებელი, ოღონდ თანამედროვე და სახეცვლილი. როგორც გოეთეს „ფაუსტში", აქაც არა აქვს მას არც რქები და არც კუდი, მაგრამ ისევე ითხოვს სულს, როგორც ოდესღაც უდაბნოში ორმოცი დღის ნამარხულევ იესოს მოსთხოვა. ჯემალ ქარჩაძემ ნათლად დაგვანახვა, რომ ადამისა და ევას შეცდენის დროიდან, იესოს უდაბნოში გამოცდის დღიდან, არაფერი შეცვლილა; კაცობრიობის დაუძინებელი მტერი დღესაც ნადირობს ადამიანთა სულებზე და დიდი ძალისხმევაა საჭირო, რომ შეირჩინო ოცნება, რწმენა, რომლის მოკვლასაც ცდილობს ამსოფლიური სული. „სული არ არსებობს, არ მტკიცდება, რაც არ მტკიცდება, არც არსებობს. ხვალ თუ გინდა დაამტკიცო, საკუთარი სხეული ფანჯრიდან უნდა გადააგდო და მოკლა. რწმენა ონანიზმია", – ასე მიმართავს კოლექციონერი მდგმურს სხვა ეპიზოდში.

მთხრობელი გვიამბობს, როგორ დაიწყო ფულის შეგროვება, რათა მანქანა ეყიდა. ხელმომჭირნედ ცხოვრობდა, რომ მიზნისთვის მიეღწია, საკუთარი ავტომობილი ჰქონოდა და ზემოდან დაეხედა ფეხით მოსიარულეთათვის. მწერალმა გვიჩვენა ადამიანის სულში მიმდინარე ღრმა შინაგანი პროცესები.

შემთხვევითი არ იყო, რომ გაუჩნდა თუ არა ქვენა ზრახვა პერსონაჟს, დიასახლისმა სწორედ იმ დროს ჩამოუგდო ნეფერტიტის პორტრეტის გაყიდვაზე ლაპარაკი და ისეთი მუშტრის მოყვანას შეჰპირდა, რომელიც ბევრს გადაუხდიდა ამ სურათში. ავტორმა მიგვანიშნა, რომ საქმით ცოდვას ყოველთვის უსწრებს წინ ფიქრით ცოდვა. თუ ადამიანი მიწიერს, მატერიალურს გააკერპებს, უმალ, თავისდაუნებურად, ბოროტი ძალის მხარეს დგება: „ვერვის ხელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად: ანუ ერთი იგი მოიძულოს და სხუა იგი შეიყუაროს, ანუ ერთისა მის თავს-იდვას, და ერთი იგი შეურაცხყოს" (მათე 6. 24). სახარების სიტყვები, რომლებიც რომანს ერთ-ერთ ეპიგრაფად ერთვის, პერსონაჟის ცხოვრებაში აისახა.

დიასახლისსა და მდგმურს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

– ყველაფრის გაყიდვა არ შეიძლება, – ამბობს მდგმური, რაზეც ქალი პასუხობს:

– მოიგონებენ რაღაცას! ქრისტე გაყიდეს და ქაღალდის ნაგლეჯი რა მითქვამს!

– ქრისტე იუდამ გაყიდა.

– კაი ფასი შეეძლიათ, არც დანარჩენები დაიხევდნენ უკან.

– სხვაგან ეძიოს თქვენმა მუშტარმა საქონელი, – ასე კი უპასუხა კაცმა დიასახლისს, მაგრამ ცოტა ხანში ჰკითხა: – მაინც რამდენს მომცემს ის თქვენი მუშტარი, როგორ ფიქრობთ? ავტორმა ღრმა ფსიქოლოგიური წვდომით გვიჩვენა, რომ საკმარისია ფიქრში დაუშვა შენი იდეალების ღალატი, უმალ გარიგებას იწყებ ბოროტთან, სულის გაყიდვის საფრთხის წინაშე დგები.

მწერალი იმასაც შეგვახსენებს, რომ კოსმიურ სამყაროში არც ერთი სიტყვა არ იკარგება და პასუხს ვაგებთ თუნდაც წამოსროლილი სიტყვების გამო. დეიდა მარიამის მოყვანილმა კოლექციონერმა, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბოროტი ძალის სახე-სიმბოლოა რომანში, მდგმურს გაახსენა ვარდენ მექვაბიშვილთან ნეფერტიტის პორტრეტის გაყიდვასთან დაკავშირებით ნათქვამი: რაღა ეგ სურათი გამიყიდია და რაღა ეშმაკისთვის მიმიყიდია სულიო. ახალგაზრდა კაცის შეკითხვას, თუ რას ყიდულობდა, რას აგროვებდა, კოლექციონერმა ასეთი პასუხი გასცა: „ყველაფერს, განსაკუთრებით სიტყვებს, სიტყვებს, წამოცდენილ, წამოსროლილ, დაუფიქრებელს".

რომანისთვის დამახასიათებელია სახე-სიმბოლოებისა და ქვეტექსტების სიუხვე. ყოველი ეპიზოდი, ყოველი დეტალი ღრმა შინაარსისაა. საინტერესოა შავი მანქანის მფლობელი შავკეპიანი კაცი, მისტიკური პერსონაჟი, რომელიც აგრეთვე ბოროტი ძალის სახე-სიმბოლოა, მთავარი პერსონაჟის არაცნობიერი, ბნელი „მე", ცოდვისკენ რომ უბიძგებს კაცს.

მწერალი სიმბოლურ დატვირთვას ანიჭებს გზაჯვარედინსაც, როგორც გამოხატულებას ადამიანის თავისუფალი ნებისა. მხოლოდ ინდივიდის გადასაწყვეტია, საით წავა, ღვთისკენ (და შეერწყმება უფლისა და ადამიანის ნება, რასაც სინერგიას უწოდებენ), თუ – საწინააღმდეგო მიმართულებით.

ავტორმა რომანში დასვა მარადიული კითხვები, ყველა დროის ადამიანს რომ აინტერესებს და ეძებს პასუხს: რა არის ცხოვრების საზრისი? რატომ შექმნა ღმერთმა ადამიანი? არის თუ არა ის თავის არჩევანში თავისუფალი, თუ მხოლოდ ღვთის ნებაა, როგორ წარიმართება კაცის ცხოვრება? ჯემალ ქარჩხაძემ დასმულ კითხვებს რომანით თავადვე გასცა პასუხი, ოღონდ ისე შეფარვით, რომ სწორი დასკვნების უფლება მკითხველს დაუტოვა.

ერთ ეპიზოდში პერსონაჟი სუფრასთან თანამეინახეებს დაჟინებით უმტკიცებს, რომ უფალი მოძალადეა: „ჩვენ პერსონაჟები ვართ რომელიღაც ნაწარმოებიდან. ყველაფერი ავტორზეა დამოკიდებული, ჩვენი ხასიათიც, ჩვენი გარეგნობაც, ყოველი ნაბიჯი, ყოველი სიტყვა. ავტორია ჩვენი უფალი. ჩვენ ვიბადებით, გვეძლევა ასეთი და ასეთი გარეგნობა და ეს და ეს სახელი (ზოგი უსახელოდ რჩება) და აზრი არა აქვს იმაზე ფიქრს, რას მოვიმოქმედებთ, გარდა იმისა, რასაც ავტორი მოგვამოქმედებინებს. მაშინაც კი, როცა გარდაუვალ უმწეობას შევიცნობთ და ამბოხებას დავაპირებთ, ეს ამბოხებაც ავტორის ნება-სურვილით მოხდება".

პერსონაჟს ანტიკური ხანის მწერლებივით სჯეროდა ბედისწერის, ღვთისგან დაწესებული „მოირას" გარდაუვალობა. შემდეგში იგი თავისი განვლილი ცხოვრების თვითანალიზით მიხვდა, როგორც

ცდებოდა, როცა ადამიანი მარიონეტი ეგონა ღვთის ხელში: „ნუთუ მართლა ამხელა არჩევანი მქონდა და ყველაფერი ჩემზე იყო დამოკიდებული? ნუთუ მართლა სხივებივითაა ჩვენ წინაშე გადაშლილი ნაირნაირი გზები და საითაც მოგვეპრიანება, იქით წავალთ? ვინ აქეთ წავიდეს – მაგრამ უთვალავი გზიდან ნამდვილი მარტო ერთია“, – სინანულით ამბობს ახალგაზრდა კაცი, რომელმაც ნათლად დაინახა, რომ მხოლოდ ის გზაა სწორი, რომელსაც ღმერთთან მივყავართ.

რომანში სხვა სახე-სიმბოლოებიცაა, კერძოდ: „სოფელი“, „ნეფერტიტის პორტრეტი“, „ნილოსი“, „ეგვიპტე“, თითოეული მათგანი ძალზე მნიშვნელოვანია რომანის მთავარი აზრის ამოსაცნობად.

საინტერესოა მდგმურის სიზმარიც. ახალგაზრდა კაცს ძილში ეუწყა ღვთიური საიდუმლო, გაეღო ჭეშმარიტების კარი, ეცნობა „ცხოვრება“, შეიგრძნო იგი და არა „დაინახა“. უფალი ესტუმრა ძილში და სულიერი თვალი აუხილა. სიზმრის მეორე ნაწილში ნახა „ზღვა ფართო, უკიდეგანო. მე შუაში ვიყავი და ჩემს ირგვლივ ტივტივებდნენ ადამიანები, როგორც მოდრეიფე ყინულები, ადამიანებს უტყვი სახეები ჰქონდათ და ცდილობდნენ, არ ჩაძირულიყვნენ, საითაც ტალღა გაგორდებოდა, ისინიც იქით მიგორავდნენ. საბოლოოდ კი ერთ ადგილას ტივტივებდნენ. მე მივცურავდი ერთი გარკვეული მიმართულებით, რადგან გზის ბოლოს შუქურა მეგულებოდა, არ ვიცოდი, რად მინდოდა შუქურა, მაგრამ ვიცოდი, რომ მინდოდა. გულდანდობით მხოლოდ იმ ტალღას მივყვებოდი, რომელიც სავარაუდოდ შუქურასთან მიგორავდა“. ავტორმა სიზმარს ღრმა აზრობრივი დატვირთვა მიანიჭა, ალეგორიულად გვითხრა სათქმელი. ცხადია, ეს წუთისოფლის ზღვაა, რომელშიც ადამიანები ტივტივებენ და ცდილობენ, გადაურჩნენ ცოდვის მორევს, მაგრამ ბევრი ვერ აღწევს თავს, ვერ იკვალავს გზას „შუქურისკენ“ – ღვთიკენ, ამქვეყნიური ცხოვრების დინებას მიჰყვებიან, უამრავი მიწიერი საზრუნავი ავიწყებთ უფალს.

პერსონაჟს ღმერთმა სიზმრით შეახსენა, როგორ უნდა ეცხოვრა. მან კი, სამწუხაროდ, ვერ დაიტია ღვთიური საიდუმლო, დაკარგა სწორი გეზი. მის ცხოვრებაში გამოჩნდა მაკა, როგორც „ნათელი ბნელსა შინა“, სხივი ღმერთთან მიმაახლოებელი, ხორცშესხმული ოცნება. კაცმა იცოდა, რომ სწორი ის გზა იყო, მაკასკენ რომ მიდიოდა, მაგრამ გზაჯვარედინზე მდგარი ზღაპრის გმირივით სხვა მიმართულებით წავიდა, მიატოვა საყვარელი გოგო, ხორციელი ამჯობინა სულიერს.

შემთხვევითი არ არის, რომ მთავარი პერსონაჟი რამდენიმე ეპიზოდში ახსენებს ადამსა და ევას. ამით მწერალმა მიგვანიშნა კაცთა მოდგმის მარადიულ კავშირზე თავის უძველეს წინაპრებთან, რომლებმაც ზეცის მოქალაქეობა დააკარგვინეს ადამიანებს: „მე მამაჩემი ვარ, პაპაჩემი ვარ, პაპის მამა ვარ, პაპის პაპა ვარ. მე ადამი ვარ და ღმერთმა შემქმნა, ოღონდ ამ ღვთაებრივი საქციელის მიზანი არ გამიმხილა. ალბათ ვერ გავიგებდი და იმიტომ“. სხვაგან ვკითხულობთ: „ნათესავია – ვუპასუხე მცირე პაუზის შემდეგ. ნათესავია, ნათესავი. ორივე ადამიდან და ევადან მოვდივართ“. ავტორმა შეგვახსენა უტყუარი ჭეშმარიტება, რომელიც, სამწუხაროდ, ავიწყდება თანამედროვე ადამიანს: ყველანი ადამის შვილები ვართ, ადამიანები (ქართულ ენაში ეს შესანიშნავად აისახა), ღვთის სახედ და ხატად შექმნილები და არ უნდა დაგვავიწყდეს ამ ღვთაებრივი საქციელის მიზანი, რომელიც ძე ღვთისამ მიწაზე ყოფნისას განგვიცხადა და სახარებით დაგვიტოვა: „იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეცათა სრულ არს“.

საგულისხმოა, რომ ადამმა ცოდვის დამალვის გამო დაკარგა სასუფეველი, არ ეყო გამბედაობა, უფლისთვის გაემხილა სიმართლე, ელიარებინა ურჩობის ცოდვა. ამის მაგივრად დაემალა უფალს, რითაც უფრო დიდ ცოდვაში ჩავარდა. ადამის ცოდვას იმეორებს მთავარი გმირიც. მწერალი საოცარი ოსტატობით გვიჩვენებს პერსონაჟის სულში მიმდინარე ბრძოლას, თუ როგორ ცდილობს, იყოს გულწრფელი საყვარელ ადამიანთან, მაგრამ ვერ ახერხებს, ვერ იმარჯვებს საკუთარ თავზე: „იყო დრო, როცა ჩემი სიმდაბლე უნდა გამემხილა მაკასთვის, რომ ურთიერთობა ნათელი და უბორძიკო ყოფილიყო. მე კი გამხელის მაგივრად ძველს ახალიც ზედ დავამატე და ახალ ნიღაბს ვჩორკნიდი, გამოსავალს ვეღარ ვხედავდი, ძალიან ღრმად ჩავეფალი და ახლა აღარ ვიცოდი, როდემდე მომიხდებოდა ჭაობში ტოპვა“, – წუხს პერსონაჟი. ავტორმა ნათლად დაგვანახვა, რომ ბოროტი ძალა სულ მცირე ცოდვით შედის ადამიანში, შემდეგ კი თანდათან ძლიერდება. სწორედ ამიტომ არის საჭირო ცოდვის ამოძირკვა, რომ არ გამრავლდეს და გაძლიერდეს.

რომანში არ არის დაკონკრეტებული სოფელში ირინესთან გატარებული დრო და ადგილი. თხრობა თითქოს ირეალურ, მისტიკურ სამყაროში გრძელდება. უცნაურია, რომ ზაფხულის მზიან ამინდს რომანში უეცრად თოვლი ცვლის, პატრიარქალურ ხანაში გადასული პერსონაჟები მოწყვეტილნი არიან თანამედროვეობას. ირინესთან გატარებული დრო პირობითია და პერსონაჟის დაცემულ სულიერ მდგომარეობას ასახავს მას შემდეგ, რაც ცოდვამ დაიმონა. „რომელმან ქმნეს ცოდვად, მონა არს იგი ცოდვისა“ (იოანე 8, 34), – შეგვახსენებს მწერალი.

პერსონაჟი მიწიერ სამოთხეში ცხოვრობს, ერთი შეხედვით, თითქოს არაფერი აკლია ბედნიერებისათვის, გვერდით ლამაზი ქალი ჰყავს, ნამდვილი პატრიარქია ძველებურ სახლში, ყველა მამაკაცურ ვნებას იკმაყოფილებს: ნადირობს, თევზაობს, ტყეში დადის, სილამაზით ტკბება, ხორციელ ჟინს იკლავს, მაგრამ არ არის ბედნიერი, დიდ სიცარიელეს გრძნობს. მწერალმა ნათლად გვიჩვენა ღმერთს დაშორებული ადამიანის მდგომარეობა.

შთამბეჭდავია ეპიზოდი, როგორ ცდილობს პერსონაჟის სულში ჩამარხული ოცნება ამოტივტივებას, როგორ სურს კაცს ცოდვისაგან თავის დაღწევა, დავიწყებული უფლის გახსენება: „განსაკუთრებით ეზოში, პალატის წინ ამეკვიატებოდა ფიქრი. აქ უეჭველად შევჩერდებოდი, გავიტრუნებოდი, სუნთქვ-

ასაც შევიკრავდი და საკუთარ თავს მივუგდებდი ყურს. რატომღაც მეგონა, რომ ის, რაც უნდა მომეგონებინა, სადღაც აქ იყო. უფრო სწორად აქ მეგულებოდა უცნაური და ფანტასტიკური ჩვენება, რომელიც უხილავი და გაუგებარი არხით იმ „რაღაცას“ უკავშირდებოდა. ხანდახან ეჭვი შემეპარებოდა და ვფიქრობდი, ეს ალბათ,ჩემი აკვიატებული აზრია, თითქოს აქ, ამ ადგილას, ოდესღაც რაღაც იყო და ახლა აღარ არის-მეთქი... სუნთქვას შევიკრავდი და ყურს მივუგდებდი საკუთარ თავს“.

რომანის ეს ეპიზოდი გამორჩეულია ღრმა ფსიქოლოგიზმით. მწერალი ლოგიკურ-ფილოსოფიური წიაღსვლებით წარმოაჩენს ადამიანის რთულ შინაგან სამყაროს. ნიშანდობლივია,რომ სანამ პერსონაჟი ცოდვით ტკბობაშია, გონება დაბინდული აქვს, საღად ვერ აზროვნებს, არ ახსოვს მაკაც. საბედნიეროდ, უფალი არ ტოვებს თავის უძღებ ძეს და კაცს აეკვიატა ფრაზა: „უნდა ავიდე იმ მთაზე“. ზურგს უკან რომ ციცაბო მთა იდგა, იმას ვგულისხმობდი და უცებ გამკრა გულში. ელვის უსწრაფესად დაკვესა, რომელიღაც ნერვი შეარხია და გაქრა ისე,რომ თვალის მიტანება ვერ მოვასწარი. სამაგიეროდ, სანამ ნერვი ირხეოდა და ზრიალებდა, მე უცნაურმა და გაუგებარმა შეძრწუნებამ მომიცვა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს რაღაც უნდა მომგონებოდა“. ეს დავიწყებული უფლის გახსენება იყო. კაცმა მტკიცედ გადაწყვიტა „მთაზე ასვლა“ – ცოდვისთვის ზურგის შექცევა და დაბინდული გონებაც მაშინვე გაუნათდა, როგორც კი ცოდვას შეებრძოლა და დაამარცხა. ავტორმა ნათლად დაგვანახვა, თუ როგორი მტკივნეული და რთულია ცოდვის დაძლევა.

საინტერესოა პერსონაჟის მიერ საკუთარი თავის მოკვლის ეპიზოდი. მთაზე ასვლისას მან მოკლა თავის თავში ძველი, მიწიერი, ცოდვილი „მე“, რომელიც „ქვევით“ – ცოდვისკენ ექაჩებოდა „ზევით“ – ღვთისაკენ მიმავალ მეორე „მე“-ს. ავტორმა საოცარი სიცხადით დაგვიხატა სცენა კაცის სულში მიწიერზე ღვთაებრივის გამარჯვებისა, რაც ნებისყოფის დიდი დაძაბვით შეძლო პერსონაჟმა. ქრისტიანული მორალის მიხედვით, თუ ადამიანში არ მოკვდა ძველი, ცოდვილი კაცი, ისე იგი ვერ ავა მთაზე, ვერ მიუახლოვდება უფალს. ლოგიკურია, რომ მხოლოდ მთაზე ასვლის მერე ახსენდება მაკაც.

რომანის დასასრულს მდგმური კოლექციონერს მიჰყიდის ნეფერტიტის სურათს, აღებულ ფულს კი წვავს და არ იყენებს. ნაწარმოებში მეორდება სახარებისეული სიუჟეტი: ქრისტეს გაყიდვის ფასად აღებული ოცდაათი ვერცხლი იუდამ უკან მიუყარა მღვდელმთავრებს, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ იესოსთვის პატიება ეთხოვა, დაობნია, წავიდა და თავი ჩამოიხრჩო. იუდამ ინანა თავისი მოძღვრის გაცემა, მაგრამ ეს სინანული სიამაყისეული იყო, ამპარტავნობით გაჯერებული, მან ვერ აპატია საკუთარ თავს ეს საქციელი, ამიტომაც საბოლოოდ დაკარგა უფალი.

ერთი შეხედვით, თითქოს იუდასებური საქციელია ახალგაზრდა კაცის მიერ სურათის გაყიდვა და აღებული ფულის დაწვა, მაგრამ ავტორი გვიჩვენებს, რომ, იუდასგან განსხვავებით, რომანის პერსონაჟი გადარჩა სულიერად. ნაწარმოების ბოლოს ის კვლავ დგას გზაგასაყართან და იმ მხარეს მიდის,ოდესღაც გვერდი რომ აუქცია. მწარე სინანულითა და შინაგანი ტკივილებით იწმინდება და მიდის ღვთისკენ. ამის დასტურია ისიც,რომ კვლავ უბრუნდება ძველი ხილვა,ოცნების ნიჭი და ეცხადება მაკა,რომელსაც ღრმა სინანულით სავსე, სულისშემძვრელ აღსარებას ეუბნება,პატიებას სთხოვს და ისიც შეუნდობს. ეს თითქოს არა მხოლოდ მთავარი პერსონაჟის, ზოგადად, ქართველი კაცისა და უფლის შეხვედრაა, როგორც უძღები ძის მამის სახლში დაბრუნება: „რამდენი ტანჯვა გამოვიარე, სანამ გიპოვიდი. ჩემი სხეული ჭრილობებითაა დასერილი. ზოგ ჭრილობას შეცდომა ჰქვია, ზოგს შეცოდება, ზოგს სიბეცე, ზოგს სულმოკლეობა, ზოგს სასოწარკვეთა, ზოგს სილაჩრე, ზოგს უმადურობა, ზოგს დაცემა, ზოგს მონობა, ზოგს ღალატი... რამდენჯერ დავბერდი, რამდენჯერ დავმარცხდი, რამდენჯერ დამავიწყდი და რამდენჯერ გამახსენდი. სად არ ვიხეტიალე, რა არ ვნახე, რა არ გამოვცადე. ხელფეხშეკრულიც ვიყავი, სხვისი შემყურეც ვიყავი, იმედგადაწყვეტილიც ვიყავი... და უცებ ჩემს არსებაში ამღერებული ბავშვები შემოვიდნენ და მანუგეშეს. და მივხვდი, რომ მუდამ მეომარი და მიჯნური ვიყავი. და უხსოვარი დროიდან ხმლით ვიკაფავდი გზას შენკენ... როგორ მიყვარდი და როგორ დაგკარგე! მე მაშინ დაგკარგე,როცა მონუსხულივით ვიმეორებდი, ხვალ გვიან იქნება-მეთქი, და ადგილიდან არ ვიძროდი. შენ გაზაფხული იყავი, გაზაფხულის დღესასწაული, ვარდებით მოფენილი მდელო, სიზმარი, როცა დაფრინავ და იზრდები. მე მივატოვე გაზაფხულის დღესასწაული და რთველში წავედი, გაშლილ სუფრას მივუჯექი, დავთვერი, და როცა გამოვფხიზლდი, ვიგრძენი, რომ სიცარიელე გველივით დაძვრებოდა სხეულში და გაზაფხული მზესავით ჩავიდა. მაკა! მაკა! მაკა!“

ავტორმა მთავარ პერსონაჟში გააერთიანა, ზოგადად, ადამიანის, როგორც „ძე შეცდომილის“ და უშუალოდ ქართველი კაცის თვისებები და ხასიათის თავისებურებები. ნაწარმოებში წამოჭრილი პრობლემები მარადიულია და, ამავე დროს, უაღრესაც თანამედროვე, ზოგადსაკაცობრიო და ვიწრო ქართულიც. მწერალმა გვიჩვენა, რომ ადამიანის დაცემისა და ამაღლების პროცესი,შინაგანი ჭიდილი კეთილსა და ბოროტს, ხორციელსა და სულიერს შორის სიკვდილამდე გრძელდება: „თუ ადამიანისა და ცხოველის ნათესაობა უეჭველად უნდა დამტკიცდეს, საუკეთესო საბუთი ვნებით გათანგული კაცია, კაცი, რომელსაც გონება ამღვრეული აქვს, აზრები და ფიქრები ამღვრეული აქვს. ყველაზე მეტად ვნების სიმხურვალე გვაახლოებს ცხოველთან, ყველაზე მეტად უსასრულობის სევდა გვაშორებს. და დაბადებიდან სიკვდილამდე ასე ვირწევით ქანქარასავით ორ პოლუსს შორის, ვუახლოვდებით და ვშორდებით, ვუახლოვდებით და ვშორდებით“, - ამბობს პერსონაჟი.

ჯემალ ქარჩაძეს თხრობის თავისებური მანერა

და სტილი აქვს, მკითხველთან დიალოგს მართავს და რომანის თანამონაწილედ მიიჩნევს მას. ამით ნაწარმოები ილიას „კაცია-ადამიანს?!“ გვაგონებს და აშკარაა, რომ როგორც ილიას, ჯემალ ქარჩხაძის მიზანიც მკითხველისთვის საკუთარი თავის შეცნობა, სიკეთისკენ შემობრუნება, სულიერი განწმენდა და ამაღლებაა: „მაპატიეთ, ფიქრებმა გამიტაცა და რამდენ რამეს მივედ-მოვედე. სინამდვილეში კი სულ სხვა მიზანი მქონდა. ჩემი ჭკუით, ვითომ ის თბილი და მფეთქავი ძარღვი მინდოდა მეგრძნობინებინა თქვენთვის, მაკას გულმოსულ კილოს რომ შემოჰყვა და გულმოსული არა ვარო, მითხრა. ის ნათელი და მოღიმარე სხივი მინდოდა მეჩვენებინა თქვენთვის, მაკას გაბუტულ გამოხედვას რომ შემოჰყვა და გაბუტული არა ვარო, მითხრა“.

ნაწარმოები მდიდარია ტროპული მეტყველების ხერხებით. ყურადღებას იქცევს გამორჩეული შედარებები: „მოღრუბლულ სახეზე მზის ათინათივით თამაშობდა ღიმილი“, „გავიღვიძებდი თუ არა, როგორც დეპეშის ლენტი, გონებაში გაივლიდა ფიქრი: „დღეს მაკას ვნახავ“ და მოღრუბლულსა და მოჟამულ ამინდს ისე ვხვდებოდი, როგორც გვიანი ზაფხულის დილას, როცა მზე ძალიან დიდია და ცხელი“, „სახლს რომ მივუახლოვდით, უეცრად უსიამოვნო გრძნობამ შემატოკა, თითქოს ორკესტრს ყალბი ნოტი გაეპარა და სულგანაბულ დარბაზში მანქანის ღრჭიალივით გაისმა დისონანსი“.

„მდგმურს“ სევდიანი დასასრული აქვს, მაგრამ ეს სევდა სულიერად ამაღლებს და განწმენდს მკითხველს. ნაწარმოების დასრულების შემდეგ საკუთარ თავს ვეკითხებით: მივიღეთ ყოფიერების გზაჯვარედინზე სწორი გადაწყვეტილება? მივდივართ იმ გზით, რომელიც ღმერთთან მიგვიყვანს? მთელ რომანს სახარებისეული ფრაზები გასდევს, რითაც ავტორმა შეგვახსენა, რომ სახარება ის ცოცხალი და მარადიული წიგნია, რომლის ჭეშმარიტებებით უნდა ცხოვრობდეს ყოველი ქრისტიანი.

ჯემალ ქარჩხაძე შეგვახსენებს, რომ ადამიანი, მით უმეტეს ქართველი, უღმერთოდ ბედნიერი ვერ იქნება, მიწიერი სიხარული ვერასდროს შეგვიცვლის დაკარგული სამოთხის ნეტარებას. პიროვნების შინაგანი კრიზისი, დეპრესიას რომ ვუწოდებთ, სხვა არაფერია, თუ არა მარადიული სამშობლოს – სასუფევლის მონატრება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯემალ ქარჩხაძე, „მდგმური“, „ქარჩხაძის გამომცემლობა“, თბილისი, 2012.
2. „სულიერი მეგზური“, გამონათქვამები, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II, თბილისი, 2012.
3. ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1992.
4. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 1989.

პროზა

ნინო დიღმელაშვილი

მტირალა კლდე

კვერცხისგულისფერი მზე... სხივები ოქროსფერი... მიწასა და ცას შორის გაწოლილი სივრცე... სიცხე აუტანელი. ზეცა ზღვისფერი, ცოტა უფრო ბაცი და უფრო მშვიდი, აქა-იქ ლილისფერი ხაზები, თითქმის შეუმჩნეველი ჩუმი იდუმალება. ოცნება ნაოცნებარი, თანაც გაურკვეველი, მაგრამ მაინც – ოცნება. მზის სხივებზე აკინძული დღის მესამედი, დაგრძელებული ჩრდილები.

– იცი ბექა, ჩემს ჩრდილს ხშირად დავდევ ხოლმე – ვეუბნები ჩემს მეგობარს.

ის ისევ იცინის, როგორც ყოველთვის.

– როდის გაიზრდები?

– მინდა ოდესმე საკუთარი ჩრდილი დავიჭირო.

ბექა ჩემი ბავშვობის მეგობარია, სულ იმას მსაყვედურობს, რომ არ ვიზრდები.

– ლიზი სადღაა? – რაღაც ძალიან ძალიან ნერვიულობს, ვეჭვიანობ კიდეც.

ლიზი ლამაზი გოგოა, ბექას მეზობელი, იმის დაჯერება არ მინდა, რომ ბექა მასზე გიჟდება, არადა ეს ისეთი აშკარაა, თუმცა, ვინ იცის, იქნებ მეჩვენება, ამ ბიჭებისას რას გაიგებ.

– იცი, დავიღალე ლოდინით, – როგორც ყოველთვის, ვწუწუნებ, მინდა, რომ წავიდეთ, ან ლიზი არ მოვიდეს აღარასოდეს.

– მე დაველოდები, შენ თუ გინდა წადი.

უკვე მერამდენედ რეკავს.

– არავინ მპასუხობს, რა დაემართა?

–კარგი, ბექა, მე წავალ, – ვეუბნები იმ იმედით, რომ იქნებ მარტო არ გამიშვას, ის კი არც მისმენს, ისევ რეკავს, საშინელებაა, ახლა წავალ და აღარასოდეს მივცემ უფლებას, ასე მომექცეს, იქნებ მიხვდეს, რომ ასე სამუდამოდ დამკარგავს.

– დადუ, – მესმის მისი ხმა.

როგორ მინდა, რომ არ გავჩერდე, მაგრამ....

– რა იყო, ბექა?

– მაპატიე, მარტოს რომ გიშვებ, ლიზის დღეს

აუცილებლად უნდა დაველაპარაკო,მერე ყველაფერს მოგიყვები, არ გეწყინოს, კაი?

— კარგი, — ვეუბნები მე და არც მინდა იმაზე ფიქრი, თუ რაზე უნდა დაელაპარაკოს ლიზის დღეს.

— დადუ —კიდევ ერთხელ მაჩერებს მისი ხმა.

— რა მოხდა?

— ეს ჩემთვის მნიშვნელოვანია და წარმატებები მისურვე რა...

— ყველაფერი კარგად იქნება, — ვცდილობ გავიღიმო, მგონი, არ გამომივიდა.

— კარგად...

— კარგად, ბექა...

— შეხვედრამდე...

— ჰო, რა თქმა უნდა.

მეორე დღეს ლიზისთან სახლში ავედით, ბექამ ველარ მოითმინა, მეც წამიყვანა, მარტო მისვლა არ უნდოდა.

ლიზი მოწყენილი დაგვხვდა, მაინც ისეთი ლამაზი იყო, ტირილიც კი უხდებოდა.

— პაპა ისევ ცუდად არის, სხვაზე ველარაფერზე ვფიქრობ, ისევ იმ უცნაური ამბის მოყოლა დაიწყო, მეშინია მე ძალიან.

— რა უცნაური ამბის? — ცნობისმოყვარე ვარ...

— მტირალა კლდეზე...

— რაზე?

— მისი აზრით, სადღაც, შორს, მიუვალ ადგილას კლდე არის, რომელიც ყოველ ოც წელში ერთხელ ტირის და მის ცრემლებს თუ შესვამ, რასაც ჩაიფიქრებ, აგიხდება.

— მართლა? მერე სად არის ეგ კლდე, როგორ მივაგნო, — უადგილო ირონია გამომივიდა, მაგრამ, მგონი, ვერ შენიშნეს.

— არ ვიცი, პაპა ამბობს, გულის ხმას უნდა მიჰყვეო, რაღაც ძალიან, ძალიან უნდა გინდოდეს, რომ ის ხმა გაიგოვო.

— გულის ხმას?

— ჰო.. და კიდევ ის არის მთავარი,რომ იმ კლდეს ყველა ვერ ხედავს, მხოლოდ კეთილი ადამიანები.

— უცნაურია, ეს საიდან მოიგონა?

— უცნაურია და მეც მაგიტომ ვნერვიულობ.

— ლიზი დამშვიდდი,— როგორც იქნა,ხმა ამოიღო ბექამ,— მაგ ამბავს ხომ ადრეც ყვებოდა, გადაუვლის.

— ერთი წლის რომ ვიყავი, თურმე ძალიან ცუდად გავხდი, ვერაფერი მიშველეს, მერე კი სასწაულებრივად გადავრჩი. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ამ დროს პაპა სადღაც დაიკარგა, სულ რაღაც სამი დღით, მაგრამ როცა დაბრუნდა, იძახდა, რომ თითქმის საუკუნე გავიდა,რაც არ ვუნახივართ.

— გაჩუმდით რა, — ვთხოვე ლიზის, —ალბათ უბრალო დამთხვევაა, არა?

— რა თქმა უნდა,— იცინის ბექა — გეყოფათ ამ სისულეებზე ლაპარაკი.

მთელი საღამო ლიზისთან გავატარეთ. ბექა ისეთი ბედნიერი იყო, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ ლიზისთვის ბექა მხოლოდ მეგობარი იყო და სხვა არაფერი.

ხანდახან მგონია, რომ სულ მარტო ვარ და ისე მინდა დავაღწიო თავი ამ მარტოობას, თითქოს ჩემ ირგვლივ დრო ჩერდება და ყველგან ერთფეროვნებაა, თითქოს ყველა ცხოვრობს თავისი ცხოვრებით, მე კი ვარსებობ მხოლოდ იმისთვის, რომ არაფერს ვგრძნობდე. მე არ ვიცი, როგორ უნდა მიყვარდეს, იქნებ ის, რასაც ბექას მიმართ, ვგრძნობ სიყვარულია, უმისოდ ერთ დღესაც ვერ გავძლებ, მაგრამ არ ვიცი... მე არაფერი ვიცი...

გამიკვირდა, ლიზიმ რომ მომაკითხა, არასოდეს ვმეგობრობდით მაინცდამაინც.

— შემოდი,— ძლივს მოვახერხე ამის თქმა.

ლიზი რაღაც ნაღვლიანი ჩანდა. მისი თვალები ყოველთვის მაოცებდა, რაღაც სევდიანი და ამავე დროს — რაღაც სხივით განათებული.

— დადუ, შენ ბექას მეგობარი ხარ, ალბათ უნდა იცოდე — ლიზი თითქოს ნერვიულობდა — იცი, მეჩვენება, რომ ბექას...

ის მის სახელს იძახდა და უკვე ვგრძნობდი,რომ ამას ვერ ავიტანდი, რაღაც ძვირფასს მართმევდა თითქოს.

— რა უნდა ვიცოდე?

— მგონი, ვუყვარვარ, არა? — გაიღიმა მან.

სუნთქვა შემეკრა.

— არ ვიცი — მხრები ავიჩეჩე, მოგონილი სიმშვიდე... — ასე რომ იყოს, შენ რას იზავ?

— არ ვიცი,— მცირე ფიქრის შემდეგ მითხრა მან — აბა, რა გითხრა.

მთელი დღე ველარ დავმშვიდდი,რაღაც ტკივილს ვგრძნობდი,კიდევ — სიბრაზეს ჩემი უმწეობის გამო, რა საცოდავი ვიყავი, გადავწყვიტე, მისთვის მეთქვა, რომ სულ ერთი არ იყო ჩემთვის, რომ ველარ გავძლებდი და..

გაოცებული დავრჩი,ისეთი დაბნეული ვიყავი,აღარ ვიცოდი,რა მეთქვა. მე მის წინ ვიდექი,მე,რომელიც მისთვის ყველაფერს დავთმობდი, სიცოცხლესაც კი გავწირავდი და მან კი უბრალოდ მითხრა, რომ ლიზის ცოლად შერთვას აპირებდა. მითხრა და წავიდა, ვუყურებდი და ვიცოდი, ვერასოდეს ვაპატიებდი, ვერასოდეს გავუგებდი, ისიც ვიცოდი, აღარასოდეს ვიქნებოდით ერთად, აღარც ყოველ დილით დამირეკავდა, აღარც ნაყინს შევჭამდით ერთად, აღარც ყვავილების გვირგვინს დამიწნავდა და აღარც ჩემს ბავშვურ საქციელზე იცინებდა დიდხანს, ჩვენ აღარ ვარსებობდით ერთად, ის მიდიოდა და ასე მეგონა, ადგილზე მოვკვდი, თურმე მიყვარდა...

ლიზიმ და ბექამ ჯვარი დაიწერეს...

უკვე აღარც ვტირი, აღარც ვიცინი, თითქოს აღარც კი ვცოცხლობ... ნეტა ოდესმე ბედნიერი თუ ვიყავი? ვერ ვიხსენებ, ალბათ ვიყავი... არ შეიძლება იცხოვრო 21 წელი და ერთხელ მაინც არ იყო ბედნიერი. ველარაფერზე ვფიქრობ,მხოლოდ ბექა და სურვილი მისი ხმის გაგონებისა.

რამდენი ხანია არ მინახავს, მიკვირს კიდეც აქამდე ცოცხალი რომ ვარ,მგონი,ისევ სიცხე მაქვს, მინდა ძალიან მინდა კიდევ ერთხელ ვნახო, ვიცი

სიგიჟეა, გიყვარდეს და იცოდე, რომ ვეღარასოდეს იქნებით ერთად, საკუთარი თავი მეცოდება, მაინც როგორ უნდა დაივიწყო ის, ვინც საკუთარ სიცოცხლეზე მეტად გიყვარს, ამაზე ხშირად ვფიქრობ, რა ვქნა მიყვარს, რაღაც სხვანაირად, ჩემებურად.

დღეს შემთხვევით ბექას მოვკარი თვალი, ახლოს მისვლა ვერ გავბედე, ისევ ისეთი იყო, ოდნავაც არ შეცვლილიყო, როგორ დავკარგე? რატომ მივეცი წასვლის უფლება? ვკვდები და მაინც არ ვიცი, რა მინდოდა ამ ცხოვრებაში, რას ვეძებდი, რატომ არასოდეს მყოფნიდა ის, რაც მქონდა და რატომ მინდოდა მაინცდამაინც ის, რაც მე არასოდეს მექნებოდა, რატომ დავდევდი ყოველთვის საკუთარ ჩრდილს და რატომ მინდოდა სხვისი ოცნებების მითვისება? მე მგონი ძალიან სუსტი ვარ.....

მე მინდა, მინდა, ძალიან მინდა.....

სადღაც სივრცეში ვარ, ირგვლივ არავინაა, რა ხდება, მეშინია მარტოს, უცნაური შეგრძნება მაქვს, თითქოს აქ დრო არ არსებობს, თითქოს ვეღარაფერს ვგრძნობ, ეს სიჩუმე საზარელია. ირგვლივ სიმწვანეა, საით წავიდე, აქ როგორ აღმოვჩნდი? თითქოს რაღაცას ვხედები, მაგრამ ეს ხომ სიგიჟეა, შეუძლებელია, რაღაც ძალას ვგრძნობ, გულის ხმას, რომელსაც შეუძლია მიმანიშნოს საით წავიდე, ნუთუ ის მოხუცი არ გაგიჟებულა? ახლა ლიზი ოცი წლისაა და ესე იგი კლდის ტირილის დროა, ნუთუ მე იქ ვარ და შემიძლია ის ოცნება ავიხდინო, რაც ყველაზე მეტად მინდა? მგონი, გავგიჟდი, მაგრამ ნამდვილად არ მძინავს, უნდა წავიდე.

ჩემ ირგვლივ დაბურული ხეებია, მზის სინათლეც კი არ აღწევს, ძალიან ცივა, უნდა ვიარო, არ უნდა დამაგვიანდეს, დღეს პირველად ვირწმუნე, რომ შემიძლია რაღაც შევცვალო, ბოლო მოვუღო ამ ტკივილს, მერე ლიზი? ახლა სხვებზე არ უნდა ვიფიქრო, ახლა მხოლოდ მე ვარ, საკუთარი თავის წინაშე, მე ვარ და ჩემი ოცნებები, ახლა ჩემი ბედნიერებაა მთავარი.

გზას დასასრული არ უჩანს, ძლივსღა მივაბიჯებ, ეს სიჩუმე მზარავს, საოცარია, რამდენი ხანია დავდივარ, მგონი დროის შეგრძნება დავკარგე, უნდა დავისვენო, მთელი სხეული მტკივა, მეძინება, მაგრამ მეშინია, როცა გამეღვიძება ეს ყველაფერი არ გაქრეს და ამიტომ მაინც მივაბიჯებ, არც შიშშილს ვგრძნობ, სიგიჟეა, ეს არა რეალურია, ნეტა რა ხდება ჩემს თავს?

არ ვიცი, როდის ჩამეძინა, მთლად გაყინულს გამეღვიძა, ნეტა მალე თუ მივალ იმ კლდესთან? თითქოს ვიღაც იძახის, ვხედავ ვიღაც წევს იქ, სადღაც, ბალახებზე, მეშინია, ვუახლოვდები, ეს ხომ ოცნებების სამყაროა, ეს ხომ, ეს ხომ....

— ბექა, აქ რას აკეთებ? აქ რატომ ხარ? საიდან გაჩნდი? — ახლა გული წამივა

— დადუ, რა კარგია, აქ რომ ხარ, — მეუბნება თვალცრემლიანი, — შენი თავი ღმერთმა გამომიგზავნა, უნდა დამეხმარო, გთხოვ.

— რა ხდება საერთოდ, რა სიგიჟეა?

— ლიზი კვდება, გუშინ ჩვენი მანქანით ბოძს შევეჯახეთ, მის გარეშე სიცოცხლეს ვერ შევძლებ, აქ, სადღაც, ის მტირალა კლდეა, უნდა მივაღწიო იქამდე, მაგრამ ფეხებს ვერ ვგრძნობ, ვეღარ დავდივარ გესმის და შენ უნდა წახვიდე, უნდა გადამირჩინო!

მე გაქვავებული ვიდექი. ის ყოველთვის მსხვერპლს ითხოვდა ჩემგან, ახლაც მთხოვს, ჩემს ოცნებებზე უარი ვთქვა, თან ისე, რომ არც კი მეკითხება, მე რისთვის ვარ აქ, მე რა მაწუხებს.

— დრო არ ითმენს, წადი, გთხოვ...

— არა! — მგონი, ვყვირი — ნურაფერს ნუ მთხოვ, გეყოფა, მე ყველაფერი შენს გამო უკვე დავკარგე და ახლა იგივეს აღარ გავაკეთებ!

— მე შენთვის არაფერი მითხოვია, დადუ.

— არ მაინტერესებს, კვდება და მოკვდეს, სულ ერთია ჩემთვის, რაში მენაღვლება, მეც მაქვს უფლება ბედნიერი ვიყო, იქნებ ასე არ არის?

— რა დაგემართა? ასეთი როდის გახდი? — ბექა გაოცებულია, მეც, ასეთს საკუთარ თავს არ ვიცნობდი, მაგრამ გაჩერება არ მინდა.

— იცი, რომ მიყვარხარ?

— ვიცი... ამას ვხვდებოდი, მაგრამ სიყვარული ხომ სხვისი ცხოვრებით ცხოვრებაა, თავგანწირვაა და ამიტომ დამეხმარე, გთხოვ, თუ გიყვარვარ, უნდა შეძლო...

არაფრის გაგონება აღარ მინდა, უნდა წავიდე, ვალდებული არ ვარ, სხვის ოცნებებს საკუთარი ბედნიერება შევწირო, ოდესმე ბექა გაიგებს, რომ სხვანაირად მოქცევა უბრალოდ არ შემეძლო.

— წადი, დადუ — ნაღვლიანი ხმით მითხრა— მართალი ხარ, უფლება არ მაქვს, რამე გთხოვო.

— მაპატიე, ბექა.

აღარც კი მახსოვს. კლდემდე როგორ მივედი, ირგვლივ ყველაფერი გაიყინა, თითქოს ვხედავდი გაჩერებულ დროს, ვგრძნობდი სიცარიელეს სივრცეში, იქ მხოლოდ მე ვიყავი, ვხედავდი საკუთარ თავს და შემეშინდა, ჩემში სიკეთე არ იყო საერთოდ... ბექა იმ წუთას ისე მიყვარდა, როგორც ვერ შევიყვარებდი სხვა დროს ვერავის, თუკი რამ იყო ჩემში ადამიანური მხოლოდ მას ეკუთვნოდა, მისი იმდენი მმართებდა რომ ვერასოდეს გადავუხდიდი, მ იყვარდა ტკივილამდე და, მიუხედავად ამისა, მაინც ვერ შევძელი...

კლდე თითქოს მდუმარედ მომჩერებოდა, მერე კი ნელ-ნელა მისი სილუეტი გაიცრიცა და გაქრა.

არ მახსოვს. რამდენ ხანს ვტიროდი...

ბექა ისევ იქ დამხვდა ,სადაც დავტოვე, მდუმარედ შემომხედა.

— იმ კლდეს მხოლოდ კეთილი ადამიანები ხედავენ, ბექა, ეს როგორ დაგვავიწყდა...

თვალსაზრისი

ლალი ჯიღელავშვილი

„სადა ხარ, ჩემო სულიკო?“

როგორ შეიძლება აიხსნას „დაკარგული საფლავის“ ძიება? ლიტერატურის ერთ–ერთ სასკოლო სახელმძღვანელოში ამ სახით დასმულმა შეკითხვამ აღძრა ინტერესი, კიდევ ერთხელ ღრმად და დაკვირვებით ჩაგვეხედა საკითხის არსში.

ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში აკაკის „სულიკოს“ არაერთგვაროვანი გააზრება არსებობს. არის სხვადასხვა თვალსაზრისი კონკრეტულად სულიკოს სახე–ხატის ახსნასთან დაკავშირებით. ამ მხატვრული ხატის სახისმეტყველება პირდაპირ კავშირშია ლექსის კონცეფციასთან. ვინ ან რა იგულისხმება სულიკოში? სად ან რატომ არის დაკარგული მისი საფლავი? ერთი ინტერპრეტაციით, სულიკო სატრფო–მშვენიერებაა (გ. რობაქიძე), მეორე აზრით – ის არის სამშობლო (ვ. ბარნოვი), სხვა თვალსაზრისით – ეს არის დაკარგული ღმერთის ძიება (ა. ბაქრაძე).

თითოეული მოსაზრება თავისებურად საფუძვლიანი და მნიშვნელოვანია. მხატვრული სახის არსიც ხომ მის სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას გულისხმობს და ხელაღებით არავის ძალუძს რომელიმე მათგანის უგულებელყოფა.

ლექსის ლირიკული სუბიექტის მთავარი მიზანი დაკარგული საფლავის ძიებაა. პოეტისთვის საყვარლის არსება სულივით ტკბილი და ძვირფასია, ამიტომაც ის კრძალვითა და სიყვარულით ეძებს სულიკოს საფლავს ხან ვარდში, ხან ბულბულსა და ხან ვარსკვლავში. ა. ბაქრაძის მოსაზრებით, აქ დაკარგულ ღმერთს ეძიებს პოეტი, აღმავალი გრადაციაც ამას მიუთითებს – ვარდი, ბულბული, ვარსკვლავი. შემდეგ იგივე ხატება ეშვება ზევიდან ქვევით – ვარსკვლავი, ბულბული, ვარდი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მიწიდან ცისკენ საღვთო ლოცვად აღვლენილი ენერგია ისევ მიწას უბრუნდება – ხდება ღვთაებრივი და ადამიანური სიყვარულის შერწყმა და განფენა ვერტიკალურ–ჰორიზონტალურ სივრცეში. იკვეთება ჯვარსახოვნების პრინციპით განხორციელებული მხატვრული ხატი. ამ შემთხვევაში შორეულ ანალოგიად შეიძლება გაგვახსენდეს ავთანდილის გალობა: „რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან“.

ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ აკაკი მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრებულ ტრადიციას აგრძელებს და სატრფო–საყვარელში სამშობლოს მოიაზრებს. ერთ ლექსში („ჭაღარა“). აკაკის წარმოდგენით, სამშობლო ნესტანივით ტყვედპყრობილია, ის საპატიმროშია და გმირებს ელის გამოსახსნელად. მსგავს გააზრებას ვხვდებით ალ. ჭავჭავაძის ლექსშიც „ვისაც გსურთ“ – „მას ვჭვრეტ პატიმრად, ვის ჰმონებს გული“.

ვფიქრობთ, პოეტის სულიკო სწორედ სამშობლოა. იგი იავარქმნილია, განადგურებულია. ის მტერმა მოაშთო და მგლოვიარე მგოსანი მის საფლავს დაეძებს, თუმცა ვერსად პოულობს და ვერც იპოვის, რადგან ეს რეალური საფლავი არ არსებობს. სულიკოს სიმბოლური საფლავი, უფრო სწორად, ბინა–თავშესაფარი, იმ სამადდაშლილ ერთარსება ერთშია, რომელიც დღემდე თავისი კალთის ქვეშ იფარავს პოეტის სამშობლოს. სულიკოს ბინა უფლის წიაღშია – ქრისტიანულ სამებაშია, რომელიც ალეგორიულად ვარდის, ბულბულის და ვარსკვლავის სამსახოვნებაში განსხეულდება.

აკაკიმ მიაგნო თავისი სულიკო–სატრფოს შესაფარს ანუ საფლავს, მაგრამ ეს საფლავი არა სამარის, არამედ სავანის მნიშვნელობით არის გასააზრებელი. ამიტომაც ჩასჩურჩულებს ლირიკულ სუბიექტს ნიავი: „ეგ არის, რასაც ეძებდი, მორჩი და მოისვენეო“. ამიტომაც არის მაძიებელი პოეტის ლექსის ფინალური სტრიქონები გაჟღენთილი პოვნის სიხარულითა და აღტაცებით: „და რასაცა ვგრძნობ მე იმ დროს, ვერ გამომითქვამს ენითა“.

ეს გრძნობა უფლის სიყვარულია, რომელიც ენით გამოუთქმელია, ის „სულითა ხოლო საცნაურია“.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლექსის პირველი სტროფის ბოლო ტაეპში დასმულ კითხვას „სადა ხარ, ჩემო სულიკო?“ პასუხს სცემს ფინალური სტროფის ბოლო ტაეპი: „სამგან გაქვს ბინა, სულიკო“. აკაკი თავადვე გვამცნობს სულიკოს ადგილსამყოფელს, მისი ბინა ერთარსება ერთის – უფლის – წიაღია. ეს კი მარადიულ მყოფობას მიანიშნებს.

პოეტის სამშობლო – სულიკო უფალში დავანებულ–დაბინადრებული და მარადისობასთან წილნაყარია. აკაკის სულიერი გაცისკროვნებაც სწორედ ამ მიგნებით არის გამოწვეული.

მაჩინა ლონღაძე

მე ზღვა მქვია

ზღვაზე ცისფერი დილა ხომ მართლაც გამართლებაა. დილის შვიდი საათია. სანაპიროზე ჯერ კიდევ სრული სიმშვიდეა. მოუთმენლად შევდივარ წყალში. ამ დროს ზღვა საოცრად თბილია, მთელი ძალით ვუსვამ მკლავებს და მივცურავ. მარტო ვართ მე და ზღვა. რა მშვიდია, წყნარი, კამკამა. რაც უფრო სიღრმეში შევდივარ, ნამდვილ სამოთხეში მგონია თავი! მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვერ ვცურავ, რაღაც უჩინარი ძალა გამბედაობას და სიძლიერეს მმატებს. აქ არის ნამდვილი თავისუფლება, აქ არის შესაძლებლობა, გამოსცადო შენი თავი, ვინ ხარ და რა შეგიძლია...

წინ ტალღა მეგებება. გადავხვევ ხელს, ჩავეხუტები და როცა მეორე ხელის მოხვევაც მინდა, ის უკვე ჩემგან შორსაა და ხმელეთისაკენ, საპირისპირო მიმართულებით მიიჩქარის.

– მიყვარხარ ზღვაო! – ვეუბნები მე და ვკოცნი მლაშე ლურჯ-მწვანე ბლანტ წყალს...

– მეც მიყვარხარ! – მეფერება ზღვაც. ხან სახეზე მელამუნება, ხან კი თავზე მისვამს სველ, თბილ მკლავებს.

როგორ მიყვარს ეს დალოცვილი! – ვიმეორებ გულში. მთელი მონდომებით ვეხუტები, ხმელეთის პატარა, უსუსური არსება ამ ყოვლისშემძლე ბუმბერაზს და ამ უკიდეგანო ლურჯ სივრცეში თავი მასსავით ძლიერი და უძლეველი მგონია!

დღეს ასე წყნარი და მშვიდი, რა თავაშვებული და საშიში იყავი რამდენიმე დღის წინ. ერთი წამით დაუბერა დასავლეთიდან უეცრად მოვარდნილმა ქარბორბალამ სანაპიროზე და ატეხე წივილ-კივილი, ვინ სად გარბოდა, აღარავინ იცოდა! თვალის დახამხამებაში მოიშალა შენს სივრცეში შემოჭრილი ულამაზესი სანახაობები, ჰაერში მიმოიფანტა ფერად-ფერადი ქოლგები! ქვიშა, ქოლგა, ბავშვი, ქალი – ერთმანეთში აირია. უსწრაფესად მოაწყდი გაცოფებული და გადარეული სანაპიროს კედელს. მილეწ-მოლეწე ყველაფერი, სულ მთლად აიკელი გარემო. რამ გაგაგიჟა ასე უეცრად! მთელი ღამე ღმუოდი, ბობოქარი! ნეტავ, რა გაწყენინეს ასეთი?! ან მერე, ასე როგორღა დამშვიდი ისევ?! მაგრამ მე რას გავიგებ შენსას. შენ ხომ ზღვა ხარ!

მთელი მონდომებით ვუსვამ მკლავებს, სხეულის ყველა ნაწილს ვიმორჩილებ. ვიბრძვი, ვიბრძვი, შორს გავცურო! ბედნიერებაა განცდა, რომ შენც ებრძვი და მიიწევ წინ! რომ იმორჩილებ ამ ვეებერთელა სივრცეს...

ამ ხანდახან ქარიყლაპიას, ადამიანისგან განსხვავებით, ერთი საუცხოო თვისება აქვს – გულუბრყვილოდ მასზე მინდობილს არ შემეწინააღმდეგება... და, არ მებრძვის!.. პირიქით, გულში მიხუტებს და მეხმარება, სიძლიერის და სიმტკიცის გრძნობა განმაცდევინოს.

ხელებს ვშლი და გულაღმა ვწვები. თავს ისე ვგრძნობ, როგორც ბავშვობისას დედის კალთაში... უზრუნველად, ლაღად... ზღვა მღერის – როგორც დედა, ზღვა მარწევს – როგორც დედა მარწევდა თავისი მკლავებით. აქ ახლა თავი პატარა ბავშვი მგონია, პატარა, გულადი ბავშვი დედის მკერდზე მიკრული...

აღმოსავლეთით, ცისფერი, ვარდისფრად შეიღება. რა სწრაფად მოცურავს მზეც! მალე მე და ზღვა მარტო აღარ ვიქნებით, მზეც ჩვენთან იქნება, სხვა რაღაა საჭირო სრული ბედნიერებისთვის?!

– მაინც რატომ მიყვარხარ ასე?! თუმცა, რა საკითხავია! ბუნებაში შემთხვევით არაფერი ხდება! ჩემი სახელი, მ ა რ ი ნ ა ხომ ზღვას ნიშნავს... ზოდიაქოს ნიშანი კი, თევზია...

ნეტავ, დიდხანს გაგრძელდეს ეს ბედნიერება!

თვალებს ვხუჭავ, აქ ფიქრი ძნელია, მაგრამ მაინც მახსენდება: ძალიან ადრე, წლების წინ, მეგობრებთან ერთად ულამაზეს ქალაქ სოჭში ყოფნისას, თავის მოწონების მიზნით, სასეირნო გემის ბაქანიდან პირდაპირ გადავეშვი ზღვაში! თავადაც არ ვიცი როგორ, მაგრამ თავი ქვის ფილაქანს დავარტყი, წამიერად გონება დავკარგე, მაგრამ დავძლიე, მთელი ენერგია მოვიკრიბე და როცა წყლიდან ვაი-ვაგლახით ამოსულმა თვალი გავახილე, ბუნდოვნად გავარჩიე, რომ სანაპიროზე ლოყებზე ხელებშემოწყობილი, შესაცხადებლად გამზადებული მეგობრები მელოდებოდნენ შეშინებული თვალებით. არც გამიმხელია, რაც გადამხდა! ვითომ მხიარული, გამარჯვებული იერით ვანუგეშე აქეთ დასანუგეშებელმა, რომ ყველაფერი მშვენივრად იყო...

რას დავაბრალო ჩემი გადარჩენა, თუ არა იმას, რომ ზღვა მქვია და ზღვას ვუყვარვარ! ბუნებითაც ხომ მსგავსი ვარ, მშვიდი, წყნარი, მიმტევებელი, ზღვა სიყვარულის მატარებელი, მაგრამ გაბრაზებულს წინ ვეღარაფერი დამიდგება! ფიქრებში წავედი... მოვდუნდი, მკლავებიც მომექანცა. წამიერად მომეჩვენა, რომ დავეშვები და სამუდამოდ ჩავეკვრები ჩემს მოსახელეს! ზღვა, როცა მშვიდად არის, ძალიან კეთილია, ადამიანებზე მეტად კეთილი და სანდო. რაც მეტად მიენდობი, არ გაგწირავს, არ გიღალატებს. დაბლიდან გიბიძგებს, მაღლა გატივტივებს,

ტალღებს დაგიშენს და ნაპირზე დაგაბრუნებს. იქ, სადაც დაიბადე, სადაც არის შენი ნამდვილი საუფლო... მიწა, ხმელეთი...

— მიყვარხარ, ზღვაო! შენგან, სიცოცხლისთვის, გადარჩენისთვის ბრძოლის სწავლა შეიძლება!... წინააღმდეგობების გადალახვის, დაუმორჩილებლობის განცდის სწავლა შეიძლება!... — მიყვარხარ, ზღვაო! დღეს ბოლო დღეა... შინ ვბრუნდები მე კი შენთან დარჩენა მინდა! — შევჩივი ზღვას.

ნაპირისკენ პირი ვიბრუნე. ძლივს ვიმორჩილებ „ნაომარ მკლავებს", მაგრამ დაღლილობას სულ არ დავეძებ.. ვინ იცის, კიდევ როდის ვეღირსები უკან დაბრუნებას..

— ხომ მომცემ ძალას, დავბრუნდე შენთან? —ვეკითხები ჩემს მოსახელეს

— აბა რაააა... — გადამიარა მლაშე, ბლანტმა სითხემ თავზე შრიალით, სიცილ-კისკისით. ჩვენ ხომ ორივეს ზღვა გვქვია და ორივეს ზღვა სიყვარული შეგვიძლია....

— მე დავბრუნდები!... აუცილებლად დავბრუნდები!.....

ჩემს ქალაქში ჩამოვდივარ.. იწყება ხმაურიანი, აღელვებული ზღვასავით მშფოთვარე ცხოვრება.. მაგრამ ვიცი, რომ გავუძლებ მე ხომ ზღვა ვარ...

თოვლი და სიყვარული

დეკემბერი წვიმიანი დღე... სამი თვე გასულიყო, რაც არ მენახა.

გადავწყვიტე აღარასოდეს შევხვედროდი. სტუდენტობის დროს მეგობრის ნაჩუქარ გიტარაზე ვირთობდი თავს და ისე სევდიანად ვღეროდი დედაჩემს გული უწუხდა!.. მამა შინ არ იყო. ის იყო, დედას პირობა მივეცი დავშორდები მეთქი, რომ უცებ კარი გაიღო და ჩემი ბიძაშვილი ირინა შემოვიდა. წვიმას ულამაზესი ქერა კულულები უფრო დაემშვენებინა, ფართო, ცისფერ თვალებში პატარა ეშმაკუნები უციმციმებდნენ.

— ის ქვემოთ გელოდება, არ წავა სანამ არ ჩახვალ. მე კი ავუხსენი რომ... მაგრამ გელოდება...

ჩემი გულის ცემის ხმა თვითონვე მესმოდა, ყურები დამიგუბდა! დედამ მალულად გამოაპარა ჩემკენ მზერა და საქმე განაგრძო.

— ყველაფერი დამთავრდა... ასე გადაეცი, ყველაფერი დამთავრდა-თქო! — ამოვილუღლუღე. მრცხვენოდა ჩემი სიტყვების უკან წაღების, თორემ მზად ვიყავი ფეხშიშველი დავშვებულიყავი იქით, სადაც ჩემი ზურიკო მელოდა. ირინა დაღონებული გაეშურა ჩემი თხოვნის შესასრულებლად, მაგრამ მალევე უკან მობრუნდა — „მას" სახლში ამოსვლა უნდაო! — დედა ცოტა არ იყოს შეშფოთდა, თუმცა დედა რისი დედაა, შვილის გულს რომ ვერ ჩასწვდეს!

...

ულამაზესად გაწყობილ ხილის მაგიდას სამნი ვუსხედვართ. უხერხულობის დამალვა გვიჭირს და სიტყვებისთვის ვერც ერთს ვერ მოგვიყრია თავი.

— ქალბატონო, მე და თქვენს ქალიშვილს ერთმანეთი გვიყვარს, თქვენ წინააღმდეგი ხომ არ ხართ ჩვენი სიყვარულის?

ზურიკოს ყოფილი მასწავლებელი პირველკლასელი ბავშვივით წითლდება. ცრემლები ყელში ებჯინება.

— არ მინდოდა ჩემს შვილს ჩვენთან ასე ახლოს ეცხოვრა. თან მამამისიც სასტიკი წინააღმდეგია

— სიყვარულის? — პრობლემურ კითხვას აგებებს მოსწავლე.

პასუხის გაცემა არც ისე მარტივია...

— მაგრამ... როცა ნამდვილი, ორმხრივი სიყვარულია, წინ რაღა დაუდგება. მოდი სიყვარულს გაუმარჯოს! — ამბობს ბოლოს დედა და ჩვენი კონიაკით სავსე ჭიქებიც ერთდება. ისევე, როგორც სამუდამოდ, ჩვენი გულები...

დედას ჩავეხუტეთ, მოსწავლემ გულითადი მადლობა გადაუხადა თანაგრძნობისთვის და სიცოცხლის ბოლომდე მადლიერებით და სიყვარულით აღსავსე ურთიერთობა აჩუქა.

გათამამებულმა კინოში წასვლა ვითხოვე. გარეთ უკვე წვიმა კი არა, თოვლის დიდზე დიდი, თეთრზე თეთრი ფანტელები ცვიოდა. ზოგჯერ რა მცირეა მანძილი სევდასა და უდიდეს სიხარულს შორის! მხიარულად ჩავირბინეთ ეზო და თოვლის ფანტელებივით შევერიეთ საღამოს.

იმ დღეს კინოში მართლაც კარგი ფილმი გადიოდა, მაგრამ ჩვენ იქ სულაც არ წავსულვართ. გზას გადავუხვიეთ და წმინდა გიორგის ტაძრის ნანგრევებში აღმოვჩნდით. კელიის გვერდით სანთლის დასანთები ნიში ხელუხლებლად შემორჩენოდა ტაძარს. ვიღაც მადლიანს ჩვენს მისვლამდე, თავისი სიგრძე სანთელი დაენთო, რომელიც ნახევრად დამწვარიყო და ჯერ კიდევ ბჟუტავდა...

„ჯვრისწერის ცერემონიალის" წარმართვა ზურიკომ ითავა.

— უფალო, გთხოვ ამ სანთლის პატრონს მისი ყველა კეთილი თხოვნა აუსრულე... ჩვენ კი... ბედნიერი გზით გვატარე!..

ორივე, მუხლზე დაჩოქილი, ერთმანეთზე ბავშვობიდან უზომოდ შეყვარებული წყვილი ზეცისკენ ხელებაპყრობილი ვევედრებოდით ჩვენს ყოვლისშემძლე წმინდა გიორგის წყალობას და დალოცვას, მომავალი ცხოვრების დასაწყებად.

ხელიხელჩაკიდებულნი დავეშვით დაღმართზე...

თოვლს უკვე მოესწრო და თეთრად შეეღება ირგვლივ ყველაფერი. ბნელდებოდა, იბურებოდა სამყარო...

ანათებდა მხოლოდ ახლად დადებული თოვლი და მასთან ერთად ჩვენი მარადიული სიყვარული.

ახალი წიგნები

ნომადი ბაითია



ქართულენადაკარგული დასახლებები ირანში

მას მერე, რაც საქართველომ აღიდგინა სახელმწიფოებრიობა და შეძლო პირდაპირი კავშირების დამყარება ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან, საქართველოდან ირანში გადასახლებულ ქართველთა ისტორიის შესწავლის კუთხით, ურთიერთობათა ახალი ეტაპი დაიწო. ამის შესანიშნავი დასტურია თუნაც ის ოთხი წიგნი, რომელიც გამოვიდა ზედიზედ ამ სფეროში.

ესენია: შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანებული: ნიკოლოზ ნახუცრიშვილის", ქართულენადაკარგული დასახლებები ირანში", თბ. 2020, მარინა ბერიძისა და ლია ბაკურაძის „ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი", თბ., 2020, „ქართველები თეირანის დულაბის ქრისტიანულ სასაფლაოზე", თბ., 2019 (ავტორები ნ. ნახუცრიშვილი, გ. სანიკიძე, ა. ვაჭრიძე, დ. ჩიხლაძე) და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით საგრანტო პროგრამის, „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობა" – ფარგლებში გამოცემული ლია ბაკურაძის, მარინა ბერიძის, ნიკოლოზ ნახუცრიშვილის (რედაქტორი), ელენე ნაპირელისა და მაია ბარიხაშვილის „ფერეიდნული ქრონიკები", თბ. 2020.

ოთხივე წიგნი დიდი შენაძენია ამ პრობლემებით დაინტერესებულ პირთათვის. ამჟამად ერთ-ერთ მათგანზე, ნიკო ნახუცრიშვილის წიგნზე – „ქართულენადაკარგული დასახლებები ირანში" გვეუნება საუბარი.

ბოლო ხანებში, საქართველოდან ირანში გადასახლებულ ქართველთა თემამ აქტუალობა შეიძინა როგორც ჩვენში, ისე ირანში.

თუ აქამდე, ფერეიდნელების სახით, მხოლოდ ის ქართველები იყვნენ მოქცეულნი მკვლევართა მხედველობის არეში, რომლებმაც შეინარჩუნეს ქართული ენა, ახლა, მათ მიმართაც აღიძრა ინტერესი, რომლებმაც დაკარგეს ენა, მაგრამ თავს ქართველებად თვლიან.

თუ უფრო შორიდან შევხედავთ, პირველი, ვინც ირანელ ქართულენადაკარგულ ქართველებზე მოგვაწოდა ცნობები, იყო ყარამან კიკნაველიძე, რომელსაც 1905-1907 წლების ცარიზმის წინააღმდეგ წარმოებული რევოლუციის მარცხის შემდეგ, მოუწია გადახვწა ირანში. მას ეკუთვნის წერილი „ქართველები ირანში" (გაზ. „სახალხო საქმე", №27. 17. 08; №28, 18. 08. 2017), რომელიც ეხება ირანის კასპიისპირეთის ქართულ დასახლებებს, სადაც ავტორი ასევე გვაწვდის ცნობებს ქართველებით დასახლებული სხვა ადგილების შესახებ.

ირანში ქართული დასახლებების კვალის ძიებით დაინტერესებული იყო სახელგანთქმული ირანისტი მაგალი თოდუა, რომელმაც ვერ მოასწრო ბოლომდე მიჰყოლოდა დაწყებულ საქმეს და, როგორც წინამდებარე წიგნიდან ვგებულობთ, მას სხვადასხვა დროს ჰქონია ამობარათებული ცნობები ირანში მიმოფანტულ ქართველთა შესახებ, რომელიც წიგნის ავტორისთვის გადაუცია, რაც, შეიძლება ითქვას, ოსტატის მიერ შეგირდისადმი საქმის გადალოცვასაც ნიშნავდა. ასეთი სულ 24 ბარათია, რომელთა მონაცემებიც შეტანილი აქვს ავტორს წიგნში.

ნიკოლოზ ნახუცრიშვილი წლების განმავლობაში მუშაობდა ირანში, დიპლომატიურ სარბიელზე და თუ როგორ გამოიყენა მან ეს დრო ამ მიმართულებით, კარგად ჩანს უხვ და სანდო წყაროებზე დაყრდნობით და მორგებული სათაურით გამოქვეყნებული მისი ამ წიგნიდან – **„ქართულენადაკარგული დასახლებები ირანში".**

ამ სახის დასახლებებიდან ერთ-ერთისადმი არის მიძღვნილი 2017 წელს პაატა ჯაფარიძის რედაქტორობით გამოქვეყნებული საინტერესო კოლექტიური ნაშრომი (პაატა ჯაფარიძე გრიგოლ ბერაძე, გიორგი გოცირიძე, თამარ დემეტრაშვილი, დავით შავიანიძე, ზვიად ცხვედიანი) – **„მაზანდარანის ქართული წარმოშობის მოსახლეობის მეტყველება, ყოფა-ცხოვრება".**

ნიკოლოზ ნახუცრიშვილის წიგნი, რომელიც მოიცავს მთელ ირანს, შედგება ოთხი თავისგან 1. გორჯ-ის (ქართველი, ქართული) შემცველი ტოპონიმები ირანში, 2. ისპაჰანის ოსთანი, 3. ირანის კასპიისპირეთის ქართული დასახლებანი და 4. ირანში მიმოფანტული ქართული დასახლებანი.

პირველ თავში მოტანილია ცნობები სიტყვა **გორჯ**-ის შემცველი დასახლებების შესახებ დოქტორ მოჰამად-ჰოსეინ ფაფოლი-იაზდის „ქვეყნის დასახლებული პუნქტებისა და რელიგიური ადგილების ლექსიკონიდან", ესენია: დეჰგორჯი, ყასემაბადე გორჯი, გორჯაი, გორჯან (ორ სხვადასხვა ადგილას), გორჯანსუ, გორჯექე, გორჯეფოშთ, გორჯემაჰალე, გორჯი (ხუთ სხვადასხვა ადგილას), გორჯიაბად, გორჯიბაინ, გორჯიფოლ, გორჯიჩაღ, გორჯიხეილ, გორჯისარა, გორჯიქოლა, გორჯომაჰალე (ორ სხვადასხვა) და გორჯხან (გვ. 10).

აქვეა ცნობები აბას ჯაფარის „ირანის გეოგრაფიული ენციკლოპედიიდან" 9 დასახლებული პუნქტის შესახებ, რომელთა სახელწოდბა შეიცავს სიტყვას **გორჯ**, საიდანაც ოთხი: გორჯაი, გორჯექე, გორჯიბაინ და გორჯილუ, რაოდენობივად ზრდის ზემოჩამონათ-

ვალ დასახლებათა სიას.

სწორად შენიშნავს წიგნის ავტორი, რომ „ირანის სხვადასხვა ოსთანში კიდევ უფრო მეტია იმ გეოგრაფიულ სახელთა რიცხვი, რომელთა სახელწოდება არ შეიცავს სიტყვას **გორჯ,** მაგრამ, სხვადასხვა მონაცემებით, იქ ბინადრობდნენ ან კვლავაც არიან ქართულენადაკარგული ირანელი ქართველები“ (გვ. 12).

ვფიქრობთ, ასეთი ადგილები ცალკე ყურადღების ღირსია.

ფერეიდანი ერთადერთი ადგილია ირანში ქართველებით დასახლებული, სადაც შემონახულია ქართული ენა. თუმცა, **აფუსის** სახით, გამონააკლისი აქაც არის. წიგნის **მეორე თავიც** სწორედ ამ გამონაკლისს ეძღვნება, რომელმაც 1996 წელს ქალაქის სტატუსი მიიღო. იმის გამო, რომ აფუსელებმა მშობლიური ენა დაივიწყეს, ასე ვთქვათ, ფერეიდნელთა გაკილვის საგნადაც ქცეულან და მათ თავის მართლების რეჟიმში უწევთ ყოფნა. ისინი დღეს ცდილობენ, შეისწავლონ მშობლიური ენა.

ამ თავში განხილულია ფერეიდუნშაჰრის მკვლევართა მოსაზრებანი აფუსის ენობრივი სიტუაციის შესახებ. მოტანილია ცნობები როგორც სამოყვარულო, ისე 2018 წელს გამოსული ჰადი აფარიზადეს დოკუმენტური ფილმიდან „აფუსი“, სადაც მრავალი საინტერესო ამბავია გადმოცემული მათი ყოფაცხოვრებიდან.

მოვიტანთ ერთ ამონარიდს ამ თავიდან, რომლიც განსაკუთრებით ეთნოგრაფებს დააინტერესებთ. ეს არის **ქალთა მმართველობის დღის ანუ მოსავლის დღესასწაულის** აღნიშვნა ამ დასახლებაში, რომელიც ტარდება ივნისის ბოლოს:

„გაზაფხულის ბოლოს ხვნა-თესვის სამუშაოები დასრულებულია და მიწათმოქმედები უკვე მოსავლის აღებას ელიან. დღესასწულის წინ სოფლის უხუცესები (მამაკაცებიც და ქალებიც) იკრიბებიან და განსაზღვრავენ დღესასწაულის ჩატარების დღეს. ქალების საბჭო დამოუკიდებლად არჩევს ღირსეულ, ავტორიტეტულ და პატივცემულ ქალბატონს, რომელიც იმ ერთ დღეს დასახლების მბრძანებელი (შაჰი, სულთანი) ხდება. ხდება სხვა დანიშვნებიც, კერძოდ, ირჩევენ მარჯვენა და მარცხენა ხელის ვეზირებს. იქმნება ქალთა ლაშქარი. ზოგი გუშაგია და აკონტროლებს სოფლის შემოსასვლელებს, რომ იმ დღეს კაცმა სოფელში არ შემობედოს. თუ რომელიმე ადგილობრივი ან უცხო მამაკაცი ამ დღეს შევა სოფელში, მას შეიპყრობენ და მიჰყავთ მბრძანებელთან, რომელიც ადგენს სასჯელის ზომას. შეიძლება დამნაშავე სცემონ, ვირზე შესვან და სოფლიდან გააძევონ... (გვ. 49).

ამავე თავში წიგნის ავტორი გვიამბობს ისპაჰანის მხარის კიდევ ერთ ქართულენადაკარგულ ქალაქ ბადრუდზე, სადაც ის გაცნობია ქალაქის მკვიდრის, ჯაჰანფურების ოჯახს, რომელიც თავს უნდილაძეთა შთამომავლად თვლის. ამ ოჯახიდან რამდენიმე პირს, ამ საკითხთან დაკავშირებით, თანაავტორობით, გამოსაცემად მოუმზადებია 413-გვერდიანი წიგნი.

მესამე თავი ეხება ირანის კასპიისპირეთის ქართულ დასახლებებს, რომლის პირველ ქვეთავში მოტანილია ზემოხსენებული ყარამან კიკნაველიძის ცნობები ქართულ დასახლებათა შესახებ, რომლებთან ერთად, წიგნის ავტორს მოაქვს მონაცემები ირანის გეოგრაფიული ლექსიკონიდან და ინტერნეტრესურსებიდან, რაც კარგად ქმნის ამ დასახლებათა ცხოვრების დინამიკის სურათს XIX საუკუნის დასაწყისიდან დღემდე. აქაურ მკვიდრებს მშობლიური ენა უკვე დავიწყებული ჰქონიათ.

ამის მერე ავტორი მიმოიხილავს მაგალი თოდუას მონაცემებს.

საინტერესოდ აღწერს ავტორი მაზანდარანის ქართველებით დასახლებულ ადგილთა მონახულებას, სადაც მისთვის შესაშური მეგზურობა გაუწევია ირანელი ქართველების ისტორიის კარგად მცოდნეს, ჰასან ჯავანმარდ-გორჯის. ამ თავში დახასიათებულია მაზანდარანის მხარის 32 სოფელი.

მეოთხე თავი ეძღვნება ირანის შემდეგ ადგილებში მიმოფანტულ ქართულ დასახლებებს, ესენია: ლურისთანი, ქურთისთანი, ქერმანშაჰი, ჰამადანი, ხუზისტანი, ხორასანი, სემნანი, არდებილი, აღმოსავლეთ აზერბაიჯანი, დასავლეთ აზერბაიჯანი, თეირანი, ალბორზი, ფარსი, იაზდი და ქერმანი.

ქართულენადაკარგულთა რაოდენობა უამრავია ირანში, რომელთა სატკივარს კარგად გვიხატავს ერთ ამონარიდი მათ მიერ წიგნის ავტორისადმი გამოგზავნილი წერილიდან: „მთავარი მიზეზი, რამაც ეს წერილი დაგვაწერინა, გახლავთ ის ფუნდამენტური ცვლილებები, რომლებმაც დროთა განმავლობაში გამანადგურებელი გავლენა იქონია ქართული მოდგმის ენაზე, კულტურასა და იდენტობაზე იმდენად, რომ ქართველებით დასახლებულ ზოგიერთ რაიონში შენარჩუნებულია მხოლოდ მოგონება იქ ქართველ ემიგრანტთა ბინადრობის შესახებ...

ტანჯულმა, მაგრამ კეთილშობილმა ქართველობამ საკუთარი სამშობლოსგან დაშორებისა და ირანის ფადიშაჰების მიერ მათი სხვადასხვა ადგილას გაფანტვის გამო... დაკარგა თავისი კულტურა, ენა, ისტორიული იდენტობა და შეერწყა ახალი ადგილსამყოფლის კულტურასა და ენას.

ახლა, როდესაც საქართველომ აღიდგინა დამოუკიდებლობა, მოველით, რომ ქვეყნის ამჟამიმდელი ხელისუფლება რაიმეს იღონებს ქართველი ერის სიამაყის შენარჩუნების, ირანის სხვადასხვა მხარეში მიმოფანტული ამ გამორჩეული მოდგმის დაკარგული იდენტობის შესაცნობად და შეიმუშავებს საგანგებო პროგრამას.

ერთი მომენტი იმსახურებს ყურადღებასა და კრიტიკას: ისპაჰანის ფარეიდუნშაჰრის რაიონში მცხოვრებ ქართველებს მონოპოლიურად მინიჭებული აქვთ „ქართველობა“, რის გამოც ირანის სხვა რაიონებში მცხოვრები ქართველები დავიწყებულნი არიან, ეს კი მთელ ირანში ქართველთა ერთიანობაზე ზეგავლენას ახდენს. ზემოხსენებული მიზეზების გამო, ახლა ძალიან ძნელია ძირძველი ქართველობით დასახლებული იმ რაიონების იდენტიფიცირება, სადაც უკვე აღარ ლაპარაკობენ ქართულად, მაგრამ წარსულიდან დღემდე დარჩენილი მდიდარი კვალი ამ რაიონებში მათ [ქართველების] ბინადრობაზე მიუთითებს“ (გვ. 121).

ამ ამონარიდიდან ნათლად იკითხება, რომ ისინი, მოითხოვენ ქართულენაშენარჩუნებულებთან

გათანაბრებას.

მეც მქონდა საშუალება, გამეცნო ერთ-ერთი ქართულენადაკარგული პირი, 2012 წელს, საადისა და ჰაფეზის სამშობლოში, შირაზში, ფაჯრის (განთიადის) პოეზიის დიდ საერთაშორისო დღესასწაულზე, სადაც მომიწია სიტყვით გამოსვლა. დამთავრდა თუ არა საღამო, აღელვებული სახით ჩემთან მოიჭრა ერთი ჭაბუკი და მახარა: მე ვარ ქართველი, ალავერდიხანის მეცხრე თაობის შთამომავალი, მოჰამად ჰოსეინ ებრაჰიმ შირაზელიო[1].

ამით იმის თქმა გვინდა, თუ როგორ შეიძლება შემთხვევით გადააწყდე ირანში ქართულენადაკარგულ ქართველს, რომელსაც გული მაინც ქართულად უძგერს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბოლო ხანებში, ირანსა და საქართველოში აქტუალური გახდა, ზოგადად, ირანელ ქართველთა თემა, მაგალითად, ირანში 14 აპრილს, ქართული ენის დღეს, ფერეიდუნშაჰრსა და ნაჯაფაბადში, ფერეიდნელი ქართველის, ისპაჰანის უნივერსიტეტის ისტორიის მაგისტრის საიდ მულიანის დიდი მცდელობით, ორჯერ ჩატარდა ირანელ ქართველთა კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ ირანის სხვადასხვა ადგილებიდან ჩამოსული ქართულენადაკარგული ქართველებიც.

ასევე საქართველოში 2014 წელს, წმინდა ანდრია პირველწოდებულის საპატრიარქოს უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა საქართველოდან ირანში ქართველთა გადასახლების ოთხას წლისთავს. კონფერენცია არ იყო შემოფარგლული ფერეიდნის თემით, მაგალითად, ირანელმა მეცნიერმა ამინ ყეზელბაშანმა წაიკითხა ჩვენთვის სრულიად სიახლის შემცველი მოხსენება: „ხუზისტანელი ქართველები (ისტორია, თანამედროვეობა)“.

აღნიშნულმა მკვლევარმა ახლახან გამოაქვეყნა წიგნი „ბარათაშვილთა გვარი ირანში“. ამ სფეროში მას სხვა არაერთი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული.

ასევე ქართულენადაკარგულ მწერალ აბდ ოლალი ჰეიდარ გორჯის კალამს ეკუთვნის – „ირანის ქართველების ისტორია“.

ირანის უნივერსიტეტების ბიბლიოთეკათა კატალოგებში, ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების მიზნით, მიძებნია ხოლმე **გურჯის** შემცველი სახელები და წარმოუდგენლად მრავლად შემხვედრა ისინი, რომლებიც მოიცავენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს.

წიგნს დართული აქვს რეზიუმე ინგლისურ ენაზე, გამოყენებული ლიტერატურის სია, ინტერნეტრესურსები, გეოგრაფიულ სახელთა ინდექსი და ფოტოები.

იმედია, ნიკო ნახუცრიშვილი კვლავაც წარმატებით გააგრძელებს ამ მიმართულებით მუშაობას, რაშიც მას, ცოდნასთან ერთად, დიდ სამსახურს გაუწევს ის რესურსები, რაც გააჩნია ირანელ ქართველებთან თუ საერთოდ ირანელებთან წლობით დაგროვილი თბილი ურთიერთობების სახით.

1 ჩვენი შეხვედრა აღწერილი მაქვს წიგნში – „ფაჯრის პოეზიის მეექვსე საერთაშორისო დღესასწაული“, თბილისი, 2012.

ერთი ქინიტლოტ

ნაია მინდიაშვილი

დედაჩემი ღვთისმშობელია!

ყოველდღე თუ არა, ორ დღეში ერთხელ:

– ჩემო ლამაზო შვილო, როგორა ხარ, გენაცვალოს დედა?!

– კარგად დედა, კარგად ვარ, შენ როგორ ხარ?

– მოდი, ლექსო, შვილო, შორს არსად წახვიდე, თუ რამე ვერ გავიგე, შენ მომეხმარები.

სთხოვს მეზობლის ბიჭს და ტელეფონს ყურთან იდებს.

ველარაფერს ვხედავ მისი პატიოსანი ჭაღარის მეტს.

თოვლის ფიფქივით სუფთა და სპეტაკია მისი ჭაღარა.

ყველაფერი ისევ ისეა ირგვლივ, მხოლოდ ჭიშკარს მოსდებია ჟანგისფერი და ეზოს სევდა.

(ასეთიც რომ მელამაზება!)

– შენი გამოგზავნილი ყვავილები უნდა გაჩვენო, ნახე, როგორ თავდაუზოგავად ყვავიან. გავახარე და გავამრავლე კიდეც, შვილო. ბოლქვები, ვინც მთხოვა, ყველას მივეცი, ქეთინო ექიმსაც წავუღე, ეთერასაც მივეცი ბიჭის საფლავზე დასარგავად, უარი არავისთვის არ მითქვამს.

იცის, რომ მიყვარს ყვავილების გაცემა და მახარებს...

იქ ყველაფერი ისევ ისეა, აქ?

ყელში ბურთი ისევ ძალუმად მეჩხირება და მუხლებში ძალას ველარ ვგრძნობ. კედელს ვეყრდნობი.

– დედა გენაცვალოს, ბებია ხომ არ გაბრაზებს, წამალს კიდე სვამ, როდის უნდა ჩამოხვიდე?!

არც ეს კითხვები იცვლება დიდი ხანია. მხოლოდ მე ვცდილობ პასუხების გამრავალფეროვნებას, რომ რამით ვაამო.

– ნაიავ, როგორა ხარ, რათ დაგვივიწყე?!

ამასობაში ილო მომდგარა ღობესთან, ჩემი

მეზობელი, 3 წლიდან რომ ახსოვს ჩემს გონებას.

– არა უშავრა, ილო, არა უშავრა!

ვცდილობ, პასუხი მის ენაზე დავუბრუნო. არ დაგივიწყებთ, ნუ გეშინია!

ისევ ის მწვანე მაისური და ჯინსის შარვალი აცვია, ილოს წინა ზაფხულებში რომ ეცვა.

ილო ყველაფრის კმაყოფილია, ასეთი ბუნება დაუყოლებია განგებას.

– ჩამო, ბლები ჩაყარე, იცი რა კარგია. ეგე წელს სუ 3 ლარში ვყიდე.

ბედნიერია ილო ბლების „უხვი“ მოსავლითა და „კაი“ ფულის გაკეთებით.

რა მწვანეა ჩემი სოფელი, რა ჰაერია!

ვფიქრობ ისეთი ემოციით, თითქოს იქ ვარ და საამოდ ვსუნთქავ.

საურმეზე ვიღაცა მიდის, სილუეტზე ვიცანი – რუბენიჩია, ესეც კარის მეზობელი.

რაც თავი მახსოვს, ყოველ საღამოს ცივი წყალი მოაქვს თავისი ლამაზი ლამრიკოსთვის. რამდენი შვილიშვილები და შვილთაშვილები ჰყაავთ! გულში შევნატრი. ახლა იმათკენ გამირბის ფიქრი...

– გენაცვალოს დედა, შენ რომ ფულს მიგზავნი, შენი კარადის უჯრაში ვინახავ, შენ რომ ჩამოვალ, შენ მოიხმარე!

ახლა კი ძალუმად ვგრძნობ ჩემს უსუსურობას, კედელიც აღარ მესაყრდენება.

დედაშვილობის გრძნობის ამბოხთან დავმარცხდი...

„რას მერჩი დედა, რა დავაშავე, რატომ მაყენებ ამ ქარიშხალში“?!

ვფიქრობ, ვამბობ თუ რას ვშვრები, მეც აღარ ვიცი.

თან იტალიელი ბებიას „დარიგება“ მახსენდება: ფული შენთვის შეინახე, თორემ სიბერეში უფულოს შვილები არ მოგაკითხავენ.

ამათ რა იციან ქართველი ქალის დედაშვილობა?!

ამათ არც ის იციან, რომ საქართველოში ყველა დედა ღვთის მშობელია და ყველა შვილი კი – მისთვის მლოცველი იესო ქრისტე.

დღეს უკვე მერამდენედ მიამბო, როგორ იტირეს გამომშვიდობებისას შვილიშვილმა და მისმა რუსმა ცოლმა მის წინაშე.

ისიც გამიმეორა, რომ 4 წლის შვილთაშვილმა მალე მოსკოვში უნდა წაიყვანოს ბაბო და პაპა და თავის სახლში უნდა აცხოვროს.

რაც მარადიულია, ყველაფერი უცვლელია, არც არასდროს შეიცვლება ამ მზისქვეშეთში, მხოლოდ დედაჩემის ეზოში ყვავიან იტალიური ყვავილები თავგამოდებით ჟანგისფერ ღობესთან!

....

დედაჩემი ღვთისმშობელია!

ნეოილი - ქიქოხილვა

ნინო ახსენაშვილი

„ანეული“ და პანდემია

2020 წელი მძიმე გამოდგა დედამიწისთვის. პანდემიამ მოიცვა მსოფლიო. სამწუხაროდ, ის დღესაც გრძელდება და ხელს უშლის კაცობრიობას, ნორმალურად, ადამიანურად წარმართოს თავისი ცხოვრება. ამ გაუსაძლის პანდემიას და უფრო კი მისი სახელით შექმნილ მძიმე პირობებს მთელი მსოფლიო ებრძვის: ვინ როგორ და ვინ – როგორ. ასეა ჩვენთანაც. ზოგი სიტყვით გამოხატავს პროტესტს, ზოგიც საქმით იბრძვის, რომ დაამარცხოს უხილავი მტერი. არის ისეთი ბედნიერი შემთხვევები, როდესაც სიტყვა და საქმე განუყოფელია. ასეთ ბედნიერ შემთხვევათა თუ დამთხვევათა რიგში უცილობლად დგას ლიტერატურული ჟურნალი „ანეული“, რომელიც, მიუხედავად არსებული სიტუაციისა, მაინც გამოდის, იბეჭდება; იბეჭდება კვლავ მრავალფეროვანი რუბრიკებით, საინტერესო ავტორებით, უფროსი თუ ახალი თაობის წარმომადგენლებით, სამეცნიერო პუბლიკაციებით, მოგონებებით, საიუბილეო მილოცვებით და ასე შემდეგ.

2020 წლის დასაწყისში, როცა უკვე მომძლავრებულმა ვირუსმა გვარიანად შეაყანყალა მსოფლიო, ჩვენთანაც დაწესდა რეგულაციები; დავრჩით შინგამოკეტილები, პასიურობას მიუჩვეველნი და ერთგვარად უიმედონიც. ერთი შეხედვით, ეს ჟურნალ „ანეულზეც“ აისახა. ქვეყანაში დაწყებულ ფინანსურ კრიზისს შეეძლო, ხელი შეეშალა ჟურნალის გამოცემისთვის. ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა თამარ შაიშმელაშვილმა, სარედაქციო საბჭომ და ჟურნალის გარშემო შემოკრებილმა საზოგადოებამ ერთიანობით მაინც შეძლეს, გამოსულიყო „ანეულის“ ორი გაერთიანებული ნომერი. ნახევარწლიანი შრომის თავმოყრამ ერთ ჟურნალში მისი შინაგანი რიტმი ვერ დაარღვია და ამ უიმედობაში იმედის სხივად ამოთავთავდა.

„ლექსი-ალამი“, რომლითაც ჟურნალის ეს გაერთიანებული ნომერი იწყება, მორის ფოცხიშვილის „დავით გარეჯაა“. ჟურნალის მოწინავე

ლექსები ყოველთვის ეხმიანება ჩვენი ქვეყნის ცხოვრების აქტუალურ საკითხებს. ასეა ამჯერადაც:

არ კმარა, რაც ითარეშა
ჟამმა აშარმა ჩვენში?! –
ტკივილი – დავით გარეჯა,
ვით სევდა – დავით გარეჯა,
ვით ცრემლი – დავით გარეჯა,
ჩქარა ჭკუიდან შემშლის.

წინა საუკუნეში დაწერილი ლექსი დღესაც აქტუალურია. ერთი უბედურება მეორეთი შეიცვალა; უგუნურთა ვაი პატრონობამ უარეს დღეში ჩაგვაგდო. ამავე თემას ეხმიანება ჟურნალის მთავარი რედაქტორის თამარ შაიშმელაშვილის ერთი ლექსი – „გარეჯო". ლექსში ავტორი მეტაფორულად, ქარის ფრთებით ცდილობს დაიცვას საყვარელი მამული და მისი წმიდათაწმიდა ალაგი. რაკი სიტყვა სიწმინდეებზე ჩამოვარდა, აქვე აღვნიშნავ, რომ საინტერესოდ იკითხება აღმოსავლეთმცოდნისა და მთარგმნელის, ნომადი ბართაიას წერილი „თამარ მეფის განღმრთობასთან დაკავშირებით"; ასევე საინტერესოა ფილოლოგიის დოქტორის, ასოცირებული პროფესორის ლალი ურდულაშვილის წერილი – „რევაზ სირაძის კულტურულ-სამეცნიერო მიღწევანი პეტრიწონის – უმნიშვნელოვანესი ბიზანტინისტური კერის – კვლევის საქმეში".

„პოეზიის" რუბრიკამ ჟურნალის ამ გაერთიანებულ ნომერში არაერთი საინტერესო პოეტი წარმოგვიდგინა. მაგალითად ორი ერთმანეთისგან არსებითად განსხვავებული ხმის პოეტი – ია ხასაია და ნორა ედიშერაშვილი, ჩვენი სასიქადულო პოეტი თემურ ჩალაბაშვილი კოვიდ-19-ის წინააღმდეგ მებრძოლ რაინდ ექიმებს: თენგიზ ცერცვაძეს, ამირან გამყრელიძესა და პაატა იმნაძეს უძღვნის ლექსს, რომელიც მის სხვა ლექსებთან ერთად ამშვენებს ჟურნალს. თინათინ ჭეჟიას ლექსში „სიზმარ-ცხადი სამეგრელოზე" მშობლიური კუთხისა და ბავშვობის ტკბილი მოგონებები მეგრული გამონათქვამებითაა შეზავებული, რაც ხიბლს ჰმატებს მას. აქვე ვკითხულობთ ამ ავტორის სხვა ლექსებსაც. რუბრიკა „ჭაშნიკი" გვთავაზობს დაჩი ჩალაბაშვილის ლექსებს. „ანეულის" ამ ნომრის ფურცლებზე მონაცვლეობენ პროზისა და პოეზიის ნიმუშები, რა თქმა უნდა, სხვადასხვა სიძლიერისანი, მაგრამ მაინც საინტერესოები: ფიქრია ჩუბინიძის, შალვა ოკინაშვილის, გიორგი უერთაშვილის, ლევან ცალუღელაშვილის ლექსები.

რუბრიკით – „თითქოს დღეს დაიწერა" – წარმოდგენილია ვაჟა-ფშაველას ლექსი „...იუბილეი გახშირდა", რომელიც დღესაც აქტუალურია; გურამ პეტრიაშვილის ზღაპარი „ნაპერწკალი"; ქეთევან დემურიშვილის ნოველა „საათი"; მზია თვალაბეიშვილის „ქალის მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის მონოლოგი" – საინტერესო სიუჟეტითა და თხრობის მანერით გამორჩეული, მოთხრობა, რომელმაც 2020 წლის რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის" კონკურსის პრიზი დაიმსახურა. ასევე საინტერესოდ იკითხება ლეილა არჩემაშვილისა ნოველები და ნელი გოგუაძის მინიატურები.

რუბრიკით – „თარგმანი" – წარმოდგენილია საინტერესო, ქართველი მკითხველისათვის აქამდე უცნობი მექსიკელი ხუანა ინეს დე ლა კრუსის მცირე ბიოგრაფიული მონაცემები და სონეტების თარგმანები, შესრულებული ანა ჩიქოვანის მიერ ესპანურიდან.

ლევან გოთუას დაბადებიდან 115 წლისთავს ეძღვნება ამონარიდი სერგო ზაქარიაძის მოგონებებიდან „მოგზაურობა მთათუშეთში". მასალა მოუმზადებია სარედაქციო საბჭოს წევრს ლეილა ქიტოშვილ-სახლთხუციშვილს. ამავე საიუბილეო თარიღისადმია მიძღვნილი ჟურნალისტ თეონა გოგნიაშვილის ინტერვიუ თამარ შაიშმელაშვილთან „უცებ ცაზე ლევანის უზარმაზარი ფიგურა გამოისახა" – სასწაული ლევან გოთუას ცხოვრებაში".

სევდიანია ვახტანგ მელიქიძის მოგონება „მშვიდობით საქართველო!" ეს მოგონება მეორე მსოფლიო ომში საქართველოს სამხრეთ რეგიონებში, სასაზღვრო ზოლში მცხოვრები მოსახლეობის მძიმე მდგომარეობას ეხება.

აუცილებელი იყო რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის" საიუბილეო მე-10 კონკურსის შედეგების გაშუქება-შეჯამება, რაც ჟურნალში ლიტერატურული რეცენზიის სახით არის წარმოდგენილი ჟიურის თავმჯდომარის თემურ ჯაგოდნიშვილის მიერ.

ჟურნალის ახალი ნომრის მომლოდინე ავტორები და მკითხველი-გულშემატკივრები მოუთმენლად ელოდნენ შეკრებას „ანეულის" №1-2 ნომრების წარდგენაზე და ეს შეხვედრაც შედგა 5 ივლისს უჩვეულო გარემოში, ღია ცის ქვეშ, თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში, სკვერში, რომელიც ამჟამად ლონდონის სკვერის სახელს ატარებს. შეხვედრამ საინტერესოდ ჩაიარა; ჟურნალის გამოსვლის სიხარულს ერთმანეთის ნახვით გამოწვეული სიხარულიც დაერთო, რაც ამ უბნის მაცხოვრებლებმაც სიამოვნებით გაიზიარეს.

ზაფხულის ერთი ამოსუნთქვა და თამარსა და „ანეულელებს" ჟურნალის მე-3 ნომერიც მზად ჰქონდათ.

ჟურნალის ეს ნომერი ჩვენი სახელოვანი მეფის, ხალხისთვის უსაყვარლესი „პატარა კახის" 300 წლის საიუბილეო თარიღისათვის მზადების შესახებ გვაუწყებს. ამავე საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილია „ანეულის" მთავარი რედაქტორის თამარ შაიშმელაშვილის ინტერვიუ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორთან – თემურ ჯაგოდნიშვილთან, რომელშიც საუბარია ერეკლე მეფისადმი მიძღვნილი ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების მეცნიერულ ანალიზზე.

ჟურნალის მეწინავე ლექსი გივი გეგეჭკორის „რკონია". ლექსი საოცარი სურათ-ხატებით გვახსენებს საქართველოს ბედნიერ წარსულს და ასევე საოცრად გვაუწყებს:

და ისტორიის მღვრიე მორევი
აქ გატრიალებს...
სათნო ღიმილი
შემოგაშველა მზემ ბარძიმივით.

ზევით შრიალებს ცა ბალახივით,
შენ არ ყოფილხარ ჯერ თავდახრილი,
მოუღლელია სისხლი ბრძოლებით,
არ შემოსულან ჯერ მონღოლები...

საინტერესო ლექსებით წარმოგვიდგება ახალთაობელი ალექსანდრე ჯინჭარაძე. მისი პოეზია გამოირჩევა სულის გრადაციის საოცარი სახესხვაობებით,ძირითადად ქრისტიანულ ჭრილში. კიდევ ერთი ახალბედა პოეტი – ია მერაბიშვილი წარმოჩინდა ჟურნალის მე-3 ნომერში. ერთი რამ საერთო შევნიშნე ახალი თაობის პოეტებს,სურვილი სულის წრთობისა,რაც ფრიად სასიხარულოდ მიმაჩნია.

გორის რაიონის სოფელ ბერშუეთიდან ოკუპირებული ტერიტორიის გამყოფ ხაზთან მცხოვრები აკაკი ბიძინაშვილი გვეხმიანება თავისი ლექსებით. მის პოეზიაში ყოფით ტკივილებთან ერთად სასიყვარულო ჰანგებიც ისმის, არის მიძღვნილი ლექსებიც.

ემიგრაციაში მცხოვრები ნანა არაბულის საინტერესო ლექსებს,რომელთა შესახებაც „ანეულის“ წინა ნომერში პოეზიის მოყვარულის,ექიმ კვანტალიანის წერილი წავიკითხეთ, ამ ნომერში ვეცნობით საკმაოდ ფართო რაკურსით. პოეზიის რუბრიკას ამშვენებს ასევე იანელ კოჭლამაზაშვილის, თამაზ ხადილაშვილის და თენგო ხუციშვილის (ქრისტეს მხედრის) ლექსები, ასევე განსხვავებულნი სალექსო საზომითა და სათქმელის მრავალფეროვნებით.

ნომადი ბართაია ამჯერად თავის წერილში – „შაჰნამეს“ სრული ქართული თარგმანი“,მიმოიხილავს ირანისტის, პოეტისა და მთარგმნელის, ქალბატონ ბელა შალვაშვილის მიერ შესრულებულ მართლაც საოცარ თარგმანს X საუკუნის დიდი ირანელი პოეტის აბულ ყასემ ფირდოუსი თუსელის პოემა „შაჰნამეს“ (მეფეთა წიგნი) სრულ ქართულ თარგმანს. ფირდოუსის ეს პოემა 104 ათასზე მეტ ტაეპს შეიცავსო,აღნიშნავს სტატიის ავტორი,პირველი და იშვიათი შემთხვევაა,როდესაც მთარგმნელმა თავი გადადო, 30 წელიწადი შეალია და ბოლომდე თარგმნა ეს დიდებული პოემა. სამწუხაროდ, ჯერჯერობით თარგმანის მხოლოდ პირველი ტომია გამოცემული და დანარჩენი რვა ტომი გამოცემას ელოდება.

ლიტერატურული წერილების რუბრიკით ვეცნობით ფილოლოგიის დოქტორის ეკატერინე შაკიაშვილის პუბლიკაციას – „აკაკი წერეთლის „სულიკოს“ გააზრებისათვის“.

პროზაული ნაწარმოებებიდან გამოვარჩევდი თემო ვაშაყმაძის ნოველას – „მონასტერი,კვერცხი თუ ქათამი?“

მოგონებების ზარდახშა სავსეა ზელიმხან მაღრაძე წერილში „გრამატიკის წიგნი“,იგი დიდი სიყვარულით იგონებს ლევან გოთუასთან გატარებულ დღეებს. ხოლო ლეილა ქიტოშვილი-სახლთხუციშვილი წერილში „ჩანიშნული მოგონებებიდან“ საუბრობს ნინო დარბაისელზე (ერთი პირობა,მოგონებები რომ წავიკითხე, გული გადამიქანდა, ნინოს ხომ არაფერი დაემართა-მეთქი. წერილი ბოლომდე რომ წავიკითხე,მხოლოდ მერე დავმშვიდდი).

საინტერესოდ იკითხება ბატონ თენგიზ უთმელიძის წერილი „ქართული ქორეოგრაფიის გვირგვინი“. მთლიანად ჟურნალის ეს ნომერიც, რომლის წარდგენაც მწერალთა სახლის ბაღში გაიმართა, ისევე საინტერესო გამოვიდა, როგორც მისი წინამორბედები. წლის ბოლომდე ერთი ნომერი კიდევ დარჩა გამოსაცემი. კვლავ თავდაუზოგავი შრომა და ძალისხმევა იყო საჭირო. თანაც ახალ მე-4 ნომერში უკვე „ერთი მოთხრობის“ მე-11 კონკურსში გამარჯვებული ნაწარმოებებიც უნდა დაბეჭდილიყო. ცხადია, კონკურსი მანამდე ჩატარდა და სასიხარულოა, რომ საკონკურსოდ გამოგზავნილი სამოცდაათი მოთხრობიდან ძირითადი სამი გამარჯვებულის გარდა გამოვლინდა სხვა საუკეთესო მოთხრობებიც – ლელა თოთაძის,ბადრი სულაძის, ზურაბ გურჩიანისა და როლანდ გიორგაძის, რომლებიც სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ. ჟურნალ „ანეულის“ პრიზი კი გიორგი პაპუაშვილს მიენიჭა. ჟურნალის რედაქტორი მადლიერებით ახსენებს ყველა იმ პიროვნებას თუ ორგანიზაციას, უშურველად რომ უდგანან მხარში ამ საინტერესო კონკურსის ჩატარებაში.

ჟურნალის ამ ნომერში მხოლოდ პირველი, მეორე და მესამე ადგილის მფლობელი ავტორების მოთხრობებია წარმოდგენილი, ერთმანეთზე უკეთესი მოთხრობები.

რეზო ჯორბენაძის „მეც შენთან ერთად“ უცხოეთში სამუშაოდ მყოფი ექიმის საოცარი სიღრმისეული განცდებისა და პანდემიის პირობებში ცხოვრებისეული მკაცრი რეალობის ისეთი ჰარმონიული(თუ შესაძლოა,ამ ტრაგიზმს ჰარმონიული ვუწოდო) და თანამიმდევრული ჯაჭვია,რომლიდანაც ერთ რგოლსაც ვერ ამოარიდებ და რომელიც მოთხრობის წაკითხვის შემდეგ შენც სულის უღრმეს კუნჭულებში აგიჟღრიალდება. ადამიანთა ურთიერთთანადგომისა და მარადიული სიყვარულის ჰიმნივით იკითხება ნინო მანძულაშვილის „ბერდია“, ხოლო სალომე გოგოლაძის „ქვის სახელი“ უფრო ეგზოტიკური ხილივით დასაგემოვნებელია.

რუბრიკით „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების“ ცნობილი პოეტი და „ანეულის“ სარედაქციო საბჭოს წევრი თემურ ჩალაბაშვილი გვიყვება საინტერესო ადამიანებსა და მათთან გატარებულ დაუვიწყარ დღეებზე. ასევე საინტერესოა ნინო ჩხიკვიშვილის მოგონება მეუღლის – ნოდარ მგალობლიშვილისა და დიდი მაესტროს – ნოდარ ანდღულაძის მეგობრობის შესახებ.

პოეზია ამჯერადაც მეტად საინტერესო ავტორებთან შეხვედრას გვთავაზობს. ირმა შიოლაშვილის ვერლიბრი საოცარი ექსპრესიულობითა და შინაგანი რიტმით გვხიბლავს. ქალბატონ დალი მაზმიშვილს წარდგენა არც სჭირდება. ერთს ვიტყვი მხოლოდ: ეს ის ავტორია, რომელსაც თანაბარი ემოციითა და გულწრფელობით შეუძლია წეროს ბავშვებისთვისაც და დიდებისთვისაც. მის ლექსებში მშობლიური მიწის ოკუპაციით გამოწვეული გაუნელებელი ტკივილია განფენილი. თამარ შაიშმელაშვილის ლექსი „დედაო ჩემო!... ღვთისმშობლის

ტაძრად მიყვანებას ეხმიანება. ეს დღესასწაული ხომ ყოველთვის დეკემბრის 4 რიცხვშია. ასევე საინტერესოდ იკითხება ნანა კვაშილავას, ოლიკო ცისკარიშვილის, ნინა სამხარაძის ლექსები.

ჟურნალში წარმოდგენილია ნინო საძაგლიშვილის წერილი „ფილტრით თუ უფილტროდ ერთ გულწრფელ წიგნზე, რომელიც წერილის ავტორის საინტერესო თარგმანს ეხება ბერძნულიდან. ამავე ნომერშია განთავსებული ჩემი მოკრძალებული გამოსათხოვარი წერილი ქართული ანბანის მესაიდუმლეს – ბატონ რამაზ პატარიძეს რომ ეძღვნება.

ბატონი ივანე ჯაფარიძე ყოველთვის გვაოცებს და გვახარებს საინტერესო წერილებით. ამჯერად მისი პუბლიკაცია „ტაბუდადებული სახელი“ ქართველი ექიმის გივი გაბლიანის მძიმე ცხოვრებაზე მოგვითხრობს. ბატონი ვანოს უმდიდრესი ფოტოარქივის წყალობით წერილს შესანიშნავი ფოტოებიც ახლავს. თენგიზ უთმელიძე ქართული ცეკვის ლეგენდაზე ნინო რამიშვილზე გვიყვება; გიორგი ლალიაშვილი კი – მხატვარსა და ილუსტრატორზე ზურაბ კაპანაძეზე მოგვითხრობს.

შეუძლებელია, არ აღინიშნოს მარინა გოგოლაშვილის შესანიშნავი თარგმანი ფრანგულიდან გი დე მოპასანის „ყელსაბამისა“.

ლიტერატურულ ჟურნალ „ანეულის“ თითოეული ეს ნომერი სხვადასხვა მხატვრის ნამუშევრებით არის გაფორმებული. №1-2 ნომრის გარეკანზე ბატიკის უზადო სპეციალისტის, ია არსენიშვილის ფერწერული ტილოებია წარმოდგენილი, მე-3 ნომრის მხატვარი შესანიშნავი პორტრეტისტი, ია დიაკონიძეა, ხოლო ჟურნალის მე-4 ნომერი დავით მურაჩაშვილისა და ზურაბ კაპანაძის ნამუშევრებს წარმოგვიდგენს. ჟურნალის მე-4 ნომრის წარდგენა ონლაინ მოხდა პანდემიის გამო. სოციალურ ქსელში გამოქვეყნდა საკონკურსოდ წარმოდგენილი და სპეციალური პრიზებით დაჯილდოებული სხვა მოთხრობებიც. მხოლოდ 2021 წლის ჟურნალის პირველი ნომრის წარდგენაზე ისევ მწერალთა სახლში მოხერხდა სარედაქციო საბჭოს, ავტორებისა, მკითხველისა და გულშემატკივართა შეკრება.

ერთ წერილში ჟურნალის ოთხი და თუნდაც სამი ნომრის გამოწვლილვით განხილვა საკმაოდ რთულია. ამ მცირე მიმოხილვით ვეცადე, ოდნავ მაინც წარმომეჩინა ის დაუღალავი შრომა, რასაც ეწევა ჟურნალის მთავარი რედაქტორი თამარ შაიშმელაშვილი და მასთან ერთად ჟურნალის სარედაქციო საბჭო. მინდა ჩემი მადლიერება და პატივისცემა გამოვხატო მათ მიმართ, განსაკუთრებით თამარ შაიშმელაშვილის მიმართ, რადგან ჟურნალის მთავარი რედაქტორი ფლობს იმ განსაკუთრებულ ნიჭსა და უნარს, რომლის გამოისობითაც გარს შემოიკრიბა ქართული ლიტერატურული საზოგადოების საუკეთესო ნაწილი და მათთან ერთად ისეთ საოცარ ხნულს ავლებს ლიტერატურულ ცხოვრების ნიადაგზე, რომელიც აუცილებლად უხვსა და ხარისხიან მოსავალს მოიყვანს.

ნარდგენა

ვხატავ ისე, რომ ვერ ვხედავ“...

ხელოვანი ნათია დოლიძე-კანელისი ცხოვრობს ჰაგაში, ოჯახთან ერთად.... დაამთავრა თბილისის 36-ე საჯარო სკოლა. ხელოვნების ნიჭი და ინტერესი მუდამ ჰქონდა. იტაცებდა თეატრალური განხრაც.

5 წელია სისტემატურად ხატავს, ორიგინალურია მის მიერ შუშაზე ქვემოდან დახატული სურთები, ასევე, ეპოქსით ქმნის ხელნაკეთ ნივთებს.

სამომავლოდ სახელოსნოს გახსნას და გამოფენის გამართვას გეგმავს.

– ბავშვობიდან სულ ვხატავდი, – ამბობს ნათია, – მაგრამ 5 წელია, სისტემატურად შევუდექი ამ საქმეს. ბავშვობაში სიზმარში ვნახე, ვითომ ნიუიორკში მქონდა გამოფენა და რაღაცნაირად ჩამრჩა გონებაში, მაგრამ არაფერს ვაკეთებდი ჩემი ოცნების ასასრულებლად. ოცნებად მქონდა გამოფენა. მხოლოდ მეგობრის სიტყვების მერე – „დანაშაულია, ადამიანს თუ შეუძლია ოცნება აისრულოს და არ აასრულებსო“ – ინტენსიურად დავიწყე ხატვა.

დეპრესიის დროს ყველაზე მეტად ხელოვნება მეხმარება, თუ შევძელი და ავიღე ფუნჯი, მაგ დროს მავიწყდება ჩემი თავი... თითოეულ ნაშრომს მინდა სული ჩავუდგა... თითქოს მესაუბრებიან მუშაობის დროს, ხატვის პროცესში. ყველაფერი ისე იდეალურად მინდა გავაკეთო, რომ თვით ნახატებიც კი კმაყოფილნი დარჩნენ.

– შუშაზე ხატავთ ქვემოდან, ხედვის გარეშე...

– დაახლოებით 5 წლის წინ შემთხვევით წავაწყდი ინტერნეტში ვიდეოს, მინის ქვემოდან აბსტრაქტულ სტილში ფერებით დახატეს ნამუშევარი. მაშინ დამებადა აზრი, არა აბსტრაქცია, არამედ ჩემი სტილის ნახატები შემექმნა.

სანამ დავიწყებ რაიმეს დახატვას, ვუყურებ სურათს, ვფიქრობ, ვაანალიზებ რამდენიმე დღე. ვხატავ ისე, რომ ვერ ვხედავ, მხოლოდ დასრულების შემდეგ ვაცლი საფარს და ვხედავ, რა გამოვიდა. თუ სადმე შეცდომა დავუშვი, ან უნდა მთლიანი ნახატი უნდა წავშალო ან უბრალოდ სხვა რამეში გამოვიყენო შუშა. გადაკეთება შეცვლას არ ექვემდებარება.

ეპოქსს რაც შეეხება, დავიწყე მხოლოდ იმის გამო, რომ შიგ ჩამეხატა. მერე და მერე თანდათან მოვიდა სხვადასხვა ნივთის დამზადების სურვილი. მაგალითად, სარკე ეპოქსის ჩარჩოში არსად მინახავს. მსგავსი ალბათ არც ვინმეს შეუქმნია, თორემ ნამდვილად შემხვდებოდა ვიდეო „იუთუბიზე“.

(ნამუშევრები იხილეთ გარეკანის შიდა გვერდზე)

რევაზ ინანიშვილის სახელობის ლიტერატურული კონკურსი

ახალი გამოცემები:







მხატვარი – თამარ იოსებაშვილი



ანდუალი – ვეფხვეულის ხნული